

The international scientific peer  
reviewed journal

საერთაშორისო სამეცნიერო  
რეცენზირებადი ჟურნალი

GULANI

გულანი

Akhaltsikhe ახალციხე

2022

Samtskhe-Javakheti State University

25

GULANI

Linguistics, Literature Studies, History and Education

**Editor:**

Maka Beridze, Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Editor Council:**

**Linguistics:**

Inga Rhtidze (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Jerard Gavanakhi**, Limerikis Technological Institute, Ireland

**Klodin Blokhi**, Freeburg University, Switzerland

**Karmen Alen Garabato**, Montphel Paul Valer University, France

**Literary Studies**

Nestan Sulava (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Cornelia Horn**, The Martin Luther University of Halle-Wittenberg, German

**Natalia Sokolovskaia**, Literary scholar, writer, Russia

**Onomastics**

Merab Beridze (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Mustafa Shenel**, Kafkas University, Georgia

**Paata Tskhadaia**, Tbilisi State University, Georgia

**Igor Kekelia**, Georgia

**Education**

Irma Kurdadze (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Zakaria Furtskhvanidze**, Frankfurt Goethe University, German

**Ronda Sopher**, Gorgon Education Academy Collage, Israel

**Anzor Barkalaia**, Tartu University, Estonia

# 25

## გულანი

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, განათლება

**მთავარი რედაქტორი:**

მაკა ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**სარედაქციო საბჭო:**

### ენათმეცნიერება

ინგა ლუტიძე (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო

ჯერარდ გავანაჰი, ლიმერიკის ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ირლანდია

კლოდინ ბლოხი, ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია

კარმენ ალენ გარაბატი, მონტფელერის პაულ ვალერის უნივერსიტეტი,

საფრანგეთი

### ლიტერატურათმცოდნეობა

ნესტან სულავა (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, საქართველო

კორნელია ჰორნი, ჰალე-ვიტენბერგის მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტი,

გერმანია

ნატალია სოკოლოვსკაია, ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, რუსეთი

### ონომასტიკა

მერაბ ბერიძე (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

მუსტაფა შენელი, კავკასიის უნივერსიტეტი, თურქეთი

პაატა ცხადაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

იგორ კეკელია, საქართველო

### განათლება

ირმა ქურდაძე (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, საქართველო

ზაქარია ფურცხვანიძე, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი, გერმანია

რონდა სოფერი, გორდონის განათლების აკადემიის კოლეჯი, ისრაელი

ანზორ ბარკალაია, ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი

*УДК (უკ) 81+82+93/94+37*  
*UDC გ 936*

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: *ნინო კარკაძე*

მდივანი: *მანანა იოსელიანი*

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

საგამომცემლო ჯგუფი: *ლარისა გურგენიძე*  
*ლია ზედგინიძე*

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022  
ISSN 1987-6157

*კობაიძე ლამზირა*

*ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე,  
lamzira.kobaidze@mail.ru, 599 611 681*

## მეტსახელთა სტრუქტურული ანალიზი სოფელ იდუმალის მაგალითზე

### მოკლე შინაარსი

**მოკლე შინაარსი.** ასპინძის რაიონის სოფელ იდუმლის მეტსახელები მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს სტრუქტურულად და სემანტიკურად. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ამჟამად მცირეკომლიანია, საკმაოდ მრავალფეროვანია მეტსახელთა სისტემა. იდუმალაში ვხვდებით ზედმეტ სახელებს სხვადასხვა ნიშნით: ფიზიკური აღნაგობის, ფიზიკური ნაკლის, რაიმე გამორჩეული ნიშნის, ხასიათის, ამა თუ იმ პიროვნების ლექსიკაში ხშირად ხმარებული რომელიმე სიტყვის გამო, ვიღაცის ან თავისი ნათქვამის გამო, ამა თუ იმ ფილმის გმირთან მსგავსების, სხვა ადამიანებთან მსგავსების, თმის ან სახის ფერის გამო, პროფესიის გამო, დამახინჯებული ლაპარაკის გამო, რაღაცის სიყვარულის გამო, ზოგჯერ წინაპრის მეტსახელის გამო. მეტსახელების შესწავლა, ვფიქრობთ, ონომასტიკური მეცნიერების განვითარებისათვის ერთობ ღირებულია. საყურადღებოა, სოფელი იდუმალა, რომელიც შეუსწავლელია ამ კუთხით. ჩვენ შევძლებთ, საზოგადოებამ გაიცნოს ამ სოფლის მკვიდრი მოსახლეობის ონომასტიკონი, რომელიც, ვფიქრობთ, გამოსადეგი და ერთობ მნიშვნელოვანია, როგორც ენათმეცნიერთათვის, ასევე სხვა სფეროთი დაინტერესებულ პირთათვის. ვფიქრობთ, აქედან გამომდინარე, ნაშრომს გარკვეული თეორიული ღირებულება გააჩნია. დღეისათვის საკმაოდ აქტუალურია მეტსახელის შესწავლა, რომელიც გარკვეული ისტორიისა და დიდი ინფორმაციის მატარებელია. ცნობილი, რომ სწორედ საკუთარ სახელებში იმალება დიდი საიდუმლო.

საკვანძო სიტყვები: მეტსახელი, თიკუნი, სახინჯარი, ეპონიმი, ანთროპონიმი, ონიმი, ეპითეტური მეტსახელი.

***Kobaidze Lamzira***  
*Doctor of Philology, Associated Professor,*  
*Samtskhe-Javakheti State University,*  
*Georgia, Akhaltsikhe,*  
lamzira.kobaidze@mail.ru, 599 611 681

## STRUCTURAL ANALYSIS OF THE NICKNAMES ON THE EXAMPLE OF THE VILLAGE IDUMALA

### Abstract

The nicknames of the village Idumala, Aspindza district is very interesting in terms of structure and semantics. Despite the village is small nicknames given there is quite diversified. They are named according to different features, which can be grouped as given after physical characteristics, physical disability, distinguished feature or character, names are given due to frequently used word by a person, according to other persons' or their own utterance, because of resemblance with a film actor or any other person, hair or face color, profession, due to irregular speech, addiction to something and sometimes because of the nickname of the ancestor. Study of nicknames is very important for onomastic sciences. The village Idumala has not been studied from this prospective before. We will be able to introduce onomasticons of the village residents to the larger society, as considering that it is quite useful and very important for the linguists and other persons concerned with the subject. Accordingly, the work has a certain theoretical value. Currently, study of the nicknames with certain history is quite significant as it provides the information. It is known that the proper nouns often are used for revealing the underlying secret.

**Key Words:** Nickname, Tikuni, Sakhinjari, Eponym, Anthroponym, Onym, the nickname with epithet.

**შესავალი.** უდავოდ მნიშვნელოვანია სოფელ იდუმალაში მცხოვრები მოსახლეობის მეტსახელთა სტრუქტურისა და სემანტიკის თავისებურებათა შესწავლა და დადგენა. ეს საკითხი

მეტად საყურადღებოა, როგორც ენათმეცნიერთათვის ასევე დაინტერესებულ პირთათვის. სიახლედ ნაშრომისა, შეიძლება ჩაითვალოს, ის, რომ ეს საკითხი დღემდე შეუსწავლელია და მოითხოვს ღრმა და სერიოზულ კვლევას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონომასტიკური სურათის ჩვენება და შესწავლა იქ, სადაც ჩამოსახლებული მოსახლეობის (მთიულთა) დასახლებებია.

**მიზანი:** ნაშრომის მიზანია საზოგადოება გაეცნოს მეტსახელთა კვლევას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული გვარსახელთან, რომელთა საფუძვლიანი შესწავლა მრავალფეროვან ისტორიას წარმოგვიდგენს. საინტერესოა, თუ რა ცვლილებებს განიცდის მეტსახელი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში უმაღლესი ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, რომელიც დიდ კვლევას მოითხოვს ამ კუთხით.

**მსჯელობა:** სოფელი იდუმალა არაა დიდი სოფელი, მაგრამ არსებობის დიდი ხნის ისტორიას ითვლის. საისტორიო და სამეცნიერო ლიტერატურა მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის დასახლებული სოფლის შესახებ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“- მიხედვით სოფელი იდუმალა - სწორი და ქართული სახელია. „ასპინძიდან ორიოდ ვერსის სავალზედ“ ხელს აწერს იდუმალის მამასახლისი. საარქივო საბუთებში ნაჩვენებია, რომ იდუმალა მემამულის სოფელია - 1831 წ. იგი ეკუთვნის ახალციხელ მოქალაქეს ნაზაროვს. ოშორის წყალზე მდებარეობს. დღეს იდუმალა ასპინძის რაიონში შემავალ იდუმალის სასოფლო საბჭოს შეადგენს (**ჯიქია, 1958: 194**). აქვეა ნახსენები დღევანდელი სოფლის მეორე ნაწილი, ე.წ. გაღმა სოფელი, რომელიც დღეს „ლაშხევის“ სახელითაა ცნობილი და შედის იდუმლის სასოფლო საბჭოში. „დავთრის დროს მლაშისხევი 10 კომლიანი სოფელია. მლაშისხევი შედიოდა ასპინძა, იდუმალა, ოთა და ახალშენ სოფლებთან ერთად ასპინძის სასოფლო საბჭოში. ზისერმანით 1870 წ ლაშხევი 15 კომლია. მდებარეობს ოშორისწყალთან, ახალციხიდან 22 ვერსის მანძილზე. ზისერმანის ლაშხევის რუსული თარგმანი прекрасное ущелье გაუგებარია (**ჯიქია, 1958: 194**)

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მეტსახელი სხვადასხვა კუთხეებში განსხვავებული სიტყვებით აღინიშნება: „ლაღაბი სახელი“, „სახინჯარი“ (მელიქიძე, 2005: 91)“. ცნობილია, რომ მეტსახელების შერქმევისას, უპირველეს ყოვლისა, მიზანში იღებდნენ ადამიანის პირად თვისებებს, მისწრაფებებს, მოსაქმეობას, ფიზიკურ გარეგნობას. მეტსახელებს მთის კილოებში თიკუნს უწოდებდნენ და ორივეს, რა თქმა უნდა, ქალსაც და კაცსაც ერქმეოდათ. ზედმეტი სახელი დღეს უფრო მეტადაა გავრცელებული, ვიდრე ადრეულ პერიოდში. დღეს მეტსახელით უფრო იცნობენ ადამიანს, ვიდრე ნამდვილი სახელით (ალ. ლლონტი). წარმოგიდგინთ სოფელ იდუმალაში გავრცელებულ მეტსახელებს, რომელიც მეტად საინტერესო სურათს იძლევა არა მარტო სემანტიკურად, არამედ სტრუქტურულადაც.

**ათლაგაშაი** – ათ ლავაშს ჭამდა ერთჯერზე.

**არხიოზაი** – ლოთი ყოფილა ვიღაც კაცი (არხიოზ ზაზაძე, ასპინძის რაიონიდან, თმოგვიდან), მას მიამსგავსეს და ამიტომ დაერქვა.

**ბარძუხაი** – მაღალი ქალი ყოფილა, მეზობლებმა შეარქვეს. **ბარძუჯა** ფიქსირდება ლლონტის საკუთარ სახელებშიც, **ფშ; მალაროსკარი (ლლონტი, 1984:54).**

**ბახულიაი** – თავისი სახელიდან გამომდინარე (ვახტანგი რქმევია სახელად). ალექსანდრე ლლონტთან იძებნება მისი სახეცვლილ ვარიანტი **ბუხულია** დოკ I; 438, **ბუხულიკა**, კოლხური (მუხური) (ლლონტი, 1984:62).

**ბაჯაჯო** – სულ ჩათრეული შარვლით დადიოდა და ამის გამო შეერქვა. ალ. ლლონტთან გვხვდება **ბაჯო (სვანურ. I მესტია) გვ. 56).**

**ბაჩულიაი** – პატარა ტანის კაცი იყო და ამიტომ შეერქვა; **შდრ. ბაჩულია** „ჩანჩურა კაცი (ლლონტი, 1984: 64).

**ბაყაყაი** – ბაყაყს ამსგავსებდნენ და ამიტომ დაერქვა.

**ბოკოკაი** – ბოკოკია ( კოლხური I, ნაკიფუ, (ლლონტი, 1984: 60)

**ბრინკაი** – წინაპრის სახელია (შდრ. „ჯაყოს ხიზნების“ გამო).

**ბრინჯაი** – ბრინჯის სიყვარულის გამო შეერქვა.



**ბლუკი** – ბავშვობაში მამას დაურქმევია. მთიულები თურმე **ბლუკს** პატარა ხბოს ეძახდნენ (შდრ. რ. ინანიშვილის მოთხრობას). **ბლუკი** მოდრეკილი, ბეჭებში მოხრილი; **მოზღუნკვა**-ლეჩხ. გურ. ბეჭებში მოხრა; **მოზღუნკული მოკუნცხული**, წელში მოხრილი, **მოკაკული (ღლონტი 1984:369)**. **მოზღუნკვა - მოკუნცვა**, პატარა ტანის ადამიანის უშნო სიარული (**ზედგინიძე, 2014: 50**). ქართლურსა და კახურში. პატარა, ჩია ადამიანის აღსანიშნავად იხმარება ბლუკი (კომორიძე, 2004: 129). შდრ რ. ინანიშვილის მოთხრობა „**ბლუკები**“; ცოლ-შვილიც ეგეთები ჰყავს, თვალს ვერ დაახამხამებინებ, ფიწალი რომ ატაკო, სულ პატარები არიან, ბლუკები“ (**ინანიშვილი, 1986: 264**)..... (**მელიქიძე, 2018: 110**).

**ბედოთ ქალაი** - გვარიდან გამომდინარე ეძახდნენ, (**ბედოიძე იყო.**) მეტსახელი დაკავშირებულია ბედოიძის გვართან. სწორედ საკუთარი სახელიდან „**ბედო**“, მომდინარეობს მეტსახელი. „ძირეული ანთროპონიმი ზოგჯერ გადმოცემულია გარკვეული ბრუნვის ფორმით. ამ მხრივ ყველაზე პროდუქტიულია ნათესაობითი და წოდებითი. განსაკუთრებით ხშირია ამისთანა სახელები მთაში (ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი) **ბედო, ჭრელო, ცუკო..... (ღლონტი, 1967: 14-15)**. ბედოიძეები წარმოშობით ფასანაურიდან სოფელ **ბედონიდან** არიან, სადაც მხოლოდ ამ გვარის ხალხი ცხოვრობს.

**გაულაწუნე** - მიმსგავსების გამო (ფილმის „ნატვრის ხის“ პერსონაჟთან მსგავსების გამო).

**დევი** – ზღაპრის პერსონაჟთან მსგავსების გამო, მაგრამ თვითონ ტანით პატარა კაცი იყო და დევს რატომ ეძახდნენ? ალბათ, დაცინვით.

**დინჯი** – ძალიან დინჯი კაცია და ამის გამო შეარქვეს.

**დოლაი** – დოლასქედიდან ყოფილან წარმოშობით. „ტოპონიმთა და გვართა ურთიერთ მიმართება ძირითადად ორი სახისაა: გვარიდან შეიძლება იწარმოოს ოიკონიმი (სოფლის სახელი) და პირიქით, ტოპონიმიდან შეიძლება მივიღოთ გვარი. ორივე შემთხვევა ანგარიშგასაწევია (**მელიქიძე, 2005: 79**). აქაც, ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე, სადაც არაა გამორიცხული მიგველო მეტსახელიც.

**დოყე** – როგორც ჩანს, მოუხერხებელი ადამიანი ყოფილა. „ადამიანს როცა დოყეს შეარქმევენ, აღმოჩნდება, რომ შემთხვევითი არ არის წერს მ. ბერიძე და მასში გამოყოფს **დოყ** - ფუძესა და ე მაწარმოებელს (**ბერიძე, 2015: 8**). გ. ზედგინიძის ჯავახური ლექსიკონის მიხედვით „დოყი არის ჯავრი (ჯავრი სჭირს), შურისძიების გრძნობა, გულში ნადები მტრობა. მაგას გულში დოყე აქს, არ გამახარამს“. დოყიანი ადამიანი ღვარძლიანი, ვისაც საერთოდ ჩვევია გულში ჩადება. დოყიანი სიტყვა - მტრული სიტყვა (**ზედგინიძე, 2014: 121**), (**ბერიძე, 2015: 195**), (**ზედგინიძე, 2014: 55**).

**ექესთითამ** – ერთ ხელზე ექესი თითი ჰქონდა და ამის გამო შეარქვეს (ნაკლის გამო).

**ზარბაზანამ** – საკმაოდ შეძლებული და ღონიერი ქალი ყოფილა, რომელსაც დიდი მორის დახერხვა თავისუფლად შეეძლო. ამის გამო შეარქვეს

**კაბარდინამ** – დიდი მოსული ბავშვი იყო და ასე შეარქვეს (მსგავსების გამო)

**კოწო // კონწო** პარალელური ვარიანტი ფიქსირდება (**ღლონტი, 1984: 94**) (**კოლხ. 45, ცხაკაია, ნ.**)

**კიკილო** - მამალს ეძახდა ბავშვობაში ასე და ამიტომ შეარქვეს. (ჩვევის გამო). სახეცვლილი ვარიანტი გვხვდება **კიკილა** - ტანად მომცრო, კინკილა. შდრ კიკილი - წვრილი პური (**ბერიძე, 1981: 73**).

**კუსა** – **კუსოს** სახეცვლილი ფონეტიკურ ვარიაციად შეიძლება ჩაითვალოს. მამაკაცის სახელად ფიქსირდება **კავთ, კასპის რ.** (**ღლონტი, 1967: 96**).

**კუსო** - პოლიციის მუშაკებს ასე ეძახდნენ მთიულეები ყველას. მამაკაცის სახელად ფიქსირდება ფშაურშიც. მაკალათია, 163 (**ღლონტი, 1967: 96**). მისი სახეცვლილ ვარიანტიც გვხვდება **კუსუ** (სვან. 1, მესტია) (**ღლონტი 1967: 96**), უფრო მეტიც, კნინობითი ფორმითაც გვხვდება **კუსანა**, რომელიც მეტ-სახელად გვხვდება კასპის რაიონი ქვ. გომი (**იქვე, 96**).

**ლურსმანად** – საქმეში ლურსმანივით ერჭობოდა და თავისი გაჰქონდა ყოველთვის (**ჩვევის გამო**). გვარიცაა ფიქსირებული ლურსმანაშვილი (მაისურაძე, 1990: 98).

**ლოლო** - საკუთარ სახელადაა ფიქსირებული **ლოლო**, აგრეთვე მეტსახელებშიც ფიქსირდება ლოლასპი ისტ. დოკ, 1, 72. (ლლონტი, 1967: 98).

**მეხაშე** – სულ ხაშს ხარშავდა და ამიტომ დაარქვეს. ხელობა მოსაქმეობის აღმნიშვნელი თავსართ-ბოლოსართითაა ნაწარმოები **მე-ე; მე-ხაშე-ე** (ხელობის გამო).

**მულიგინად** – ინფორმატორთა გადმოცემით, სახელიდან გამომდინარე დაერქვა. მეტსახელი ნადირობის მოყვარე კაცისა, არაშენდა გურჯაანის რ-ნი (**ლლონტი, 1967: 155**).

**მწვეტი** – სუსტი, მაღალი აღნაგობის გამო შეერქვა (აღნაგობის გამო).

**ნაცარად** – ჭადარებით სავსე თმები ჰქონდა (მსგავსების).

**ნიკოლოზად** – საუბარში უყვარდა ამ სიტყვის ხმარება (ჩვევის გამო).

**ოხოვსკი** – მამის სახელიდან გამომდინარე (ოხუად) წინაპარს ერქვა. **ოხოლი** ფიქსირდება (თუშ. მაკალათია, 163 (**იქვე. 113**)).

**ოსის ბაღლი** – ბებია ოსი იყო და პაპასაც ოსს ეძახდნენ, რძალსაც ოსიიანთ რძალს ეძახოდნენ.

**პაჭონჭიკად** – სიპატარავის გამო შეარქვეს. გამქრალი ტანის პატარა ყოფილა. **პაჭო** კარალეთი გორის რაიონი (**ლლონტი, 1984:115**). (მსგავსების გამო).

**პავტარად** – საუბრისას იყენებდა ამ სიტყვას და შეერქვა ამის გამო (ჩვევის).

**სოჩიკად** – დენებზე დადის და მრიცხველის ჩვენებებს წერს (ხელობის გამო)

**ტიტმანიკო** – ვერაფერს გვეუბნებიან ინფორმატორები მეტსახელთან დაკავშირებით, საფიქრებელია, ეს ფორმა უნდა იყოს ფონეტიკური სახეცვლილი ვარიანტი სახელებისა, როგორებიცაა: **ტიტა//ტიტე//ტიტი** და აქედან უკვე ნაწარმოები -**იკო** სუფიქსით- **ტიტმანიკო**

**ტყის კაცი** – სულ გარე-გარე დადიოდა (მსგავსების გამო)

**ტილიკო** – პატარაობის გამო შეარქვეს, პატარა ყოფილა ტანით, რომელიც ნაწარმოებია -**იკო** კნინობითი მაწარმოებლით ნაწარმოები

**ფოსტალიონი** – ხელობა -მოსაქმეობის გამო შეერქვა. კარგა ხანს სოფლის ფოსტალიონი იყო კომუნისტების პერიოდში.

**ფალაო/ფალაუანთი** – მეტსახელად ფიქსირდება ინფორმატორთა თქმით. შესაძლოა, ეს ფორმა იყოს **ბაღას** სახეცვლილი ფონეტიკური ვარიანტი „**ფალავას** ადრინდელ სახედ სავარაუდოა, ბაღავა, შდრ. საკ. სახ. ბაღა, გვარი ბაღაშვილი (**მაისურაძე, 1990: 165**).

**ფორია** – თათრული სახელი რქმევია ვიღაც ყაჩაღს, ძლიერ კაცს. ეს კაცი სწორედ მას მორეგია და მისი სახელი ამისთვის დაურქმევიათ (შდრ. არჩილ ფორია „გვადი ბიგვადან“).

**ფქვილა** – სხვას მოჰპარა ფქვილი და ამის გამო შეარქვეს.

**ქაჩალა** - თავზე თმა არ ჰქონდა, სულმთლად მელოტი უთმო ადამიანი ყოფილა. მეტსახელია მახარადის რაიონში (**დლონტი, 1967: 138**).

**ქერი** – ძიას ეძახიან (სომხური წარმომავლობის სიტყვა).

**ქონა** – ძალიან ეშმაკი ბიჭი ყოფილა და ამის გამო შეერქვა.

**ქიმსალა** - ეშმაკი და გაიძვერა ყოფილა და ამიტომ შეერქვა; შდრ. „**ბაში-აჩუკიდან**“ (ჩვევის გამო).

**ღებილა** - ძროხის სახელია, მთიულები ასე ეძახიან ძროხას და, როგორც ჩანს, მსგავსების გამო შეარქვეს.

**ღორჯო** - თავი ძალიან დიდი ჰქონია და ამიტომ დაერქვა. (მსგავსება).

**ღორძლა** - მაგათი ჯიშის ხალხი ღვარძლიანები ყოფილან; ასე ამბობენ ინფორმატორები. (ხასიათის გამო). მეტსახელი ყოფილა გიორგი შატბერაშვილის “**ჭაშნიკი**“ (**იქვე.137**).

**ღინდრა** - გაძღებოდა და მუცელზე ხელს ისვამდა, როგორც, მშიერი გოჭი (მსგავსების).

**ყაყურია** - ბაღლობის სახელია, როგორც მთიულები იტყვიან ხოლმე. **ყაყუ** – მეტსახელად ფიქსირდება, კოლექცია 2. (**დლონტი,1967: 139**).

**ყაყაჩაი** - ყაყაჩოსავით ტრიალებდა ქალებში, ინფორმატორ-თა გადმოცემით.

**ყოყრო** – თავაწეული დადიოდა (ჩვევის გამო).

**ჩანთო** – ეწოდებოდა დენოტატს ჩვევის გამო(საუბრის დროს ხშირად ეუბნეოდა სხვებს უნდა მოგჩანთოო, ე.ი უნდა დაგიმორჩილოო), მეტსახელად გვხვდება ალ. ლლონტთან ასეთი სახელები, რომელიც მთაშია განფენილი (ფშავში, ხევსურეთში, თუშეთი (ალ. ლლონტი, 1967: 14-15)“. ლექსიკაში ხშირად ხმარებული რომელიმე სიტყვის გამო.

**ჩუნია** – თავისი ხასიათის გამო შეარქვეს, სულ რაღაცაზე ბუზლუნებდა და ჩუნავდა (ხასიათის გამო).

**ჩუნასაი** – სულ რაღაცას ედებოდა, სულ რაღაცას ბრაზობდა (ჩვევის გამო).

**შაშიბეშაი** – ერთ ხელზე ექვსი თითი აქვს და მეორეზე ხუთი, ამიტომ შეარქვეს (ნაკლის გამო).

**ცაკო** – მამაკაცს ერქვა, მაგრამ ქალთა მეტსახელადაა თუშეთში, ალვანი (ლლონტი, 1967: 208).

**ცალთათაი** – ცალი ხელი არ აქვს და ამიტომ შეერქვა ეს სახელი. შდრ: ცალხელა, ცალყურა- ხანჯლით ყურჩამოთლილი „არსენა მარაბდელოში“ (გოდერძიშვილი, 2012: 240) (ნაკლის გამო).

**ცუკაი** - ბევრი თხები ჰყავდათ ოჯახში და ამიტომ შეარქვეს. ცუკა მთიულურ დიალექტზე ციკანს უნდა ნიშნავდეს. **ცუკო** - ხევსურული, ხახმატი. კოლხური, 87, გეგეჰკორი (გვ. 148) (ლლონტი, 1967: 355)

**წიტაი** - უღიმღამო, წითიანი. მთიულურში გადატანით მნიშვნელობით ნიშნავს „ტურტლიანს“ (ლლონტი, 1984: 706), სულხან-საბასთან **წიტი** ავადმყოფობა, სენია. გვ. 451. 1049) (ავადმყოფობის გამო).

**წოწო** – აწოწილი, სუსტი აღნაგობის, მაღალი კაცი: მაღალ-მაღალი. მეტსახელად დადსტურებულია გრ. ბერიძესთან (ბერიძე, 1981: 166), (მელიქიძე, 2018: 112).

**წკიპურტაი** - წკიპურტით ისუფთავებდა შარვალს (ჩვევის გამო). **წკიპურტა** მამაკაცის მეტსახელად გვხვდება ქსნის ხეობაში, ლარგვისი (ლლონტი, 1967: 151).

**წვეტო** - შეერქვა დენოტატს ფიზიკური აღნაგობის გამო. გვხვდება აგრეთვე თუშ. მაკალათია 163 (გვ. 154) (აღნაგობის გამო).

**ჭიჭია** – პაპას ეძახდნენ და ამიტომ შეარქვეს. **ჭიჭი**- ფიქსირდება მეტსახელად გურჯაანის რაიონში (**ღლონტი, 1967: 153**). **ჭიჭი-ჭიჭა**-ფიქსირდება საკუთარ სახელად ალ. ღლონტთან

**ჭეხილა** – მამისი სულ ჭექდა და ყვიროდა საუბრის დროს (ჩვევის გამო)

**ჭრელა** – ძროხის სახელია და პატრონს ეძახდნენ (მსგავსების გამო). **ჭრელა** საკუთარ სახელად ფიქსირდება ფშავში ახადში მცხოვრები **ჭრელაშვილები** გოდერძაულნი არიან (მაისურაძე, 1990: 222).

**ხარისთვალა** – დიდი ლამაზი თვალების პატრონი ყოფილა, ვითომდაც წარმოსადექი ვაჭკაცი, რომელიც თავკაცობდა ყველა საქმეში (მსგავსების გამო)

**ხემგერა** – მოუქნელი უხეში ყოფილა (ჩვევა ხასიათი)

**ხეხერა** – მთიულურ დიალექტზე „**მოზოს**“ ნიშნავს. ღლონტთან ფიქსირდება **ხეხელა** - „თავქარიანი, ახუხული მოუხერხებელი, გაუთლელი: შდრ: ქართლ. ხეხელა გამხდარი, ხმელ-ხმელი ადამიანი (ღლონტი, 1984: 748).

**ხირხალა** – ქალები ჰყვარებია ძალიან და ორი-სამი ქალი ჰყოლია კიდევ. შდრ. ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“ (მსგავსების გამო).

**ხრუშოვი** – პაპას ეძახდნენ მსგავსების გამო. შეიძლება ჩაითვალოს ეპითეტთან მეტსახელად. ხშირად საზღვრული სიტყვა ე.ი პირსახელი მოეკვეცება სინტაგმას და ოდენ ეპითეტურდება მეტსახელიც ფუნქციით. აქაც, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

**ჯაგა** – ბლატაობდა ხშირად და თავის თავზე ამბობდა **ჯაგა** ვარო. **ჯაგა** საკუთარი სახელია (ლლ, სახელ): ამავე ძირისაა **ჯაგაშვილი**(კომ.5. 1964. 4), **ჯაგანაძე** (ხელვაჩაურის რაიონი) (მაისურაძე, 1990: 237).

**ჯორჯაქარაი** – ჯორის ინადი ჰქონია და ამიტომ შეარქვეს. ჯიუტი და ქეჯი ყოფილა ძალიან.

**ჯღუნია** – წინაპრის სახელი ყოფილა და მაგის მოდგმას ჯღუნიაანთ ეძახიან. საკუთარი სახელი მეტსახელის ფუნქციონაც გამოიყენება. მამაკაცის სახელად ფიქსირდება ფშ. მაკალათია ჯღუნაი, ხევსურული. გერგეტი, თუშ. მაკალათია 163. გვ. 164). **ჯღუნიაშვილი** დასახელებულია გვარსახელად მაისურაძესთან (მაისურაძე, 1990: 249)“.

ზემოჩამოთვლილი მასალა საკმაო ინფორმაციას გვაწვდის მთიულთა ზედმეტი სახელების შესახებ. გავრცელებულ მეტსახელთა უმეტესობა შერქმეულია ადამიანთა შინაგანი ბუნების (ქცევის, ხასიათის, ჩვევის, ნაკლის, მსგავსების, ფიზიკური ნაკლის, თმის ფერის, თვალის მოყვანილობის, სისუსტის, სიმაღლის, ამოჩემებული სიტყვის ან ფრაზის გამო. სოფელ იდუმალაში გავრცელებულ მეტსახელთა უმეტესობა სახელობითი ბრუნვის ნიშნად **ა**, **ო** მაწარმოებლიანს მოუდის **-ი** ან **ი** საინტერესოა, რა შემთხვევაში გვაქვს **-ი** და რა შემთხვევაში **ი**. საერთოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებთან გამოიყოფა **-ი/-ი**-ს სამცხურისათვის და **-ი** ჯავახურისათვის. მეცნიერთათვის ეს საკითხი კვლავ სადავოა. ი. მაისურაძე აღნიშნავს, რომ **-ი** გვხვდება სახელობითი ბრუნვის ნიშნად, მაგრამ „...არა ყველა ხმოვანფუძიან სახელებთან, არამედ მარტოოდენ: ა) ადამიანთა და ცხოველთა საკუთარ სახელებთან. ბ) ა- ნაწილაკიან ზედსართავ სახელებთან, რომლებიც თვისობრიობის გამოხატვით ხშირად ზედმეტ სახელებს წარმოადგენენ. გ) ნათესაობითი დამოკიდებულების აღმნიშვნელ სიტყვებთან (მაისურაძე, 1942: 142).

გრ. ბერიძის აზრით, „სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან (ადამიანთა და ცხოველთა), ასევე მეტსახელებთან გვხვდება **-ი** და არა უმარცვლო **ი**. ამ მხრივ, იგი მისდევს ქართულს“ (ბერიძე, 1981: 74). არამ მარტივოსოვი თვლის, რომ ი გვხვდება ადამიანის საკუთარ სახელებთან. მაგ. ჰყამდა ხუთი შვილი პავლეი, თედოი, აკოფაი, მათეი და

გიგოი“. მ. ბერიძის აზრით, -ი//**-ი** დაირთავენ: ა) საკუთარი სახელები: **ნინოი, პეტრეი**, ბ) ნათესაობის აღმნიშვნელი სახელები. გ) **-ა-ზე** დაბოლოებული ზედსართავი სახელები. მეცნიერი თვლის, რომ „ზოგადი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წამმართველი **-ი** სა და **-ი** ს შორის განაწილებისას არის მახვილი და ინტონაცია. **-ი** გვაქვს როცა მახვილი ბრუნვის ნიშანს ეცემა. **ი+ი** პროცესის მიზეზი შეიძლება გახდეს წინამავალი ხმოვნის ძლიერი მახვილი, ან ამ ხმოვნის მიერ მახვილის საერთოდ დაკარგვა“ (ბერიძე, 1994: 115).

**-ი//**-ი**** გვაქვს ა მაწარმოებლიან მეტსახელებთან. საერთოდ, საინტერესოა ა-ს ფუნქცია. ხშირად ეს ა არის კნინობითობის მაწარმოებელი. ზოგჯერ მას ამა თუ იმ თვისების აღნიშვნა ეკისრება. ეს ფუნქცია ხშირად მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებზე დართვისას ვლინდება. (**ტუსკია**) -ა სუფიქსიან სახელს სხვა რომელიმე საგანთან მსგავსების აღნიშვნაც შეუძლია. მსგავსება შეიძლება იყოს ფერის, მოყვანილობის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით. როგორცა გვაქვს შემდგომ მეტსახელებში: **ჭრელაი, ჭიხილაი, .....**-ა ხშირად მასუბსტანტივებელიცა. მაგ. რიჟაი, .....” უფრო ხშირად -ა-თი ნაწარმოები სახელები (ეს -ა მასუბსტანტივებელიც შეიძლება იყოს და მაზედსართავებელიც) ცხოველთა სახელებად ან მეტსახელებად გვხვდება სამცხურში. მაგ. კუდაი, დიდეურაი, ცანცარაი... (ტუსკია, 1993: 56).

ამრიგად, -ა მაწარმოებელ სუფიქსს აქვს მქონებლობის, კნინობითობის მასუბსტანტივებელი, მაზედსართავებელი ფუნქცია. მაგალითად: **ცალთათაი, ხარისთვალაი**-მქონებლობა. **წიტაი, წიკპურტაი, ღინდრაი** - მაზედსართავებელი, **რიჟაი, ჩორნაი,...** მასუბსტანტივებელი. გარდა ამისა, -ა სუფიქსი გამოხატავს რომელიმე საგანთან მსგავსებას **წიწიაი.. მ. ბერიძე**, სწორედ -ა ხმოვნის წარმოთქმის თავისებურებას უკავშირებს იოტიზირებულ ფორმებს. „საკუთარი სახელების ბოლო ხმოვნის ბუნებრივი მაღალი ინტესიობის (მათი განსაკუთრებული ბუნების გამო) შედეგადაც შეიძლება მიგველო იოტიზირებული ფორმები. ამგვარი რამ არ უნდა იყოს უცხო ქართული ენისათვის (ბერიძე, 1994: 143-144).



ამრიგად, **ი** ხმოვნის გამოვლენა უკავშირდება -ა ხმოვნის წარმოთქმის თავისებურებას, მის შედარებით მაღალ ინტესიობას. აგრეთვე იმასაც, რომ მახვილი არასტაბილურია და სახელობითის ბრუნვის ნიშნად ხან **ო** გვაქვს, ხან **მ. ბერიძე** აქვე აღნიშნავს, რომ „ა ზოგჯერ კარგავს თავისებურებას (შედარებით მაღალ ინტესიობას), მაგრამ -**ი** მაინც გვხვდება. ეს იმის შედეგია, რომ -**ი** ხმოვანმა შეიძინა სხვა ფუნქცია- ემვატიკური ხმოვნის ფუნქციათა მსგავსი, ამან განაპირობა მისი შენარჩუნება ამ ფორმებში (ბერიძე, 1994: 144). როგორც მეცნიერი ასკვნის, რომ სახ. ბრუნვის ნიშნის გამოვლენის პოზიცია და ფუნქცია უახლოვდება ემვატიკური ხმოვნისას. ხმოვანფუძიან სახელებსაც როგორც ა მაწარმოებლებიან სახელებს -მოუდით -**ი ან -მ**. ესეც დამოკიდებულია მახვილსა და ინტონაციაზე. შეიძლება შეგვხვდეს როგორც იოტიზირებული ასევე იოტის გარეშე ფორმებიც. უმეტესად დომინირებს იოტიზირებული ფორმები. ხმოვანფუძიანი სახელები გვხვდება სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშეც, ფუძის სახით: **თოცე, დოყე**. გავრცელებულია ისეთი თანხმოვანფუძიანი სახელები, რომლებსაც არავითარი მაწარმოებელი არა აქვს. მაგ. **ხრუშოვი, ქერი, ფოსტალიონი**. საინტერესოა, -**ო** მაწარმოებლენ სახელებში -**ო -ს** ფუნქცია: **წვეტო, წოწო, ყოყრო, ჩანთო...** ამ რიგირს სახელებში -**ო** შეიძლება იყოს წოდებითი ბრუნვის ნიშანი. შემდეგ სახელი სახელობით ბრუნვაში ჩადგა და იქცა ზედმეტ სახელად. ე.ი საქმე გვაქვს ორმაგ ბრუნებასთან.

გვაქვს ისეთი მეტსახელები, რომლებიც ხელობის სახელებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, **მე-ხაშ-ე, ფოსტალ-იონი, სოჩიკაძე**. ამ შემთხვევაში ცალკე გამოსაყოფია შემდეგი მაწარმოებლები: **მე-ე, -იონ** და. ა.შ. გვხვდება ისეთი მეტსახელები, რომლებიც სადაურობას აღნიშნავს. მაგ. **სარე-ელ-ი, თმოგვ-ელ-ი**. გვაქვს ისეთი მეტსახელი, სადაც მაწარმოებელი -**ულ** მიუთითებს ქალის წარმომავლობას (თუ საიდანაა ქალი მოყვანილი) მაგ. **ჩუნჩხ-ულ-ა**. „ადამიანის წარმომავლობას აღნიშნავს -**ურ** მესხურში, ოღონდ -**ურ-ს**ჩვეულებრივ -**ა-ც** ერთვის და გახაზავს მხოლოდ ქალის სადაურობას, გამოთხოვილის

მამულის მოხსენებისას. სოფელი **ჩუნჩხა და ჩუნჩხულა** (ბერიძე, 2008: 108). მეტსახელებში გვხვდება კომპოზიტები, ისეთი, რომელთაც **აკაკი შანიძე** არ-ტოლად შერწყმულ სახელებს უწოდებს. „კომპოზიტების ეს ტიპი შეიცავს ქონების გაგებას. მხოლოდ ეს სახელები მარტივად კი არ აღნიშნავენ საგნის ქონებას, არამედ გარკვეული ნიშნით წარმოდგენილი საგნისას“ (შანიძე, 1973: 158). ზოგჯერ კომპოზიტებში ზედსართავი დაერთვის არსებით სახელს მაგ. **ცალთათამ, ცალხელამ, შაშიბეშამ, ხარისთვალამ, ბედოთ ქალამ, ექვსთითამ, ოსის ბალლი და ტყის კაცი**, გვხვდება აგრეთვე ისეთი კომპოზიტური მეტსახელი სადაც პრეპოზიციამია რიცხვითი სახელი, როგორიცაა: **ათლავაშამ**. არაა ფიქსირებული ფუძეგაორკრცებული კომპოზიტური მეტსახელები. გვხვდება აგრეთვე მართულმსაზღვრელიანი მეტსახელები მაგ. **ხარისთვალამ**, სადაც სრულადაა წარმოდგენილი ნათესაობითის ბრუნვის ფორმანტი.

**დასკვნა.** ამგვარად, იდუმალაში გავრცელებული მეტსახელები მეტად საინტერესო და მრავალფეროვან სურათს ქმნიან. აქ გვხვდება მეტსახელები შემდეგი ნიშნის გამო: ფიზიკური აღნაგობის გამო (სიმაღლის ან სიდაბლის გამო, ფიზიკური ნაკლის გამო, რაიმე გამორჩეული ნიშნის გამო, ხასიათის (ცუდი ან კარგი) გამო, ამა თუ იმ პიროვნების ლექსიკაში ხშირად ხმარებული რომელიმე სიტყვის გამო, ვიღაცის ან თავისი ნათქვამის გამო, ამა თუ იმ ფილმის გმირთან მსგავსების გამო, სხვა ადამიანებთან მსგავსების გამო, თმის ან სახის ფერის გამო, პროფესიის გამო, დამახინჯებული ლაპარაკის გამო, რაღაცის სიყვარულის გამო, ზოგჯერ წინაპრის მეტსახელის გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ ცუდი ხასიათის გამო, ადამიანს უწოდებენ სხვა ეროვნების აღმნიშვნელ სახელს. სოფელ იდუმალაში გავრცელებული ეპითეტურიანი მეტსახელები მრავალფეროვანია. ხელობისა და წარმომავლობის მეტსახელები ნეიტრალური ხასიათისაა, ხოლო რაც შეეხება გარეგნობისა და ხასიათის თავისებურებების ამსახველ მეტსახელებს, მათი უმეტესი ნაწილი დადებით ემოციებსა და განწყობას გამოხატავს. ვფიქრობთ, საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს მეტსახელთა

კვლევა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რასაც სამომავლოდ ვგეგმავთ და ასევე აღსანიშნავია, ერთი გარემოებაც, რომელიც დიდი ზეგავლენას ახდენს მეტსახელთა შერქმევა//დარქმევაზე. ეს გახლავთ, თანამედროვე ტექნოლოგიების ზრდა-განვითარება რაც უშუალოდ აისახება მეტსახელთა სტრუქტურასა და სემანტიკაზე. ამ კუთხით კვლევა უცილობლად მრავალფეროვან სურათს წარმოაჩენს მეტსახელთა კვლევის საქმეში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

ბერიძე, 1981: ბერიძე გრ., „ქართული ენის ჯავახური კილო“, თბ., 1981;

ბერიძე, 2015: ბერიძე მ., „ახალი ლექსიკონი ჯავახურ დიალექტზე“, რეცენზია ლიტერატურული მესხეთი, №3 (195), 2015;

ბერიძე, 2008: ბერიძე მ., „მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის“, თბ., 2008;

ბერიძე, 1994: ბერიძე მ., „სამცხის ძირითადი თავისებურებანი“, თბ., 1994;

გოდერძიშვილი, 2012: გოდერძიშვილი, ქ., „ქართველური ანთროპონიმის ძირითადი საკითხები“, თბ., 2012;

ზედგინიძე, 2014: ზედგინიძე გ., „ჯავახური ლექსიკონი“, თბ., 2014;

კობაიძე, 2019: კობაიძე ლ., „ბედობითა გვარის ისტორიკო-ეტიმოლოგიისათვის“, ქართველური მემკვიდრეობა“ თბ., 2019;

მაისურაძე, 1942: მაისურაძე ი., „ძირითადი ფონეტიკური პროცესები მესხურში“, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა , თბ., 1942;

მელიქიძე, 2018: მელიქიძე ნ., „ასპინძის მუნციპალიტეტის ანთროპონიმთა სტრუქტურა და სემანტიკა“, სადისერტაციო ნაშრომი, ახალციხე, 2018;

მელიქიძე, 2005: მელიქიძე ს., „ონომასტიკური ძიებანი“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ონომასტიკის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია, თბ., 2005;

ტუსკი, 1993: ტუსკია მ., „სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციები და შეხამებადობა სახელურ ფუძეთა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით“, (ქ.ს.კ.ს.თბ. „მეცნიერება“), თბ., 1993;

ღლონტი, 1967: ღლონტი ალ., „ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1967;

შანიძე, 1973: შანიძე აკ., „გრამატიკის საფუძვლები“, თსუ გამომცემლობა, თბ., 1973;

ჯიქია, 1953: ჯიქია ს., „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ნაწილი 3. თბ., 1953.

*ენა ხაჩატურიანი*  
ფილოლოგიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე,  
jkhachaturiani@gmail.com, 995 551 085 079

## სომხური ენის დიალექტების სიმრავლე და თავისებურებები

### მოკლე შინაარსი

საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის ქართველების გარდა სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებიც არიან, რომელთა ცხოვრების წესი, ყოფითი საჭიროებები და კულტურული მისწრაფებები სწორედ ამ ქვეყანაში ყალიბდება და ვითარდება, თუმცა ხშირ შემთხვევაში კონფესიური, ეთნოკულტურული და ენობრივი განსხვავებების გამო გარკვეული ტიპის მარგინალიზაციის ნიშნებიც შეიძლება გაჩნდეს. ამდენად მოსახლეობის ერთიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ყველა იმ დაბრკოლების გადალახვა, რომელიც მოქალაქეთა დაახლოებას უშლის ხელს. ამ გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბარიერი ენობრივი კომპეტენციის საკითხია. სახელმწიფო ენის საყოველთაო ცოდნა კი წარმატების უცილობელი პირობაა. ამ რთულ გზაზე, ერთ-ერთ დამაბრკოლებელ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს დიალექტთა სიმრავლეც, რომელიც სომხურ ენას ერთობ ბევრი მოეპოვება.

ჩვეულებრივ, გავრცელებული აზრი, სომხური სალიტერატურო ენის ერთიანობაზე, მთლად სიტყვასიტყვით ვერ გაიგება, რადგან სომხური სალიტერატურო ენა რამდენიმე დიალექტზე განვითარდა და თითოეულმა ვერსიამ მნიშვნელოვანი ინდივიდუალური თავისებურებებიც გამოიმუშავა (წარსულიდან მეტნაკლები სიმყარე შეინარჩუნეს იმ დიალექტებმა, რომლებსაც ე.წ. ახალი სომხურის საფუძვლად მოიაზრებენ: არარატის, ლორეს, ყორჩევანის და სხვ.). სომხურის სამოცი დიალექტის ჩამონათვალშია თბილისური დიალექტი და ახალციხისა და ახალქალაქის სუბდიალექტები, რომელზეც ლაპარაკობს ამ რაიონებში მცხოვრები სომხობა. ამდენად, აქ სომხურენოვანი სომეხი ბავშვისათვის

სკოლაში ასათვისებელ სირთულეთა შორისაა სალიტერატურო სომხურის ის ვერსია, რომელიც მის სალაპარკო ენას არ ემთხვევა).

**საკვანძო სიტყვები:** დიალექტი; სუბდიალექტი; სახელმწიფო ენა; სალიტერატურო სომხური; ენობრივი პოლიტიკა; სამცხე-ჯავახეთი.

***Zhana Khachaturyan***

*Doctor of Philology, Samtskhe-Javakheti State University,*

*Georgia, Akhaltsikhe,*

*jkhachaturiani@gmail.com, 995 551 085 079*

## **SPECIFICS AND VARIETY OF ARMENIAN LANGUAGE DIALECTS**

### **Abstract**

There are people of different ethnic groups among the citizens of Georgia. Therefore their lifestyles as well as their cultural values are being developed in this country. However, in most cases due to confessional, ethno cultural and linguistic differences certain types of marginalization may also sometimes occur. As a result, in order to ensure the unity of the population, it is necessary to overcome all the challenges that hinder a closer communication of the citizens. Language gap appears to be one of the biggest challenges here. The knowledge of the state language is an indispensable condition for success. Here the variety of dialects, many of which are common for the Armenian language may be considered as one of the issues as well.

Generally, the common opinion on the unity of the Armenian literary language is not completely clear, as the Armenian language has been developed in several dialects and each version of these dialects has developed its own individual features. (Coming from the past, the dialects that are considered as the basis of a so-called New Armenian Language appeared to be comparatively solid, for instance Ararat, Lore, Korchevani, etc.). Among the list of sixty Armenian dialects, there is a dialect of Tbilisi and sub dialects of Akhaltsikhe and Akhalkalaki that are spoken by all Armenians living in these regions. Therefore, for the Armenian-speaking children at Armenian schools there is another challenge of the Armenian literary language which is not similar to their spoken language).

**Key Words:** Dialect; subdialect; National language; Literary Armenian; language policy; Samtskhe-Javakheti.

**მიზანი:** რამდენადაც ჩემს სადისერტაციო ნაშრომში, საანალიზო მასალად ხშირ შემთხვევაში აღებულია ის ენობრივი შეცდომები, რომლებიც ქართულ-სომხური ენების ბრუნვათა სისტემების სხვადასხვაობის საფუძველზე ჩნდება და საგანამანათლებლო სივრცეში დასტურდება, ამიტომ შეცდომათა მიზეზების ძიებაც მიწევდა მათ აღმოსაფხვრელად სწორი სტრატეგიის შემუშავების მიზნით.

**მეთოდები.** კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პრინციპებს.

გამოყენებულია აღწერითი მეთოდი;

**შესავალი.** ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა, მისი ცოდნის დონე და ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეთა ან ხანგრძლივ მიგრანტთა საყოფაცხოვრებო წარმატებას, საზოგადოებრივ ინტეგრაციას, სამოქალაქო მშვიდობას.

ქართული სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის ავტოქთონი მოსახლეობის – ქართველების – გარდა, ცხადია სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებიც არიან, რომელთა ცხოვრების წესი, ყოფითი საჭიროებები და კულტურული მისწრაფებები სწორედ ამ ქვეყანაში ყალიბდება და ვითარდება, თუმცა ხშირ შემთხვევაში კონფესიური, ეთნოკულტურული და ენობრივი განსხვავებების გამო გარკვეული ტიპის მარგინალიზაციის ნიშნებიც შეიძლება გაჩნდეს. ამდენად სრულიად საქართველოს მოსახლეობის ერთიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ყველა იმ დაბრკოლების გადალახვა, რომელიც მოქალაქეთა დაახლოებას უშლის ხელს. ამ გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბარიერი ენობრივი კომპეტენციის საკითხია. სახელმწიფო ენის საყოველთაო ცოდნა კი წარმატების უცილობელი პირობაა.

სომხეთი საქართველოს ერთ-ერთი მოსაზღვრე ქვეყანაა, შესაბამისად ბუნებრივია, რომ სომხები ისტორიულად ადვილად მოძრაობენ საქართველოსა და სომხეთს შორის, და ხშირ შემთხვევაში სახლდებოდნენ და სახლდებიან კიდევ სამუშაოდ. სომეხთა მიგრაციას წარსულში ხშირად ჰქონდა სამხედრო ან ეკოლოგიური

კატასტროფებიდან გახიზვნის ხასიათი, სავაჭრო და სხვა ეკონომიკური ინტერესები და ა.შ.<sup>1</sup> ცხადია, საქართველოში ჩამოსახლებული სომხები ქართულ ენას ითვისებდნენ და ჩვეულებრივად იყენებდნენ, რადგან საქართველო მეცხრამეტე საუკუნემდე მონოლინგვური სახელმწიფო იყო, მით უფრო, რომ ქართული თვით კავკასიის ორივე ფერდობის მოსახლეობისთვის საერთაშორისო ენის ფუნქციასაც ასრულებდა (ტაბიძე, 2005: 17-26, 77-79).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ-სომხურ ენობრივ კონტაქტებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ დროის მანძილზე, ცხადია, დაგროვდა უამრავი მასალა ლექსიკის სესხების, ანთროპონიმული და ტოპონიმური ტიპოლოგიური მსგავსებების, ლინგვოკულტურული ზეგავლენებისა თუ დაახლოების სახით... ამ მიმართულებით კვლევებს, მიუხედავად დიდი სამეცნიერო ტრადიციისა, კვლავ უდიდესი პერსპექტივა აქვს, რადგან შიდა თუ გარე ფაქტორების გავლენით მრავლადაა დაგროვილი სადავო თუ სულაც გამოუკვლევია საკითხები, რომელთაც ობიექტური ენათმეცნიერება ჯერაც ელოდება.

**მსჯელობა.** როგორც სომხური დიალექტოლოგიის სპეციალისტები აღნიშნავენ, სომხურს დაახლოებით სამოცამდე დიალექტი აქვს (დღეს მიღებული ტერმინოლოგიით მათ ტერიტორიულ-სოციალურ დიალექტებს უწოდებენ); ეს დიალექტები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: დასავლურ სომხურ და აღმოსავლურ სომხურ დიალექტებად. ჩვენი დიალექტოლოგიის ტრადიციისაგან განსხვავებით, სომხები დიალექტთა კლასიფიკაციის დროს იყენებენ განსხვავებათა მაჩვენებელ ტერმინებს, მაგრამ არასოდეს ხმარობენ შიდა მაკლასიფიცირებელ ტერმინად „ენას“. ეს ტერმინებია: დიალექტური ჯგუფი, დიალექტი, დიალექტთა შორისი დიალექტი (შუა მავალი დიალექტი, ქვედიალექტი/სუბდიალექტი და თქმა).

ჩვენ, როგორც უკვე ვთქვით, ამჯერად არ გვესაჭიროება სომხური ენის დიალექტთა დახასიათება, მაგრამ რამდენიმე ასპექტზე ყურადღების გამახვილება ნამდვილად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

---

<sup>1</sup> სხვათა შორის საინტერესოა, რომ ქართველების მხრიდან სომხეთისაკენ სწრაფვის ამგვარი აქტივობა არ დასტურდება.



საქართველოში მცხოვრები სომხურენოვანი სომხების უდიდესი უმრავლესობა სომხურ სალიტერატურო ენაზე კი არ საუბრობს, არამედ სომხურის იმ დიალექტებზე, რომლებიც ან საქართველოში ან თურქეთში ხიზნობისას განვითარდა და მნიშვნელოვნად განსხვავდება სომხურის სალიტერატურო ვერსიისაგან. ხოლო იმის გათალისწინებით, რომ სომეხი მწერლებისა და მოღვაწეების საკმაოდ ავტორიტეტული წარმომადგენლები თავისი შემოქმედებითი ფორმირების წლებში სწორედ საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი, ლოგიკურად მიუთითებს, რომ საქართველოში განვითარებულმა სომხურის დიალექტებმა (განსაკუთრებით, სომხურის თბილისურმა დიალექტმა) გარკვეული გავლენა მოახდინეს სომხური სალიტერატურო ენის განვითარებაზე (საიათნოვა, რაფი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი და სხვ.);

ჩვეულებრივ, გავრცელებული აზრი, სომხური სალიტერატურო ენის ერთიანობაზე, მთლად სიტყვა სიტყვით ვერ გაიგება, რადგან სომხური სალიტერატურო ენა რამდენიმე დიალექტზე განვითარდა და თითოეულმა ვერსიამ მნიშვნელოვანი ინდივიდუალური თავისებურებებიც გამოიმუშავა (წარსულიდან მეტნაკლები სიმყარე შეინარჩუნეს იმ დიალექტებმა, რომლებსაც ე.წ. ახალი სომხურის საფუძვლად მოიაზრებენ: არარატის, ლორეს, ყორჩევანის და სხვ.). სომხურის სამოცი დიალექტის ჩამონათვალშია თბილისური დიალექტი და ახალციხისა და ახალქალაქის სუბდიალექტები, რომელზეც ლაპარაკობს ამ რაიონებში მცხოვრები სომხობა. ამდენად, აქ სომხურენოვანი სომეხი ბავშვისათვის სკოლაში ასათვისებელ სირთულეთა შორისაა სალიტერატურო სომხურის ის ვერსია, რომელიც მის სალაპარკო ენას არ ემთხვევა).

სომხურის დიალექტთა სამეცნიერო ორგანიზაციის თვალსაზრისით, ყველაზე გავრცელებულად ჰრაჩია აჭარიანის (1876–1953) კლასიფიკაცია მიიჩნევა, რომლის თანახმადაც, სომხურში სამი ძირითადი დიალექტური ჯგუფია გამოყოფილი: „-უმ“, „-კვ“ და „-ელ“. ამჯგუფებიდან, მაგალითად, თბილისის (კერძოდ, ავლაბრული) სომხური „უმ“ ჯგუფისაა. დასავლური დიალექტები თვით სომხეთში ნაკლებადაა გავრცელებული, მათ შესახებ საერთოდ ინფორმაცია არაა სრულ ყოფილი და დასაბუთებული; მეტნაკლებად გაზიარებული ინფორმაციით, ე.წ. დასავლური დია-

ლექტები დასტურდება სომხეთში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რუსეთის დიასპორაში, აშშ-ში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში; საქართველოს სამხრეთში სწორედ დასავლურ სომხური დიალექტია დადასტურებული;

სომხურის დიალექტებზე შექმნილია დიდძალი ლიტერატურა, ამის მიუხედავად მათ სომხები ცალკე ენებად კი არ აცხადებენ, არამედ მთლიანად სომხური სალიტერატურო ენის პროდუქციად განიხილავენ;<sup>2</sup>

დღეს ოფიციალურად ცნობენ ორ თანამედროვე სალიტერატურო (სამწერლობო) დიალექტს: დასავლურს (რომელიც თავდაპირველად ოსმანთა იმპერიის მწერლებს უკავშირდებოდა) და აღმოსავლურს (რომელიც რუსეთის მწერლებთან იღებს სათავეს); ამჟამად ეს სალიტერატურო ენა გაწმენდილია თურქული გავლენებისაგან და ეს რეფორმა თურქეთში სომეხთა გენოციდს უკავშირდება;

საზოგადოდ ცნობილია, რომ სომხური ენობრივი პოლიტიკა მიდრეკილია პურიზმისაკენ, ანუ ენაში უცხო გავლენების წინააღმდეგ ბრძოლისა და სესხების მაქსიმალური შეზღუდვისაკენ, ეს კი დიალექტების თავისებურებათა შეზღუდვასაც მოასწავებს, თუმცა ჯერ-ჯერობით, როგორც აღვნიშნეთ, დიალექტთა მრავალფეროვნება სომხურში უდიდესია;

საინტერესოა სომეხ დიალექტოლოგთა პრინციპი, რომ დიალექტების ჩამოთვლისას დაასახელონ გავრცელების ადგილი და არა დიალექტის სახელწოდება. დიალექტოლოგიურ კვლევათა უმრავლესობაში დიალექტები ჩამოთვლილია, მაგალითად, ასე: „უმ“ ჯგუფის ტერიტორიული დიალექტები დასტურდება შემდეგ ადგილებში: ერევანი, დოგუბაიაზეთი, თებრიზი (კალასა და ლილავის კვარტლები), ჰავარი, თბილისი (ავლაბრის კვარტალი), შუშა, განჯა, შეკი, ბაქო, აქსთაფა, დილიჟანი, ვანაძორი, ლორეს ოლქი, მთიანი ყარაბაღი, ბურდური, ოდემისი, შემახა, ხუბა, ასტრახანი,

---

<sup>2</sup> ე.წ. ახალსომხურის დიალექტების მნიშვნელოვანი ნაწილი მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე ჩნდება; მათ შორისაა ყარაბაღული, არარატის, ჯულფის, ახალნახჩევანური და თბილისური დიალექტები, რომლებზეც შექმნილია დიდძალი ლიტერატურა და ჩაწერილია მრავალი ფოლკლორული ტექსტი და მხატვრული ნაწარმოებები.

ჯულფა, ისპაჰანი, შირაზი, ჰამადანი, ბუშირი... (დაარა: ერევნული, თებრიზული, ჰავარული და სხვ.);

სომხეთის რესპუბლიკას ადამთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში ოფიციალურ დონეზე გამოიყენება მხოლოდ აღმოსავლურ სომხური სალიტერატურო ენა, ხოლო დიალექტები არის წავლება (და არ გამოიყენება) სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კიდევ ერთხელ დავაზუსტებთ, რომ დიალექტოლოგიური საკითხები ჩვენთვის ამჟამად არ არის აქტუალური, მაგრამ მას მაინც შევხებით გარკვეული მიზეზითა და მიზნით:

- სამცხე-ჯავახეთის სომხურენოვანი მოსახლეობა ლაპარაკობს დიალექტზე, რომელიც სრულიად განსხვავდება სომხური სალიტერატურო ენისაგან (როგორც აღვნიშნეთ, სომხური სალიტერატურო ენა ორია), ხოლო სკოლაში (ცხადია, სომხურ სკოლაში) სწავლობს სომხური სალიტერატურო ენით მოწოდებულ პროგრამას, რომელიც არ ემთხვევა მის საოჯახო ენას, და რომლის ათვისებაც საგანგებო შრომას მოითხოვს მოსწავლისაგან;

- სამცხესა და ჯავახეთში მცხოვრები სომხების ლოკალური ცხოვრების წესი სხვადასხვაა. ჯავახეთის სომხობას გაცილებით ნაკლები კონტაქტი აქვს ქართულ მოსახლეობასთან, ვიდრე სამცხისას; ამდენად ჯავახეთის სომხობისათვის ქართულის ათვისებაც უფრო ძნელია, ვიდრე სამცხის მკვიდრთათვის. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთის ქართველობის მეტყველებაც დიალექტურია და ამდენად სამცხელი სომეხი ბავშვისთვისაც არ არის ადვილი, საყოფაცხოვრებო კონტაქტების წყალობით ქართული დიალექტის ათვისების შემთხვევაშიც კი, სალიტერატურო ქართულის დაუფლება;

და რამდენადაც ჩვენ მიერ საანალიზო მასალად ხშირ შემთხვევაში აღებულია ის ენობრივი შეცდომები, რომლებიც ქართულ-სომხური ენების ბრუნვათა სისტემების სხვადასხვაობის საფუძველზე ჩნდება და საგანმანათლებლო სივრცეში დასტურდება, ამიტომ შეცდომათა მიზეზების ძიებაც გვიწევს მათ აღმოსაფხვრელად სწორის ტრატეგიის შემუშავების მიზნით. თუმცა ნაშრომის ძირითადი ხაზით, ცხადია, ჩვენ სალიტერატურო სომხურის მონაცემებზე ვსაუბრობთ.

**დასკვნა.** სომხურის დიალექტებზე შექმნილია დიდძალი ლიტერატურა, მათი უმრავლესობა თბილისში. ამის მიუხედავად

მათ სომხები ცალკე ენებად კი არ აცხადებენ, არამედ მთლიანად სომხური სალიტერატურო ენის პროდუქციად განიხილავენ;

სამცხე-ჯავახეთის სომხურენოვანი მოსახლეობა ლაპარაკობს დიალექტზე, რომელიც სრულიად განსხვავდება სომხური სალიტერატურო ენისაგან.

ხოლო სკოლაში (ცხადია, სომხურ სკოლაში) სწავლობს სომხური სალიტერატურო ენით მოწოდებულ პროგრამას, რომელიც არ ემთხვევა მის საოჯახო ენას, და რომლის ათვისებაც საგანგებო შრომას მოითხოვს მოსწავლისაგან;

სამცხესა და ჯავახეთში მცხოვრები სომხების ლოკალური ცხოვრების წესი სხვადასხვაა. ჯავახეთის სომხობას გაცილებით ნაკლები კონტაქტი აქვს ქართულმოსახლეობასთან, ვიდრე სამცხისას; ამდენად ჯავახეთის სომხობისათვის ქართულის ათვისებაც უფრო ძნელია, ვიდრე სამცხის მკვიდრთათვის. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთის ქართველობის მეტყველებაც დიალექტურია და ამდენად სამცხელი სომეხი ბავშვისთვისაც არ არის ადვილი, საყოფაცხოვრებო კონტაქტების წყალობით ქართული დიალექტის ათვისების შემთხვევაშიც კი, სალიტერატურო ქართულის დაუფლება;

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

„ეთნოსები საქართველოში“, თბილისი, 2008.

„პოლიეთნიკურისაზოგადოებისპრობლემებისსამცხე-ჯავახეთში“. დემოკრატი მესხთა კავშირის პროექტის „დიალოგი პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა“ ფარგლებში.

სომხური ენა -

[http://www.dzeglbi.ge/statiebi/sxva/enebis\\_genealogia.html](http://www.dzeglbi.ge/statiebi/sxva/enebis_genealogia.html)

ქეთევან ქუთათელაძე, ჯავახეთი ზოგიერთ სომხურ წყაროში და მათი შედარებითი ანალიზი. „ენა და კულტურა“, თბ., 2006.

ტაბიძე, 2005 - ტაბიძე მ., ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი, გამომც. „ქართული ენა“, 2005.

ტაბიძე, 2005 - ტაბიძე მ., მონოგრაფია „ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები“, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 2005.

**დალი ბეთხოშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე,  
dali.betkhoshvili@yahoo.com, 555 48-81 29

**„გამოსაღმება“ ალექსანდრე ყაზბეგის პოეზიაში**

**მოკლე შინაარსი**

ალექსანდრე ყაზბეგის პოეზიაში წამოჭრილი პრობლემები ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების არსებობის თანამდევი განუყოფელი ნაწილია. მისი შემოქმედება დასტურია იმისა, რომ შემოქმედის მხატვრული სიტყვა ღრმა ფსიქოლოგიზმით, ემოციითაა დატვირთული, რადგან რელიგიური სამოსით შემოსილი ამქვეყნიური ტკივილები ადამიანშია განთავსებული და წუთისოფლურ პრობლემებად განიცდება, რადგან თვით ადამიანის არსებობაა დაკავშირებული ცოდვიან მიწიერ გარემოსთან.

ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი ნაწარმოებებით ღრმად წარმოაჩინა ეპოქის სულისკვეთება, სამყაროს მხატვრული გააზრების გარკვეული თავისებურებები, რომელთაც სიღრმისეული ამოცნობა სჭირდება; ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც შემოქმედი, ლიტერატურის ხელოვნებაში თავს იმკვიდრებს არა მარტო პროზით და დრამატული ნაწარმოებებით, არამედ პოეზიითაც, რომელთა განხილვა ნათელს ჰყენს ერთ მთავარ ჭეშმარიტებას \_ პოეზიის სტრიქონებში არანაკლებ სიღრმით განცდილია ეპოქის სატკივარი, ზედაპირზეა ამოტანილი და მკითხველის თვალწინ გათვალსაჩინოებულ საკუთარი სულიერი ტკივილი, რომელიც პირადულიდან ღმერთის, სამშობლოს, ერისაკენა მიმართული და საერთო ზოგად ტანჯვად, კვნესად და ცრემლად არის გარდაქმნილ-გარდასახული.

ალექსანდრე ყაზბეგის მსოფლმხედველობრივ არეალში ირეკლება უკლებლივ ყველა ის პრობლემა, რაც წუთისოფელს თანსდევს და თავმოყრილია ადამიანში, რათა წუთისოფელშივე მოგ-

ვარდეს და ისე შეუერთდეს მეორე გარდაუვალ რეალობას; შემოქმედის პოეზიის ნიმუშებში აშკარად გამოკრთის სულის ტკივილი, გმინვა, ოხვრა, კვნესა, ფიქრი ადამიანის ხვედრის, წარმავალი სიცოცხლის, გულში გაჩენილი მრავალი იარის, სიყვარულის საკითხის შესახებ, სიკვდილი – გულის იარის მკურნალად რომ არის დასახული და სხვა. ავტორს ეს პრობლემები მთელ პოეზიაში იმგვარად აქვს განხილული, რომ ერთ მთლიან პრობლემად გაიაზრება, რასაც კრავს ფსიქოლოგიზმი, ტრაგიზმი, რაც დამახასიათებელია ალ. ყაზბეგის ნააზრვეისათვის, როგორც პერსონაჟთა სახეში განხორციელებული, ასევე თითოეულ საანალიზო პრობლემაში მომეტებული ემოციური მუხტით გაჯერებული. ტრაგიზმი შემოქმედისა და ეპოქისა ერთადაა შეზავებული, ერთიანობაში ეს პრობლემები ერთ სააზროვნო სივრცეში განფენას ექვემდებარება, სწორედ კვლევაც ამ კუთხით, ასეთი სააზროვნო სივრცით ჭრილში მესახება და არა დანაწევრებულად.

ნაშრომში რამდენიმე ლექსის ანალიზის საფუძველზე მოცემულია ალექსანდრე ყაზბეგის პოეზიის მხატვრულ სიტყვაში განსახოვნებული მართალი, საღი აზრი, რომლითაც ეზიარა არა მარტო მიწიერი ცხოვრების სიკეთეს, არამედ საღვთო წიაღს, რომელმაც შემოქმედის დაუდგრომელი, ემოციური სულიერი ბუნება კიდევ უფრო აამაღლა და სიცოცხლისუნარიანი გახადა.

**საკვანძო სიტყვები:** ალექსანდრე ყაზბეგი, „გამოსაღმება“, ბედი, ტანჯვა, სამარე.

***Dali Betkshvili***

*Doctor of Philology, Associate Professor, Samtskhe-Javakheti State University,  
Georgia, Akhaltsikhe,  
dali.betkshvili@yahoo.com, 555 48-81 29*

## “FAREWELL” IN ALEKSANDREKAZBEGI’S POETRY

### ***Abstract***

Problems raised in Aleksandre Kazbegi’s Poetry are the part of every day life of human being. His creative work is confirmation of the fact that the word in authors work comes from deep psychological and emotional feelings

for the reason that humans' pains covered under the name of the religion belongs to every day life and covered deep in personality and felt as problem.

Laeksandre Kazbegi in his creative works trying to show us characters of epoch, fiction as a specification of understanding the world, all of them need deep explanation. Aleksandre Kazbegi, as author, known not only his epos but also with his poetry and to look through his poetry make clear the fact that true idea \_ in poetry we met pains based on epoch and spiritual pain of the author itself. His painful feeling directed to the nation, the God, native country and symbolically given with tears, moaning and pain.

In his wisdom we met all those problems which is running along our life just to solve during transient world and to join to the eternal life. In his poetry to many of spiritual pains, moaning and pain comes from human life process, for the mortal life, coming from the several wounds, coming form the love. Death is the balsam from painful life. All those problems looks like one common and general one. Emotional feeling and nature of characters are linked. All of the make system of thinking and the poetry in our research work are given not separately but as a one common thing.

On the bas of several poetries there is given true, health idea of the author through which he lived and enter eternal life and all of this made his creative work valuable and sustainable.

**Key Words:** Alkesandre Kazbegi, „farewell”, fate, pain, grave.

**მიზანი:** ნაშრომის მიზანია კიდევ ერთხელ წარმოჩნდეს ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული აზროვნების თავისებურებანი, ნაჩვენები იქნას ის პრობლემები, რაც ფართოდ აისახა მწერლის შემოქმედებაში, გამოიკვეთოს ის საფიქრალი, რომელიც ასაზრდოებდა ალექსანდრე ყაზბეგის მთელ მხატვრულ აზროვნებას, მის მსოფლმხედველობას; ალექსანდრე ყაზბეგის პოეზია თავის ნათელ სიტყვას ამბობს მე-19 საუკუნის ადამიანის არსებობაში, რომელსაც სჭირდება ღრმა ემოცია, გამოფხიზ-ლება და სხვაგვარი აზროვნების ჩამოყალიბება.

**მეთოდი:** რადგან საკვლევი საკითხი ღრმაა და მრავალ-ასპექტიანი, ცალმხრივი კვლევა ვერ შეძლებს პრობლემის ნათლად წარმოდგენას, მწერლის სულიერი ცხოვრების წარმოჩენას, ამიტომ გამოყენებულია შედარებით-ისტორიული, ანალიზის და ჰერმენევტიკის მეთოდები; აღნიშნული მეთოდები უკეთ წარმოაჩენს

ბიბლიური, ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების ესთეტიკურ ღირებულებებს, ნათლად გამოკვეთს ავტორის სათქმელს, მის მსოფლმხედველობას, ნაწარმოების სახისმეტყველებით გააზრებას. ყოველივე ამის გარეშე ვერ შეიქმნება ღირებული მეცნიერული გამოკვლევა საკითხის შესახებ.

**შესავალი:** ნაშრომში გაანალიზებულია ალექსანდრე ყაზბეგის რამდენიმე ლექსი, რომლებიც განხილულია ბიბლიური მსოფლმხედველობის ჭრილში, რაც უკეთ წარმოაჩენს საერო და სასულიერო ღირებულებათა ერთ მთლიანობას, განუკვეთელობას და მნიშვნელობას ადამიანის არსის გააზრების პროცესში; ალექსანდრე ყაზბეგის ლირიკა ხასიათდება ფსიქოლოგიზმით, ღრმა ემოციით, რომელიც ეუფლება ადამიანს მის სათქმელთან ზიარებისას.

**მსჯელობა:** მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მხატვრულ აზროვნებაში განსხვავებული და ინდივიდუალური ადგილი უჭირავს ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას, რომელმაც ქართულ სიტყვას, მასში ჩადებულ საფიქრალს თუ უკვე თქმულს, თავისებური ემოციური დატვირთვა შესძინა და ისე მიიტანა მკითხველის ცნობიერებამდე; იმ საკითხებს, პრობლემათა სივრცეს, რაც მოცემული და გაშლილია ალ. ყაზბეგის პოეზიაში, უპირველესად, შემოქმედის ფსიქოლოგიზმი ამჩნევია, რაც მეტყველებს ავტორის განსაკუთრებულ ემოციურ დამოკიდებულებაზე გარემო სინამდვილისადმი, შემდეგ სულის სიღრმეშია გაცნობიერებული, ეპოქის მოთხოვნათა ჭრილში გაშლილი და ესთეტიკურად გააზრებული. გავიმეორებ ადრე დაწერილს: „ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი ნაწარმოებებით ღრმად წარმოაჩინა ეპოქის სულისკვეთება, სამყაროს მხატვრული გააზრების გარკვეული თავისებურებები, რომელთაც სიღრმისეული ამოცნობა სჭირდება“ (ბეთხოშვილი, 2015: 36-48).

ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც შემოქმედი, ლიტერატურის ხელოვნებაში თავს იმკვიდრებს არა მარტო პროზით და დრამატული ნაწარმოებებით, არამედ პოეზიითაც, რომელთა განხილვა ნათელს ჰფენს ერთ მთავარ ჭეშმარიტებას \_ პოეზიის სტრიქონებში არანაკლებ სიღრმით განცდილია ეპოქის სატიკვარი, ზედაპირზეა ამოტანილი და მკითხველის თვალწინ გათვალსაჩინოებული საკუთარი სულიერი ტკივილი, პირადულიდან ღმერთის, სამშობლოს, ერისაკენ მიმართული, რომელიც საერთო ზოგად ტანჯვად, კვნესად და ცრემლად არის გარდაქმნილ-გარდასახული.



ალექსანდრე ყაზბეგის მსოფლმხედველობაში არეკლილია უკლებლივ ყველა ის პრობლემა, რაც წუთისოფელს თან სდევს და თავმოყრილია ადამიანში, რათა წუთისოფელშივე მოგვარდეს და ისე შეუერთდეს მეორე გარდაუვალ რეალობას; შემოქმედის პოეზიის ნიმუშებში ამკარად გამოკრთის სულის ტკივილი, გმინვა, ოხვრა, კვნესა, ფიქრი ადამიანის ხვედრის, წარმავალი სიცოცხლის, გულში გაჩენილი მრავალი იარის, სიყვარულის საკითხის შესახებ, სიკვდილი – გულის იარის მკურნალად რომ არის დასახული და სხვა. ყოველივე აღნიშნული ცალ-ცალკე კვლევას ითხოვს, თუმცა ავტორის მიერაც ეს პრობლემები გაბნეულია მთელ პოეზიაში, მაგრამ იმგვარად, რომ ერთ მთლიან დიდ პრობლემად გაიაზრება, რასაც კრავს ფსიქოლოგიზმი, ტრაგიზმი, რაც დამახასიათებელია ალ. ყაზბეგის ნააზრევისათვის, როგორც პერსონაჟთა მხატვრულ სახეში განხორციელებული, ასევე თითოეულ საანალიზო პრობლემაში მომეტებული ემოციური მუხტით გაჯერებული. ტრაგიზმი შემოქმედისა და ეპოქისა ერთადაა შეზავებული, ერთიანობაში ეს პრობლემები ერთ სააზროვნო სივრცეში განფენას ექვემდებარება, კვლევაც სწორედ ამ კუთხით, ასეთი სააზროვნო სივრცით ჭრილში ისახება და არა დანაწევრებულად.

ამჯერად ამ პრობლემის ერთ ნაწილს წარმოვადგენ, კერძოდ, როგორც ნაშრომის სათაურიდანვე ჩანს, „გამოსალმება“ ალ. ყაზბეგის პოეზიაში ცალკე დასათაურების ლექსია, მაგრამ მასში მთლიანი შემოქმედების სათქმელიც გაიაზრება, რადგან იგი აერთიანებს ადამიანის წუთისოფლური ცხოვრების თანამდევ ბევრ ისეთ პრობლემას, რომლებიც გაბნეული სახითაა მოცემული მის პოეზიაში და ამიტომ ამ ლექსს რამდენიმე სხვა ლექსთან ერთად ერთიან ჭრილში განვიხილავთ.

ლექსში „გამოსალმება“ შეზავებულია ყველა ის საკითხი, რაც თავმოყრილია გულთ ნაიარევ შემოქმედში: სიცოცხლის დასასრულის შეგრძნებით, მამულის სატანჯველით ნასაზრდოები, ადამიანის მძიმე ხვედრით ნაკარნახევი, ცხოვრებისაგან გატანჯული შემოქმედის ტკივილით ნაკარნახევი დამშვიდობება გარემომცველ სამყაროსთან, რომელიც მისი სულის აღმამფოთებელიც იყო:

„... ჩემი სულის აღმამფოთველნო“ (ყაზბეგი, 1949: 155), – აღნიშნავს პოეტი ლექსში „გამოსალმება“. გარემომცველი სინამდვილე, ამავე დროს, მისი სატრფოც იყო, ცეცხლის მომკი-

დებელიც, ერთდროულად დამატკობელი და დამაღონებელი... შემოქმედი გარესამყაროსგან, წუთისოფლისაგან უბედურიც იყო:

„კაცისა ჩემებრ უბედურის გამხარებელნო“ (ყაზბეგი, 1949: 155), - წერს იმავე ლექსში „გამოსალმება“ და ჰქონდა ბედნიერების შერგძნებაც, მაგრამ იგი ბედმა მაინც გაიმეტა („გამოსალმება“):

„ბედმან დამიკრა, დრო მოვიდა გამოგესალმოთ,  
ჩემი ალაგი სხვას დაუთმო, მე მოგეცალოთ,  
ბედმა იმედმა მომატყუა, მე განმაშორა,

სატრფობსა აზრებს, სანატრელსა გულის წადილსა“ (ყაზბეგი, 1949: 155).

მას მიაჩნია, რომ ადგილი აღარ აქვს ამქვეყნად, ამიტომ ჩათვალა სხვებს გაეცალოს... „გაცლა“, აგრეთვე, შესაძლებელია, გულისხმობდეს ცხოვრების ასპარეზიდან გარიდებას იმ თვალსაზრისით, რომ სულიერად შერყეული, ცხოვრებისაგან გარიყული შემოქმედი გრძნობდა ამის საჭიროებას და მიიჩნევდა, რომ უკვე ზედმეტი იყო, სხვებისაგან განრიდებული...

ალექსანდრე ყაზბეგის ტრაგიკული სულიერი სამყარო გარესამყაროსთან ჭიდილში იძვრება, მისთვის გათავისებულია წუთისოფლის დასაზღვრული ჩარჩო \_ დრო, რომელსაც აქვს დასასრული, ერთი მიდის და მეორე იშვება, ამ უწყვეტ პროცესში კი ბევრი რამ ინთქმება \_ აუსრულებელი და სანატრელი, მაგრამ ამას აგრძელებს ის, ვისაც სახვალიოდ სიცოცხლე მიენიჭება; დროის მედინობა, ცვალებადობა, არსთა \_ ცვლა სიცოცხლე \_ სიკვდილის მონაცვლეობის შედეგია, რომელიც ზეციური განგებით არის მოწესრიგებული; შემოქმედი სამყაროს აიმედებს, რომ მისი „გაცლით“ ნუ დაღონდება, ნუ დამაბუნდება, რადგან:

„ერთის ადგილზედ ათი მოვლენ,...

...

ყველგან ეგრეა, ზეციდგანვე დაწყობილება.

დღეს ერთი კვდება უღონობით თითქოს აკლდება,

და ყველას თვალში მის დაკლება ეჩოთირება,

მაგრამ იმისა მაგივრათა სხვა იბადება“ („გამოსალმება“)

(ყაზბეგი, 1949: 155).

სიცოცხლის მონაცვლეობის პრობლემა \_ სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი აღ. ყაზბეგის პოეზიის ძირითადი არსია, შინაარსია, სტრიქონთა მასაზრდოვებელი ცნებათაგანია, რომელთა

ღრმად შეცნობას ცდილობს ავტორი და მას არანაკლებ ღრმა ფილოსოფიურ გააზრებას აძლევს. თქმულის დასადასტურებლად მოვიტანთ ერთ ადგილს მისი პოეზიიდან (ლექსი „ღმერთი დიდია“):

„ღმერთი დიდია, ბეჩაო,  
გული ნუ შეგიშინდება.

მიძინებული სიცოცხლე

კიდევ სად აღმოფშვინდება“ (ყაზბეგი, 1949: 38).

სიკვდილის საკითხი ალ. ყაზბეგისათვის სიცოცხლის განმგებელია, გამღვიძებელია, ამიტომ სიკვდილის გამო ტირილი არ არის მიზანშეწონილი, რადგან ერთის წასვლას, გაცლას ამ სამყაროსაგან, სანაცვლოდ მეტი სიკეთე მოაქვს, ათასსა შობს და სიცოცხლე გაგრძელდება და თანაც ის ადამიანი, რომელიც ქვეყნისთვის თავს გაწირავს, ემსხვერპლება, ტირილს არ იმსახურებს, საგლოვო არ არის:

„საბრალო დედავ, რათა სტირი, რა არის ერთი?

როდესაც იმის საყვარელი სამშობლო ტკბილი

სისხლსა მოითხოვს, რომ აყვავდეს გარდამეტებით

და ათასს კაცსა მოუტანოს მან სარგებელი“ („გამოსალმება“)

(ყაზბეგი, 1949: 155).

შემოქმედი საკუთარ არსებას ბედისაგან გაწირულად მიიჩნევს და მსხვერპლად წირავს თავს – „რა არის ერთი“ – თითქოს არაფერია, არავინაა თვითონ, მაგრამ ეს განცდა უმსუბუქდება სხვა ათასი ადამიანის სიკეთის წილ:

„იცი რა ბედი ნარგები აქვს, ვინც რომ ტანჯული

მისი ყოველი უკლებლათა ყოფა-ცხოვრება,

იგი უვიწყრათ, საუკუნოთ მამულის შვილი,

შვილისგან შვილში, საუკუნოთ ხმად გადასულა“

(„გამოსალმება“) (ყაზბეგი, 1949: 155).

მწერალს, ხელოვან შემოქმედს იმაზე უკეთესი არაფერი ეგულება, ვიდრე უშურველად სიკეთის ქმნა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის საკუთარი თავის, შესაძლებლობების მსხვერპლად მიტანა, ეს ღვაწლი კი მიაჩნია ცოდვების გამოსყიდვად, რომელიც მონანიების განცდის სიმალღეზე აქვს ატანილი და გააზრებული, რაც უმთავრესია „ამ“ სოფელში სიცოცხლის გამძლეობისათვის; აღნიშნულ სათქმელს ავტორი მლოცველის, მღალადებლის პირით წარმოთქვამს და მისი წუთისოფლიდან

„წასვლის“ შემდეგ არა მარტო სხვა მისადმი მლოცველი, დამლოცველი ადამიანების სახე, არამედ მის პორტრეტში ლოცვის სათნოებით აღჭურვილი, მლოცველი ადამიანი აისახება: „ხელს გაპყრობით ავედრებენ მუხლმოდრეკითა“ (ყაზბეგი, 1949: 155):

„ამ სოფელშია რა გვექნება იმისი ფასი,  
ვისაც კი ხალხი მოგვიგონებს შენანებითა.  
იტყვის, ვიდრემდის იგი იყო ამა სოფელსა,  
ის ასრულებდა სვინდისამებრ თვის სამსახურსა“ („გამოსალმება“) (ყაზბეგი, 1949: 155).

ამ წუთისოფელში გაღებული მსხვერპლი, ღვაწლგამოვლილი ადამიანის მიერ გაკვალული გზა სამუდამოა და არ დაიკარგება (ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ სულისკვეთება ყაზბეგთან ჰპოვებს გაგრძელებას...), ეს გზა სრულჰყოფს სიცოცხლის გაგრძელებას:

„... სხვა წავა, ის კი დარჩება

ყველასთვის სახსოვარია...“ (ლექსი „ლოცვა“) (ყაზბეგი, 1949: 35).

მუდამ სევდით მოსილი ალ. ყაზბეგი შვებას თავის ნაწერებში, სტრიქონებში გამოთქმულ ნააზრევში ჰპოვებდა და ამიტომ ასე სევდიანად, ტრაგიკული სიღრმით იმიტომაც სწერდა, არა ნაძალადევად, არამედ ეს მისივე სულიერი სამყაროდან მომდინარე იყო, აგრეთვე ტრაგიკულ წუთისოფელთან შეზავებული. თავის განწყობას, ემოციას მკითხველს უზიარებს და თან აცნობს, რომ ადამიანი თანახმიანობაში, თანაშეზავებულად იმყოფება გარესინამდვილესთან, ერთმანეთს ავსებენ და შინაარსს სძენენ (ლექსი „მკითხველს“):

„მკითხველო, როცა ძალზედ წვიმს,

მთა, ველი ჩაიბურება,

ისე გულს სიხარულისთვის,

კარები ჩაეხურება“ (ყაზბეგი, 1949: 150).

ავტორი სათქმელს ნაღველს ურთავს, ტირილით, ცრემლით შეზავებულს, თან მორიდებით მიმართავს მკითხველს, რომ ამის გამო ნუ გაკიცხავენ... ნაღველს ხშირად ცვლის ღრუბელში გამობრწყინებული „მზის შუქი“ (ავტორის სიტყვებია \_ ლექსში „მკითხველს“, გვ. 150), რომელიც სიხარულს ჰფენს ნისლივით ჩაბნელებულ ადამიანის სულიერ სამყაროს.

შემოქმედი თავს ყოველთვის დაჩაგრულად მიიჩნევდა, სავარაუდოდ, ზოგადკაცობრიული ტკივილიდან გამომდინარე, რადგან ცოდვილია კაცობრიობა. მიიჩნევდა, რომ ყველა ჩაგრავდა,

სასიკვდილოდ სწირავდა. ლექსში „მომხედე“ ალ. ყაზბეგი გულ-  
მოკლულად ამბობს:

„მე მნახავთ, სადაც ბეჩავი  
სულ ჰგმინავს შეუბრალებლად,  
სად ჰკვნესის გაჭირვებული,  
ქვეყნისგან შეუწყალებლად“ (ყაზბეგი, 1949: 51-52).

ლექსში „მოთქმა“ კიდევ უფრო მძაფრდება ავტორის ტკი-  
ვილი, წუთისოფლისაგან მოწვევნილი და აინტერესებს, ვინ არის  
თვითონ? და, ზოგადად, ადამიანი, ვისი შვილია, თითქოს პასუხი  
ვერ უპოვია, მაგრამ ის კი შეუცვნია, რომ:

„მუდამ მკვნესავი, დამდნარი,  
ნაყოფი შავის ბედისა!“ (ყაზბეგი, 1949: 65).

თანამგრძნობი ამ სოფელში მხოლოდ ის იყო, ვინც მასავით  
ბედკრული და ცხოვრებისაგან დაჩაგრული იმყოფებოდა (ლექსი  
„გულო რამ გაგასულელა“):

„და თანამგრძნობდა მხოლოდ ის,  
ვინც კვნესას გამოვლილია!“ (ყაზბეგი, 1949: 68).

მაგრამ, აღსანიშნავია, რომ კვნესა, წუხილი გამძლეობას  
ჰმატებს გაჭირვების ჟამს („დაჩაგრული ვარ, ნუ მჩაგრავ“):

„თუ მოვკვდი, მოვკვდე რა უყოთ,  
ვისთვის რა დასაკლისია,  
ჩემის სიკვდილით არ დასცდეს,  
ჩემს ცოლ-შვილს პარაკლისია“ (ყაზბეგი, 1949: 154).

ლექსში „ბულბულო, მითხარ“ ბულბულის გალობას, რასაც  
კვნესად აღიქვამს პოეტი, ადარებს საკუთარ სულიერ ტანჯვას და  
მიიჩნევს, რომ ბულბულის გალობას სიტკბოების განცდა შეუძლია,  
მისით ინეტარებს, მაგრამ საკუთარი ხვედრი სულ სხვაა,  
მტანჯველი და უსიცოცხლო:

„მე რასა მზაბამ, ბედკრულსა,  
სიყრმიდევე გულით მოკლულსა,  
შენ აღვსებულო ტრფიალით,  
მე კი სამუდმოდ ნაკლულსა“ (ყაზბეგი, 1949: 28).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ალექსანდრე ყაზბეგი სხვაგვარად  
ხედავს, აღიქვამს, აცნობიერებს და განიცდის როგორც მთელ  
გარემომცველ სამყაროს, ასევე თვით ადამიანს, მეორე სამყაროს

არსს და ეს გააზრებული აქვს, სხვა შემოქმედთა შეხედულებებისაგან სრულიად განსხვავებულ შრეებად გვევლინება. ჩანს, ავტორს არაფერი არ ახარებს, ასეთი წამები მხოლოდ ხანდახან გაიღვებს, მისთვის ამქვეყნიური სიცოცხლე სამარის მატარებლობის შემცველია:

„მე კი სულ გამწარებული  
გულში ვატარებ სამარეს“ („ბულბულო, მითხარ“) (ყაზბეგი, 1949: 28),

სამარე მომავალი დღეა, რომელიც, პოეტის აზრით, ნელა უახლოვდება და კიდევ უფრო დააბნელა წუთისოფელი, ამიტომ სიკვდილია გამოსავალი, იარების მომშუმებელი... სიკვდილია მხოლოდ სამოთხესთან მზიარებელი (ლექსი „ასე ვარ, ასე ვიქნები“):

„რაც გავჩნდი, იგივე მოვკვდები,  
იგივე ჩავალ სამარეს,  
თავგანწირულსა სიკვდილი  
მოურჩენს ყველა იარებს.  
რას ვკარგავ? ცაში მეუფე  
სამოთხეს დამიზიარებს“ (ყაზბეგი, 1949: 29).

სამოთხესთან ზიარება ღმერთის თანაზიარობის ტოლფარდია, ადამიანი თავისი სიცოცხლით, წუთისოფლის შექირვებით არსებობა სამარის მატარებელია, ღმერთის მამიებელი და დაკარგული ღვთაებრივი წილობის აღდგენა და დაბრუნება... თავისი დაუდგრომელი სწრაფვანი მოსვენებას არ ამღევენ, გულში ვეღარ იტევს, ამიტომაც სულ კვნესა აღმოხდება შემოქმედს, რომელიც გრძნობს, ვერ შეთვისებია წუთისოფელს და მუდამ ეს ტანჯავს, სიმშვიდეს ვერ პოულობს („იმ გულმა რაღა ქნას“):

„მაგრამ სიმშვიდე ვერ სთავსობს  
მას, ვინცა კვნესის გულითა.

...

რა ჰქნას იმ გულმა, რომელიც  
ამ სოფელს ვერა თავსდება?  
რაც ზღვადა ღელავს, ირყევა,  
არც ჰკნება, არცა ხავსდება?“ (ყაზბეგი, 1949: 50).

წუთისოფლის ცხოვრება შემოქმედს ნებას არ ამღევეს მშვიდად, მოსვენებულად, ტკივილის გარეშე იმყოფებოდეს, მისი სული სულ აფორიაქებულია და გული აღელვებული, ჭმუნვით, კვნესით

მოცული. ბუნებრივია, წუთიერ სიცოცხლეში წარმავალი არსებობა ადამიანისა სხვაგვარად ვერც იქნება, ეს განწყობა ამქვეყნიურის თანამდევია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მოკვდავი „აქ“ სიცოცხლეშივე კვნესით, ჭმუნვით, მწუხარებით განიცდის და გამოხატავს საკუთარ წარმავლობას. რჩება განცდა იმისა, რომ ადამიანი თავისივე ჭირის განმცდელია, რადგან დღეს თუ ხვალ სამარე ელოდება, მომავალი ცეცხლი სწავს და ამის გამო მისი ბედ-კრული არსებობა გმინავს:

„გულს და სულს სახმლად აღზნებულს  
საკმაო კვნესა აუწყავს.

...

სულს მუდამ ზარად მომთქმელსა“ („ბედკრულს“) (ყაზბეგი, 1949: 89-90).

ადამიანის არსებობა ავტორს ზაფხულსა და ზამთარს შორის გზაგასაყარზე წარმოუდგენია, რომელიც ტანჯულ, ცრემლით სავსე სიცოცხლესაც ირეკლავს და მომავალ ხვედრსაც, რაც კვლავ გულის სევდის გამწვანებელ სიცოცხლეს უბრუნდება:

„მათ შორის მხოლოდ მე ვიდექ  
შავბედით გამწარებული,  
სულს ვლევდი გულის კვნესაში

სიცოცხლეს მოწყურებული“ („გაზაფხული“) (ყაზბეგი, 1949: 111).

ამქვეყნად ყოველივე არსებულის სიცოცხლე ერთ განუკვეთელ მთლიანობადაა გასააზრებელი, რათა თვით სამყარო მთლიანი და დაუნაწევრებელი... ადამიანის სიცოცხლეს დანარჩენი სამყაროსაგან გათიშულად კი არა, მის უმთავრეს სასიცოცხლო გზად გავიაზრებთ, ღვთის განგებით ადამიანის სიცოცხლე უმთავრესია წუთისოფელში დანარჩენის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად; მაგრამ, ამავე დროს, გარემომცველი სამყარო მთავარი დრო-სივრცული გარემოა, რათა ადამიანმა ღვთით განსაზღვრული წუთისოფლის ცხოვრება ადასრულოს; თვითონ შემოქმედი განაცხადებს:

„მას გაზაფხულსა სულისას  
დღემდის მკვნესავი მას ველი,  
მის მოლოდინით ვსულდგმულობ,  
მისივ ვარ მარად მლოცველი.  
თუ ის არ მექნა?... გადაწყდა!...

აღარ მერქმევა ცხოველი“ („გაზაფხული“) (ყაზბეგი, 1949: 112).

ალექსანდრე ყაზბეგი აღნიშნავს, რომ წუთისოფლის სა-  
ტანჯველი ადამიანს გათავისებული უნდა ჰქონდეს, რადგან  
სხვაგვარად ეს ცხოვრება ვერ წარმოიდგინება, ის წუთისოფლის  
თანამდევი რეალობაა (ლექსი „თუ კაცსა უჭირს“):

„თუ კაცსა უჭირს ყველასგან,  
სიკვდილი გასაბედია,  
ლხინსა თუ ვარამს შეხვდები,  
ორივე კაცის ბედია“ (ყაზბეგი, 1949: 147).

ლხინი და ვარამი წუთისოფლის გამოხატულებათა, წარ-  
მავლობაში გაბატონებული მტერ-მოყვრობის შედეგია, მაგრამ ამას  
ღვთაება აწესრიგებს; მანამდე კი მტერს მოუწოდებს, რომ ვარამის  
დასაძლევად ერთხმინაობა, ერთმანეთის გვერდით დგომა და  
სიკეთის ქმნაა, რომელიც ცხოვრების დროს სხვა კალაპოტში აქცევს  
და სხვაგვარად მიედინება, ღმერთი კი თანაშეეწევა სასიკეთო გზაზე  
მდგომს, რომლის ქმედება ლოცვასავით უნდა იყოს გამოხატული:

„ცალ-ცალკე დაღონებულნი  
ერთად ვიწყებდეთ გალობას,  
ზეცით ცა ისმენს სათხოვარს  
და მოგვივლინებს წყალობას“ („ჩემს მტერ-მოყვარეს“)

(ყაზბეგი, 1949: 130).

ალექსანდრე ყაზბეგის შეხედულებით, ადამიანს მუდამ უნდა  
ჰქონდეს სურვილი ისე აკეთოს საქმე, რომ გვერდით ღმერთს  
გულობდეს, მის წინაშე ლოცვად უნდა იყოს აღპყრობილი, რათა  
ღმერთისადმი აღვლენილმა სათხოვარმა შედეგი გამოიღოს ისევ  
ცოდვითმოსილი ადამიანის სიცოცხლის უკეთ წარსამართად.  
წუთისოფელში ცხოვრება, მისი აზრით, ტყვეობაა, თავისუფლებას  
რომ აფერხებს, მისი საზღვრის გადასალახავად კი სულიერი  
მღელვარება, შინაგანი დაუცხრომელი სულიერი მოძრაობაა საჭი-  
რო, რათა არ მოკვდეს ადამიანი, არ დაჰკნეს და დახვსდეს,  
მუდმივი ძილისაგან თავი დააღწიოს და ისწრაფოს ზეციურისაკენ  
(ლექსი „მომხედე“):

„მომხედე, შენკენ მოვდივარ,  
ტყვედ ვიყავ დღემდის მტერთანა;  
აწ ეხლა განვთავისუფლდი,  
გავმართლდი ზეცას ღმერთთანა“ (ყაზბეგი, 1949: 51).



ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების გაცნობისას უპირველესი განცდა რაც გეუფლება, ესაა გახდე მისი ტკივილის მოზიარე, მისი ტანჯვა, კვნესა, რის შესახებაც ავტორი თითქმის ყველა ლექსში ამახვილებს ყურადღებას, გაინაწილო, გაითავისო, რათა შენ თვითონაც ჩახვდე იმას, რომ მიწიერი ხარ, რომელიც ირეკლავს უფლის მძიმე ჯვარს, მის სიმძიმეს, რაც გათავისებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს და სიმსუბუქისთვის ისევ ზეცისკენ თვალი უნდა ჰქონდეს მიპყრობილი; შემოქმედი მუდამ მლოცველის სახით დგას წუთისოფლის ცენტრში, შუამავლად ქცეულა ჭირსა და ლხინს, მიწიერსა და ზეციერს შორის... იგი მუდამ ესწრაფვის გულის შემსუბუქებას, თუმცა ცოდვითმოსილი კაცისათვის ამის განხორციელება არც ისე იოლია, რადგან:

„გულიდგან მწარე ნალველი

თვალეზს სამდულროდ მიატანს“ (ლექსი „ბედკრულს“)

(ყაზბეგი, 1949: 50).

ალექსანდრე ყაზბეგის ნააზრევში ბევრი ფიქრია ჭმუნვით მოცული, რომელიც ერთდროულად თავს დასტრიალებს წუთისოფელს და ზეცას, ეს ორი სამყაროა მისი მასაზრდოებელი და შემწე სიცოცხლის არსებობის გამძლეობისა და მკვიდრობისათვის (ლექსი „გავჩნდი და უნდა ვიცხოვრო“):

„მეცა მაქვს ჩემი ფიქრები,

ჩემთვისვე მირონცხებული“ (ყაზბეგი, 1949: 93).

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების სათქმელი მარტო ერთი ეპოქის ჩარჩოთი არ იფარგლება, ეს ჩარჩო სცილდება საზღვრებს, მის მიღმაა, ეხმაურება დღევანდელ სულისკვეთებასაც, შემდეგი ეპოქების ჭრილში ხელოვნების წინაშე დასმულ პრობლემებს დღესაც სცემს სათანადო პასუხს. ალექსანდრე ყაზბეგი თავისი პოეზიის მხატვრულ სიტყვაში განსახოვნებული მართალი, საღი აზრით ეხიარა არა მარტო მიწიერი ცხოვრების სიკეთეს, არამედ საღვთო წიაღს, რომელმაც შემოქმედის დაუდგრომელი, ემოციური სულიერი ბუნება კიდევ უფრო აამაღლა და სიცოცხლისუნარიანი გახადა.

**შედეგი:** ალექსანდრე ყაზბეგის ლირიკის ამგვარი კვლევა წარმოაჩენს ეროვნული მწერლობის ღირებულებას და მნიშვნელობას ქართული კულტურის განვითარებაში, მის განუკვეთელ ერთიანობას წინარე ეპოქათა მხატვრულ აზროვნებასთან, აგრეთვე აჩვენებს მის მნიშვნელობას მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის

განვითარებაში და სახავს სამომავლო განვითარების პერსპექტივა-საც; ალექსანდრე ყაზბეგის ლირიკის ასეთ ჭრილში განხილვა წარმოაჩენს პრობლემის არსს, ეპოქის ღრმა სულისკვეთებას, მხატვრული აზროვნების ესთეტიკურ ღირებულებებს, აგრეთვე იკვეთება ისიც, რომ ქართულ მწერლობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის აზროვნების სივრცეში.

**დასკვნა:** ალექსანდრე ყაზბეგმა თავის პოეზიაში წარმოაჩინა არა მარტო თავისი ეპოქის, არამედ ყველა ეპოქისთვის მტკიცენეუ-ლი საკითხები, რომელთა გააზრებით გააერთიანა წარსული, აწმყო და მომავალი, რომელთა ერთიან ჭრილში განხილვა მის მსოფლ-მხედველობრივ ფართო მასშტაბს სახავს და ეს დასტურდება კიდევ მისი უკვდავი სტრიქონებით, „გულის იარას“ (ასეა დასათაუ-რებული ავტორის ერთი ლექსი) რომ კურნავს და დიდი იმედით აღავსებს ადამიანის ხვალისდელ დღეს.

#### **დამოწმებული ლიტერატურა:**

ახალი აღთქუმად, 1963 – ახალი აღთქუმად, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, თბ., 1963.

ბიბლია, 1989 – ბიბლია, თბ., 1989.

ბიბლიის ლექსიკონი, 2000 – ბიბლიის ლექსიკონი (მასალები), ტ. II, შემდგენლები ელ. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე, რედ., ზ. სარჯველაძე, Printed in the Netherlands, 2000.

ბეთხოშვილი, 2015 – ბეთხოშვილი დ., ალექსანდრე ყაზბეგის „წამება ქეთევან დედოფლისას“ სახისმეტყველება, კრებ. „გულანი“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე, 2015.

მამათა სწავლანი, 1955 – მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, ილია აბულაძის გამოცემა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955.

ყაზბეგი, 1949 – ყაზბეგი ალ. თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ლექსები და პოემები, ტომი მესამე, გამომც. „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1949.

ორბელიანი, 1991 – ორბელიანი სულხან-საბა, „ლექსიკონი ქართული“, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991.

*ქეთინო გრძელიშვილი*  
*ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,*  
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*  
*საქართველო, ახალციხე,*  
ketinogrdzelishvili@gmail.com, 577 98 77 28

**ლიტერატურული მითოლოგიზმი - საბჭოთა სინამდვილესთან  
მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების  
მხატვრული ხერხი  
(კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“  
მიხედვით)**

**მოკლე შინაარსი**

ნაშრომში წარმოჩენილია მითისა და მხატვრული ლიტერატურის ურთიერთობის თემა, რომლის კვლევა ლიტერატურათმცოდნეობაში ფუნდამენტურ საკითხადაა მიჩნეული და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის გასააზრებლად. მხატვრულ ტექსტებში მითოსურის კვლევა საშუალებას იძლევა ფარდა აეხადოს ბევრ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა მწერლის მსოფლმხედველობრივი, ეთიკური თუ მხატვრულ-ესთეტიკური თვალთახედვა. ნაშრომში საუბარია იმაზე, რომ მხატვრულ ლიტერატურაში მითის კვლევა ძალზედ საინტერესო პროცესია, მაგრამ ამ მიმართულებით მოდერნისტულ მწერლობას ვერაფერი შეეძრება, რადგან მოდერნიზმმა მითოპოეტურ აზროვნებას ახალი სიცოცხლე და განზომილება მისცა. რემითოლოგიზაციის შეუქცევადმა პროცესმა მწერლობას ახალი სული შთაბერა, ლიტერატურათმცოდნეობაში კი ახალი ტერმინი, „ლიტერატურული მითოლოგიზმი“ დაამკვიდრა. სწორედ ამ მხატვრულმა ხერხმა, როგორც ოსტატურად მორგებულმა ნიღაბმა, იხსნა ფიზიკური განადგურებისგან კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, სტალინიზმის მკაცრ ეპოქაში, მითის ახლებური გააზრებით სილა გააწნა საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემას.

ნაშრომში შენიშნულია, რომ „დიდოსტატის მარჯვენაში“ ლიტერატურულ მითოლოგიზმს მრავალმხრივი ფუნქცია აკისრია.

მითოსური მოტივები, არქექტიპები, ბიბლიური ალუზიები ემსახურება როგორც ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს, ასევე მხატვრული დროისა და სივრცის, სიუჟეტისა და სტრუქტურის მოდელირებას, მხატვრულ სახეთა აგებას. ნაშრომში გამოწვილვითაა შესწავლილი მორიელის მხატვრული სახე, რომელიც „დიდოსტატის მარჯვენაში“ ითავსებს რამდენიმე მხატვრულ ფუნქციას: 1. ემსახურება არსაკიძის მხატვრული სახის განვითარებას; 2. გამოიყენება, როგორც რომანის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი; 3. გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას თანადროულ ეპოქასთან, კერძოდ, წარმოაჩენს ავტორის მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმთან.

კვლევამ აჩვენა, რომ კონსტანტინე გამსახურდია ჯერ კიდევ 1927-28 წლებში მორიელის მხატვრული სახის შექმნით (ნოველა „ტაბუ“) უპირისპირდებოდა საბჭოთა ეპოქას, ნოველაში წარმოჩენილი „შავჩოხიანი, წითური კაცი“ სატანის, მორიელის, მხატვრული სახეა და ერთგვარად იწვევს საბჭოთა ტოტალური რეჟიმის ალუზიას. ეს მხატვრული სახე კონსტანტინე გამსახურდიამ წარმატებით გამოიყენა სტალინიზმის ეპოქაშიც. რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ (დაიწერა 1937-38 წლებში) მორიელი თავად განასახიერებს საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემას და ორგანულად უკავშირდება ხელოვანისა და ხელოვნების მარადიულობის საკითხს. სვეტიცხოვლის მშენებელს ცეცხლისფერი მორიელები გესლავენ. ცეცხლისფერი, ისევე როგორც წითელი, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ფერია, საბჭოთა ეპოქის ფერი. აქ აშკარად იკვეთება 30-იანი წლების ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში განვითარებული მოვლენები: უსამართლოდ დახვრეტილი ადამიანები: მწერლები, პოეტები, რეჟისორები, სამხატვრო ხელმძღვანელები.., რაც საბჭოთა სინამდვილესთან მწერლის მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების საოცარი ნიმუშია.

**საკვანძო სიტყვები:** ლიტერატურული მითოლოგიზმი, რემითოლოგიზაცია, მორიელი, სატანა, შავჩოხიანი წითური კაცი, ცეცხლისფერი. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი.

*Ketino Grdzelishvili*

*Doctor of Philology, Associate Professor,  
Samtskhe-Javakheti State University, Georgia, Akhaltsikhe,  
ketinogrdzelishvili@gmail.com, 577 98 77 28*

**LITERARY MYTHOLOGY - AN ARTISTIC TOOL OF CONFRONTING  
THE WORLDVIEW WITH SOVIET REALITY - ACCORDING TO "THE  
HAND OF THE GREAT MASTER" BY KONSTANTINE  
GAMSAKHURDIA"**

*Abstract*

The article deals with the relationship between myth and fiction, the study of which is considered a fundamental issue in literary studies and plays an important role in understanding the author's artistic intent. The study of mythology in literary texts allows us to reveal lots of important issues, such as the writer's worldview, ethics or artistic-aesthetic point of view. The article highlights that the study of myth in fiction is a very interesting process but in this respect modernist writing is essential, as modernism has given a new life and dimension to mythopoetic thinking.

The irreversible process of re-mythologization has introduced a new life in writing. In addition, it has established a new term - "Literary Mythology" in literature studies. This artistic tool as a skillfully tailored mask has saved Konstantine Gamsakhurdia from physical destruction who in the harsh era of Stalinism, the 30s of the 20th century with a new understanding of the myth dared and hit the power of the Soviet totalitarian system.

It is noted in the work that literary mythology has a multifaceted function in the "The Hand of the Great Master". Mythical motives, archetypes, biblical allusions serve as the author's artistic intent, as well as modeling of artistic time and space, story and structure, construction of artistic images. The work studies the artistic face of Scorpio, which combines several artistic functions in "The Hand of the Great Master". 1. It serves the development of Arszakidze's artistic face; 2. It is used as an important element of the structure of the novel; 3. It expresses the author's attitude towards the contemporary epoch, in particular, presents the author's worldview confrontation with the Soviet totalitarian regime

The study has shown that Konstantine Gamsakhurdia, early in 1927-28, opposed the Soviet era with having created the artistic face of Scorpio

(the novel "Taboo"). The "red-haired man , dressed in black chokha" in the novel is the artistic face of Satan, Scorpio, and somehow evokes the allusion to the Soviet totalitarian regime. This artistic face was successfully used by Konstantine Gamsakhurdia during the Stalin era. In the novel "The Hand of the Great Master " (written in 1937-38), Scorpio itself symbolizes the Soviet totalitarian system and is organically linked to the question of the eternity of the artist and art. The builder of Svetitskhoveli is greeted by fiery scorpions. Fiery as well as red is the colour of the October Socialist Revolution, the colour of the Soviet era. Here are the events of the totalitarian regime of the 1930s: unjustly shot people- writers, poets, directors, artistic directors ..,that is an amazing example of the writer's worldview confrontation with the Soviet reality.

**Key Words:** Literary mythology, Remythologization , artistic face, scorpion, Satan, red-head man in black chokha , fire -purple ) Soviet totalitarian regime.

**შესავალი:** საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მასში შემავალი ქვეყნების ცხოვრებაში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაში, შეიცვალა იდეოლოგია, რამაც ბევრი რამის გადააზრება მოითხოვა. ეს პროცესი განსაკუთრებით შეეხო მხატვრულ ლიტერატურას. კომუნისტური იდეოლოგიის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ საჭირო გახდა იმ ეპოქის სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშების ახლებური გააზრება. ჩემი ნაშრომიც ამ მიზანს ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გაკეთდა ამ მიმართულებით, კიდევ ბევრი დარჩა საკვლევი.

სტატია ეხება კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“, რომელიც სტალინიზმის ეპოქაში მძაფრი რეპრესიების ფონზე დაიწერა (1937-38 წწ.), ამიტომ თხზულებაში იმდროინდელ სინამდვილესთან მწერლის მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების ძიება სულაც არ არის შემთხვევითი.

სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, ს. სიგუას „მარტვილი და ალამდარში“, შენიშნულია, რომ კონსტანტინე გამსახურდია მხატვრული სიტყვის საშუალებით მსოფლმხედველობრივად უპირისპირდებოდა საბჭოთა ეპოქას. თუმცა იმ საკითხებზე, რომლებიც წინამდებარე სტატიაშია მოცემული, დასახელებულ კვლევაში არაფერია ნათქვამი. ცხადია, თხზულებაში უამრავი ასპექტი ემსა-

ხურება ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის წარმოჩენას. ამ მიმართულებით ჩემთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მითისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთმიმართების პრობლემა, მხატვრული ლიტერატურის რემითოლოგიზაციის საკითხი, რომელმაც სინამდვილის ასახვის ახალი მხატვრული ხერხის, ლიტერატურული მითოლოგიზმის, დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ლიტერატურული მითოლოგიზმი იქცა იმ ნიღბად, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა საბჭოთა ცენზურა და „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას. კვლევაში საუბარია მორიელის მხატვრულ სახეზე, როგორც ლიტერატურული მითოლოგიზმის ერთ კერძო გამოვლინებაზე. აქვე შენიშნულია ისიც, რომ კ. გამსახურდია ამ მხატვრული სახით ჯერ კიდევ 1925-27 წლებში ნოველა „ტაბუთი“ მსოფლმხედველობრივად დაუპირისპირდა საბჭოთა სინამდვილეს, ამიტომ მორიელის მხატვრული სახის ახლებურად გააზრება „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით წარმოადგენს ჩვენი სტატიის უპირველეს მიზანს.

კვლევისას გამოვიყენე თეორიული ხასიათის ნაშრომი ნაწილი კაკაურიძის „ლიტერატურის რემითოლოგიზაციის ზოგიერთი თეორიული საკითხისთვის, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2017 N1(9), ასევე სამეცნიერო შრომები (სოსო სიგუას „მარტვილი და ალამდარი“ (თბ., 1991); აკაკი ბაქრაძის „ხოგაის მინდია“ და „ტაბუ“ (თხზულებანი, ტ. II, თბ., 2004), „თვინიერების უარმყოფელი“ (თხზულებანი, ტ. III, თბ., 2004) და სხვა, რომლებიც უშუალოდ ეხება ჩემს საკვლევ თემას. საკითხის საფუძვლიანმა შესწავლამ გაამყარა ჩემი ეჭვი, რომ მორიელის მხატვრული სახე საკვლევ თხზულებაში განასახიერებს საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემას.

**მეთოდი:** საკვლევ თემაზე მუშაობისას გამოვიყენე როგორც ემპირიული, ისე წმინდა თეორიული მეთოდოლოგია, როგორცაა შედარების, კრიტიკული და სისტემური (საკვლევ მასალის ნაწილებად დაყოფა, თითოეული ნაწილის შეფასება, საბოლოო შედეგის მიღება) ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ასევე ჰერმენევტიკის მეთოდი, ასევე ცნობილ ქართველ და უცხო მკვლევართა მეთოდოლოგიური სამეცნიერო შრომები.

მსჯელობა და შედეგები: „...პირველთაგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქნა, რაც კი რამ შეიქნა, რაც კი შეიქნა.

მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნას. მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთკაცისა და ხელოვნებისა. და როცა ყოველივე არარად იქმნება, დარჩება ალბათ მითი“ (გამსახურდია 1959: 92), - წერს კონსტანტინე გამსახურდია ნოველაში „ტაბუ“. ეს სიტყვები ბევრ რამეს გვეუბნება. გვეუბნება იმას, რომ მითი და მხატვრული ლიტერატურა საოცარ ურთიერთობაშია ერთმანეთთან. ამ ურთიერთობების კვლევა ლიტერატურათმცოდნეობაში ფუნდამენტურ საკითხადაა მიჩნეული და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის გასაზრებლად. მხატვრულ ტექსტებში მითოსურის კვლევა საშუალებას იძლევა ფარდა აეხადოს ბევრ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა მწერლის მსოფლმხედველობრივი, ეთიკური თუ მხატვრულ-ესთეტიკური თვალთახედვა.

მითოსურის კვლევა ყველა ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში საინტერესო პროცესია, მაგრამ მოდერნისტულ მწერლობას ამ მხრივ ვერაფერი შეეძრება. სწორედ მოდერნიზმმა შესძინა ახალი სიცოცხლე მითოპოეტურ აზროვნებას და გარკვეული წვლილი შეიტანა სამყაროს ახალი მოდელის ფორმირებაში. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პროცესი რემითოლოგიზაციის სახელითაა ცნობილი, რაც მითოსური ცნობიერების ელემენტების ხელახალ გააზრებას გულისხმობს. ლიტერატურათმცოდნეობაში ამ პროცესის აღსანიშნავად სპეციალური ტერმინი „ლიტერატურული მითოლოგიზმი“ შეიქმნა, რაც მხატვრულ ნაწარმოებში მითის დანიშნულება-გამოყენების კვლევას ისახავს მიზნად.

„XX საუკუნის ავტორები „თამაშობენ“ მითოლოგიური მასალით, - შენიშნულია სამეცნიერო (დაასახელებთ) ლიტერატურაში, - ისინი ერთმანეთს უკავშირებენ მითოლოგიურ და ლიტერატურულ რემინისცენციებს, რის შედეგადაც თავს იჩენს მითოსისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართების ორი აქამდე უცნობი სახეობა: 1. მითის ცნობიერი, არაფორმალური და არატრადიციული გამოყენების მცდელობა, რასაც შედეგად შესაძლოა, მოჰყვეს სრულიად დამოუკიდებელი მითოშემოქმედების წარმოშობა; 2. როცა ავტორი გამიზნულად უარყოფს ტრადიციულ სიუჟეტსა და თემატიკას, ოღონდ ამ უარყოფას გარკვეული მიზანი აქვს, შესაბამისი ცხოვრებისეული ფორმებით ასახოს სინამდვილე (კაკაურიძე 2017: 293).



მოდერნიზმმა ახალი პერსპექტივა გაუხსნა მწერლობას არა მარტო ევროპაში, არამედ საქართველოშიც. მოდერნიზმის დამკვიდრებამ ახალი რენესანსი იწინასწარმეტყველა. გრიგოლ რობაქიძე წერდა: „საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო.... მაგრამ რენესანსი იგი ჯერ კიდევ ქაოსისა და ფორმის ბრძოლაში ამკარავდება და კიდევ დიდი დროა საჭირო, რომ ფორმამ სავსებით სძლიოს ქაოსსა. ეს ფიქრი მეზადება, როცა შევსცქერი ჩვენი უახლესი ხელოვნების ზრდას“ (რობაქიძე 1913: 25). მსგავს თვალსაზრისს ავითარებს ტიციან ტაბიძეც. მისი თქმით: „ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ რენესანსი დაიწყო, მხოლოდ ძალიან დიდხანს გასტანს ფორმისა და ქაოსის ბრძოლა. მომავალ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე... ამკარაა, წინა აზიაში ევროპა შემოადებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით...“ (ტაბიძე 1916: 41). ცხადია, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ახალ რენესანსში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშნა მითს. მართლაც, მითოლოგიური აზროვნება იქცა შემოქმედთა ფიქრის, განსჯის საგნად, შეიძლება ითქვას, საჯილდაო ქვად. ამ პროცესს, ვფიქრობ, ხელს უწყობდა მითოლოგიური აზროვნების ბუნება, რაც, პირველ ყოვლისა, გამოვლინდა მითოლოგიური აზროვნების სპეციფიკაში. გამოყოფენ კიდევ რამდენიმე სპეციფიკურ ნიშანს: „1. მითი აბსოლუტურ მნიშვნელობას იძენს, როდესაც ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება ადამიანსა და სამყაროსთან ერთად; 2. მითში დარღვეულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, მას არა აქვს მკვეთრად გამოხატული დროითი და სივრცითი მახასიათებელი; 3. მითის სიუჟეტს საფუძვლად უდევს მარადგანმეორებადი საკრალური მოვლენები; 4. მითოლოგია ამჟღავნებს მსგავსებას თანამედროვე ადამიანის კოლექტიურ-არაცნობიერის გამოვლინებასთან; 5. მითოლოგიური შინაარსის გადმოცემის გზა არის არქეტიპები (კაკაურიძე 2017: 143). შენიშნულია ისიც, რომ „მითი ლიტერატურული კრიტიკის შესწავლის ობიექტად შეიძლება იქცეს მხოლოდ მაშინ, როცა მწერალი მას იყენებს ცნობიერად, როგორც მისი მხატვრული კონცეფციის საფუძველს, ან მხატვრული სტრუქტურის, სიუჟეტის შინაგანი ორგანიზების, ქოლტური ნედლი მასალის მოწესრიგებისა და ჰარმონიულ მთლიანობად გარდაქმნის პრინციპს (კაკაურიძე 2017: 145).

მითს დიდი ესთეტიკური პოტენციალი გააჩნია, ამიტომაც გამოიყენა მეოცე საუკუნემ განსაკუთრებული ცხოველმყოფელობით, რადგან ამ საუკუნეში დაიწყო ცალკეული ინდივიდის ფსიქოლოგიურ პორტრეტში უნივერსალურ-ზოგადსაკაცობრიო მოდელების ძიება, ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზისადმი სწრაფვა. სწორედ ამ აღმოჩენამ გაუხსნა გზა მითოლოგიზმის შემოჭრას ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის „ლიტერატურული მითოლოგიზმი“ ერთიანი, განუყოფელი მოვლენაა, ცალკეულ ავტორებთან სპეციფიკური შემოქმედებითი მეთოდითა და მიზანდასახულობითაა განპირობებული. ამ თვალსაზრისით, ძალზედ საინტერესოა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება, კონკრეტულად - „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ამ რომანში ლიტერატურულ მითოლოგიზმს მრავალმხრივი ფუნქცია აკისრია. მითოსური მოტივები, არქეტიპები, ბიბლიური ალუზიები ემსახურება როგორც ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს, ასევე მხატვრული დროისა და სივრცის, სიუჟეტისა და სტრუქტურის მოდელირებას, მხატვრულ სახეთა აგებას. ამავე დროს, თხზულებაში მითი გამოიყენება, როგორც საბჭოთა სინამდვილესთან მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების საშუალება.

თხზულება დაწერილია 1938 წელს. თარიღი მრავლისმთქმელია. ცხადია, თხზულება იწერებოდა სტალინიზმის ეპოქაში, საშინელი რეპრესიების ფონზე, როცა სასტიკად უსწორდებოდნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს. აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერებაში“ წერს: „კ. გამსახურდია ჰგავდა იმ ადამიანს, რომელსაც სახლში პური მიაქვს და უკან კბილდაღრჭენილი ქოფაკი მისდევს. პური რომ შინ მიიტანოს და თავად ძაღლის დაკბენას გადაურჩეს, იძულებულია დროდადრო ნაგაზს პურის ნატეხი გადაუგდოს. დროებით შეაჩეროს და სახლში შეასწროს. მთელი ცხოვრების მანძილზე ასე გაურბოდა მწერალი უკანდადევნებულ საბჭოთა ხელისუფლებას. ხანდახან უყრიდა მწერლური პურის ნატეხებს - „ბელადს“, „ვაზის ყვავილობას“, ნარკვევებს, რომ ბუნებრივ სიკვდილამდე მიეღწია და ქართველი ხალხისთვის დაეტოვებინა „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“ (ბაქრაძე, 2004 (III): 127).

მწერალი „დიდოსტატის მარჯვენას“ უწოდებს „ლარკ პოეტიკს“, ხელოვნების ნიმუშს. ავტორი საბჭოთა რეჟიმის თვალის

ასახვევად მიმართავს ისტორიულ წარსულს, გიორგი პირველის ეპოქას და გვესაუბრება სვეტიცხოვლის მშენებლობის ისტორიაზე. ეპოქალურ სინამდვილესთან დაპირისპირების მიზნით იყენებს მხატვრულ ხერხს - ლიტერატურულ მითოლოგიზმს. აქ ისტორიული წარსული, ბიბლიური სიუჟეტები და მითოსური ნარატივი ერთმანეთშია ჩახლართული. ერთმანეთში ჩახლართულ საკითხებს, ვფიქრობ, მორიელის მხატვრული სახე აერთიანებს. საკითხის გასაშლელად უნდა მოვიშველიოთ კ. გამსახურდიას ადრეული ნოველა „ტაბუ“.

ნოველა დაწერილია 1925-27 წწ.-ში. ეს არის დრო, როცა საბჭოთა ეპოქა შემოქმედისგან ითხოვს მხოლოდ საბჭოთა კავშირის ქებას, ებრძვის ინდივიდუალიზმს. ცდილობს, მოსპოს მწერალთა ცალკეული ჯგუფები და შექმნას ცნება საბჭოთა მწერლობა, ცდილობს, ყველა და ყველაფერი დაამსგავსოს ერთმანეთს. ტოტალიტარული რეჟიმი თავისი ბუნებით წააგავს სატანას. ჯერ ადამიანში კლავს ადამიანურს, შემდეგ კი უსწორდება ადამიანურის გარეშე დარჩენილს. „ტაბუში“ წარმოჩენილი „შავჩოხიანი, წითური კაცი“ სატანის, მორიელის, მხატვრული სახეა და ერთგვარად იწვევს საბჭოთა ტოტალური რეჟიმის ალუზიას, თუმცა ლიტერატურულ კრიტიკაში არაა გამოთქმული ამგვარი თვალსაზრისი. არცაა გასაკვირი, ყველა ეპოქა თავისებურად კითხულობს ამა თუ იმ მხატვრულ სახეს, იცვლება დრო და იცვლება მხატვრული სახის აღქმა.

საბჭოთა მკვლევარები „ტაბუს“ სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან განიხილავდნენ. მას „დეკადენტიზმის ემბაზში განზანილს“ უწოდებდნენ (ბენაშვილი 1962: 14-16). ამ „მოთხრობაში წარმოდგენილია რევოლუციამდელი სოფელი მთელი თავისი სიბნელითა და უმეცრებითო, - წერს ე. შუშანია და აგრძელებს: „მწერალი გვიჩვენებს, თუ რევოლუციის გრიგალმა როგორ შეუცვალა სოფელს სახე, როგორ ირღვევა ძველი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები“ (შუშანია 1963: 4). ბესარიონ ჟღენტის გაღიზიანებული ტონი იფრქვევა მისი ფრაზებიდან: „ამ მითიური ხასიათის ნაამბობს, ცხადია, არაფერი აკავშირებს საბჭოთა სინამდვილესთან, ჩვენს თანამედროვეობასთან, გარდა იმ გარეგნული ნიშნისა, რომ ეს უცნაური, თავისი მისტიურობით შემზარავი ამბავი მოხუცმა ნატიემ მოუთხრო ახალგაზრდა ინტელიგენტს, რომელიც დიდი ხნით ყოფილა მოწყვეტილი მშობლიურ მხარეს...“ (ჟღენტი 1967:

24-25). მოგვიანებით აკაკი ბაქრაძემ ჩამოაყალიბა სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი: „ადამიანმა ადამიანურის სამანს არ უნდა გადააბიჯოს, თორემ უბედურება არ ასცილდება. აქ სულ ერთია, იქნება იგი ღვთაებრივთან წილნაყარი თუ ეშმაკის თანაზიარი“ (ბაქრაძე 2004(II):292). ვფიქრობ, აკაკი ბაქრაძის შეხედულება მნიშვნელოვანია საკვლევი საკითხის გასააზრებლად, მაგრამ არასაკმარისი. ფაქტობრივად, ნოველა „ტაბუთი“ ჯერ კიდევ 1925-27 წლებში დაუპირისპირდა მსოფლმხედველობრივად კონსტანტინე გამსახურდია საბჭოთა ეპოქას.

კ. გამსახურდია ნოველაში წერს: „ნათურქალის ტყეში ვიღაც შავჩოხიანი, წითური კაცი შემოხვდათ ცხენოსნებს. მოაფანდურებდა შავს ბედაურს წითელი ჩაბალახით თავწაკრული კაფანდარა კაცი.... შავჩოხიანის ცხენის კვალმა ზედ ხარბედიების წისქვილამდის მოიყვანა და აქ გაქრა... ან მიმინო, ან შავჩოხიანი. ...გაიმეორა ლომკაცია ბისკაიამ... თითქოს მიწიდან ამოდვარო, წამოდგა წითური, წითელი ჩაბალახით თავგახვეული შავჩოხიანი. ჩოხის კალთები შავ დროშასავით ააფრიალა, ქოსა წვერზე ხელი დაისვა და სთქვა... ასწია მაღალმა წითურმა მარცხენა ხელი და ყველამ გატვრინა სული. აბრეშუმით რბილი, მოშაქრული სიტყვით შეეპარა ხალხს (გველი შეეპარება ასე წითელი, ნავსი თვალებით გათვალულ თრითინას)... და ასწია შავჩოხიანმა თავისი გრძელი გამხმარი, შავი ხელი და დაემუქრა ბისკაიების ქვიტკირის სასახლეს. სამაგიეროდ, წითური ხარბედიებისგან მოითხოვდა ყოველწლიურად თითო უნათლავ ბავშვს. მოხუცმა ხახუ ხარბედიამ სატევარზე გაივლო ხელი და შეუტია „გვარქვი, ვინა ხარ წითურო? ხელაკვრით მოიხსნა ჩაბალახი წითურმა და იცნეს სატანა, შავჩოხაში გამოწყობილი“ (გამსახურდია 1959: 101-102).

ცხადია, თხზულებიდან ამოკრეფილია ის ფრაზები და ეპიზოდები, რომლებშიც წარმოჩენილია სატანის, მორიელის, ალუზიურად საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მხატვრული სახე. თხზულებით ხარბედიებმა არ მიიღეს სატანა. კ. გამსახურდია წერს: „აბობოქრდა, აზღვავდა, ახმაურდა ხალხი (ასწლოვანი მუხნარი, რომელსაც გრიგალი თავს დასხმია ნოემბრის ღამეს)“. აქ კონსტანტინე გამსახურდია სრულიად გაცნობიერებულად იყენებს ერთ ფრაზაში სამ მხატვრულ სახეს. „ასწლოვანი მუხნარი“, „გრიგა-

ლი“, „ნომბრის ღამეს“. რას უნდა ნიშნავდეს „ასწლოვანი მუხნარი“? გამსახურდიასთვის ხალხია ასწლოვანი მუხნარი თავისი ფიქრით, წადილით, მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების წესით, ტრადიციებით, სამყაროს აღქმით. „გრიგალი“ რევოლუციის სახესიმბოლოა, აქ უნდა იგულისხმებოდეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, მართლაც, ამას უნდა ადასტურებდეს მხატვრული სახე „ნომბრის ღამეს“. როგორც ცნობილია, სწორედ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ 1918 წლის 24 იანვრის დეკრეტით შემოიღეს ახალი სტილი. მწერალი გრიგორიანული კალენდრის გათვალისწინებით უნდა იყენებდეს სიტყვას ნომბრის ღამეს (25 ოქტომბერი გრიგორიანული კალენდრით 7 ნომბერი). სწორედ აქ იკვეთება მწერლის მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება საბჭოთა რეჟიმთან, რადგან საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია. „პირჯვარის გადასახვა მოასწრეს, ლანდის სასწრაფოზე გაიფანტნენ ხარბედიები (მიმინოსაგან დაფეთებული ბელურების გუნდი)“. კარგად თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ აქ მითი აბსოლუტურ მნიშვნელობას იძენს. მკითხველი ბოლომდე ექცევა მითის ტყვეობაში, რაც ავტორს საშუალებას აძლევს, უფრო გააფართოვოს წარმოსახვის თვალსაწიერი.

„დიდი მუხის ძირში ცეცხლი ენთო მაღალი. ალი ცასა და მიწას შორის გახიდულიყო, შავი მორიელი პირალმა ეგდო ღველფზე. უღონოდ ასხმარტალებდა ფეხებს, გულის წამლები ხმით წივოდა, და ეს წივილი უფრო საშინელი იყო, ვიდრე კაკანი ხვითოს მშობიარე გველისა.

ხვარამხეს დანახვაზე მორიელი გადმობრუნდა. ღველფიდან გამოფორთხდა, გაიზარდა, უარესად გაშავდა, კვერნის ოდენა გახდა. ცოფიან კატასავით შემოუტია, ალის ქარმა სახე დასწვა ხვარამხეს.

მორიელი ცეცხლიდან გამოვიდა და მიწის ნაპრალში შეძვრა. გულგახეთქილ დიაცს გამოელვია: შავკოხიანი, წითელჩაბალახიანი კაცი იდგა მის წინაშე“ (გამსახურდია 1959: 104).

სატანისა და „ქალა-ბიჭა“ ხვარამხის კავშირმა ისევ მორიელი შვა, გამსახურდია ყვება: „მელოგინეს საშო გაიღო ანაზდეულად და დაღვარჭნილი ფეხები გამოჰყო მორგისოდენა მორიელმა... მიაშურა თავის დიდ დედას ბნელ ღამეს... ალაპარაკდა მორიელზე მთელი სოფელი და სადაც უხსენებელს ახსენებდნენ, მორიელიც იქ

გაჩნდებოდა... არ ზოგავდა არც ადამიანებს, არც ცხოველებს, თანა-  
ბრად ანადგურებდა ორ დაპირისპირებულ მხარეს -ხარბედიებსა  
და ბისკაიებს“... (გამსახურდია 1959:107).

მორიელის მსგავსად, საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა სას-  
ტიკად უსწორდებოდა ყველას, განსაკუთრებით სტალინიზმის  
ეპოქაში, თუმცა გამსახურდიამ „ტაბუთი“ გაცილებით ადრე იწი-  
ნასწარმეტყველა მოსალოდნელი საფრთხე და მსოფლმხედველობ-  
რივად დაუპირისპირდა მას.

მორიელის მხატვრული სახე მნიშვნელოვან როლს ასრულებს  
რომანშიც „დიდოსტატის მარჯვენა“. აქ ეს მხატვრული სახე ითავ-  
სებს რამდენიმე მხატვრულ ფუნქციას: 1. ემსახურება არსაკიძის  
მხატვრული სახის განვითარებას; 2. გამოიყენება, როგორც რომანის  
სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი; 3. გამოხატავს ავტორის  
დამოკიდებულებას თანადროულ ეპოქასთან, კერძოდ, წარმოაჩენს  
ავტორის მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას საბჭოთა სინა-  
მდვილესთან.

რომანში კონსტანტინე არსაკიძის სახელს უკავშირდება სვეტი-  
ცხოვლის მშენებლობის ისტორია. კონსტანტინე ხელოვანია, ხუ-  
როთმოდღვარი, სწორედ ესაა საკითხის კვლევისთვის მნიშვნელო-  
ვანი. რომანის მიხედვით, თხზულებაში მორიელის მხატვრული  
სახის ჩენა არსაკიძის მცხეთურ მოღვაწეობას ახლავს. ხურსი აბუ-  
ლელის სახლთუხუცესის, რატის, სასახლე უბოძეს კონსტანტინეს.  
რატი ეშმაკთან თანაზიარობისთვის დადალულია მელიის ტვიფ-  
რით, მის ყოველ მესამე თაობას მორიელი გესლავს. მკითხველის-  
თვის ცხადი ხდება, რომ რატი უსამართლობის მსხვერპლია. მის  
სასახლეში არსაკიძის ბინადრობა მიანიშნებს იმაზე, რომ ხელოვანს  
დიდი განსაცდელი ელის. თხზულებაში ვკითხულობთ: „ობობები  
შეესია კუთხეებს, ხოჭოებით გაივსო კარადები და განჯინები,  
მორიელებმა გამოტეხეს ქვიტკირი, ცეცხლისფერი მორიელები  
ზიმზიმებდნენ თაროებსა და ფანჯრის რაფებზე“. ეს კი იმ  
საყოველთაო შიშზე მიუთითებს, რომელიც დააკანონა საბჭოთა  
ეპოქამ 30-იან წლებში. თუ ნოველაში „ტაბუ“ მორიელი შავჩოხიან  
წითურ ჭაბუკს განასახიერებს და საბჭოთა ეპოქის მხატვრული  
სახეა, „დიდოსტატის მარჯვენაში“ სატანა ცეცხლისფერი  
მორიელია. ყველასთვის ცნობილია, რომ წითელი, ცეცხლისფერი  
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ფერია, საბჭოთა

ეპოქის ფერი. სწორედ ამ ფერის ფონზე შემოაქვს ავტორს „დიდოსტატის მარჯვენაში“ ხელოვანისა და ხელოვნების მარადიულობის საკითხი, რითაც მსოფლმხედველობრივად უპირისპირდება საბჭოთა ეპოქას. ავტორი აქ კიდევ ერთხელ მიმართავს მხატვრულ ხერხს, ლიტერატურულ მითოლოგიზმს და აცოცხლებს ბიბლიურ ეპიზოდს, იაკობისა და ღმერთის შერკინების ამბავს. საკითხი, ხელოვანისა და ხელოვნების მარადიულობის იდეა, სიღრმისეულად აქვს გააზრებული არსაკიმეს (ავტორის ალტერეგო). კონსტანტინე გამსახურდია წერს: „ეს ყოველივე კარგად ესმოდა არსაკიმეს, ამიტომაც ებრძოდა იგი უხეში ლოდების ქაოსს, როგორც კოჭლი იაკობი თავის მრისხანე ღმერთს“. ზურაბ კიკნაძე ამ ეპიზოდის შესახებ გვაუწყებს: „ძველი აღთქმის, ამ ღირსშესანიშნავ ადგილს მიიჩნევენ ღმერთმებრძოლობის იდეის ერთ-ერთ უძველეს დადასტურებად. მაგრამ ეს აზრი არ არის მართებული. ამ ეპიზოდის ავტორს, ან იმას, ვინც ეს თქმულება ხალხის პატრიარქზე შეიტანა ერის ისტორიაში, არ ამოდრავებდა ეს იდეა. იაკობი აქ გადის გამოცდას, ის იცდება როგორც ხალხის მამამთავარი. აქ ჩანს იაკობის უშიშროება, „ვითარცა უხორცოსი“ (ის ხომ უხორცო ანგელოზს ებრძოდა), შეუპოვრობა, რომლის ბადალი სულიერ-ზნეობრივ სფეროში გამოიჩინა მრავალტანჯულმა იობმა, როდესაც მან ღმერთს გაუმართა სასამართლო და გამართლდა. ეს მომენტი გამომდინარეობს ძველი აღთქმის თეოლოგიიდან, ისევე როგორც იაკობის სიტყვები ბრძოლის ადგილის სახელდების შემდეგ: „პირისპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი“ (კიკნაძე 1989: 39).

მაშ, როგორ უნდა გავიაზროთ ეს საკითხი? ზურაბ კიკნაძის აზრით, „იაკობს მუდამ ახლავს ღვთის „დავლათი“, ის უფლის ხელშენახებია, რისი ნიშანიც არის კოჭლობა“ (კიკნაძე 1989: 39) ე. ი. იაკობი ღვთის რჩეულია და ამ რჩეულობის დასტურია მისი დაკოჭლება. რა ხდება გამსახურდიასთან? იაკობის დარად არსაკიმეც გადის გამოცდას, ის იცდება როგორც ხუროთმოძღვარი, როგორც ხელოვანი და მანაც უნდა მიიღოს უფლისგან ნიშანი, დამლა. თუ კარგად დავაკვირდებით მხატვრულ შედარებას - „ებრძოდა იგი უხეში ლოდების ქაოსს, როგორც კოჭლი იაკობი თავის მრისხანე ღმერთს“ - დავინახავთ, რომ ერთმანეთთანაა შედარებული „მრისხანე ღმერთი“ და „უხეში ლოდების ქაოსი“, ეს უკანასკნელი ასაშე-

ნებელი უფლის სახლია, სვეტიცხოველის ეკლესია, ტაძარი. რადგან უფლის სახლი სიმბოლურად ქრისტეს ტანია, „მრისხანე ღმერთი“ და „უხეში ლოდების ქაოსი“ სინონიმები ყოფილა ისევე, როგორც „იგი“ (არსაკიმე) და იაკობი. არსაკიმე აგებს უფლის ტაძარს, სვეტიცხოველს, სიმბოლურად ქრისტეს ტანს, იაკობივით ერკინება მარადუამობას, ცდილობს და ელოდება ნიშანს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სოსო სიგუას აზრი. მკვლევარი იმოწმებს მ. ჰაიდეგერისეულ ახსნას ტაძრის მიწიერი დანიშნულების შესახებ და დაასკვნის: „ტაძარი - ეს არის ღმერთის მყოფობა, მიწიერი განსხეულება, ადამიანის მხერის მიმართულების განსაზღვრა, იდუმალის ხილულ ფორმად შენახვა. ის ღმერთის გამომეტყველებას კი არ ასახავს, არამედ თავად არის ღმერთად ქმნილი“ (სიგუა 1991: 221). „ორი წლის წინათ ეს ლოდები, ეს ძელები, ეს აგურები უწესრიგოდ ეყარნენ მიწაზე, დაჰხედა ოსტატის თვალმა, შეეხო ოსტატის ხელი, ქვა ქვაზე შესდგა, აგური აგურს წაეპოტინა, კედლებმა მხარი მისცეს ურთიერთს, თალებმა კამარა შეჰკრეს, გუმბათმა ნაგებობა დაავირგვინა. მალე მიეახლება ნაოსტატარს ოსტატი, ქაოსს შემოაცლის სრულყოფილს, ბედნიერი შემოქმედი შესმახებს ქმნილებას: იქმენინ ნათელი! და ცას მისწვდება ლოდების უცნაური ჰარმონია (ქრისტეს ტანი, - ხაზი ჩემია, ქ. გ.) ცადატყორცნილი და ცაშივე გაყინული სამარადჟამოდ“, - წერს კონსტანტინე გამსახურდია.

სვეტიცხოველის მშენებელი არსაკიმის მხატვრული სახე საინტერესოაა გაშინაარსებული მორიელის მხატვრული სახით. აშკარად იკვეთება 30-იანი წლების ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში განვითარებული მოვლენები: უსამართლოდ დახვრეტილი ან გადასახლებული ხელოვანი ადამიანები: მწერლები, პოეტები, რეჟისორები, სამხატვრო ხელმძღვანელები...

სიზმარს ნახულობს არსაკიმე, შეშინებული ნონაი აღვიძებს:

- აბრძანდი, ბატონო, მორიელებმა გამოტყვესო ქვიტკირი...
- რა დროს მორიელებია? დამაცალეო ძილი...

- თუ არ გჯერა, აგერ გაჩვენებ ბატონო! ესა სთქვა, ორი მორიელი აჩვენა ჩხირზე წამოგებული ნონაიმ. არსაკიმე გაოცდა. „ერთი ჩემს სამყოფელში მოვკალი წუხელ, ერთიც ამ დილით, შენი სასთუმლის გასწვრივ... „ოდითგანვე წყევლა სდებია რატის ოჯახს, მესამე მუხლის ნაშიერთაგანს ყოველს მორიელი დაჰკესლავდა



თურმე“. სთხოვდა ნონაი არსაკიძეს სხვაგან გადასულიყო საცხოვრებლად. როგორც ვხედავთ, აქ მითმა შეიძინა აბსოლუტური მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინეს არ სჯერა ნათქვამის და ნონაის უხსნის: „ეჰ, ჩემო ნონაი, მე ხმლით სიკვდილი დამითქვა მუცლით მეზღაპრემ ერთმა, ასე რომ მორიელის გესლი ვერაფერს დამაკლებს“, სწორედ მორიელების გესლით ტოვებს სამზეოს... ერთი მხრივ, არსაკიძეზე გადადის წყევლა რატის ოჯახისა, მეორე მხრივ, კი უსრულდება ნატვრა: „სად დაიკარგნენ ის წყეულები, გამოძვრნენ ბნელი ნაპრალებიდან და დამგესლონ ცეცხლისფერმა მორიელებმა ბარემ“. აკაკი ბაქრაძე შენიშნავს: „ხუროთმოძღვარი არსაკიძე ჰიბრისიანი კაცია, ვინაიდან ის ეურჩება ფარსმან სპარსსაც, მეფესაც და კათალიკოსსაც. ის ვერ შეაშინა და უკან ვერ დაახევინა იმ ფაქტმა, ფარსმან სპარსს რომ უპირისპირდებოდა. მან შეუპოვრად მოჰკიდა ხელი ტაძრის შენებას. აქვე დაეზადა თვით უზენაესთან მეტოქეობის სურვილიც... რაც იმით დაგვირგვინდა, რომ სიკვდილის წინ ეზმანა: „და ერკინებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი, მერე მისწვდა იგი ჭრილობიდან ბარკალს და დაუბუშა ვრცელი ბარკლისაი“ (ბაქრაძე 2004: 499). არსაკიძემ მიიღო უფლის რჩეულობის დამდა, დაკოჭლება, როგორც ბიბლიურმა იაკობმა. მაგრამ რჩეულობა არ არის ადვილი. ტოტალიტარიზმი, ტირანია ებრძვის რჩეულს. რჩეულში ყველა მტერს ხედავს, შური აბრმავეებს ადამიანს, მეტოქეს, ხდის გულქვას, გაუტანელს. თუ აკაკი ბაქრაძეს დავესესხებით, „ფარსმან სპარსმა დაასმინა არსაკიძე, მერე კი მახე დაუგო, შეცდომაში შეიყვანა მეფე, რომელმაც მისთვის მკლავის მოკვეთა ბრძანა, კათალიკოსმა არ დაიცვა, ერეტიკოსად ჩათვალა, რაკი არსაკიძემ თავი ღმერთთან მეზრძოლ იაკობს შეადარა. ნემეზისი ასრულდა. ყველასაგან მიტოვებული არსაკიძე მორიელებმა დაკბინეს“ (ბაქრაძე 2004: 499). ფაქტობრივად, ხელოვანი მორიელის, სიმბოლურად საბჭოთა ეპოქის მსხვერპლი გახდა.

კონსტანტინე გამსახურდიამ, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატმა, მიზანს მიაღწია, მხატვრული ჩანაფიქრის წარმოსაჩენად მხატვრულ ხერხს - ლიტერატურულ მითოლოგიზმს მიმართა და სტალინიზმის ეპოქაში, კერძოდ, 1937-1938 წლებში, მორიელის (საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი) მხატვრული სახის შექმნით სილა გააწნა საბჭოთა ეპოქას.

დასკვნები: 1. „ტაბუში“ წარმოჩენილი „შავჩოხიანი, წითური კაცი“ სატანის, მორიელის, მხატვრული სახეა და ერთგვარად იწვევს საბჭოთა ტოტალური რეჟიმის ალუზიას, თუმცა ლიტერატურულ კრიტიკაში არაა გამოთქმული ამგვარი თვალსაზრისი. ყველა ეპოქა ხომ თავისებურად კითხულობს ამა თუ იმ მხატვრულ სახეს, იცვლება დრო და იცვლება მხატვრული სახის შინაარსი.

2. კონსტანტინე გამსახურდია სრულიად გაცნობიერებულად იყენებს ერთ ფრაზაში - „აბოზოქრდა, აზღვავდა, ახმაურდა ხალხი (ასწლოვანი მუხნარი, რომელსაც გრიგალი თავს დასხმია ნოემბრის ღამეს)“ - სამ მხატვრულ სახეს. „ასწლოვანი მუხნარი“, „გრიგალი“, „ნოემბრის ღამეს“. რას უნდა ნიშნავდეს „ასწლოვანი მუხნარი“? გამსახურდიასთვის ხალხია ასწლოვანი მუხნარი თავისი ფიქრით, წადილით, მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების წესით, ტრადიციებით, სამყაროს აღქმით. „გრიგალი“ რევოლუციის სახე-სიმბოლოა, აქ უნდა იგულისხმებოდეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, მართლაც, ამას უნდა ადასტურებდეს მხატვრული სახე „ნოემბრის ღამეს“. როგორც ცნობილია, სწორედ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ 1918 წლის 24 იანვრის დეკრეტით შემოიღეს ახალი სტილი. მწერალი გრიგორიანული კალენდრის გათვალისწინებით უნდა იყენებდეს სიტყვას ნოემბრის ღამეს (25 ოქტომბერი გრიგორიანული კალენდრით 7 ნოემბერია). სწორედ აქ იკვეთება მწერლის მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება საბჭოთა რეჟიმთან, რადგან საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია.

3. მორიელის მსგავსად, საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა სასტიკად უსწორდებოდა მოაზროვნე ადამიანებს, ეს პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემი გახლდათ სტალინიზმის ეპოქაში, თუმცა გამსახურდიამ „ტაბუთი“ გაცილებით ადრე (სტალინიზმის ეპოქა 1933 წელს დაიწყო) 1927-1928 წლებში (დაიწერა ნოველა) იწინასწარმეტყველა მოსალოდნელი საფრთხე და მსოფლმხედველობრივად დაუპირისპირდა მას.

4. „დიდოსტატის მარჯვენაში“ ლიტერატურულ მითოლოგიზმს მრავალმხრივი ფუნქცია აკისრია. მითოსური მოტივები, არქეტიპები, ბიბლიური ალუზიები ემსახურება როგორც ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს, ასევე მხატვრული დროისა და სივრცის,

სიუჟეტისა და სტრუქტურის მოდელირებას, მხატვრულ სახეთა აგებას. ამავე დროს თხზულებაში მითი გამოიყენება, როგორც საბჭოთა სინამდვილესთან მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების საშუალება.

5. „დიდოსტატის მარჯვენაში“ მორიელის სახე ითავსებს რამდენიმე მხატვრულ ფუნქციას: 1. ემსახურება არსაკიძის მხატვრული სახის განვითარებას; 2. გამოიყენება, როგორც რომანის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი; 3. გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას თანადროულ ეპოქასთან, კერძოდ, წარმოაჩენს ავტორის მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმთან.

6. „დიდოსტატის მარჯვენაში“ ცეცხლისფერი მორიელი სატანის მხატვრული სახეა. ყველასთვის ცნობილია, რომ წითელი, ცეცხლისფერი ოქტომბრის სოცისლისტური რევოლუციის ფერია, საბჭოთა ეპოქის ფერი. სწორედ ამ ფერის ფონზე შემოაქვს ავტორს რომანში ხელოვანისა და ხელოვნების მარადიულობის საკითხი, რითაც მსოფლმხედველობრივად უპირისპირდება საბჭოთა ეპოქას.

7. იაკობი ღვთის რჩეულია და ამ რჩეულობის დასტურია მისი დაკოჭლება. იაკობის მსგავსად, არსაკიძეც გადის გამოცდას, ის იცდება როგორც ხუროთმოძღვარი, როგორც ხელოვანი. მანაც უნდა მიიღოს უფლისგან ნიშანი, დამდა, გახდეს რჩეული. თუ კარგად დავაკვირდებით მხატვრულ შედარებას: „ებრძოდა იგი უხეში ლოდების ქაოსს, როგორც კოჭლი იაკობი თავის მრისხანე ღმერთს“, დავინახავთ, რომ ერთმანეთთანაა შედარებული „მრისხანე ღმერთი“ და „უხეში ლოდების ქაოსი“, ეს უკანასკნელი ასაშენებელი უფლის სახლია, სვეტიცხოველის ეკლესია, ტაძარი. რადგან უფლის სახლი სიმბოლურად ქრისტეს ტანია, „მრისხანე ღმერთი“ და „უხეში ლოდების ქაოსი“ სინონიმები ყოფილა ისევე, როგორც „იგი“ (არსაკიძე) და იაკობი. არსაკიძე აგებს უფლის ტაძარს, სვეტიცხოველს, სიმბოლურად ქრისტეს ტანს, იაკობივით ერკინება მარადუამობას, ცდილობს და ელოდება რჩეულობის დამდას.

8. სიკვდილის წინ არსაკიძემ მიიღო უფლის რჩეულობის ნიშანი, დაკოჭლება, როგორც ბიბლიურმა იაკობმა: „და ერკინებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი, მერე მისწვდა იგი ჭრილობიდან ბარკალს და დაუბუშა ვრცელი ბარკლისაი“ (ბაქრაძე 2004: 499), - ვკითხულობთ თხზულებაში.

9. კონსტანტინე გამსახურდიამ სტალინიზმის ეპოქაში, კერძოდ, 1937-1938 წლებში, მორიელის, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის, მხატვრული სახის შექმნით სრულიად გაცნობიერებულად გააწნა სილა საბჭოთა ეპოქას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

ბაქრაძე, 2004: ბაქრაძე ა., იდეალი და ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 2004.

ბაქრაძე, 2004: ბაქრაძე ა., თვინიერების უარმყოფელი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 2004.

ბენაშვილი, 1962: ბენაშვილი დ., კონსტანტინე გამსახურდია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1962.

გამსახურდია, 1959: გამსახურდია კ., რჩეული თხზულებანი, ტ. II., თბ., 1959.

კაკაურიძე, 2017: კაკაურიძე ნ., ლიტერატურის რემითოლოგიზაციის ზოგიერთი თეორიული საკითხისთვის, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2017 N 1(9).

კიკნაძე, 1989: კიკნაძე ზ., საუბრები ბიბლიაზე, თბ., 1989.

ჟღენტი, 1967: ჟღენტი ბ., კონსტანტინე გამსახურდია, „ნაკადული“, თბ., 1967.

რობაქიძე, 1913: რობაქიძე გრ., ერის სული და შემოქმედება, ჟურნალი „ოქროს ვერძი“, N 4, 1913.

სიგუა, 1991: სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, თბ., 1991.

ტაბიძე, 1916: ტაბიძე ტ., ცისფერი ყანწებით, ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, ქუთაისი, 2016.

შუშანია, 1963: შუშანია ე., კონსტანტინე გამსახურდია, „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1963.

*ნესტან სულავა*  
*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*  
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო*  
*უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*  
*საქართველო, თბილისი*  
nestansulava@rambler.ru, 599 723 488

## **X-XIX საუკუნეების წყაროები ათონის ქართველთა მონასტრის შესახებ**

### *მოკლე შინაარსი*

ათონის ქართველთა მონასტრის დაარსების ისტორიისა და პირველმოდვაწეთა ცხოვრების შესახებ მდიდარი და მრავალფეროვანი წყაროებია შემონახული ქართულ, ბერძნულ და სხვა ენებზე. რაობის თვალსაზრისით გვაქვს ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ისტორიულ-დოკუმენტური თხზულებები და საბუთები, ალაპები, წარწერები, ხატები, ფრესკები. ესენია:

1. უპირველესი წყაროა ათონის კრებულის სახელით ცნობილი ხელნაწერი A-558, რომელიც რამდენიმე განსხვავებული ჟანრის თხზულებებს მოიცავს და „სამახსოვრო წიგნად“ იყო მოაზრებული. ესენია: ათონის მონასტერში შექმნილი „მოსაკსენებელი“, რომლის ავტორია ბასილი ბაგრატის ძე მთაწმინდელი (ვ. კეკელიძე, ე. მეტრეველი, ე. გაბიძაშვილი); ბასილისავე საგალობლები, რომლებიც ეძღვნება წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელებს; წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც ცალკე უნდა დასახელდეს, რადგან ყველაზე სრულყოფილად სწორედ ის მოგვითხრობს ათონის ქართული მონასტრის დაარსების ისტორიას და მისი დაარსების მიზანდასახულობას.

2. წმ. გიორგი მთაწმინდელის (1009-1065 წწ.) ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“, რომელიც 1042-1044 წლებში შეიქმნა;

3. ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისაჲ“,

რომელიც 1066-1068 წლებში გიორგი მცირემ გიორგი შეყენებულისა და იოვანე ჭყონდიდელის დაკვეთით დაწერა; აქვე უნდა დავასახელოთ წმ. გიორგი შეყენებულის საგალობლები, რომლებიც გიორგი მცირის თხზულების დაწერის შემდეგ შეიქმნა და მიეძღვნა წმ. გიორგი მთაწმინდელს;

4. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ივირონის დაარსებისა და ქართული მონასტრების აშენების შესახებ მოგვითხრობს XVIII საუკუნის I ნახევარში ბერძნულად დაწერილი თხზულება წმ. იოვანეს, წმ. ეფთვიმესა და გიორგი მაშენებლის ათონზე მოღვაწეობის შესახებ. იგი ჩვენამდე მოღწეულია XVIII ს-ის I ნახ-ის 2 ხელნაწერით. თხზულება ქართულად თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო მანანა მაჩხანელმა (მაჩხანელი, 1982);

5. ათონის ივერიის მონასტრის ისტორიის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული „ათონის ივერიის მონასტრის სააღაპე წიგნში“, რომელშიც X საუკუნის ბოლოდან, კერძოდ, იოვანე-თორნიკეს გარდაცვალებიდან, ე. ი. 985 წლიდან მოყოლებული, XVII საუკუნემდე კალენდარული წლის მიხედვით განლაგებული 167 მოსახსენებელია შეტანილი;

6. უნდა დავასახელოთ ათონზე დაცული ქართული და ბერძნული ხელნაწერები, ისტორიული ღირებულების მქონე ისტორიული დოკუმენტები, რომელთა კოლოფონები საკმაოდ მდიდარ და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ათონის ქართული მონასტრის ისტორიის, ქონებრივი ვითარების, საზოგადოდ, მდგომარეობისა და იქაურ ბერ-მონაზონთა ცხოვრების შესახებ;

7. ივირონის მონასტრის ისტორიის აღსადგენად ერთ-ერთი ძირითადი წყარო სავანის საცავებში დაცული ძველი ბერძნული აქტებია, რომელთა შორისაა ბიზანტიის იმპერატორების კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (946 და 957/8), რომანოზ II-ის (960), ბასილი II ბულგართმძუსვრელის (979/980), XI ს. იმპერატორების, კონსტანტინეპოლის პატრიარქების, ბიზანტიელი სასულიერო და სხვა საერო მოღვაწეთა მიერ გაცემული დოკუმენტები, რომელთა უმეტესობა დედნის სახითაა შემონახული. მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია პარიზში გამოცემული ივირონის აქტების ოთხტომეული, რომელიც ფრანგი და ქართველი მეცნიერების მიერ მომზადდა. გამოცემას ერთვის ცნობილი ფრანგი ბიზანტიანისტი ჟაკ ლეფორის ნარკვევი. 2008 წელს თბილისში

ივირონის აქტების ქართული თარგმანის ოთხტომეული გამოიცა (ივირონის აქტები ოთხ ტომად, 2008);

8. ივირონის მონასტრის X-XI საუკუნეებისა და უფრო მოგვიანო ისტორიის შესახებ ცნობები შემონახულია ათონის სხვა მონასტრების დოკუმენტებში, კერძოდ, წმ. ათანასე მთაწმინდელთან დაკავშირებულ მასალებში, აგრეთვე, რამდენიმე ბიზანტიურ და ქართულ ქრონიკაში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“, გიორგი კედრენეს საისტორიო თხზულებაში, იოანე სკილიცას „ქრონოგრაფიაში“ და სხვ.

9. 1511-1674 წლებით თარიღდება ბერძნულად დაწერილი თხზულება „თხრობა ივერთა უმშვენიერესი მონასტრის შესახებ“, რომელიც ყველა მონაზონმა აუცილებლად უნდა იცოდეს“, ე.ი. ქრონიკა, რომელიც XVIII საუკუნეში ქართულად ითარგმნა და შეივსო. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილის ავტორად მითითებულია ვინმე იერომონაზონი თევდოსი. კ. კეკელიძის აზრით, შესაძლოა იგი ქართველი ყოფილიყო, მასში 1259-1264 წლების ივირონის მონასტრის მოვლენები მოკლედაა აღწერილი; მეორე ნაწილის თხრობა პირველ პირშია წარმართული და ავტორი კონსტანტინეპოლიდან გამოსული ნეოქორონის მკვიდრი ბერძენი იერემიაა, იგი 1592-1626 წლების ამბებს ასახავს; მესამე ნაწილის ავტორიც ბერძენია და აღწერს 1659-1674 წლების ამბებს. XIX ს. ბოლოს „ქრონიკა“ გამოაქვეყნა ბერძენმა ისტორიკოსმა მ. გედეონმა, 1947-1955 წლებში შეისწავლა და გამოსცა კ. კეკელიძემ, რომელმაც ივირონის მონასტრის წინამძღვართა სია XVII ს-მდე სწორედ ამ წყაროს საფუძველზე შეადგინა;

10. XVIII-XIX საუკუნეების მოღვაწეების, გრიგოროვიჩ-ბარსკის, ტიმოთე გაბაშვილის, იონა გედევანიშვილისა და სხვათა სამოგზაურო ჟანრის თხზულებები. ცალკე უნდა აღინიშნოს არქიმანდრიტ პორფირი უსპენსკის ნაშრომი, რომელიც 1845 წელს ივირონის მონასტერში ყოფნის შედეგად შეიქმნა; XIX საუკუნის დამლევს ათონზე იმყოფებოდა პეტრე კონჭოშვილი, რომლის ნაშრომიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის.

დასახელებულ პირველწყაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ათონის ივერთა და სხვა ეროვნების ხალხთა მონასტრების ისტორიის, არამედ საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიის, ქართულ-ბიზანტიური პოლიტიკური,

სამწერლო-ლიტერატურული ურთიერთობების, შუა საუკუნეების ქართული და ბიზანტიური სამყაროს სამონასტრო ცხოვრებისა და წესდებების შესასწავლად, ივერთა მონასტრის ისტორიის, განსაკუთრებით, მისი ადრეული პერიოდის საკვლევად.

**საკვანძო სიტყვები:** ივირონი, წყარო, ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ისტორიულ-დოკუმენტური თხზულებები, საბუთები, ალაპები, წარწერები.

*Nestan Sulava*

*Doctor of Philological Sciences, Professor,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,  
Samtskhe-Javakheti State University,  
Tbilisi, Georgia  
nestansulava@rambler.ru, 599 723 488*

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თბილისი, საქართველო*

## **X-XIX CENTURIES SOURCES ABOUT ATHONITE'S GEORGIAN MONASTERY**

### *Abstract*

Regarding the establishment and public figures of Athonite monastery there are rich and interesting sources in Georgian, Greece and other languages. There too many hagiographical, hymnographical, historical writings, inscriptions, icons, documents.

1. The first manuscript is so called Athoni's collection manuscript Ath.558, which is the combination of different stories from different genres and was considered as a memorable book. The books this collection consists are: „memory“ created in the Athonite monastery, author Basili from Bagrat Mtatsmindeli- Athonite (K. Kekelidze, E. Metreveli, E. Gabidzashvili). In the hymns from Basili, which is dedicated to Saint Ioan and Epthvime from Athon, hagiographical works of Saint Giorgi Mtatsmindeli- Athonite, which must be mentioned separately for the reason that this story tell details about



the establishment of the Athoni's Georgian monastery and the tell about the aim of the monastery.

2. The second one is the hagiographical work of Saint Giorgi Mtatsmindeli- Athonite (1009-1065) „life of Ioan and Ephtvime and valuable life of them said by the beggar Giorgi Khutsesmonazoni“ which was written 1042-1044 years.

3. Hagiographical writing „life and citizenship saint Giorgi Mtatsmindeli“ which was written in 1066-1068 years by Giorgi Mtsire and was ordered by Ioan Tch kondideli. We have to mention hymns by Saint Giorgi Shekenbuli which were written after Giorgi Mtsire's stories and were dedicated to the Saint Giorgi Mtatsmindeli- Athonite.

4. According the Georgian sources about the establishment of Ivironi and about the Georgian monasteries there are sources from XVIII century's first half period, this is the story written in Greece about the activities of Saint Ioane, Ephtvime and Giorgi. These two manuscripts of this story we have from the second half of XVIII century. This story was translated, summarized with comments by Manana Machkhaneli (Machkhaneli, 1982).

5. Important sources about the history of Iveria's monastery we have in the “Memorable book from Athoni” in which from the X century (from 985 years) until XVII century there are kept 167 memorable stories.

6. We have to mention manuscripts kept in Georgian and Greece languages in Athon, historically valuable documents keeping important information about the life and value, condition and incomes of the monks living in the monastery.

7. To restore the history of the Ivironi monastery the main importing source kept in archives of the monastery, within them there are documents of Emperors: Konstantine VII (946 and 957/8), Romanoz II (960), Basili II (979/980), Emperors from XI century, patriarches, holy fathers from Bizantium and other documents. Most of abovementioned documents are in original language and they have great value. In Paris it was published four volumes of the Ivironi's materials which has great scientific value. It was added special essay outline prepared by Jak Lefore. In 2008 in Tbilisi it was published Georgian version of this book (Ivironi materials in four volume, 2008).

8. About the X-XI and more ancient history of Ivironi monastery materials kept in another monasteries from Athoni. For example: materials dedicated to Saint Atanase Mtatsmindeli, in some Georgian and byzantium,

in the „life of Kartli“, in historical writing of Giorgi Kedrene, in „chronology“ by Ioane Skilitza.

9. All monks have to know the story about „Iverioni’s beauty Monastery“ (1151-1674) chronics which was translated and filled in XVIII century. It consist four main parts: the author of the first part is someone Monk Teodos, K. Kekelidze thinks that monk can be Georgian. In the story about Teodos the facts about the Ivirioni monastery kept of 1259-1264 years. In the second part of the story is written by Ieremia from Greece, this author describes facts of 1592-1626 years. The author of third part also from Greece, and gives details of 1659-1674 years. At the end of XIX century „chronics“ were published by Greece author Gedeon, in 1947-1955 years by K. Kekelidze was published the list of Ivirioni public figures which was collected on the base of the abovementioned “chronic” (K. Kekelidze).

10. Some other travelling genres from XVIII-XIX centuries by Grigorovich-Barski, Timote Gabashvili, Iona Gedevanishvili and others. Separately must be mentioned works by Uspenski, which was written 1845 when he was in Ivirioni (Uspenski). At the end of XIX century in Athons travelled Petre Kontchoshvili, his working consists important references (Kontchoshvili).

Abovementioned stories have main value not only for Athonite monastery but also for the history of other nation’s monastery life. For the history of Georgian and Byzantium political, literary collaboration, for the history of monastery life of Georgian and Byzantium, for the history Iveroni especailly for the early period life.

**Key words:** Ivirion,Source, hagiographical, hymnographical, historical writings, Memorable book, inscriptions.

**მიზანი.** ათონის ქართველთა მონასტრის წყაროების შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, რომლებშიც გარკვეულია მათი მნიშვნელობა ივირონის მონასტრის ისტორიისათვის. სტატიის მიზანია ათონის ქართველთა მონასტრის შესახებ არსებული განსხვავებული ჟანრის თხზულებების, კოდიკოლოგიური მონაცემების, დოკუმენტური მასალის მნიშვნელობის განსაზღვრა, მათი კლასიფიკაცია და დაჯგუფება წყაროთმცოდნეობითი კვლევის უკეთ წარსამართად.

**კვლევის მეთოდი.** ნაშრომში გამოყენებულია კვლევის მულტი-დისციპლინური მეთოდები, ძირითადად, ისტორიულ-შედარებითი, ანალიტიკური და ჰერმენევტიკული კვლევის მეთოდები, რათა დაზუსტდეს ათონის ქართველთა მონასტრის წყაროების მნიშვნელობა, რაობა, რაგვარობა თვით ქართველთა მონასტრის მისიის უკეთ გამოსავლენად ქართული და დასავლური, კერძოდ, ბიზანტიური სამყაროს წინაშე.

**შესავალი.** პირველწყაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, საზოგადოდ, ყველა ქვეყნის ისტორიის, ლიტერატურის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებისა და სხვა ინსტიტუციათა ისტორიაში. მათ შორისაა ათონის ივირონისა და სხვა მონასტერთა ისტორიის შესწავლის, საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიის, ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების, შუა საუკუნეების ქართული და ბიზანტიური სამყაროს სამონასტრო ცხოვრების და წესდებების წყაროთმცოდნეობითი კვლევა. ივერთა მონასტრის ისტორიის, განსაკუთრებით კი მისი ადრეული, პირველმოღვაწეთა აქტიურობის, ინტენსიური მუშაკობის პერიოდის, შესასწავლად და საკვლევად წყაროთმცოდნეობის როლი მეტად დიდია.

**მსჯელობა.** ათონის ქართველთა მონასტრის დაარსების ისტორიისა და პირველმოღვაწეთა ცხოვრების შესახებ მდიდარი და მრავალფეროვანი წყაროებია შემონახული ძირითადად ქართულ და ბერძნულ, აგრეთვე, სხვა ენებზეც. რაობის თვალსაზრისით გვაქვს ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ისტორიულ-დოკუმენტური თხზულებები და საბუთები, აღაპები, წარწერები, ხატები, ფრესკები. ესენია:

1. უპირველესი წყაროა ათონის კრებულის სახელით ცნობილი ხელნაწერი A-558, რომელიც რამდენიმე განსხვავებული ჟანრის თხზულებებს მოიცავს და „სამახსოვრო წიგნად“ იყო მოაზრებული. ესენია: ათონის მონასტერში შექმნილი „მოსაქსენებელი“, რომლის ავტორია ბასილი ბაგრატიის ძე მთაწმინდელი (კ. კეკელიძე, ე. მეტრეველი, ე. გაბიძაშვილი); ბასილისავე საგალობლები, რომლებიც ეძღვნება წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელებს; წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც ცალკე უნდა დასახელდეს, რადგან ყველაზე სრულყოფილად სწორედ ის მოგვითხრობს ათონის ქართული მონასტრის დაარსების ისტორიას და მისი დაარსების მიზანდასახულობას. სამეცნიერო

ლიტერატურაში გარკვეულია, რომ 1074 წლის „ათონის კრებული“ საგანგებო მიზანდასახულობითაა შედგენილი, კერძოდ, მისი პირველი, მიქაელ დაღალისონელისეული რედაქცია შეიქმნა ათონის ქართველთა ლავრაში უკვე განმტკიცებული წმ. ეფთვიმეს კულტის წერილობით მოწმობად. ელენე მეტრეველმა მიქაელის ანდერძზე დაყრდნობით, რომელშიც ჩამოყალიბებულია კრებულის დანიშნულება და დაერთვის ეფთვიმეს თარგმნილ თხზულებას „ცხოვრებად და ქადაგებად იოანე ღმრთისმეტყველისა“, განსაზღვრა კრებულის პირველი რედაქციის მიზანდასახულობა. ანდერძი მიუთითებს, რომ კრებული ეფთვიმეს, ქართველთა განმანათლებელს, ახალ ოქროპირს მიემდვნა (მეტრეველი, 1998: 33). ათონის ხსენებული კრებული შეიქმნა გიორგი ოლთისარის ზეობის წლებში (1066 – 1080 წწ.) მისივე ინიციატივითა და ამავე მონასტრის ძმების – იაკობ მღვდლისა და ზოსიმე ჰიმნოგრაფის თანადგომით. კრებულის პირველი, დაღალისონელისეული რედაქციის უშუალო ინიციატორი და რედაქტორი იაკობ დეკანოზია, რომელსაც რედაქტორობა გაუწევია მეორე რედაქციისათვისაც. ამრიგად, ათონელ მოღვაწეთა ჯგუფი იაკობ დეკანოზის, მიქაელ დაღალისონელის, გიორგი ოლთისარისა და ზოსიმე ჰიმნოგრაფის შემადგენლობით იღვწოდა „ათონის კრებულის“ შესაქმნელად. ე. მეტრეველის დასკვნით, „მწიგნობართა ამ ჯგუფს სისრულეში მოუყვანია და განუხორციელებია ამ დროისათვის უკვე მომწიფებული გიორგი მთაწმიდელის ჩანაფიქრი – შექმნილიყო ეფთვიმეს კულტის წერილობითი დადასტურება „ათონის კრებულის“ დაღალისონელისეული რედაქციის სახით“ (მეტრეველი, 1998: 46);

2. წმ. გიორგი მთაწმინდელის (1009-1065 წწ.) ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“, რომელიც წმ. გიორგი შეყენებულის ინიციატივითა და დავალებით შეიქმნა 1042-1044 წლებში (ძეგლები, 1967: 38-100); წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ ამ თხზულების შექმნა ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებელთა შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურული და ისტორიულ-იდეოლოგიური მოვლენა იყო, რადგან მას რამდენიმე მიზანი ჰქონდა: 1. ქართველებს ბერძნებისათვის უნდა

შეხსენებინათ და არასოდეს დაევიწყებინათ ქართველთა უფლებები ივირონზე, რომ მონასტერი ქართველებმა ააშენეს და მათი კუთვნილება იყო, ბერძნებს აქ მხოლოდ შავი სამუშაოების შესასრულებლად თუ შეიყვანდნენ; 2. წმ. იოვანე მთაწმინდელის, წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისა და წმ. გიორგი მთაწმინდელის ღვაწლის დაცალკევება შეუძლებელი იყო, რადგან ისინი ერთმა დიდმა სამღვაწეო საქმემ გააერთიანა, გაამთლიანა, ამიტომ მათი ღვაწლის შედეგიც ერთიანი და განუყოფელია.

3. ჰაგიოგრაფიული თხზულება „ხორება და მოქალაქობაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა“, რომელიც 1066-1068 წლებში გიორგი მცირემ წმ. გიორგი შეყენებულისა და იოვანე ჭყონდიდელის დაკვეთით დაწერა (ძეგლები, 1967: 101-207); აქვე უნდა დავასახელოთ წმ. გიორგი შეყენებულის საგალობლები, რომლებიც გიორგი მცირის თხზულების დაწერის შემდეგ შეიქმნა და მიეძღვნა წმ. გიორგი მთაწმინდელს (მეტრეველი, 1996);

4. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ივირონის დაარსებისა და ქართული მონასტრების აშენების შესახებ მოგვითხრობს XVIII საუკუნის I ნახევარში ბერძნულად დაწერილი თხზულება წმ. იოვანეს, წმ. ეფთვიმესა და გიორგი მაშენებლის ათონზე მოღვაწეობის შესახებ. იგი ჩვენამდე მოღწეულია XVIII ს-ის I ნახევრის ხელნაწერით. თხზულება ქართულად თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო მანანა მაჩხანელმა და გამოაქვეყნა ბერძნულ ტექსტთან ერთად (მაჩხანელი, 1982);

5. ათონის ივერიის მონასტრის ისტორიის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული „ათონის ივერიის მონასტრის სააღაპე წიგნში“, რომელშიც X საუკუნის ბოლოდან, კერძოდ, იოვანე-თორნიკეს გარდაცვალებიდან, ე. ი. 985 წლიდან მოყოლებული, XVII საუკუნემდე კალენდარული წლის მიხედვით განლაგებული 167 მოსახსენებელია შეტანილი (მეტრეველი, 1998);

6. უნდა დავასახელოთ ათონზე დაცული ქართული და ბერძნული ხელნაწერები, ისტორიული ღირებულების მქონე ისტორიული დოკუმენტები, რომელთა კოლოფონები უმდიდრეს და უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდიან ათონის ქართული მონასტრის ისტორიის, ქონებრივი ვითარების, საზოგადოდ, მდგომარეობისა და იქაურ ბერ-მონაზონთა ცხოვრების შესახებ; ესენია

ძირითადად X-XVIII სს. ათონური კოლექციის ხელნაწერთა კოლოფონებში დაცულ ქრონოლოგიურ და პროსოპოგრაფიულ ცნობებსა და ივირონის მონასტერთან დაკავშირებულ სხვა ხელნაწერთა მასალებში შემონახული ინფორმაციები, რომელთა გარეშე ათონის მონასტრის ისტორიის სრულყოფილი შესწავლა გაჭირდებოდა;

7. ივირონის მონასტრის ისტორიის აღსადგენად ერთ-ერთი ძირითადი წყარო სავანის საცავებში დაცული ძველი ბერძნული აქტების კრებული, რომელიც მოიცავს საერო და სასულიერო პირების მიერ ათონის მონასტრისათვის გაცემულ დოკუმენტებს. ესენია: X საუკუნის ბიზანტიის იმპერატორების კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (946 და 957/8), რომანოზ II-ის (960), ბასილი II ბულგართმმუსვრელის (979/980), XI ს. იმპერატორებისა და სხვა სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ გაცემული დოკუმენტები, აგრეთვე კონსტანტინეპოლის პატრიარქების, ბიზანტიელი სასულიერო და საერო მოღვაწეთა საბუთები, კერძოდ, იოანე ხალდის (995), თეოდორე დალასინის (1063), სერის მიტროპოლიტის სტეფანეს (1071), ეზევის ეპისკოპოსის თეოდორეს (1085), ანკვირის მიტროპოლიტის ვავილასის (1300), აგრეთვე, სუმბატ ბაკურიანისა (1090) და მისი მეუღლის, მონაზონ მარიამის (1098), სევასტოს იოანე კომნენოსის (იმპერატორი იოანე II) ე.წ. პრაქტიკონები (1103), სევასტორ დიმიტრი აპელმენეს (1301) და სხვათა მიერ გაცემული დოკუმენტები, რომელთა უმეტესობა დედნის სახითაა შემონახული (სილოგავა, 2009). ამ მხრივ მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია პარიზში გამოცემული ივირონის აქტების ოთხტომეული, რომელიც ფრანგი და ქართველი მეცნიერების მიერ მომზადდა. გამოცემას ერთვის ცნობილი ფრანგი ბიზანტინისტი ჟაკ ლეფორის ნარკვევი. 2008 წელს თბილისში ივირონის აქტების ქართული თარგმანის ოთხტომეული გამოიცა (ივირონის აქტები ოთხ ტომად, 2008);

8. ივირონის მონასტრის X-XI საუკუნეებისა და უფრო მოგვიანო ისტორიის შესახებ ცნობები შემონახულია ათონის სხვა მონასტრების დოკუმენტებში, კერძოდ, წმ. ათანასე მთაწმინდელთან დაკავშირებულ მასალებში, აგრეთვე, რამდენიმე ბიზანტიურ და ქართულ ქრონიკაში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“, გიორგი კედრენეს საისტორიო თხზულებაში, იოანე სკილიცას „ქრონოგრაფიაში“ და სხვ.

9. 1511-1674 წლებით თარიღდება ბერძნულად დაწერილი თხზულება „თხრობა ივერთა უმშვენიერესი მონასტრის შესახებ“, რომელიც ყველა მონაზონმა აუცილებლად უნდა იცოდეს“, ე. ი. ქრონიკა, რომელიც XVIII საუკუნეში ქართულად ითარგმნა და შეივსო. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილის ავტორად მითითებულია ვინმე იერომონაზონი თევდოსი. კ. კეკელიძის აზრით, შესაძლოა იგი ქართველი ყოფილიყო, მასში 1259-1264 წლების ივირონის მონასტრის მოვლენები მოკლედაა აღწერილი; მეორე ნაწილის თხრობა პირველ პირშია წარმართული და ავტორი კონსტანტინეპოლიდან გამოსული ნეოქორიონის მკვიდრი ბერძენი იერემიაა, იგი 1592-1626 წლების ამბებს ასახავს; მესამე ნაწილის ავტორიც ბერძენია და აღწერს 1659-1674 წლების ამბებს. XIX ს. ბოლოს „ქრონიკა“ გამოაქვეყნა ბერძენმა ისტორიკოსმა მ. გედეონმა, 1947-1955 წლებში შეისწავლა და გამოსცა კ. კეკელიძემ, რომელმაც ივირონის მონასტრის წინამძღვართა სია XVII ს-მდე სწორედ ამ წყაროს საფუძველზე შეადგინა (კეკელიძე, 1955);

10. XVIII-XIX საუკუნეების მოღვაწეების, გრიგოროვიჩ-ბარსკის, ტიმოთე გაბაშვილის, იონა გედევანიშვილისა და სხვათა სამოგზაურო ჟანრის თხზულებები. ვ. გ. გრიგოროვიჩ-ბარსკიმ 1744 წელს ათონზე პირველმა იმოგზაურა და გაეცნო ივირონის არქივებს. XIX საუკუნეში ეპისკოპოსმა პორფირიმ [უსპენსკი], ი. მიულერმა, შ. ვ. ლანგლუამ, ზ. ცახარიე ფონ ლინგენტალმა, მიტროპოლიტმა ევლოგიმ (კურილასი), აგრეთვე სხვებმა, შეისწავლეს და გამოსცეს ივირონისა და ათონის სხვა მონასტრების აქტები (სილოგავა, 2009). მათგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს 1845 წელს ივირონის მონასტერში არქიმანდრიტის, ეპისკოპოს პორფირი უსპენსკის მოღვაწეობა, მან აღწერა ათონის მონასტრის ხელნაწერები, შეისწავლა ისინი კოდიკოლოგიურ-ტექსტო-ლოგიური თვალსაზრისით და გამოაქვეყნა მონუმენტური მონოგრაფია „История Афона“ (უსპენსკი, 2007). XVIII-XIX სს. წყაროები ძირითადად სამოგზაურო შენიშვნები, მოგზაურთა და მკვლევართა ცნობებია. XIX საუკუნის ბოლოს ათონზე იმყოფებოდა პროტოიერევსი პეტრე კონჭოშვილი, რომლის ნაშრომიც „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ“ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის (კონჭოშვილი, 1901).

11. ცალკე უნდა დასახელდეს ათონზე დაცული ხატები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ათონის, არამედ მთელი მართლმადიდებლური სამყაროს უდიდესი სიწმინდე ივირონის კარის ღვთისმშობლის ხატი – პორტაიტისა, ფრესკები და მათზე შესრულებული წარწერები, საეკლესიო ნივთები, რომლებიც ათონის მონასტრის ისტორიის მოწმენი არიან, თვით ტაძრები, ივირონის სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც მთელ ათონზე გამორჩეული ადგილი უჭირავს;

12. XX-XXI საუკუნეებში ამას დაემატა აუდიო-ვიდეო მასალა, რომელშიც შედის ფოტომასალა, დოკუმენტური ფილმები, ფონოგრამები, დღიურები, ჩანაწერები და სხვ.

გვაქვს ზეპირი გადმოცემები ათონის მონასტრის შესახებ, რომლებშიც, შესაძლოა, რაიმე ისტორიული მოვლენისა თუ ფაქტის შესახებაც იყოს ცნობა დაცული, თუმცა უტყუარ საბუთად ვერ გამოდგება.

დასახელებულ პირველწყაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ათონის ივერთა და სხვა ეროვნების ხალხთა მონასტრების ისტორიის, არამედ საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიის, ქართულ-ბიზანტიური პოლიტიკური, სამწერლო-ლიტერატურული ურთიერთობების, შუა საუკუნეების ქართული და ბიზანტიური სამყაროს სამონასტრო ცხოვრებისა და წესდებების შესასწავლად, ივერთა მონასტრის ისტორიის, განსაკუთრებით, მისი ადრეული პერიოდის საკვლევად. წყაროთმცოდნეობითი კვლევა ძირითადად მატერიალურ მასალას და ხელნაწერებს ემყარება, რომელთა დამუშავება განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს მკვლევარისაგან.

**ტიპიკონი.** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო ათონის ქართველთა მონასტრის შესახებ წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ შედგენილი ტიპიკონია. ჯერ კიდევ წმ. იოვანე მთაწმინდელის სიცოცხლეში წმ. ეფთვიმემ დაამუშავა და შეიტანა მონასტრის ბერმონაზონთა ყოველდღიურ ცხოვრებაში „წესნი და განგებანი“, საიდანაც წმ. იოვანესა და წმ. ეფთვიმეს „ცხოვრებაში“ ციტირებულია წესდების 42 მუხლი (წესი), იგი წმ. ეფთვიმეს ტიპიკონის ნაწილია და წმ. გიორგი მთაწმინდელმა შეიტანა თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში.



წმ. ეფთვიმეს მიერ შედგენილ „წესზე“ დიდი გავლენა იქონია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საკანონმდებლო კოდექსმა, მცირე სჯულისკანონმა (ნომოკანონი), რომელიც აერთიანებს ბერძნული კანონმდებლობის ძეგლებს, რომლებიც წმ. ეფთვიმემ გადაამუშავა და შეავსო. დავიმოწმებთ ტიპიკონის ზოგიერთ მუხლს, რომელთა მიხედვით განისაზღვრება თითოეული ბერის საქციელი, საქმიანობა, ღვაწლი, მოთხოვნები მონასტრის მართვის პრინციპები.

ივირონის მონასტრის თანამდებობათა შორის განსაკუთრებული უფლებამოსილება ჰქონდათ სკევოფილაქსს, კელარსა და იკონომოსს. სკევოფილაქსი სამონასტრო ქონებას განაგებდა, იცავდა საეკლესიო ქონებასა და მონასტრის დოკუმენტაციას, უძღვებოდა სხვა მონასტრებთან და კერძო პირებთან საურთიერთო ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობას. გრამატევსი (მდივანი) ბერ-მონაზონთა შეკრებისას ადგენდა სხდომის ჩანაწერებს, ოქმებს, დამსწრეთა და მცხოვრებთა სიებს, აწარმოებდა მიმოწერას. კელარისა და მისი დამხმარეების საქმიანობაში შედიოდა ძირითადად სამეურნეო საქმიანობის წარმართვა, კერძოდ: ღვინის დამზადება, ბელის, ბაღების და წისქვილების მოვლა, აგრეთვე მეტოქი მონასტრებიდან ათონის მონასტერში მარცვლეულის, ხილის, ზეთის, კაკლის შემოტანა და სავანეში პროდუქტების განაწილება. იკონომოსი ან ხუცესთა საბჭო მონასტერს მართავდა ილუმენის მონასტერში არყოფნის ან ავადმყოფობის დროს, აგრეთვე მისი გარდაცვალებიდან ახლის არჩევამდე. ილუმენი ბერ-მონაზონთა საბჭოსთან ერთად განიხილავდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებს; ნაკლებმნიშვნელოვანს, რაც სამონასტრო მეურნეობის ყოველდღიურ ყოფას შეეხებოდა, იკონომოსი განაგებდა და აწესრიგებდა. იკონომოსის თანაშემწე მონასტრის ქონებას, ფეხსაცმლის სახელოსნოებს, თავლას, სამჭედლოს, ვენახს განაგებდა, მიწისმოქმედთ, მწყემსებს, ქვის დამმუშავებლებს, მევენახეებს, მეზღვაურებს ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, მონაზონთა შორის ავეჯ-ჭურჭელს ანაწილებდა.

კათოლიკონის შენახვასა და საღვთისმსახურო საკითხებს ხელმძღვანელობდა ეკლესიარხი (ტიპიკარისი), რომელსაც მნათე ეხმარებოდა. ღვთისმსახურებისას ახალგაზრდა ბერები ცენტრში 2-3 რიგად იდგნენ, უფროსი ასაკისანი – კედლებთან ახლოს, ხოლო

მოხუცს, ავადმყოფს და ხეიბრებს/კუტებს შეემლოთ ნართექსში/სტოაში ყოფნა და ჯდომა. ორი ზედამხედველი, ეპიტირიტისი თვალყურს ადევნებდა დისციპლინას. ღვთისმსახურებისას მკაცრად იკავდნენ სიჩუმეს, თუ რაიმეს თქმა აუცილებელი იყო, ნართექსში გადიოდნენ. ილუმენი ბერმონაზვნებს თავს უყრიდა ტაძარში სამართლებრივი ან ადმინისტრაციული საკითხების გადასაწყვეტად, აგრეთვე, იმპერატორთან გასაგზავნი წერილის განხილვასთან დაკავშირებით.

სატრაპეზოს მართავდა მეტრაპეზე, რომელსაც ეხმარებოდნენ მონაზვნები, მორჩილები, დიაკვანი და ყველა, ვისაც რაიმე განსაკუთრებული საქმე არ ჰქონდა. ტრაპეზობდნენ დღეში ორჯერ, ერთ მაგიდასთან ცხრა კაცი ჯდებოდა, თითოეულთან ერთი მეღვინე უთუოდ იმყოფებოდა. საჭმელს და ღვინოს ილუმენი სინჯავდა. დიდგვაროვან სტუმრებს მონასტრის ზედამხედველი//წინამძღვარი თავის რეზიდენციაში მასპინძლობდა. ავადმყოფებისათვის საკვები ცალკე მზადდებოდა.

პილიგრიმებს მეკარეები იღებდნენ, სამი დღის შემდეგ მათ მონასტრიდან ისტუმრებდნენ, რადგან გარეშე პირთათვის მონასტერში ყოფნა სამ დღეზე მეტხანს ნებადართული არ იყო, იკრძალებოდა (ეს წესი დღემდე სრულდება). სამშენებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ეპისტატი, რომლის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა 30-40 მუშახელი, მათ შორის საერო პირიც შეიძლება ყოფილიყო.

მონასტრიდან მონასტერში შესვლა-გადასვლის მსურველს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ცნობილი პიროვნების დახასიათება//შეფასება. სხვა მონასტრის ბერმონაზვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუ ეს უკანასკნელი წარადგენდა ძველი მონასტრის ილუმენის წერილობით თანხმობას. მონასტერში შესვლისას მდიდარი ბერი ვალდებული იყო ნახევარი სავანისთვის გადაეცა, ხოლო მეორე ნახევარს მონასტერი მის სახელზე ინახავდა. ბერს ეკრძალებოდა თავისი ნებით სამოსლის ყიდვა (ახალმოსულს აუცილებელი და საჭირო ყველა ნივთი ან სამოსელი მონასტრიდან ეძლეოდა); „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ წმ. ეფთვიმემ რამდენჯერმე დააწვევინა ის სამოსელი, რომელიც ბერს მისი კურთხევის გარეშე ჰქონდა შეძენილი. ბერებს ეკრძალებოდათ სენაკში ნავთის ლამპის შეტანა (სავარაუდოდ, ხანძრის თავიდან ასაცილებლად),

სენაკში მათ ერთზე მეტი ჯვრისა და ხატის ქონის უფლება არ ჰქონდათ, რათა ტაძარში ყველანი ერთად შეკრებილიყვნენ და წირვა-ლოცვას ერთად დასწრებოდნენ. სკრიპტორიუმში მკითხველებსა და გადამწერებს მხოლოდ აუცილებელი რაოდენობის ზეთი ეძლეოდათ. ყველაზე მკაცრი სასჯელი ცრუმოწმეობისათვის იყო დაწესებული: სიცრუეში შემჩნეულ ბერს მონასტრიდან სამუდამოდ ამევებდნენ.

ბერმონაზვნები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფოდნენ შემდეგი პრინციპით: 1. ბერების ნაწილი ყოველდღიურად ფიზიკურად შრომობდა; 2. მღვდლები, მეფსალმუნეები ან არქიელები, რომლებიც ლიტურგიას ადასრულებდნენ. ბერმონაზვნები, რომლებსაც მოწაფეები ჰყავდათ, ძირითადად სენაკებში ცხოვრობდნენ და მონასტრიდან ღებულობდნენ საკვებს (ღვინო, ზეთი, ყველი და პური). წმ. გიორგი მაშენებელმა გააუქმა იმ ბერებისათვის საკვების მიცემის პრაქტიკა, ვინც მონასტერში არ ცხოვრობდა, თუმცა ეს წესი შემდეგში ისევ აღადგინეს. განდეგილებს მონასტერში ყოველდღიურად შეეძლოთ პურის მიღება (ზოგი მათგანი ათონის სანახებში იმყოფებოდა, მაგ., კარავას სენაკებში). კვირა დღეს ისინი ძმობის სხვა ბერმონაზვნებთან ერთად ლოცულობდნენ და ტრაპეზობდნენ.

ბერმონაზონთა ახალგაზრდა ნათესავებს, რომელთაც სურდათ ბერად აღკვეცა, შეეძლოთ ათონის მონასტრის ფარგლებს გარეთ დამკვიდრებულიყვნენ, სადაც იკონომოსი მათ გააცნობდა რწმენის საფუძვლებს და ასწავლიდა ხელოსნობას (იქ მისული ყველა პირი ბერი არ ხდებოდა). სწორედ ამ ჩვეულებით ხსნიან ქალკედონის ნახევარკუნძულზე ივირონის მონასტრის სამფლობელოში მცხოვრები გლეხებიდან ერთი ქართველის სახელს – მოსე ივერი (ქართველი), რომელიც დამოწმებულია სევასტოს იოანე კომნენოსის (შემდეგში – ბიზანტიის იმპერატორი იოანე II) სამეურნეო ჩანაწერებში.

ათონის მონასტრის, ივირონის, ტიპიკონი მკაცრი იყო. შესაძლოა ტიპიკონის სიმკაცრესა და ძმათა მხრიდან უკმაყოფილებასთან ყოფილიყო დაკავშირებული ივირონში წმ. ეფთვიმეზე ორგზის თავდასხმა.

**ივირონის საცავი და ბიბლიოთეკა.** ივირონის მონასტრის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროა მონასტრის მდიდარი

ბიბლიოთეკა, რადგან აქ დაცულ ხელნაწერთა უმეტესობა სწორედ ივირონშია დაწერილი ან გადანუსხული. ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკაში ბერძნულ, ქართულ და სხვა ენებზე დაცულია X-XV სს. ხელნაწერები და დოკუმენტები, ნაბეჭდი წიგნები. საზღვარგარეთ დაცული ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექცია ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკაშია დაცული. კერძოდ, აქ ინახება ღირსი მამის იოანე-თორნიკეს დაკვეთით ოშკის მონასტერში 978 წელს გადაწერილი ბიბლია 2 ტომად; 913 წელს ოპიზაში გადაწერილი ოთხთავი და სხვ. ივირონის ერთ-ერთი ხელნაწერი შეიცავს იოანე მოსხის თხზულების „ლიმონარის“ უმველეს რედაქციას.

ივირონის მონასტერში დაცული სხვადასხვა ენაზე შედგენილი დოკუმენტების და გადაწერილი ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციის უდიდესი ნაწილი დედნის სახითაა მოღწეული. იმ მოგზაურთა და მკვლევართაგან, რომლებიც ივირონის არქივსა და საცავებს გაეცნენ და აღწერეს, ზუსტი ცნობები პირველად გრიგოროვიჩ-ბარსკიმ მოიპოვა. 1744 წელს მან მხოლოდ თორმეტიოდე საბუთი ნახა, მას მონასტერში მხოლოდ ესენი აჩვენეს. მათ შორის იყო ბერძნულენოვანი ბიზანტიური ექვსი საბუთი. ესენია: 1. იოანე VI კანტაკუზენის ოქრობეჭედი ოქროს ბეჭდით 1351 წლისა; 2. მისივე სხვა ოქრობეჭედი იმავე წლით დათარიღებული; 3. სტეფან (დუმანის) ოქრობეჭედი ოქროს ბეჭდით, დათარიღებული 1357 წლით; 4. იოანე V პალეოლოგის ოქრობეჭედი, 1357 წ. აგვისტო; 5. მიხეილ IX პალეოლოგის ოქრობეჭედი 1310 წ. აგვისტო; 6. ანდრონიკე II პალეოლოგის ოქრობეჭედი, დათარიღებული 1283 წლით. 1846 წელს პორფირი უსპენსკიმ გადაწერა არქივში დაცული ოცდაათამდე ხელნაწერი, რომელთაც „ივირონის აქტების“ გამომცემელ-მკვლევრები „უსპენსკის ასლებად“ იხსენიებენ. 1847 წელს გამოქვეყნებულ აქტების კატალოგში მითითებულია ივირონის არქივის ორმოციოდე ბერძნული საბუთი. თუმცა, მან ის ხელნაწერებიც მიუთითა, რომლებიც ივირონში არაა დაცული (სილოგავა, 2009).

1971-1977 „ივირონის აქტების“ გამომცემლებმა და მკვლევარებმა აღწერეს 130 საბუთი, რომელთა უმეტესობა ძალიან ძველია, რაც მათი ღირებულების განსასაზღვრად მეტად მნიშვნელოვანია. 1985-1995 ჟაკ ლეფორმა, ნიკოლაოს იკონომიდისმა, დენიზ პაპახრისანთუმ ელენე მეტრეველის თანაავტორობით ფრანგულ ენაზე

განახორციელეს ივირონის აქტების დიპლომატიკური გამოცემა, რაც საეტაპოდ შეიძლება იქნას მიჩნეული ათონის ივირონის მონასტრის ისტორიის, საცავების, ხელნაწერების კვლევის საქმეში; მისი სრული ქართული თარგმანი ოთხ ტომად 2008 წელს გამოქვეყნდა. საცავში ინახება ქართველ სასულიერო და საერო პირთა, ბიზანტიის იმპერიის წარჩინებულ პირთა მიერ ივირონისათვის ნაწყალობევი თუ ბოძებული მონასტრისათვის აუცილებელი ლიტურგიული დანიშნულების ნივთები, რომელთა ნაწილი ძვირფასი ლითონებისგანაა დამზადებული.

**ივირონის ქართული ხელნაწერების** პირველი ჩამონათვალი (ეს არაა კატალოგი) შეადგინა იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის (1789-1810), სულიერმა მოძღვარმა, ღირსმა მამამ ილარიონ ქართველმა, რომელიც ათონზე მოღვაწეობდა ტრაპიზონში მეფის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში. 1849 წელს ქართველმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა ათონზე სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას შეადგინა ათონის ქართული 39 ხელნაწერის აღწერილობა (S-3061), რომელიც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. 1883 წ. სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ცაგარელი ეწვია იერუსალიმსა და ათონს ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად და აღწერა 86 ხელნაწერი, 6 ნაბეჭდი წიგნი, რის საფუძველზეც 1886-1889 წწ. გამოსცა „ცნობები ქართული წერილობითი ძეგლების შესახებ“ სამ ტომად, რომელშიც განთავსებულია ივირონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის კატალოგი. 1898 წ. რუსეთის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიამ ათონზე ნ. პ. კონდაკოვის მეთაურობით წარგზავნა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელმაც მასში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია ნიკო მარი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდა ათონის მონასტრის ქართულ ხელნაწერებს. რამდენიმე თხზულება ათონური ხელნაწერიდან 1892 წ. ათონზე ყოფნის შემდეგ გამოსცა ა. ხახანაშვილმა. ათონური ქართული ხელნაწერის პირველი სისტემატური აღწერილობა-კატალოგი შეადგინა ამერიკელმა ქართველოლოგმა და ბიზანტინისტმა რობერტ ბლეიკმა. 1982 წ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა მიიღო კინორეჟისორ გურამ პატარაიასა და მკვლევარ ავთანდილ მიქაბერიძის მიერ გადაღებული ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები, რამაც შესაძლებელი გახა-

და მათი მეცნიერული აღწერილობის შედგენა. ამ საქმის აღსრულება იკისრა მეცნიერთა ჯგუფმა ელენე მეტრეველის ხელმძღვანელობით. გამოიკა ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის რამდენიმე ტომი. 2000 წ. ათონის სკრიპტორიუმის მანამდე აღუწერიელი ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტები გამოავლინა ვალერი სილოგავამ, რის შედეგადაც ათონის ქართულ ხელნაწერთა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა (სილოგავა, 2000).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოგზაურთა ჩანაწერების, შთაბეჭდილებების გამოცემებს, რომელთაგან უნდა დავასახელოთ ქართული სამოგზაურო ჟანრის ერთ-ერთი წარმომადგენლის, სასულიერო პირის, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვანი“ (გაბაშვილი, 1956), რომელიც ელენე მეტრეველმა გამოსცა.

**დასკვნები და შედეგები.** ამრიგად, ათონის ქართული მონასტრის, ივირონის, საღვთისმეტყველო-ლიტერატურულმა სკოლამ უმდიდრესი ხელნაწერული კოლექცია შემოგვინახა. ათონის მონასტრის დაარსებისა და თანდათანობითი მოღვაწეობის თითქმის უწყვეტი პროცესის შესახებ მოგვითხრობენ მრავალფეროვანი წყაროები: საისტორიო-დოკუმენტური, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული თხზულებები ქართულ და ბერძნულ ენებზე, რომელთა მნიშვნელობა განუსაზღვრელია ქართული და ბიზანტიური მწერლობის, ქართული და მახლობელი აღმოსავლეთის ეკლესიების, მათი ურთიერთობების ისტორიის შესასწავლად.

**წყაროები:**

ათონის კრებული, 1901: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ალაპებით, საეკლესიო მუზეუმის გამოც., ტფილისი, 1901;

ანტონ ბაგრატიონი, 1980: ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1980

გაბაშვილი, 1956: ტ. გაბაშვილი, მიმოსლვანი, ელ. მეტრეველის გამოც., თბ., 1956;

გედევანიშვილი, 1852: ი. გედევანიშვილი, მოგზაურობა, თბილისი, 1952.

გრიგოროვიჩ-ბარსკი, 1887: В. Г. Григорович–Барский, Странствования Василия Григоровича-Барского по местам Востока с 1723 по 1747 гг. Ч. 3, СПб., 1887.

ივირონის აქტები, I-IV, თბილისი, 2008.

მაჩხანელი, 1982: იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, მ. მაჩხანელის გამოც., თბ., 1982.

უსპენსკი, 2007: П. Успенский, История Афона, 2-ое изд., СПб., 2007.

ძეგლები, 1967: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევამ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., „მეცნიერება“, 1967.

Actes d' Iviron, 1-4, 1985-1995;

Actes de Kutlumus, 1988, №15, 16;

Actes de Laura, 1970, Vol. 1. №29;

Actes de Xeropotamou, 1964, Vol. 1. №6;

Actes du Pantocrator, 1991, Vol. 1. №14;

Actes de Saint-Panteleemon, 1982, Vol. 1. №13;

Actes de Vatopedi, 1988, №15, 16.

### **ლიტერატურა:**

კეკელიძე, 1960: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1960.

კეკელიძე, 1955: კ. კეკელიძე, ქართველთა ლიტერატურული ცენტრების მიტაცება ბერძენთა მიერ ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-17 სს. ეტიუდები, 3, თბილისი, 1955;

ლოლაშვილი, 1982: ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982;

მენაბდე, 2014: დ. მენაბდე, ათონის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ისტორია//ათონის ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო სკოლა, თბილისი, 2014.

მეტრეველი, 1996: ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ისტორიიდან, თბილისი, 1996;

მეტრეველი, 1998: ე. მეტრეველი, ათონის მონასტრის სააღაპე წიგნი, თბილისი, 1998.

სილოგავა, 2000: ვ. სილოგავა, ათონის ქართული სიძვე-  
ლეებიდან, ახალციხე, 2000;

სხირტლაძე, 1999: ზ. სხირტლაძე, ივირონის ღვთისმშობლის  
ხატი, თბილისი, 1999;

სილოგავა, 2000: В. Силогава, Ивиرون // Православная Энцик-  
лопедия, т. 21. М., 2009;

Blake R.P., Catalogue of the Georgian Manuscripts in the Cambridge  
University Library: Harvard Theological Review, Vol. XXV, 1932, July, # 3;



*ნათელა მელიქიძე*

*ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,*

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

*საქართველო, ახალციხე*

*natmelikidze@gmail.com, 568 663 327*

**ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის  
სახელმძღვანელოები**

***მოკლე შინაარსი***

სახელმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის, შექმნა მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული, მით უფრო, როცა ეს ეხება არაქართული სკოლების ქართული ენის სახელმძღვანელოებს. მესამე თაობის სასწავლო გეგმა სერიოზულ გამოწვევას გვთავაზობს. საბაზო საფეხურის ქართულის, როგორც მეორე ენის მე-7 და მე-8 კლასის სახელმძღვანელოების ავტორებმა თავი გაართვეს ამ ამოცანას. მოსწავლისათვის წასაკითხ/მოსასმენ ადაპტირებულ ან საგანგებოდ შექმნილ მასალაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნამდვილად არის შინაარსიანი და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული. სტატიაში განხილულია ზოგიერთი საკითხი, რომელმაც ყურადღება მიიქცია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** სტანდარტი, სასწავლო რესურსი, სტრატეგია, ენობრივი სამყარო.

**Natela Melikidze**

*Doctor of Philology, Associate Professor,  
Samtskhe-Javakheti State University,  
Akhaltsikhe, Georgia,  
natmelikidze@gmail.com, 568 663 327*

## TEXTBOOKS FOR THE BASIC LEVEL OF GEORGIAN AS A SECOND LANGUAGE

### *Abstract*

Creating a Textbook as a Basic resource is associated with many difficulties, especially when it concerns the Georgian language textbooks of non-Georgian schools. The third generation curriculum offers a serious challenge. The authors of the 7th and 8th grade textbooks of basic level Georgian as a second language coped with this task. We can say that the material to be read/listened to or specially created for the student is meaningful and selected taking into account the age characteristics. The Article discusses some issues that have attracted attention from the point of view of teaching Georgian as a second language.

**Key Words:** standard, learning resource, strategy, language world.

**შესავალი:** ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტის შესაბამისად, საბაზო საფეხურზე (მე-7- მე-8 კლასები) მოსწავლეები უნდა დაეუფლონ რვა სამიზნე ცნებას: საკომუნიკაციო სიტუაცია, ტექსტის ტიპი და ჟანრი, ტექსტის სტრუქტურა-ორგანიზება, ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობა, ინტერპრეტაცია, გრამატიკა, ენის სწავლების სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები), სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა ანუ მეტაკოგნიცია. სახელმძღვანელოს ავტორები დგანან იმ გამოწვევის წინაშე, რომ სასწავლო მასალა (ტექსტები, იქნება ეს მხატვრული, საინფორმაციო, პრაგმატული, ბიოგრაფიული, მულტიმედიატექსტები თუ სასწავლო მიზნით შედგენილი (დიდაქტიზებული)), ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს, დაკავშირებული იყოს ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან; მოსწავლის რვეულში მოყვანილი სავარჯიშოები მოსწავლეს უნდა უღრმავებდეს ცოდნას ამა თუ იმ თემაზე; მასწავლებლის წიგნში

სათანადო რეკომენდაციებთან (როგორც ვასწავლოთ) ერთად უნდა იყოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს სწავლის პროცესს მიადევნოს თვალი - რამდენად ეუფლება მოსწავლე სწავლის სტრატეგიებს; ასევე გასათვალისწინებელია, რომ სახელმძღვანელოში ყოველი მომდევნო თემა უკავშირდებოდა წინა თემებს და გვიჩვენებდეს სამიზნე ცნებების პროგრესიას.

**მეთოდი:** დაკვირვების მეთოდი, ანალიზის მეთოდი, შედარება-შეპირისპირების მეთოდი.

**მსჯელობა:** საბაზო საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს: ქართულ ენაზე წარმატებული კომუნიკაციის უნარის განვითარებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში ქართული ენის მიზნობრივად და ფუნქციურად გამოყენების უნარის განვითარებას; სხვა კულტურათა დაფასებისა და პატივისცემის უნარის განვითარებას; მათ მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას; სამოქალაქო საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრირების ხელშეწყობას; ენის დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებას. ამ მიზნებზე მუშაობით ქართული, როგორც მეორე ენა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში (სტანდარტი).

ამდენად, საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოთა მაკეტი (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი და მოსასმენი აუდიო-ვიდეომასალა) ფასდება ოთხი მიმართულების მიხედვით: კონტექსტი, ანალიზი, შეფასება და ცოდნის ორგანიზება-ურთიერთდაკავშირება. კონტექსტის მიხედვით - რამდენად მართებულად არის შერჩეული კონტექსტური მაგალითები; ანალიზის მიხედვით მოწმდება სავარჯიშოების რვეულში ცოდნის კონსტრუირებისათვის რამდენადაა მოწოდებული სავარჯიშოები/დავალებები.

ჩვენ შევხებით ზოგიერთ საკითხს იმ სახელმძღვანელოთა მიხედვით, რომლებიც შეესაბამება საბაზო განათლების სტანდარტის მოთხოვნებს. ეს გახლავთ სულაკაურის გამომცემლობისა და გამომცემლობა ინტელექტის დაბეჭდილი წიგნები არაქართული სკოლების მეშვიდე და მერვე კლასისათვის.

მე-8 კლასის სახელმძღვანელოში (ავტორები: ეთერ მესტვირიშვილი და მაია ოღრაპიშვილი) წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ტექსტები, როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული. მოსწავლეები ეცნობიან (მოსასმენი 1, თემა 1) ლუკას წერილს კონფლიქტთან დაკავშირებით, კითხულობენ ელენეს რჩევას (სათანადო ენობრივი მახასიათებლების გამოყენებით), ეს ერთგვარი მაგალითია საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატავად. შემდეგში მოსწავლემ უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრება, რატომ ურჩევს ლუკას რაიმეს (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2001ა, 8). მეტყველების ფუნქციური სტილებიდან მოსწავლის წიგნში გამოყენებულია დისკუსია - მოსწავლე ტექსტის წაკითხვის შემდეგ ეცნობა მზიასა და თემოს პოზიციას საზოგადოების საქციელთან დაკავშირებით, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამ ფაქტისადმი და ასაბუთებს (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2001ა, 10); პოზიციის გამოხატვასა და არგუმენტირებას ეხება დისკუსია მოსწავლის წიგნის მე-15 გვერდზეც.

ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის ცნებასთან დაკავშირებით ავტორებს შერჩეული აქვთ დიალოგი - „სათაფლიაში“ - რომელც მოსწავლეებს აძლევს ცოდნას ქართული რეალიების შესახებ (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 17). ქცევისა და მეტყველების ეტიკეტზე მიანიშნებს ტექსტი „თომას ედისონის წარმატების საიდუმლო“: მოსწავლე დაფიქრდება, რამდენად მისცა მოტივაცია თომასს დედის წახალისებამ, რომ არა დედის გონივრული ნაბიჯი, გახდებოდა ის წარმატებული ადამიანი? მსგავსი მაგალითები ხშირია ცხოვრებაში და მოსწავლე საკუთარ გამოცდილებაზეც საუბრობს. მოსწავლე ტექსტის მიხედვით აკვირდება, რა შეიძლება მოჰყვეს ადამიანის გულგრილობას, „რა ჩემი საქმეას“ ძახილს, რომ რაც არ უნდა გავაკეთოთ, ყველაფერი ბუმერანგით გვიბრუნდება (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 9); ახალ გარემოსთან შეგუება არ არის ადვილი, გული არ უნდა გაიტეხო, აცადო, რომ შეგამჩნიონ „როგორი კეთილი და მეგობრული ხარ“ და ყველაფერი კარგად იქნება (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 8); მდინარეზე ბანაობისას სიფრთხილესა და საჭირო და თუ ვინმემ ცურვა არ იცის, „უნდა მივეხმაროთ, ვასწავლოთ“ (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 12) და სხვ. ტექსტში „ერეკლე და საქართველო“ საუბარია გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ბიჭზე,

რომელიც დაინტერესებულია კულტურითა და ტრადიციებით, მას თბილისში სხვადასხვა ეროვნების მეგობრები ჰყავს, უყვარს ქართული სამზარეულო და დაინტერესებულია საქართველოს ისტორიით (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 24). მოსწავლე ეცნობა უცხოელ მოგზაურებს: მარკო პოლოს, ქრისტეფორე კოლუმბსა და მერი ჰენრიეტა კინგზლის. ამ ტექსტებში ჩანს სამყაროსეული ხედვა: თუ როგორ აღმოაჩინა ქალაქ გენუაში, ღარიბ ოჯახში გაზრდილმა ბიჭმა ამერიკა, როგორ გახდა დიდი მოგზაური (თემა 2, მოსასმენი 3); მერი კინგზლის დაინტერესება აფრიკით მამის ბიბლიოთეკაში წაკითხულმა წიგნებმა განაპირობა, მან ოცნება რეალობად აქცია და დასავლეთ აფრიკაში იმოგზაურა, მასზე წიგნიც დაწერა, რომელიც შემდეგ ბესტსელერად იქცა (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 26). მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს მარკო პოლოს შესახებ ნახონ ფილმი და ისაუბრონ ნანახის შესახებ (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 67). ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ბიოგრაფია მოსწავლეებს ამცნობს, როგორ გადაარჩინა საჰარის უდაბნოში თვითმფრინავით ჩამოვარდნილი ანტუანი და მისი მეგობარი ბედუინმა სიკვდილს (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 27). დღესასწაულებთან დაკავშირებით მოსწავლე ეცნობა საინფორმაციო ტექსტებს, თუ როგორ ხვდებიან ახალ წელს ჩვენში და უცხოეთში, აღმოაჩენს მსგავსება-განსხვავებებს (მე-4 თავი).

ტექსტის ტიპისა და ჟანრის, აგრეთვე ტექსტის სტრუქტურის ცნებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს: ინფორმაციის გაცვლის წერილობითი საშუალება არის წერილის წერა, რომლის ფორმასა და შინაარსზე მოქმედებს სიტუაციური მახასიათებელი; წასაკითხი ტექსტებიდან მოსწავლე იცნობს რა პირადი წერილის ფორმას, უკვე თავად ქმნის მას: რჩევას აძლევს ლუკას (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 8); მოგვიანებით უკვე მოსწავლე წერს წერილს მეგობარს „გადავარჩინოთ დედამიწა“ (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 55). მოსწავლე წინა გაკვეთილებზე გაეცნო დისკუსიის ელემენტებს (პოზიცია, დასაბუთება/არგუმენტი), ამჯერად კი უნდა შეაფასოს საზოგადოების საქციელი (მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 10); დისკუსიის ელემენტების გამოყენებას ექცევა ყურადღება მომდევნო თემებშიც: მრგვალი მაგიდის ფორმატით მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ

რატომ და როგორ დაეხმარებიან დედამიწას (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021ა, 115). სახელმძღვანელოში მოსწავლეებს მიეწოდებათ წასაკითხი დიალოგები, შემდეგში უკვე თავად ქმნიან ასეთ პროდუქტს მეწყვილესთან ერთად (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021ა, 12); მოსწავლე ტექსტიდან „ინტერვიუ გამომგონებელთან“ იგებს კურიოზის მახასიათებლებს, შემდეგში ეძლევა დავალება, რომ თავადაც გაიხსენოს კურიოზი და მოუყვეს თანაკლასელებს (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021, 32). მოსწავლემ იცის ინტერვიუს მახასიათებლები, კორესპონდენტი და რესპოდენტი, ენობრივი მახასიათებლებიც ნასწავლი აქვს, მან უნდა ჩაწეროს ინტერვიუ ცნობილ ადამიანთან (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021ა, 32). მოსწავლემ უნდა დაწეროს იგავი (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021ა, 20), შეურჩიოს სათაური, გააფორმოს სურათით ან ნახატით, ჩასვას ყდაში და აკინძოს; ამის წინაპირობა გახლავთ ის, რომ იცნობს ამ ჟანრს, წაკითხული აქვს „ორმოში ჩაგდებული მეფე“, დახარისხებული აქვს ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი და ამბის დასასრული (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021ბ, 22), იცის, რომ იგავის მთავარი სათქმელი არის იგივე შეგონება, რომლითაც იგავი მთავრდება. მოსწავლემ უნდა მოამზადოს შემეცნებით-საინფორმაციო პოსტერი, მანამდე უნდა მოიძიოს ინფორმაცია რომელიმე ქვეყანაზე, მის ღირსშესანიშნაობებზე (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021გ, 62). მოსწავლემ უნდა გაიხსენოს ერთ-ერთი მოგზაურობა და დაწეროს მოგზაურობის განრიგი (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021ბ, 27).

რაც შეეხება ენის სწავლების სტრატეგიებს: ლექსიკაზე მუშაობისას მოსწავლეები ავსებენ „სიტყვის პირამიდას“, სადაც უნდა ჩაწერონ სიტყვა, შემდეგ - განმარტება და ბოლოს - წინადადება (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021ა, 5); რამდენიმე ტექსტზე მუშაობის შემდეგ კვლავ ავსებენ ლექსიკურ სავარჯიშოებს, ოღონდ ამჯერად უცნობ სიტყვას წარმოგიდგენენ კონტექსტითაც, შემდეგ განმარტავენ საკუთარი აზრით და მხოლოდ ამის შემდეგ მოიძიებენ ლექსიკონში (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021ბ, 21). კითხვის პროცესის დროს მოსწავლეებმა უნდა შეავსონ „ვარაუდების რუკა“ (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021გ, 40); მოსწავლეებმა უნდა დაამზადონ „ხმოვანი წიგნი“ - მანამდე კი ვარჯიშობენ და გაუმჯობესების შემთხვევაში ხელახლა იწერენ აუდიოს

(მესტერიშვილი და ოღრაპიშვილი, 2021გ, 44); მოსწავლეები ქმნიან ხელნაკეთ დინოზავრს და „აცოცხლებენ“ დინოზავრების საზოგადოებას (მესტერიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ა, 14). მოსმენილი ტექსტის მიხედვით („სათაფლია“) მოსწავლეები ავსებენ ცხრილს „სწორია/არასწორია“ (მესტერიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ბ, 16). მოსწავლეები მოსმენილის მიხედვით (თემა 2, მოსასმენი 3: „ქრისტეფორე კოლუმბი“) პასუხობენ დახურულ შეკითხვებს (მესტერიშვილი და ოღრაპიშვილი 2021ბ, 30).

აღნიშნულ სტრატეგიებზე მე-8 კლასის მეორე სახელმძღვანელოში (ავტორები: ნ. არევამე-კოტორაშვილი, ნ. მანია, გ. ჭაუჭიძე, ნ. ჭანკვეტაძე, ი. რობაქიძე, ნ. მიიქელაძე, ზ. ბერაძე, ი. რობაქიძე) შერჩეულია აქტივობები კითხვამდე, კითხვისას და კითხვის შემდგომი ეტაპებისათვის. მაგალითად, მოსწავლეების მითითებით, მოსწავლე აკვირდება ოლიმპიური რგოლების სურათს და საუბრობს რისი ემბლემაა გამოსახული, გამოთქვამს ვარაუდებს ხუთი რგოლის შესახებ, მერე კითხულობს ტექსტს და ადარებს საკუთარ პასუხებს (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 13). საინტერესოა წერის სტრატეგიებზე მუშაობაც: მოსწავლემ ფეხბურთის ჩემპიონატზე საინფორმაციო ტექსტის შედგენამდე უნდა მოიფიქროს, რომელ შეკითხვებს უპასუხებს, უნდა მოიძიოს ინტერნეტიდან საჭირო ინფორმაცია მშობლიურ ან ქართულ ენაზე, უშუალოდ წერის პროცესში ყურადღება უნდა მიაქციოს აზრაცვლად დაყოფის პრინციპს და წერის შემდგომ პრეზენტაციისას სწორად უნდა წარმოთქვას რიცხვითი სახელები (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 19-20); მოსწავლეს სხვადასხვა მიზნით ასმენინებენ ვიდეოჩანაწერს, ჯერ მოსმენილის გაგება-გააზრებაზეა ყურადღება გამახვილებული, შემდეგია სპორტის თემატიკაზე ლექსიკური ერთეულების გააქტიურება, ამას მოჰყვება სწორი და არასწორი ინფორმაციის დაზუსტება და ცხრილში მოცემული ინფორმაციის ვიდეოსიუჟეტის მიხედვით გასწორება (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 29-31); მოსწავლე ლექსიკაზე მუშაობს ასოციოგრამებით (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 38); მოსწავლე ახალი ლექსიკური ერთეულების განმარტებებსა და ილუსტრაციებზე დაკვირვებით ავსებს სიტყვის რუკას (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 54-56) და ა.შ. გარდა ამისა,

სახელმძღვანელოს ავტორები მოსწავლეებს სთავაზობენ სპეციალურ საიტზე (<http://kargiskola.ge/დაწერე>) შესვლას და სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა შექმნას. ამისათვის სამი ყუთის სივრციდან მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ პერსონაჟი, პერსონაჟის თვისება და პრობლემა, რომელიც პერსონაჟმა უნდა დაძლიოს. ამ სახით მუშაობისას მოსწავლეებს განუვითარდებათ ამბის შეთხზვისა და გადმოცემის უნარი, გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021გ, 50); ლექსიკაზე მუშაობისათვის ასევე გამოყენებულია „სიტყვის პირამიდა“, რომლის პირველ ზოლში გათავსდება ახალი ლექსიკური ერთეული, შემდეგში - განმარტება (ილუსტრაციაც დასაშვებია), ხოლო მესამე ზოლში - სიტყვა წინადადებაში; ზოგჯერ პედაგოგები მეოთხე ზოლსაც ამატებენ - ტექსტიდან ამ ახალი ლექსიკური ერთეულის კონტექსტის მოსაძებნად (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021გ, 56); ლექსიკაზე მუშაობისათვის ასევე გამოყენებულია ე.წ. ფრეიერის სქემა (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021გ, 57). მოსმენილისა და წაკითხულის დაკავშირებისთვისაა მოსწავლის წიგნში მოცემული აქტივობა, რომლის თანახმად, მოსწავლემ უნდა მოუსმინოს არიებს და დააკავშიროს წაკითხულ ტექსტებთან - ინსტრუმენტულია თუ ვოკალური ესა თუ ის შესრულება (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 20); კითხვის სტრატეგიებიდან გამოყენებულია პაუზებით კითხვა და გამომსახველობითი კითხვა. მოსწავლეები მხატვრული ტექსტის - „დორემიუს სოლასის“ - ეტაპობრივად წაკითხვისას გამოთქვამენ ვარაუდებს, რა მოხდება შემდგომ, მერე წაკითხულს ადარებენ საკუთარ ვერსიებს (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 22-26); გამომსახველობითი კითხვისთვისაა ტექსტის დანაწილება მთხრობელისა და მონაწილეების როლების გადანაწილებით (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 26);

საინტერესოდ მუშავდება ცნება „ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება“ ამავე სახელმძღვანელოში (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021): ინტერვიუ სალომე ფაჟავასთან ითვალისწინებს დაკვირვებას სათაურზე, ინტერვიუს ჩაწერის თარიღზე, შეკითხვებსა და კითხვებზე პასუხებზე, ტექსტის აზნაობად დაყოფაზე, ასევე ტექსტის არასიტყვიერ ელემენტებზე - სასვენ ნიშნებზე (ტირე, მძიმე, წერტილი, კითხვის ნიშანი და ა.შ.) (არევამე-კოტო-



რაშვილი და სხვები 2021ა, 15-17); მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა ყურადღება მიაქციოს ტექსტის პუნქტუაციის წესებს. მაგალითად, წინადადებაში „კარის კომპოზიტორმა მათთვის „ახალი“ არია დაუკრა“ სიტყვა ახალი ბრჭყალებშია მოქცეული, მოსწავლე უნდა დააკვირდეს, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა არ არის პირდაპირი მნიშვნელობით მოხმობილი (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 25); აფიშის სტრუქტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მოსწავლის წიგნის 26-ე გვერდზე წარმოდგენილი ფორმა, სადაც მითითებულია როდის და სად ტარდება ღონისძიება, ვინ არის კომპოზიტორი, რა შესრულდება (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 26); მოსწავლე აკვირდება სხვადასხვა ღონისძიების აფიშას, მათ მათგან იზიარებულ სიტყვიერ და არასიტყვიერ ელემენტებს, დიდი და პატარა შრიფტით ნაწერს (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 28), შემდეგში ეძლევა დავალება, რომ სპექტაკლის გამართვამდე სკოლის ვებგვერდზე ან კედელზე განათავსონ აფიშა (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 29, დავალება 43); მოსწავლე აკვირდება წიგნის აგებულებას, ყურადღებას ამახვილებს ყდაზე, წარწერებზე, ილუსტრაციებზე, მინდორზე (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 44) და თავადაც ცდილობს წიგნის „აკინძვას“; მოსწავლე თანატოლების დღიურის კითხვისას აკვირდება დღიურის სტრუქტურას (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 55), რათა შემდგომ თავად დაწეროს დღიური (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 82).

სწავლის პროცესის გასააზრებლად, მეტაკოგნიციისათვის, მოსწავლეებს ეხმარება კომპლექსური დავალებები. მაგალითად: მოსწავლემ საინფორმაციო ტექსტის შედგენის შემდეგ უნდა ისაუბროს, რა გაუჭირდა ყველაზე მეტად ამ დავალების შესრულებისას (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 20); მოსწავლემ ინტერვიუსა და ვიდეოსიუჟეტზე დაყრდნობით უნდა დაწეროს სტატია სალომე ფაჟავაზე, ამისათვის უნდა გაითვალისწინოს დავალების მოთხოვნები და უპირველესად დაწეროს გეგმა, პრეზენტაციის შემდეგ უნდა აღნიშნოს, რომელი წინა დავალებები დაეხმარა სტატიის წერის პროცესში, რა სირთულეები შეხვდა და ახალად რომ წერდეს, რას შეცვლიდა/გაითვალისწინებდა (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 33-35); მოსწავლეებმა ხელნაწერი წიგნის აკინძვის შემდეგ უნდა ისაუბრონ, როგორ დაგეგმეს სამუშაო, რა

გაუჭირდათ და რა გაუადვილდათ, რას შეცვლიდნენ ხელახლა რომ აკეთებდნენ ამ წიგნს (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 45).

საყურადღებოა გრამატიკის სწავლების საკითხი. მე-7 კლასის მოსწავლის წიგნში (მანია და სხვები 2021ა) „გრამატიკის ბლოკებში“ ისეა მოწოდებული ენობრივი საკითხები, რომ მოსწავლე დაკვირვების გზით თვითონ მივიდეს განზოგადებამდე. ესეც ერთგვარი სწავლების სტრატეგიაა. გარდა ამისა, სავარჯიშოები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეებს გაულრმავდეთ ცოდნა. გრამატიკა განყენებულად კი არ ისწავლება, არამედ შინაარსობრივ კონტექსტში და ეს ერთგვარი ღირსებაა ამ სახელმძღვანელოსი. მისასალმებელია, რომ გრამატიკული ტერმინებით არაა გადატვირთული სახელმძღვანელო და გრამატიკული მექანიზმების გამოვლენას ემსახურება თვალსაჩინოების ხერხი: მაწარმოებელი ელემენტები გამოკვეთილია განსხვავებული ფერით, ერთმანეთის გვერდით სვეტებში ჩაწერილია ზმნის სხვადასხვა დროის ფორმები, მათი წარმოებაც ადვილი გასააზრებელია: ვულოცავ-მივულოცავ-მივულოცე-მივულოცო; ვწერ-დავწერ-დავწერე-დავწერო და ა.შ. (მანია და სხვები 2021ა, 59). ყურადღება გამახვილებულია „ერთი საგნის აღმნიშვნელ“ და „ორი საგნის აღმნიშვნელ“ კომპოზიტებზე. ასე, საგანგებოდ, მოსწავლისათვის გასაგებადაა ახსნილი ერთცნებიანი და ორცნებიანი რთული სახელები (მანია და სხვები 2021ა, 8). გრამატიკული მასალის განმტკიცება ხდება სათანადო სავარჯიშოებით. მოსწავლეს რომ გაულრმავონ ცოდნა, ჯერ დეფისიან და უდეფისო რთულ სახელებზე ასრულებინებენ სავარჯიშოებს (მანია და სხვები 2021ბ, 6), შემდეგ გაბმულ ტექსტში ასწორებინებენ შეცდომებს (მანია და სხვები 2021ბ, 7), მერე კი კომპლექსურ დავალებებში სთხოვენ სწორად დაწერონ გამოყენებული კომპოზიტები (მანია და სხვები 2021ბ, 10).

მესტვირიშვილისა და ოღრაპიშვილის მე-8 კლასის სახელმძღვანელოში გრამატიკული მასალა მოწოდებულია „გრამატიკული გზამკვლევის“ საშუალებით, წითლად გამოკვეთილია მაწარმოებელი ელემენტები. სახელმძღვანელოში რომ სათანადო ყურადღება ეთმობა სასწავლო მასალის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებას, ამისი თვალსაჩინო მაგალითია მოგზაურობის თემასთან „მინდა, რომ ვიმოგზაურო/ მინდა, რომ ვნახო/ მინდა,

რომ დავათვალიერო“ კონსტრუქციების გააქტიურება (მესტვი-რიშვილი და ოდრაპიშვილი 2021ა, 22). პირველსავე თემაში მოსწავლეები ეცნობიან პირობით-შედეგობით წინადადებას (მესტვი-რიშვილი და ოდრაპიშვილი 2021ა, 11), შესაბამისად, მოსწავლის რვეულში ერთმანეთს უკავშირებენ პირობასა და შედეგს, სვამენ სასვენ ნიშნებს (მოსწ. რვეული, გვ. 4). გრამატიკის გზამკვლევში სქემატურად მინიშნებულია, რომ ზოგჯერ პირობა წინ უსწრებს შედეგს, ზოგჯერ კი - პირიქითაა. ჩვენდა გასაკვირად, პირობით-შედეგობითი წინადადებები არ იყო გააქტიურებული ტექსტში „ბიჭები“ (მესტვირიშვილი და ოდრაპიშვილი 2021ა, 12). სახელმძღვანელოს ავტორებმა გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაცია, რომ სასწავლო მიზნით შედგენილ ტექსტებში გააქტიურებულიყო უკვე ნასწავლი კონსტრუქციები. ამჟამად ტექსტში „ბიჭები“ იკითხება: დღეს ძალიან ცხელა, თუ მდინარეზე წავალთ, გავგრილდებით (ნაცვლად: „დღეს ძალიან ცხელა, გავგრილდებით“); ჩვენ თუ დაგეხმარებით, მაშინ ადვილად ისწავლი (ნაცვლად: „თუ დაგეხმარებით, ადვილად ისწავლი“); თუ ცურვას ისწავლი, მაშინ თევზივით სწრაფი იქნები (ნაცვლად: „მალე თევზივით სწრაფი იქნები“); რადგან წყალი საშიშია, მაშინ ფრთხილად ვიქნები (ნაცვლად: „წყალი საშიშია. -ნუ გეშინიათ, ფრთხილად ვიქნები“) (მესტვირიშვილი და ოდრაპიშვილი 2021ა, 12).

სახელმძღვანელოების ავტორები გვთავაზობენ მოსწავლის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის შემდეგ აქტივობებს:

მე-7 კლასი (მანია და სხვები 2021): სახელმძღვანელოს დასაწყისშივე მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ აზრს წა-კითხულის ან მოსმენილის შესახებ (მანია და სხვები 2021ა, 5, 41, 54); საკუთარ დამოკიდებულებას ასაბუთებენ კიდევ: სკოლის ფორმა ურჩევნია თუ განსხვავებული ტანსაცმელი? რატომ? (მანია და სხვები 2021ა, 7). რატომ ფიქრობ ასე? (მანია და სხვები 2021ა, 16, 44), დაასაბუთე შენი არჩევანი (მანია და სხვები 2021ა, 32); როგორ ფიქრობ, ღირს დავა იმ საკითხზე, რომელი ღირსშესანიშნაობა სჯობს? (მანია და სხვები 2021ბ, 59).

მე-8 კლასი (არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021): მოსწავლემ უნდა ისაუბროს, იქნება თუ არა მისი მომავალი პროფესია ხელოვნებასთან დაკავშირებული და თუ იქნება, რატომ ფიქრობს

ასე; ასევე უნდა გამოთქვას აზრი რისთვისაა საჭირო ხელოვნება (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 20); მოსწავლემ უნდა თქვას, რაზე მიანიშნებს ქვეყნის სახელი „ინტელექტიანა“?; რატომ ჰქვია ქვეყანას „მეკობრიანა“? (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 23); მოსწავლე სპექტაკლში („დორემიუს სოლასი“) მონაწილეობის შემდეგ საუბრობს რამდენად ძნელია ან იოლი სხვისი როლის თამაში, მისი აზრით, რას აკეთებენ მისგან განსხვავებულს ნამდვილი მსახიობები (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 29); მოსწავლემ რობიზონ კრუზოს დღიურზე დაკვირვებით უნდა გამოთქვას აზრი, რატომ არის მისი ჩანაწერები ასეთი მოკლე (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 40), ასევე: რამდენად მნიშვნელოვანია დროის სწორად განაწილება (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 66); ილუსტრაციებზე დაყრდნობით, მოსწავლემ უნდა გამოთქვას აზრი პერსონაჟის ჩაცმულობაზე, საცხოვრებლის მოწყობაზე და ა.შ. (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ა, 42); მოსწავლემ უნდა გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ფერებთან და ბუნების მოვლენებთან დაკავშირებით (არევამე-კოტორაშვილი და სხვები 2021ბ, 64).

მე-8 კლასი (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021): მოსწავლემ უნდა გააგრძელოს მოთხრობა „რა ჩემი საქმეა“ თავისი სურვილისამებრ და წარადგინოს კლასში (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021ბ, 7); მოსწავლე ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“ წაკითხვის შემდეგ წარმოიდგენს მოთხრობის გაგრძელებას, უამბობს თანაკლასელებს, ასევე დახატავს უფლისწულის პლანეტას (მესტვირიშვილი და ოლრაპიშვილი 2021ა, 28).

**დასკვნა:** დაბოლოს, რაც არ უნდა ვთქვათ, სასკოლო სახელმძღვანელოს ყველაზე კარგი შემფასებელი მოსწავლე და მოქმედი მასწავლებელია, რომელიც რეალურ სიტუაციაში ხედავს შეთავაზებული აქტივობები როგორ მუშაობს. ვფიქრობთ, აღნიშნული სასწავლო რესურსები დიდ დახმარებას გაუწევს არაქართული სკოლების პედაგოგებს, რომელთა წინაშე მართლაც დგას დიდი ამოცანა, ქართულ ენობრივ სამყაროში შემოიყვანონ თავიანთი მოსწავლეები, დაუსახონ მოქალაქეობრივი მიზნები და მისცენ სწორი ორიენტირები.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021 ა: არევაძე-კოტორაშვილი, ნონა, ნათია მანია, ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე, და გიორგი ჭაუჭიძე. 2021. ქართული, როგორც მეორე ენა 8: მოსწავლის წიგნი. თბილისი. სულაკაურის გამომცემლობა.

არევაძე-კოტორაშვილი და სხვები 2021 ბ: არევაძე-კოტორაშვილი, ნონა, ნათია მანია, ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე, და გიორგი ჭაუჭიძე. 2021. ქართული, როგორც მეორე ენა 8: სავარჯიშოების რვეული. თბილისი. სულაკაურის გამომცემლობა.

მანია და სხვები 2021 ა: მანია, ნათია, ნონა არევაძე-კოტორაშვილი, გიორგი ჭაუჭიძე, ზეინაზ ბერაძე, ნონა მიქელაძე, და ია რობაქიძე. 2021. ქართული, როგორც მეორე ენა 7: მოსწავლის წიგნი. თბილისი. სულაკაურის გამომცემლობა.

მანია და სხვები 2021 ბ: მანია, ნათია, ნონა არევაძე-კოტორაშვილი, გიორგი ჭაუჭიძე, ზეინაზ ბერაძე, ნონა მიქელაძე, და ია რობაქიძე. 2021. ქართული, როგორც მეორე ენა 7: სავარჯიშოების რვეული. თბილისი. სულაკაურის გამომცემლობა.

მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი. 2021 ა: მესტვირიშვილი, ეთერი და მაია ოღრაპიშვილი. 2021. ქართული, როგორც მეორე ენა - VIII კლასი: მოსწავლის წიგნი. თბილისი. გამომცემლობა ინტელექტი.

მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი. 2021 ბ: მესტვირიშვილი, ეთერი და მაია ოღრაპიშვილი. 2021. ქართული, როგორც მეორე ენა- VIII კლასი: მოსწავლის რვეული. თბილისი. გამომცემლობა ინტელექტი.

მესტვირიშვილი და ოღრაპიშვილი. 2021 გ: მესტვირიშვილი, ეთერი და მაია ოღრაპიშვილი. 2021. ქართული, როგორც მეორე ენა - VIII კლასი: მასწავლებლის წიგნი. თბილისი. გამომცემლობა ინტელექტი.

სტანდარტი: ქართული, როგორც მეორე ენა, საბაზო საფეხურის სტანდარტი.

*ირინა ჯიშკარიანი*

*ფილოლოგიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე,  
irinajishkariani@mail.ru, 557 59 27 97*

*მარიანა ბალასანიანი*

*ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე,  
amadan1@rambler.ru, 593 552 367*

### სამეცნიერო ტექსტების თარგმნის თავისებურებები

#### *მოკლე შინაარსი*

სტატია ეძღვნება სამეცნიერო ტექსტების თარგმნის აქტუალურ საკითხებს. ნაშრომში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ამ სპეციფიკური ტექსტების კომპეტენტურ თარგმანს უნდა აკმაყოფილებდეს - ლოგიკურობა, არგუმენტაცია, ეკვივალენტურობა და ადეკვატურობა, სპეციალური ლექსიკისა და ტერმინოლოგიის, შემოკლებების და აბრევიატურების სპეციფიკის ცოდნა, რაც ხელს უწყობს ტექსტის სამიზნე ენაზე თარგმნის სიზუსტეს. სამეცნიერო ტექსტების სწორად და სრულყოფილად თარგმნისთვის აუცილებელია ორიგინალის ტექსტის, ისევე როგორც მნიშვნელობის ზუსტი გადმოცემა მაქსიმალურად მოკლე და ლაკონიური ფორმით, რაც თან ახლავს სამეცნიერო ლიტერატურის სტილს.

**საკვანძო სიტყვები:** სამეცნიერო ტექსტების თარგმანი; სამეცნიერო სტილი; ადეკვატურობა; ეკვივალენტურობა; ტერ-მინები, შემოკლებები, აბრევიატურა.

*Irina Jishkariani*  
*Doctor of philology, Samtskhe-Javakheti State University,*  
*Akhaltsikhe, Georgia,*  
[irinajishkariani@mail.ru](mailto:irinajishkariani@mail.ru), 557 59 27 97

*Mariana Balasanyan*  
*Doctor of Philology, Associate Professor,*  
*Samtskhe-Javakheti State University,*  
*Akhaltsikhe, Georgia,*  
[amadan1@rambler.ru](mailto:amadan1@rambler.ru), 593 552 367

## PECULIARITIES OF TRANSLATING SCIENTIFIC TEXTS

### *Abstract*

The article is devoted to the actual topic of translation of scientific texts. The paper lists the main requirements that a competent translation of such specific texts must meet - consistency, argumentation, equivalence and adequacy. Knowledge of special vocabulary and terminology, abbreviations and abbreviations contributes to the accuracy and clarity of translating the text into the target language. For the correct and complete translation of scientific texts, an accurate transfer of the original text is necessary, as well as strict clarity of the meaning in the most concise and laconic form inherent in the style of scientific literature.

**Key Words:** translation of scientific texts; scientific style; equivalence and adequacy; terms, abbreviations.

**მიზანი.** სტატიის მიზანია სამეცნიერო ტექსტების თარგმნის თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების გაშუქება, სამეცნიერო თარგმანის პროცესის რთული ხასიათის ჩვენება, რაც ტექნიკური და საყოველთაოდ ხმარებული ტერმინების თარგმნასთან არის დაკავშირებული. სტატიაში განხილულია თარგმანის თეორიის აქტუალური საკითხები, აგრეთვე სამეცნიერო ტექსტის თარგმნის კონკრეტული მეთოდოლოგიური ხერხები. ტექსტებში არსებული მრავალი ტერმინი ნასესხებია უცხო ენებიდან, ზოგიერთი კი ხელოვნურად შეიქმნა. სტატიაში მოცემულია

აგრეთვე შემოკლებების და აბრევიატურათა თარგმნის მაგალითები, რომლებიც ხშირად გვხვდება სამეცნიერო ტექსტებში.

**შესავალი.** თანამედროვე მეცნიერებაში თარგმანის მრავალი დეფინიცია არსებობს, რომლებიც ამ მრავალმხრივი ფენომენის სხვადასხვა მხარეს სხვადასხვა ხარისხის სისრულით ასახავს: „თარგმანი ენობრივი აქტივობის მეხუთე სახეობაა, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კომუნიკაციის შესაძლებლობა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს შორის“ (აიზენკოპი, 1999: 15); „თარგმანი არის მოცემული სიტყვის ნაწარმოებში არსებული ინფორმაციის გადაცემა სხვა ენის საშუალებით“ (ახმანოვა, 2012: 326); „თარგმანი არის ერთ ენაზე მეტყველების ნაწარმოების სხვა ენაზე მეტყველების ნაწარმოებად გადაქცევის პროცესი, შინაარსის უცვლელი გეგმის, ე.ი. მნიშვნელობის შენარჩუნებით“ (ბარხუდაროვი, 1975: 24); „ერთ ენაზე წერითი ან ზეპირი ტექსტით გამოხატული და სოციალური აუცილებლობით გამოწვეული ინფორმაციის (შინაარსის) გადაცემის პროცესი და შედეგი, ექვივალენტური ტექსტის სხვა ენაზე გადაცემის გზით“ (ვინოგრადოვი, 2001: 17).

XXI საუკუნეში თარგმანმა მოიცვა ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფერო. თუ ადრე მთარგმნელობითი საქმიანობა მხოლოდ ლიტერატურულ ტექსტებთან იყო ასოცირებული, დღეს, როგორც მოცულობით, ასევე სოციალური მნიშვნელობით, სულ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა და გახდა საკმაოდ მოთხოვნადი ინფორმაციული, ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნიკური შინაარსის ტექსტების თარგმნა. მთარგმნელობითი საქმიანობის გარეშე წარმოდგენელია თანამედროვე ცხოვრება. მისი მნიშვნელობა მუდმივად იზრდება; ბევრ ქვეყანაში პროფესიონალ თარგმნელებს სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამზადებენ. ამ ტიპის ტექსტების თარგმანის წყალობით ხდება ცოდნისა და ტექნოლოგიების ურთიერთგაცვლა, მკვლევარებსა და მეცნიერებს ეძლევა ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა. სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის თარგმანი ხდება სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა.

**მსჯელობა.** სამეცნიერო ლიტერატურის ამოცანები, პირველ რიგში, შეიცავს გარკვეული დებულებების, ჰიპოთეზების მტკიცებას; არგუმენტაციას; სამეცნიერო კითხვების ზუსტ და სისტემა-



ტურ წარმოდგენას კვლევის ახალი შედეგების აღწერის, განსაზღვრისა და ახსნის მიზნით, მოპოვებული მონაცემებისა და მიღებული შედეგების გადასაცემად. სამეცნიერო ტექსტის ენისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებების დახმარებით აღწერილია ის, რაც სინამდვილეში არსებობს და რაც დასტურდება. შედეგად, სამეცნიერო ნაშრომი ძირითადად შედგება მთელი რიგი მსჯელობებისა და მტკიცებულებებისაგან, რომლებიც ხასიათდება გამონათქვამის სისრულით და აზრობრივი სიზუსტით. ლოგიკურობა, ობიექტურობა, თანმიმდევრულობა და სიზუსტე - ეს ის თვისებებია, რომლებითაც გამოირჩევა სამეცნიერო ნაშრომი.

სამეცნიერო ნაშრომების სტილი განისაზღვრება მათი შინაარსითა და სამეცნიერო კომუნიკაციის მიზნებით: რაც შეიძლება ზუსტად და სრულად ფაქტების განმარტება, მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჩვენება, ისტორიული განვითარების კანონზომიერების გამოვლენა და ა.შ. სამეცნიერო სტილი დამახასიათებელია განსაკუთრებული შინაარსის მქონე ტექსტებისთვის, რომლებიც ასრულებენ გარკვეული სფეროდან ზუსტი მონაცემების გადაცემის დანიშნულებას. ამგვარი პრეზენტაციის მიზანია კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებული ცოდნის გადმოცემა, ახალი კვლევის შედეგების გაცნობა. ამ სტილის მკაფიო, მაგრამ არა ერთადერთი მახასიათებელია ტერმინოლოგიის გამოყენება, რომლებიც ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად ასახავენ კომუნიკაციის სამეცნიერო სფეროს სპეციალურ ცნებებს და გამოავლენს მათ შინაარსს. სამეცნიერო სტილს აქვს მრავალი საერთო მახასიათებელი, რომლებიც ჩნდება გარკვეულ მეცნიერებათა ხასიათის (ბუნებრივი, ზუსტი, ჰუმანიტარული) და გამოხატვის ჟანრებს შორის არსებული განსხვავების (მონოგრაფია, სტატია, მოხსენება, სახელმძღვანელო და ა.შ.) მიუხედავად, რაც იძლევა ზოგადად სტილის სპეციფიკის შესახებ საუბრის საშუალებას. ამავე დროს, საცხებით ბუნებრივია, რომ მაგალითად, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის ტექსტები მკვეთრად განსხვავდება მათი პრეზენტაციის ხასიათით ფილოლოგიის ან ისტორიის ტექსტებისგან. სამეცნიერო სტილი ხასიათდება გადმოცემის ლოგიკური თანმიმდევრობით, ფრაზების ნაწილებს შორის კავშირის მოწესრიგებული სისტემით, ავტორთა მიერ სიზუსტის, ლაკონიურობის, ერთმნიშვნელოვნების და ამავე დროს შინაარსის სიმდიდრის შენარჩუნების მცდელობით.

სამეცნიერო სტილს განსაკუთრებული ადგილი უკავია სხვა ფუნქციონალურ სტილებს შორის, ვინაიდან მის ტექსტს აქვს საკუთარი სტრუქტურა და გარკვეული ენობრივი საშუალებები. დღეს სამეცნიერო სტილი განსაკუთრებით გავრცელებულია, გამოიყენება მრავალ სფეროში, ხასიათდება ჟანრული მრავალფეროვნებით. მნიშვნელოვანი საკითხია ტექსტის თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე, ვინაიდან სამეცნიერო სტილს სხვადასხვა ენაში აქვს საკუთარი თავისებურებები.

სამეცნიერო ტექსტები იყოფა ორ ჯგუფად, რომელთა მიზანი და ამოცანები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან: ეს არის საკუთრივ სამეცნიერო ტექსტები, რომლებიც განკუთვნილია მეტნაკლებად ვიწრო წრის სპეციალისტებისთვის. ეს ტექსტები გამოხატავს მთელ რიგ გრამატიკულ თავისებურებებს. ამ ტექსტების ყველაზე ტიპური ლექსიკური მახასიათებელია მათი სიმდიდრე ტერმინებით და ტერმინოლოგიური ფრაზებით, აგრეთვე ლექსიკური კონსტრუქციების, შემოკლებები და აბრევიატურების არსებობა. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება სამეცნიერო-პოპულარული ტექსტები, რომლებიც ფართო აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი.

სამეცნიერო ტექსტების მთავარი მიზანია სამეცნიერო ინფორმაციის მიწოდება გარკვეული დარგის სპეციალისტებისთვის. ინფორმაცია უნდა იყოს მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანი და საინტერესო ვიწრო ან ფართო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ე.ი. ეს უნდა იყოს ან ახალი, ან უნდა წარმოადგინოს ძველი ახალი კუთხით.

თანამედროვე მეცნიერებას ახასიათებს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მჭიდრო ურთიერთქმედება, რომლებიც აკადემიურ ნაშრომებს აქვეყნებენ უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში. მთელ მსოფლიოში გამოცემულ საერთაშორისო ჟურნალებში ინგლისურის გარდა სამეცნიერო სტატიები ქვეყნდება სხვა უცხო ენებზეც. ამიტომ, ავტორი, რომელიც წერს ამა თუ იმ ენაზე, დგება სამეცნიერო სტატიის თარგმნის აუცილებლობის წინაშე.

სამეცნიერო თარგმანები ნებისმიერი პროფესიონალი თარჯიმნის მუშაობის განუყოფელი ნაწილია. მაგრამ მთარგმნელობითი საქმიანობა მოითხოვს, რომ თარჯიმანმა შეძლოს სამეცნიერო ტექსტის კომპეტენტური თარგმნა, ტექსტის მნიშვნელობის და სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის გააზრება. სამეცნიერო

და სამეცნიერო-ტექნიკური ნაშრომების თარგმნის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ის მაქსიმალურად ზუსტი უნდა იყოს, რადგან თარგმანში მცირე შეცდომებმა შეიძლება შეცვალოს ტექსტის მნიშვნელობა. თუ საუბარი ეხება სამეცნიერო ან სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტს, გარდა თარგმნის მეთოდების ცოდნისა, საჭიროა ტერმინოლოგიის ცოდნა და შესაბამისი მნიშვნელობით გამოყენება, აზრის სწორად გამოხატვის უნარი იმ ენაზე, რომელზეც ითარგმნება, ორიგინალის არსისა და სტილის შენარჩუნებით. „სამეცნიერო თარგმანში მთავარია მთარგმნელისა და საწყისი ტექსტის ავტორის ურთიერთქმედება ... თარგმნის სტრატეგიის მიზანია სამეცნიერო ტექსტის წარმატებით თარგმნა, რომელიც შესაბამისი ტიპოლოგიური პარამეტრებით ხასიათდება... მეცნიერულ თარგმანში გადაწყვეტილებებს იღებს მთარგმნელი, დასახული მიზნის გათვალისწინებით, ასევე ტექსტის, კომუნიკაციის ტიპიდან გამომდინარე და ტექსტის ორიგინალის ავტორის აზრის გათვალისწინებით“ (ხარიტონოვა, 2006: 7).

სამეცნიერო და ტექნიკური ტექსტების თარგმნისთვის მიუღებელია ბუნდოვანობა, ცნებების და ტერმინების დამახინჯება. მას ახასიათებს სიზუსტე, სიცხადე და ლაკონურობა. მხატვრული საშუალებების გამოყენება დაუშვებელია. სამეცნიერო ტექსტის თარგმნა მოითხოვს, პირველ რიგში, მკაფიოობას გადმოცემისას და თარგმანის ორიგინალთან მაქსიმალურად სრულ შესაბამისობას.

გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის მთავარი ამოცანაა მკითხველისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის უკიდურესად მკაფიო და ზუსტი გადმოცემა. სამეცნიერო სტატის ავტორი გამორიცხავს მისი შინაარსის თვითნებური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რის შედეგადაც ისეთი ექსპრესიული საშუალებები, როგორცაა მეტაფორები, მეტონიმია და სხვა სტილისტური ფიგურები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მხატვრულ ნაწარმოებებში, თითქმის არასოდეს გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში.

სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა მოითხოვს სამიზნე და ორიგინალის ენის კარგ ცოდნას. ვინაიდან სამეცნიერო თარგმანი დაკავშირებულია მეცნიერების კონკრეტულ დარგთან, ეს მოითხოვს ორიგინალში აღწერილი საგნის, აგრეთვე თარგმნის მეთოდოლოგიისა და საშუალებების ორიგინალში კარგ ცოდნას. ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც თარგმანმა უნდა დააკმაყოფილოს,

არის ორიგინალის ტექსტის ზუსტი გადმოცემა, აგრეთვე შინაარსის მაქსიმალურად შემოკლებული და ლაკონიური ფორმის მკაფიო სიცხადე, რაც დამახასიათებელია სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის სტილისთვის.

სამეცნიერო სტილის ტექსტების თარგმანი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ეკვივალენტურობას, ადე-კვატურობას, ინფორმაციულობას, ლოგიკურობას და მკაფიოდ გადმოცემას. ასევე, თარგმანს უნდა ახასიათებდეს გადმოცემის სიზუსტე და ლაკონიურობა, ლიტერატურული ნორმებისა და ინფორმაციის ლაკონიური გამოხატვა.

მკვლევართა აზრით, თარგმნილად შეიძლება ჩაითვალოს ტექსტი, რომელიც ეკვივალენტურად ან ადეკვატურად გადმოსცემს სამიზნე ენაზე ინფორმაციას, რომელიც ორიგინალ ტექსტში უცხო ენაზე იყო გამოხატული (ვინოგრადოვი, 2001). თარგმანის ეკვივალენტურობის ზღვარია ორიგინალის შინაარსის მაქსიმალურად დაცვა თარგმნის დროს, განსაკუთრებით ეს ეხება ტერმინებს. მაგალითად, *атом* - ატომი, *геном* - გენომი, *синтез* - სინთეზი.

როგორც უკვე აღინიშნა, სამეცნიერო ნაშრომების თარგმნის მთავარი მოთხოვნაა ადეკვატურობა. თითოეული სამეცნიერო ტექსტი უნდა ითარგმნოს თარგმანის ადეკვატურობის ზოგადი მოთხოვნების გათვალისწინებით. შეუძლებელია სამეცნიერო სტატიების, დისერტაციების, მონოგრაფიების თარგმნა ზემთაგონებით. მნიშვნელოვანია ფაქტების ზუსტი ინტერპრეტაცია და ნაწარმოების ზოგადი მნიშვნელობის გადმოცემა. ადეკვატურობა ნიშნავს „ნათარგმნი ტექსტის შესაბამისობას თარგმანის მიზანთან“ (ალექსეევა, 2004: 128). ეს ნიშნავს, რომ ცალკე აღებული ტექსტის ტერმინები უნდა ითარგმნოს კონტექსტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ტერმინები საჭიროა შემოწმდეს იმ სისტემების შესაბამისად, რომლებიც მიღებულია ცოდნის და მეცნიერების თითოეულ დარგში. დაბოლოს, მნიშვნელოვანია მხედველობაში იყოს მიღებული განსხვავებები ტერმინებში, აზრის გადაცემის საშუალებიდან გამომდინარე, როგორც ორიგინალის, ასევე თარგმანის ენაში. თარგმანის მრავალი თეორეტიკოსი მიუთითებს თარგმანის ადეკვატურობაზე, როგორც კარგი თარგმანის მისაღწევად სწორი საშუალებების არჩევის კრიტერიუმზე. „ოსტატობის მაღალ დონეზე შესრულებული ნებისმიერი თარგმანის ანალიზი აჩვენებს,

რომ ენობრივი საშუალებების ეკვივალენტურობის დადგენის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ფუნქციური და არა ფორმალური“ (რეკვერი, 2007: 8).

ლოგიკურობა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის თავისებურება, უკავშირდება სამეცნიერო სტილის სინტაქსურ თავისებურებებს, რომელშიც ვლინდება სამეცნიერო სტილის გადმოცემის დაურღვევლობა და არგუმენტაცია, და ხელს უწყობს თარგმანის სიზხადესა და მკაფიოობას.

სამეცნიერო და ტექნიკური ტექსტის თარგმანის სპეციფიკა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეხება ადამიანის საქმიანობის სპეციალურ სფეროს - მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგებს, რომელთა გამოსახატავად არსებობს ენის გარკვეული ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური საშუალებები. სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ყველაზე ტიპური ლექსიკური მახასიათებელია ტექსტის სიმდიდრე ტერმინებით და ტერმინოლოგიური ფრაზებით, აგრეთვე დამხმარე და ჩართული სიტყვებისა და შემოკლებების, აბრევიატურების არსებობა. ტექსტში პროფესიული ტერმინოლოგიის არსებობა რთული სამეცნიერო ნაშრომის მაჩვენებელია. ეს არის წიგნიერების და იმის გააზრების მაჩვენებელი, თუ რაზე საუბრობს ავტორი, რადგან სწორედ ასეთი დოკუმენტების სპეციფიკური ტერმინოლოგია განსაზღვრავს ტექსტის წერის სტილისტიკას. ვინაიდან სამეცნიერო ტექსტები მდიდარია ტერმინოლოგიით, მთარგმნელმა არა მხოლოდ უნდა იცოდეს ტერმინები, არამედ უნდა შეეძლოს მათი სწორად ინტერ-პრეტაცია, კონტექსტიდან გამომდინარე.

ტერმინების თარგმნისას შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი მომენტები: ზოგიერთი ტერმინი, რომლებსაც საერთაშორისო ხასიათი აქვთ, ტრანსლიტერაციით გადაეცემა და თარგმანს არ საჭიროებს: *генератор - გენერატორი*; ზოგიერთ ტერმინს აქვს პირდაპირი შესაბამისობა სამიზნე ენაში და გადმოცემულია შესაბამისი ეკვივალენტებით: *напряжение - ძაბვა*; ტერმინების გარკვეული ნაწილი თარგმანის დროს კალკირებულია, ანუ ის გადაიცემა სამიზნე ენის სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებით, სიტყვასიტყვით იმეორებს უცხო ენის სიტყვებს და ფრაზებს: *программный код - პროგრამული კოდი*. ტექსტთან მუშაობისას, თუ ეს შესაძლებელია,

თავიდან უნდა იქნას აცილებული უცხო სიტყვების გამოყენება, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ენას, რომელზეც ითარგმნება.

სამეცნიერო ტექსტების თარგმნისას, მთარგმნელის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა თარგმანის რაც შეიძლება მეტი ინფორმაციული სიზუსტით შესრულება: მას არ აქვს შეცდომის დაშვების უფლება კონკრეტული ტერმინის ან ჩვეულებრივი სიტყვის ინტერპრეტაციაში, რომელიც მისი სპეციფიკური მნიშვნელობით არის გამოყენებული. სამეცნიერო ტექსტები უნდა ითარგმნოს რაც შეიძლება ზუსტად, რაც შეიძლება ახლოს ორიგინალთან. მთარგმნელს უნდა ესმოდეს და მან უნდა იცოდეს სამეცნიერო საქმიანობის ის სფერო, რომელთანაც მას მოუწევს მუშაობა. სამეცნიერო ტერმინების ცოდნა, ნაშრომებში წამოჭრილი მოვლენების და საკითხების გააზრება, რომლებიც პირდაპირ უნდა ითარგმნოს, იძლევა გარკვეული სახის სამეცნიერო ტექსტის მაღალკვალიფიციური თარგმნის გარანტიას. ტერმინების თარგმნისას სიზუსტის დაცვის გარეშე ტექნიკური და სამეცნიერო ტექსტის თარგმანი ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას. საჭიროა გარკვეული პირობების დაცვა, რომლებიც უკავშირდება ორიგინალის ენის და სამიზნე ენის სპეციფიკას და ამ ორი ენის შედარების წესებს, მასში მოცემული კონკრეტული ტერმინების მახასიათებლებს. უფრო ადვილია იმ ტერმინების თარგმნა, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ ერთი მნიშვნელობა: აქ მთავარია ამ ტერმინის მოძებნა ლექსიკონში. ყველაზე დიდი სირთულე ჩნდება მაშინ, როდესაც საზოგადოდ გამოყენებული სიტყვა ვიწრო ტერმინოლოგიური გაგებით გამოიყენება. საჭიროა მნიშვნელობის გაგება და გარკვევა, ნამდვილად გამოიყენება თუ არა ეს სიტყვა აქ, როგორც ტერმინი.

ბევრი სიტყვის მრავალნიშნაობის გამო მკაფიო ხაზის გატარება ტერმინებსა და ყოველდღიურ სიტყვებს შორის ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მაგალითად, ისეთი ცნობილი ცნებები, როგორიცაა ელექტროენერგია, ტემპერატურა, ავტომობილი და ხშირად გამოყენებული სიტყვები ატომი, ვიტამინი, ანტიბიოტიკი, ყოველდღიურ ენაში არ წარმოადგენენ ტერმინებს. მეორეს მხრივ, ისეთი მარტივი სიტყვები, როგორიცაა წყალი, მიწა, ალი, სითხე, ძალა, თიხა, ვერცხლი, ტექნიკურ და სამეცნიერო კონტექსტში ტერმინებია, როდესაც ატარებენ პირველად, ძირითადი აზრობრივ დატვირთვას.

სიტყვების, სპეციალური სამეცნიერო ტერმინების, ორგანიზაციების სახელების, სხვა ხშირად გამოყენებული ფრაზების შემოკლება და აბრევიატურათა გამოყენება წარმოადგენს თანამედროვე სამეცნიერო ტექსტების შემადგენელ ნაწილს. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტერმინოლოგიური კონსტრუქციების სწორად შემოკლება და აბრევიატურების შექმნა, ასევე საჭიროა სამეცნიერო სტატიის აბრევიატურების თარგმნის ათვისება. არსებობს სამეცნიერო და ტექნიკური შემოკლებების კლასიფიკაციის სხვადასხვა ტიპი. განვიხილოთ აბრევიატურების ყველაზე გავრცელებული ტიპები, რომლებიც გვხვდება როგორც აკადემიურ ლექსიკაში, ასევე საგაზეთო საინფორმაციო ტექსტებში. რუსულ ენაში განსაკუთრებით გავრცელებულია ე.წ. ინიციალური წესით შედგენილი აბრევიატურები, რომელიც შედგება სიტყვების პირველი ასოების ბგერებისგან. მაგალითად: *მ.ნ.ს. — младший научный сотрудник* (უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, *ТФКП - теория функций комплексной переменной* (კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია), ასევე სამედიცინო, მაგალითად: *ВИЧ - вирус иммунодефицита человека* (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი), *ОМС-обязательное медицинское страхование* (სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა); *СПИД-синдром приобретенного иммунного дефицита* (შემენილი იმუნო დეფიციტის სინდრომი); *ინფორმაციულ-ტექნიკური სისტემების დასახელება: ИТ - информационные технологии* (საინფორმაციო ტექნოლოგიები), *ПК - персональный компьютер* (პერსონალური კომპიუტერი). ასევე აბრევიატურები შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს, რაც მთარგმნელს გარკვეულ სირთულეებს უქმნის. ზოგიერთი აბრევიატურა ან შემოკლება შეიძლება არ იყოს გასაგები სპეციალისტებისთვისაც; მათ შეუძლიათ ხელი შეუშალონ ხარისხიან თარგმანს.

სამეცნიერო სტილი ნებისმიერ ენაში გულისხმობს გარკვეული ლექსიკური და გრამატიკული ენობრივი მასალის გამოყენებას. შესაბამისად, მეცნიერული თარგმანი, მაგალითად, რუსულიდან ქართულ ენაზე, მოითხოვს ერთი ენის გრამატიკული კონსტრუქციებისა და ლექსიკური მასალის კორელაციას მეორე ენასთან, სამეცნიერო სტილის თავისებურებების გათვალისწინებით. სამეცნიერო ტექსტების თარგმნა რთული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს, როგორც მინიმუმ ორი ენის სრულყოფილად ცოდნას, ასევე

სამეცნიერო ტექსტის თემატიკაში კარგ ორიენტირებას. უფრო მეტიც, სამეცნიერო სტატიების თარგმნა მოითხოვს, როგორც ორიგინალის, ისე სამიზნე ენაზე სტატიის სტრუქტურის და გაფორმების წესების ცოდნას.

**დასკვნა.** ამრიგად, სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის თარგმნის საკითხების განხილვის დასრულების და შედეგების შეჯამების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის მნიშვნელობა ყოველდღე იზრდება. ეს განპირობებულია სხვადასხვა ტექნიკური სფეროს სპეციალისტებს შორის ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობით, რაც კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სისტემატიზებას შესაძლებელს ხდის.

სამეცნიერო და ტექნიკური ტექსტების დამახასიათებელ ნიშნებს შორის მთავარია სიზუსტის და თანმიმდევრულობის დაცვა მასალის გადმოცემისას, სპეციალური ტერმინების სიმ-დიდრე და განსაკუთრებული გრამატიკული სტრუქტურა. რაც მთავარია, ამ ტიპის ტექსტებში, ტერმინების გარდა, ასევე გამოიყენება საყოველთაოდ ხმარებული სიტყვები.

სამეცნიერო და ტექნიკური თარგმანის სფეროსთვის დამახასიათებელია ტექსტის თარგმნადობა და თარგმანის ადეკვატურობა, ტერმინოლოგიის თარგმნის და ლექსიკური სირთულეები. თარგმნისას აუცილებელია ერთი ენის საშუალებით რაც შეიძლება ზუსტად და სრულად იმის გამოხატვა, რაც უკვე გამოხატულია სხვა ენის საშუალებით. თარგმანი სრულად უნდა შეესაბამებოდეს იმ ენის ნორმებს, რომელზეც იგი შესრულებულია.

სამეცნიერო და ტექნიკური ტექსტების მთარგმნელს უნდა ჰქონდეს დამხმარე საშუალებების მთელი ბაზა. ეს არის სამეცნიერო და ტექნიკური, სხვადასხვა თემატური მიმართულების საცნობარო ლიტერატურა, სპეციალიზებული პროფილური და ლინგვისტური ლექსიკონები, რომლებიც მთარგმნელს დაეხმარება უზუსტობების და სტილისტური შეცდომების თავიდან აცილებაში ორივე ენაზე, ქალაქისა და ელექტრონული ლექსიკონები, ინტერნეტ რესურსები, საძიებო საიტები, მთარგმნელობითი და ლინგვისტური საიტები, მანქანური თარგმანის სისტემები და სხვა. სამეცნიერო და ტექნიკური თარგმანი გულისხმობს არა მხოლოდ სიტყვების ერთი ენიდან მეორეზე თარგმნას, არამედ ცოდნის



მთელი კომპლექსის გამოყენებას, როგორც ლინგვისტიკურის, ასევე ვიწრო სპეციალიზებული.

სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ორიგინალის შინაარსის მაქსიმალურად სრულყოფილად გადმოცემა მისთვის ახლო ფორმის სახით. როგორც წესი, ორიგინალისა და თარგმანის შინაარსის რეალური საერთოობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. თარგმანის ეკვივალენტურობის ზღვარია ორიგინალის შინაარსის შენარჩუნების მაქსიმალური ხარისხი, მაგრამ თითოეულ ინდივიდუალურ თარგმანში სემანტიკური სიახლოვე ორიგინალთან სხვადასხვა ხარისხით და სხვადასხვა ფორმით მაქსიმალურად არის დაახლოებული. საწყისი ენისა და ნათარგმნი ენის სისტემებში არსებულმა განსხვავებებმა და თითოეულ ამ ენაზე ტექსტების შექმნის თავისებურებებმა, სხვადასხვა ხარისხით, შეიძლება შეზღუდოს თარგმანში ორიგინალის შინაარსის მთლიანად შენარჩუნების შესაძლებლობა. ამიტომ, თარგმანის ეკვივალენტურობა შეიძლება ეფუძნებოდეს ორიგინალში მოცემული მნიშვნელობის სხვადასხვა ელემენტის შენარჩუნებას (და, შესაბამისად, დაკარგვას). მთლიანობაში თარგმანი არ უნდა წარმოადგენდეს ორიგინალის პირდაპირ ან თავისუფალ გადმოცემას, თუმცა ორივეს ელემენტები აუცილებლად არსებობს. მნიშვნელოვანია, არ იქნას დაშვებული ორიგინალის ძირითადი ინფორმაციის დაკარგვა და გათვალისწინებული იყოს სამეცნიერო-ტექნიკური სტილის ყველა მახასიათებელი და ასპექტი, რომელიც ხასიათდება გადმოცემის ლოგიკური თანმიმდევრობით, გამონათქვამის ნაწილების კავშირების მოწესრიგებული სისტემით, ავტორების მცდელობით შეინარჩუნონ შინაარსის სიზუსტე, ლაკონიურობა, ერთმნიშვნელოვნება.

მხოლოდ მრავალმხრივი და სპეციალიზებული ცოდნის, მოქნილი აზროვნების მქონე მთარგმნელს შეუძლია სრულ-ფასოვანი თარგმანის გაკეთება და სათარგმნი დოკუმენტის შინაარსის ზუსტად გადმოცემა ორიგინალის შესაბამისი ფორმით, იმ ენის ნორმების დარღვევის გარეშე, რომელზეც ითარგმნება ტექსტი. თანამედროვე გამოცდილ მთარგმნელს უნდა შეეძლოს სამეცნიერო თარგმანის მეთოდების სინთეზი, მოეთხოვება ტერმინოლოგიის ცოდნა, იყოს კომპეტენტური სამეცნიერო-ტექნიკური თარგმნის სფეროში, რომლის თავისებურებები განისაზღვრება სიზუსტით, უპიროვნობით და ემოციური ელფერის არარსებობით, ხოლო

თარგმნის პროცესი მიმართულია უცხო ენაზე შესრულებული ტექსტის შინაარსისა და ფორმის სრულყოფილად აღდგენისაკენ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ალექსეევა, 2002: Алексеева Л. М. Специфика научного перевода: учебное пособие по спецкурсу. - Пермский университет. Пермь, 2002.

აიზენკოპი და სხვ., 1999: Айзенкоп С. М., Багдасарова Л. В., Васина Н. С., Глушенко И. Н. Учебное пособие по техническому переводу. Ростов на Дону, 1999. <https://studfile.net/preview/4584710/>

ახმანოვა, 2012. Ахманова О. С. Словарь лингвистических терминов. Москва, 2012. <https://classes.ru/grammar/174.Akhmanova/>

ბარხუდაროვი, 1975. Бархударов Л. С. Язык и перевод. Москва, 1975. [http://samlib.ru/w/wagapow\\_a\\_s/barhud-trdoc.shtml](http://samlib.ru/w/wagapow_a_s/barhud-trdoc.shtml)

ვინოგრადოვი, 2001. Виноградов В. С. Введение в переводоведение. Москва, 2001. <http://www.helpforlinguist.narod.ru/VinogradovVS/VinogradovVS.pdf>

ვალეევა, 2006. Валеева, Н. Г. К понятиям адекватности и эквивалентности в научном переводе. // Вестник РУДН. Серия: Вопросы образования. Языки и специальность. 2006. №1. С. 17–21. <https://cyberleninka.ru/article/n/k-ponyatiyam-adekvatnosti-i-ekvivalentnosti-v-nauchnom-perevode>

გრედინა, 2010. Грeдина И. В. Перевод в научно-технической деятельности: учебное пособие. Томск, 2010. <http://docplayer.ru/25875651-Perevod-v-nauchno-tehnicheskoy-deyatelnosti.html>

ლიტვინოვა, 2012. Литвинова М. Н. Практикум по переводу (английский язык): учебно-методическое пособие. Пермь, 2012. <http://www.psu.ru/nauka/elektronnye-publikatsii/uchebnye-posobiya-i-metodicheskie-materialy/praktikum-po-perevodu>

რეცკერი, 2007. Рецкер Я. И. Теория перевода и переводческая практика. Очерки лингвистической теории перевода. Москва, 2007.

ხარიტონოვა, 2006. Харитоновa Е. А. Концептуализация как стратегия перевода научного текста (на материале русского и английского языков). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. Пермь, 2006 <https://www.gavrilenko-nn.ru/upload/pdf/2fe7e7d83fe2f05af66285e1d76c1e47.pdf>

**იზა ჩანტლაძე**  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი,  
საქართველო, თბილისი,  
antropos\_adamiani@yahoo.com, 599577568

## **მარჯორი უორდროპი და სოფელ უშგულში ჩაწერილი სვანური ზღაპრის („ამირანი“) ქართული ვარიანტი**

### **მოკლე შინაარსი**

შოტლანდიელ და-ძმა უორდროპთა დეაწლი საქართველოში ყოველთვის იყო, არის და იქნება დაფასებული. მარჯორი უორდროპი იყო „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი ინგლისურ ენაზე, ამავე დროს, ის ბევრად მეტი იყო საქართველოსთვის, ვიდრე მხოლოდ მთარგმნელი. დღემდე არაა გამოცემული **მარჯორი სკოტ უორდროპის** ის ხელნაწერები, რომლებშიც სვანური ენისა და სვანეთის ეთნოლინგვისტურ-ფოლკლორული მასალებია წარმოდგენილი, განსხვავებით ქართლ-კახური, გურული და მეგრული მონაცემებისგან (იხ. Georgian Folk Tales, Translated and Betold by Marjory Wardrop, London, 1894), თუმცა 1911 წელს ლონდონში გამოქვეყნებული „Englisch-Svanetian Dictionary“-ს ავტორი **ჯონ ოლივერ უორდროპი** თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში შემდეგს იტყობინებოდა: „The late Miss Marjory Wardrop left in manuscript an English translation of a collection of Svanetian folk-tales which may be published shortly“. სამწუხაროდ, სვანური ზღაპრების ინგლისურენოვანი ვარიანტები არც მაშინ დაბეჭდილა და არც შემდეგ – არც ბრიტანეთში და არც საქართველოში. სამაგიეროდ, ოქსფორდის უნივერსიტეტის სახელგანთქმულ **ბოდლეს** ბიბლიოთეკაში (Wardr. 9.2) დღემდე დევს „სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ, ქუთაისი, 1893“.

სტატიაში საუბარია სვანური ზღაპრების მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** მარჯორი უორდროპი, სვანური ზღაპრები, ინგლისური თარგმანი, თავისუფალი სვანი (ბესარიონ ნიქარაძე).

*Iza Chantladze*  
*Emeritus Professor of Ilia State University, Tbilisi, Georgia,*  
antropos\_adamiani@yahoo.com, 599577568

**MARJORIE WARDROP AND THE GEORGIAN VERSION OF THE SVAN  
FAIRY TALE ("AMIRAN") RECORDED IN THE VILLAGE OF USHGUL**

**Abstract**

The contribution of the Wardrop brothers and sisters from Scotland has always been, is and will always be appreciated. Marjorie Wardrop was the English translator of *The Woodburner*, but at the same time, she was much more of a writer than a translator. Until today, the manuscripts of Marjory Scott Wardrop, in which the Svan language and Svaneti are not published, have not been published. Ethno-linguist-folkloric materials are produced, with different types of Kartl-Ka-khu-ri, Gu-ru Georgian Folk Tales, Translated and Betold by Marjory Wardrop, London, 1894, but published in London in 1911 Preface to the work of the author John Oliver Wardrop of the "Englisch-Svanetian Dictionary" In the end he said: "The late Miss Marjory Wardrop left in manuscript an English translation of a collection of Svanetian folk-tales which may be published shortly". Unfortunately, the English version of the fairy tale was not even printed at that time. And not after that - neither in Britain nor in Hungary. For example, in the Bodleian Bible of the University of Oxford (Wardr. 9.2) To this day, there is "Sva-nuri zhap-rebi, collected by Ta-vi-sufa-li Svani, Ku-ta-i-si, 1893".

The article discusses Marjory Wardrop's English translation of the Swan tales and related issues.

**Key Words:** Marjorie Wardrop, Swan Tales, English translation, Free Swan (Besarion Nizharadze).

**შესავალი.** შოტლანდიელ და-ძმა უორდროპთა ღვაწლი ყოველთვის დიდად იყო, არის და იქნება დაფასებული ჩვენს ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც ქალბატონ მარჯორისთან „ვეფხისტყაოსნის“ დიდებული თარგმნა ასოცირდება, ის ბევრად მეტი იყო საქართველოსთვის, ვიდრე მხოლოდ თარჯიმანი.

სამწუხაროდ, დღემდე არაა გამოცემული **მარჯორი სკოტ უორდროპის** ის ხელნაწერები, რომლებშიც სვანური ენისა და სვანეთის ეთნოლინგვისტურ-ფოლკლორული მასალებია წარმოდგენილი, განსხვავებით ქართლ-კახური, გურული და მეგრული მონაცემებისგან (იხ. Georgian Folk Tales, Translated and Betold by Marjory Wardrop, London, 1894), თუმცა 1911 წელს ლონდონში გამოქვეყნებული „Englisch-Svanetian Dictionary“-ს ავტორი **ჯონ ოლივერ უორდროპი** თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში შემდეგს იტყობინებოდა: „The late Miss Marjory Wardrop left in manuscript an English translation of a collection of Svanetian folk-tales which may be published shortly“. სამწუხაროდ, სვანური ზღაპრების ინგლისურენოვანი ვარიანტები არც მაშინ დაბეჭდილა და არც შემდეგ – არც ბრიტანეთში და არც საქართველოში. სამაგიეროდ, ოქსფორდის უნივერსიტეტის სახელგანთქმულ **ბოდლეს** ბიბლიოთეკაში (Wardr. 9.2) დღემდე დევს „სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ, ქუთაისი, 1893“.

**მსჯელობა.** და-ძმა ხშირად იყო მიწვეული ქუთაისში, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე, და, თავისთავად ცხადია, მათ არ გაუჭირდებოდათ გაცნობა „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით მოღვაწე **ბესარიონ ნიჟარაძისა**, რომელიც საქართველოში უორდროპთა ცხოვრების დროს პედაგოგად მუშაობდა ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. მიუხედავად იმისა, რომ წიგნს არ აწერია სვანური ზღაპრების შემკრების სახელი და გვარი, **დავით ბარეტის** ცნობილ ნაშრომში „Catalogue of the Wardrop Collection and Other Books and Manuscripts in the Bodleian Library“ (Oxford, 1973) ბესარიონ ნიჟარაძე დასახელებულია (რაღა თქმა უნდა, ქალბატონი მარჯორის წყალობით, თორემ ეს წიგნი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გარდა, ჩვენი ქვეყნის არც ერთ სამეცნიერო თუ არასამეცნიერო დაწესებულებაში აღარაა; უფრო მეტიც! – თვით უშგულელმა ნიჟარაძეებმა – ბატონი ბესარიონის მკვიდრმა ნათესავებმაც კი აღარაფერი იციან მისი არსებობის შესახებ).

სვანური ზღაპრები, რომლებიც გადმოქართულებულია ბესარიონ ნიჟარაძის მიერ (აღბათ, დიდი **ილია ჭავჭავაძის** თხოვნით, რათა ყველა ქართველისთვის ყოფილიყო გასაგები!), უაღრესად საინტერესოა არა მხოლოდ სიუჟეტური, არამედ ეთნოლინგვისტური თვალსაზრისითაც; უპირველეს ყოვლისა, ტექსტები ყურადღებას

იქცევენ როგორც საერთოქართველური ენიდან მომდინარე უძველესი ლექსიკითა და გრამატიკული ფორმებით (განსაკუთრებით იდიომატურ გამონათქვამებში!), ისე ქართულ-სვანურ ენათა XIX საუკუნეში არსებული ინტერფერენციებით.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს ზღაპარ „ამირანიდან“:

ღევს ჩერიად (თითისტარად) ნაძვის ხე აქვს, ჯარაიად – დოლებშირა (წისკვილის ქვა) – გვ. 92.

ბესარიონ ნიჟარაძემ პირველ შემთხვევაში სვანურ-მეგრულსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებული ჩერი-ძირი გამოიყენა; ამასთანავე, ფრჩხილებში მიუთითა მისი საყოველთაოდ აღიარებული სახეობა, ხოლო მეორე შემთხვევაში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე იხმარა სპარსულიდან მომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში დადასტურებული ჯარა („პრიმიტიული მანქანა, რომლითაც მატყლს/ბამბას ართავენ ან ძაფს ძახავენ“). რაც შეეხება სვანურ დოლებშირას, მას ზოგჯერ აქვს ფრჩხილებში მიწერილი ქართული თარგმანი (ქართულ ტექსტში!), ზოგჯერ კი – არა:

ეცადე, განთხი როგორმე შეაჭრა, მაშინ დოლებშირას სიმძიძე წინ წასძლევს, კისერი გამოუჩნდება, იქ ჰკარი ხანგარი (გვ. 98).

ამ ფრაზაში სვანურ ლექსემებს არსად აქვთ ქართული თარგმანი იმიტომ, რომ ზღაპრის წინა ნაწილშია მათზე მითითება. ერთ-ერთი მათგანია გნთხ, რომლისთვისაც ბ. ნიჟარაძეს ფრჩხილებში მიუწერია ქართული „მარღვი“ (გვ. 97), მაგრამ ვ. თოფურია – მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ შემდეგი ვითარებაა:

1. უკანა ფეხი (ცხოველისა);
2. ადამიანის კოჭის უკანა ნაწილი (მყესიანად).

თანამედროვე უშგულელებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ გნთხ ადამიანის ქუსლის ზევითა ნაწილია.

ზოგჯერ, როგორც ჩანს, ბ. ნიჟარაძეს თავისი ქართული მაინცდამაინც არ აკმაყოფილებს და შედარებით იშვიათად ამა თუ იმ ლექსემის მნიშვნელობას თითქოს აზუსტებს შესაბამისი სვანური მონაცემის ფრჩხილებში წარმოდგენით:

ღევის ყოფა-მოსახლობა (ლირდე-ლიზე) ამირანს დარჩა (გვ. 92); ცხადია, „ყოფა-ცხოვრება“ სჯობდა!

ამოიღე და უცხუნე (ლოხცუხუნ) – გვ. 93;

რკინის შვილდ-ისარი მოსწიეს (ანგუზიხ) – გვ. 89;

ერთის მხრით ვაშლი **სულ ჩამოყარა (ობრუხნე)** – გვ. 90.

ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საყოველთაოდ გავრცელებული ზღაპრების სიუჟეტებში სვან მთქმელებს შეაქვთ ხოლმე თავიანთი კუთხისათვის სპეციფიკური ეთნოგრაფიული ნიუანსები ან საკუთრივ სვანური (ქართულ-მეგრულ-ლაზურისაგან განსხვავებული) ფრაზეოლოგია. ასე მაგალითად:

ამირანი ნადირობის ქალღმერთის – დალის შვილია, ხოლო მზეთუნახავს **ქეთუ** (< ქართ. **ქეთევან**-) ჰქვია და არა **ყამარი**.

ამიტომ შემთხვევითი არაა ვარლამ თოფურისა შენიშვნა 1927 წელს უშგულში მის მიერ სვანურად ჩაწერილი „ამირანის“ ერთ-ერთ ვარიანტთან დაკავშირებით: „ზღაპარი შეიცავს ამირანის ამბავს, მაგრამ თვალსაჩინოდ განსხვავდება ქართული ვერსიისაგან“ (სვანური ტექსტები 1939: 466).

მეტად საგულისხმოა, რომ „თავისუფალი სვანი“ **ეჯღჳ** („ისინი“) ნაცვალსახელს სისტემატურად თარგმნის ქართველური ფუძეებიდან მომდინარე ფონემატური შესატყვისით („ეგენი/იგინი“), ხოლო უძლავუტიან ფორმებს ქართულ ლექსემებშიც იყენებს (**ვედენი** – „ოდენა“, გვ. 101).

ზემოთ ან ქვემოთ მიმავალი (ლეჟა ი ლექვა მეზი) აღმოსავლეთით ან დასავლეთით მიმავალია (გვ. 88); რბილსაც (ე. ი. ხორცსაც) შევჭამ და ძვალსაც დავხრავო (გვ. 92).

სრულიად მოულოდნელია ბ. ნიჟარაძის ჩაწერილი ტექსტის ერთ-ერთი ზმნის ფორმა – „ასე **ი-მე-ორ-ებ-ა** ყოველ წელს“ (გვ. 99); ცხადია, უნდა ყოფილიყო **მე-ორ-დ-ებ-ა**, მაგრამ „სვანური გრამატიკის მოკლე განხილვის“ (თავისუფალი სვანი 1911-1913) ავტორმა რატომღაც პრეფიქსიანი ვნებითი არჩია სუფიქსიანს (იმიტომ ხომ არა, რომ ის უფრო არქაულია ქართველურ ენებში?). ამ შემთხვევაში ვერც სვანური მეტყველების გავლენას ვივარაუდებთ, რადგანაც საანალიზო ზმნა საერთოდ არ გვხვდება შესაბამის კონსტრუქციაში (შდრ. **ამჟი ლი ჩი ზაჳ** – „ასე არის ყოველ წელს“).

სვანური ზღაპრის გადმოქართულებული ვარიანტის თანახმად, ამირანი ღმერთთან ჭიდილში იმიტომ დამარცხდა, რომ მან სამჯერ დაარღვია **ქრისდჳ თასდჳებ** („ქრისტეს თავდებობა“) ის წესი. ამ ეპიზოდს ბ. ნიჟარაძე შემდეგნაირად განმარტავს სქოლიოში: „**ქრისდეე**

თასდევბ“-ს იგეთივე მნიშვნელობა აქვს სვანეთში, როგორც პატიოსანს სიტყვას აქვს. როგორც პატიოსანი კაცი პატიოსანს სიტყვას არ გადუდგება, ისე სვანი „ქრისდე თასდევბ“-ს (გვ. 91). ვფიქრობთ, საანალიზო სინტაგმა 3000 წლის წინ შექმნილი უძველესი ხალხური თქმულების ქრისტიანიზებული ვარიანტის ილუსტრაციას წარმოადგენს.

ძველ სვანურ სიმღერებში ყურმ□ღ ეწოდება ბეთქილისა და ქალაის ძაღლებს, აქ კი ის ამირანთანაა მიბმული რკინის ჯაჭვზე. ზღაპარში ნათქვამია: „ყურმა ორბის ლეკვია. ორბს, სვანების სიტყვით, სხვა ბარტყთა შორის ერთი ლეკვი ეყოლება ხოლმე“ (გვ. 100).

მაშასადამე, მარჯორი უორდროპს ხელთ ჰქონდა ქართული ენის სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებთან, ისტორიულად ამოსავალ ძირებსა თუ გრამატიკულ ფორმებთან ინტერფერენციურებული სვანური ტექსტები, ამიტომაც, თავისთავად ცხადია, ის გარკვეულ სიმწელებებს წააწყდებოდა. ხომ ძალიან საინტერესოა, როგორ თარგმნა მან ბ. ნიჟარაძის ჩაწერილ „ამირანში“ დადასტურებული ასეთი ფრაზა? – ამირანმა წემაში მოაბა ხმალს (გვ. 91):

„სვანური ზღაპრების“ ერთ-ერთ სქოლიოში წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, წემაში არის „ჯამზარა, თასმა – მსხვილად გრებილი“, ხოლო ვ. თოფურია და მ. ქალდანი ამ ლექსემის ქართულ შესატყვისად ასახელებენ ჭაპანს (თოფურია... 2000: 852) – უღლისა და მარხილის ერთმანეთთან დასაკავშირებელ დაწულ თასმას (ზაგირს). ამგვარი ღვედით ან რკინის ჯაჭვით ხარები გუთანს ეწეოდნენ საქართველოში, მაგრამ მას ჯამზარა („ერქვნის დასაკრავი“ – საბა) ერქვა. „სვანური ზღაპრების“ ქუთაისის ამხანაგობის №4 გამოცემაში (ტიპო-ლიტოგრაფია გამრეკელისა) კორექტურული შეცდომა ხომ არაა?!

მაგრამ ამდენი რამ ქართული ყოფიდან ეცოდინებოდა ქალბატონ მარჯორის?! – რა თქმა უნდა, არა! ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ გარკვეული ვარაუდები შეიძლება გამოვთქვათ, ვიდრე არ გვექნება შესაძლებლობა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში მუშაობისა, სადაც ოლივერ უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილი იმ სვანური ტექსტების ხელნაწერებიც ინახება, რომლებიც XIX საუკუნეში იბეჭდებოდა ცნობილ კრებულში „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ (т. X, Тифлиς, 1890; об. Wardr. 15.30).



ვფიქრობთ, რომ ოლივერ და მარჯორი უორდროპებისთვის



კავკასიური საგმირო ეპოსის თემატიკა მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა, ალბათ, იმიტომ, რომ ამირანის თქმულება კოლხურ-იბერიულ ფოლკლორში უფრო ახლოსა ძველისძველ შუმერულ-აქადურ და ანტიკურ ბერძნულ ეპოსთან, ვიდრე ევროპულთან ან ქრისტიანული ეპოქის აღმოსავლურ სამყაროსთან (ნუცუბიძე 1956, § 2; ჩიქოვანი 1965: 346). ბატონ ოლივერს პრომეთეს სახელთან დაკავშირებული ლეგენდაც უთარგმნია ინგლისურად და შესაბამისი გამოკვლევაც („Transcaucasian folktales about Prometheus“ – დღემდე გამოუქვეყნებელი, იხ. Wardr. d 40/4 და Barrett, 1973: 340) შეუქმნია, ხოლო ამირანის თემა და-ძმის კოლექციაში 15 დასახელების ქართულენოვანი წიგნით და ალექსანდრე გრენის რუსული სტატიითა (Грузинская повесть об Амиране, сыне Дареджана, и остатки сказаний о нём в картвельской народной литературе, "Журнал министерства народного просвещения", Ст.-Петербург, 1895) წარმოდგენილი. აი, რას წერს ქალბატონი მარჯორი თავის ნარკვევში „შენიშვნები 1894-95 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ“: „**საქართველო ჩემთვის ზღაპრული ქვეყანა იყო...** სწორედ იქ უფატრავდა გულს, ზევსის სასტიკი ბრძანებით, კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთეს ზევის ფრთოსანი ძაღლი... მრავალი ძველი ლეგენდა შემოუნახავს მეხსიერებას! ერთ-ერთი მათგანია **ლეგენდა ამირანზე**, რომელიც **სხვა არა არის რა, თუ არა კლასიკური მოთხრობა პრომეთეს** შესახებ“. შდრ. ნ. მარის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ამირანი პრომეთეს მაგვარი ტიპია, ოღონდ უფრო ძველი და მრავალფეროვანი „Легенда из яфетического мира докатилась до Грузии, где она претворена в сказание о Прометее“ (Март 1938: 130).

ბოდლეს ბიბლიოთეკის აღმოსავლური ხელნაწერების საცავში დღემდე არსებობს მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ ნათარგმნი მრავალფეროვანი სვანური მასალა. ფონდის დირექტორმა პროფესორმა ჯილიენ ევისონმა აღნიშნა, რომ მათთან დაცულია საქართველოში გავრცელებული არაერთი ზღაპრის ხელნაწერი, მაგრამ მათ შორის რომელია კონკრეტულად სვანური, აქამდე არ არის იდენტიფიცირებული ოქსფორდში სპეციალისტთა არარსებობის გამო. ქალბატონმა ჯილიენმა გამოთქვა სურვილი, რომ იგი მოხარული იქნება, თუ ჩვენ გავუგზავნით კვლევის შედეგად მოპოვებულ ლინგვისტურ ინფორმაციას, რომელიც ამ ზღაპრების სვანურ წარმომავლობას დაადასტურებს. ჩვენი ამოცანაა გავიგოთ, თუ როგორ მოახდინა მარჯორი უორდროპმა ქართული და სვანური

ენების სინთეზი შესაბამისი ტექსტების ინგლისურად თარგმნისას. ასევე, ნათარგმნი მასალა გვაინტერესებს არა მხოლოდ სვანურის, არამედ ყველა იმ ინფორმაციის თვალსაზრისით, რომელიც ქართული ენის სასაუბრო, სალიტერატურო თუ დიალექტური ფორმების ინგლისურად წარმოდგენას ეხება, რადგანაც ბესარიონ ნიჟარაძე „ამირანის“ ქართულენოვანი ტექსტის გადმოცემისას აშკარად განიცდის ლექსუმურ-რაჭულ კილოთა გავლენას.



„ამირანის“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანის ფრაგმენტი

მარჯორი უორდროპის ხელნაწერი ხასიათდება გაკრული წერის ისეთი მანერით, რომელიც თანამედროვე ინგლისურენოვანი მკითხველისთვისაც კი ძნელი გასარჩევია. მისი კალიგრაფია ინგლისური მართლწერის – გადაბმული ასოების (joint letters) მანერას შეესაბამება. ეს სტილი კალიგრაფიის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს ატარებს, ამიტომ ასეთი ხელნაწერი წაკითხვა არცთუ ისე მარტივია, მით უმეტეს, როცა თითქმის საუკუნუნახევრის წინანდელ ნაშრომზე ვმსჯელობთ. ამ ხელნაწერის გაშიფვრაში რამდენიმე ბრიტანელი მოქალაქე ჩავრთეთ:

**ალექსანდრე შონ ლავიტის** აზრით, მარჯორი უორდროპის კალიგრაფია ძალიან ჰგავდა მისი ბავშვობის დროინდელი ხელწერის მანერას და ამის გამო მას არ გასჭირვებია ტექსტის წაკითხვა. სანტერესოა, რომ ალექსანდრე მარცხენა ხელით წერს. იქნებ ქალბატონი მარჯორის შემთხვევაშიც იგივე ვითარება იყო?!

ულრმეს მაღლობას მოვახსენებთ დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, შესანიშნავ კავკასიოლოგს, პროფესორ ჯორჯ ჰიუიტს, ვინც ძალიან დაგვეხმარა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ უშგულში ჩაწერილი ზღაპრის („ამირანი“) ქართული ვარიანტის საკმაოდ რთული კალიგრაფიით წარმოდგენილი ინგლისურენოვანი ხელნაწერის გამიფვრასა და მისი კომპიუტერული სისტემით წარმოდგენის საქმეში. ამ ტექსტის ანალიზზე ამჟამად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყოფილი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ლონდონში მცხოვრები პროფესორი ფიქრია აფხაიძე, რომლის კვლევის შედეგები მალე გამოქვეყნდება პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში „ქართველური მემკვიდრეობა“.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული „სვანური ზღაპრების“ ენა, უპირველეს ყოვლისა, ზოგადლინგვისტური მნიშვნელობისაა დიგლოსიური სპეციფიკის თვალსაზრისით, ხოლო მათი ინგლისურენოვან თარგმანთა ხელნაწერები კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევენ ბილინგვურ ჭრილში, ეს ინტერესი კი ჩვენში აღძრეს: აკადემიკოსმა **ელგუჯა ხინთიბიძემ**, პროფესორებმა **მარიკა ოძელმა** და **ნიკოლოზ ალექსიძემ** (რომლებმაც არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნეს ჯონ ოლივერ და მარჯორი სკოტ უორდროპების ფონდში დაცული მასალების შესახებ), აგრეთვე, უორდროპთა კოლექციის დირექტორმა, ფილოლოგიის დოქტორმა **ჯილიენ ევისონმა** (ვინც რამდენიმე წლის წინ გახლდათ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰადიშში, რომლის მოსახლეობამ მტერთა იავარყოფას გადაარჩინა ოთხთავის პირველი თარიღიანი ქართული ხელნაწერი - **აკაკი შანიძის, რობერტ ბლეიკისა** და სხვათა გამოკვლევები ჰადიშის სახარების შესახებ დღემდე ამშვენებენ ბოდლეს ბიბლიოთეკას).

არნოლდ ჩიქობავას ყველა მონოგრაფიას, ქართული ენის

განმარტებითი ლექსიკონისა და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ ყველა ტომს დღემდე სათუთად უფრთხილდებიან ოქსფორდში არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფუძემდებელი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი გახლდათ, არამედ იმიტომაც, რომ ბატონი არნოლდი თავისი სახელოვანი სიცოცხლის მანძილზე ოლივერ უორდროპის მიერ დაარსებული ბრიტანულ-ქართული საზოგადოების ღირსეული წევრი იყო, ჩვენ კი – მის მოწაფეებს – მასწავლებლისთვის გადაუხდელ ვალად გვადევს უცხოელ ეთნოლინგვისტთა, დიპლომატთა თუ მოგზაურთა იმ ქართველოლოგიურ ნაშრომთა კვლევა, რომლებიც საუკუნენახევარია დევს ბოდლეს ბიბლიოთეკაში, მით უფრო, რომ ზოგი მათგანი, სამწუხაროდ, სრულიად უცნობია ქართველი მკითხველისათვის...

ულრმესი მადლობა ოქსფორდის უნივერსიტეტის სახელგანთქმული ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს (დაარსებიდან დღემდე!) ჩვენი წინაპრებისა თუ მასწავლებლების სამეცნიერო ღვაწლის პატივისცემისა და მათი კავკასიოლოგიური ნაშრომების სათუთად შემონახვისათვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

თავისუფალი სვანი 1911-1913: თავისუფალი სვანი, მოკლე მიმოხილვა სვანური გრამატიკისა. „ძველი საქართველო“, ტ. II. ტფილისი, 1911-1913.

თოფურია... 2000: თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი. თბილისი, 2000.

ლენგი 1957: ლენგი დ. მ., ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში. ჟურნალი „ცისკარი“, №4., თბილისი, 1957.

ნუცუბიძე 1956: ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1956.

სვანური ზღაპრები 1893: სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ. ქუთაისი, 1893.

სვანური ტექსტები 1939: სვანური პროზაული ტექსტები, ტ. I, ბალსზემოური კილო. ტფილისი, 1939.

უორდროპი 1992: უორდროპი ნ. ო., მარჯორი და ოლივერი. ჟურნალი „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №2. თბილისი, 1992.

ღლონტი 1960: ღლონტი ა., მიჯაჭვული ამირანის პრობლემა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, I. თბილისი, 1960.

ჩიქოვანი 1965: ჩიქოვანი მ., ქართული ეპოსი, წიგნი II. თბილისი, 1965.

ჯავახიშვილი 1928: ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. I. ტფილისი, 1928.

Amirani 1893: Amirani, translated by M. S. Wardrop from the Svanetian folk tales of "Tavisupali Svani" [B. Nižaradze], Kutais, 1893 (მარჯორი უორდროპის თარგმანი იხ. ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკის ქართული წიგნებისა და ხელნაწერების ფონდში Wardr.9.2 და დევიდ ბარეტის ოქსფორდში გამოცემულ კატალოგში – 1973: 188).

Barrett 1973: Barrett D., Catalogue of the Wardrop Collection and Other Books and Manuscripts in the Bodleian Library. Oxford, 1973.

Englisch-Svanetian Dictionary 1911: Englisch-Svanetian Dictionary. London, 1911.

Folk tales 1890: Folk tales, translated by J.O. Wardrop from "Sbornik materialov dlja opisaniia mestnostei i plemion Kavkaza", Tiflis, 1890, V. 10 (იხ. Wardr.15.30 და Wardr.d.40/4, აგრეთვე, დ. ბარეტის კატალოგი, გვ. 340).

Wardrop 1894: Wardrop M. S., Georgian Folk Tales. London, 1894.

Грен 1895: Грен А.Н., Грузинская повесть об Амиране, сыне Дареджана, и остатки сказаний о нём в картвельской народной литературе, Журнал Министерства народного просвещения, Санкт-Петербург, 1895 (Wardr.10.62, დ. ბარეტის კატალოგი, გვ. 101).

Март 1938: Март Н.Я., О языке и истории абхазов. Москва-Ленинград, 1938.

Сборник... 1890: Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа“, X. Тифлись,

Чиковани 1966: Чиковани М.Я., Народный грузинский эпос о прикованном Амирани. Москва, 1966.

*ნინო მეგენეიშვილი*

*ფილოლოგიის დოქტორი, კორნელი კეკელიძის სახელობის  
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,  
საქართველო, თბილისი,  
ninomegeneishvili@gmail.com, 599 766 197*

**„კრება ფლორენციისა“ - ტექსტის პუბლიკაციისთვის**

**მოკლე შინაარსი**

ფლორენციის კრება შუა საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც გასცდა ორი ეკლესიის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ვატიკანისა და კონსტანტინეპოლის, ურთიერთობას, რომელმაც გადაწყვიტა არა მარტო კონსტანტინეპოლის ბედი, არამედ დაწერა შემდგომი საუკუნეების და ეპოქების ისტორია, შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება, პოლიტიკური სუბიექტები მსოფლიო რუკაზე, შექმნა ახალი რეალობა. ეს რეალობა დრამატულად აისახა საქართველოზე. კონსტანტინეპოლის დაცემიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საქართველო დაიშალა ექვს სტრუქტურულ ერთეულად: სამ სამეფოდ, ორ სამთავროდ და სამცხე-საათაბაგოდ. ეს, მართალია, უფრო მეტად შიდა სისტემური პრობლემა იყო, მაგრამ ამგვარი შედეგი მიმდინარე გლობალურმა ცვლილებამაც, როგორც ნეგატიურმა მოვლენამ, გამოიწვია.

საქართველო, როგორც მსოფლიოს ნაწილი, ქრისტიანთა ყურე მუსლიმურ სახელმწიფოთა გარემოცვაში, აქტიურად მონაწილეობდა კრებაზე, ჰქონია თავისი გამოკვეთილი პოზიცია. როგორც ცნობილია, ქართველი წარმომადგენლები არ იყვნენ უნიის მომხრე და არც დაფიქსირებულა მათი ხელმოწერა ამ აქტზე. სამწუხაროდ, ქართულ წერილობით წყაროებში ფლორენციის კრების თაობაზე ინფორმაცია ძალიან მწირია. თხზულება „კრება ფლორენციისა“ ნათარგმნი ძეგლია, სადაც აღწერილია კრების შეკრების მიზეზი, თანმიმდევრობა და შედეგი. მართალია, აქ არაფერია ნათქვამი კრე-

ბის ქართველ წარმომადგენლობაზე, მაგრამ როგორც ამ ისტორიული მოვლენის ამსახველი წყარო საკმაოდ მნიშვნელოვანია წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** ფლორენციის კრება, ვატიკანი, წერილობითი წყარო, კოსტანტინეპოლი.

*Nino Megeneishvili*

*Doctor of Philology, Korneli Kekelidze Georgian National Centre of*

*Manuscripts, Tbilisi, Georgia,*

*ninomegeneishvili@gmail.com, 599 766 197*

## **„COUNCIL OF FLORENCE“ – FOR TEXT PUBLICATION**

### *Abstract*

The Council of Florence is one of the most important events of the Middle Ages, which went beyond the relations between the two churches, West and East, Vatican and Constantinople, that decided not only the fate of Constantinople, but also wrote the history of later centuries and epochs, changed the geopolitical situation, the political subjects on the world map, created a new reality. This reality was dramatically reflected on Georgia. A few decades after the fall of Constantinople, Georgia was divided into five kingdoms. It was indeed an internal systemic problem, but the current global change has also had a negative impact on such a result.

Georgia, as part of the world, the Gulf of Christians in the Muslim world, actively participated in the congregation. The country had its distinct position. As it is known, the Georgian representatives were not in favor of political union and their signature on this act was not recorded. Unfortunately, there is very little information in the Georgian written sources about the Council of Florence. The work "Council of Florence" is a translated monument, which describes the reason, sequence and result of the congregation. It is true that nothing is said there about the Georgian representation of the council, but as a source reflecting this historical event, it is quite important from a source-scientific point of view.

**Key Words:** Council of Florence, Vatican, Written Source, Constantinople.

1453 წ-ს კონსტანტინეპოლის დაცემით ბიზანტიის იმპერია გახდა ისტორიის ნაწილი. ეს არ იყო მხოლოდ ბიზანტიელთა განაჩენი, აია-სოფიას სახეცვლილებამ გადაასხვაფერა დანარჩენი მსოფლიო, ხოლო მათი პოლიტიკური ოპონენტების ბედი დრამატულად შეცვალა, მათ შორის საქართველოსიც.

ბიზანტიის დაცემა არ ყოფილა ერთი დღის და ერთი გაბრძოლების შედეგი, ბიზანტიის დაცემა, უპირველესად, ბიზანტიის იმპერიის სისტემური ნგრევის შედეგი იყო. იმპერიის არსებობის მიწურულს კი მის გადარჩენას ცდილობდა სამეფო კარი და ეკლესია დანარჩენ მსოფლიოსთან მორიგებით, დიპლომატიური ხერხებითა თუ საეკლესიო შეთანხმებებით. ამ შეთანხმებების პირობებში ყველას თავისი პრეტენზია, სურვილი, სახელმწიფო ინტერესი ჰქონდა და ამოძრავებდა. ამასთან დაკავშირებით მსოფლიო საეკლესიო მატთანემ არაერთი კრება შემოინახა: ბაზელის, კონსტანტინეპოლის და სხვა, მაგრამ გადამწყვეტი იყო მერვე მსოფლიო კრებად წოდებული ფერარა-ფლორენციის კრება<sup>1</sup>.

ფლორენციის კრების შესახებ წყაროები, რომელიც ლათინურ და ბერძნულ ენაზე არსებობდა - დაკარგულია. დაკარგული თუ მიუგნებელი (დამალული) წყაროები სხვადასხვაგვარი მსჯელობისა და ვარაუდის საფუძველს იძლევა. სავარაუდოდ, საეკლესიო კრებაზე ვერ იქნებოდა საუბარი სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის შექმნაზე, საუბრის ოფიციალური ფორმატი ვერ გასცდებოდა რელიგიურ შინაარსს, თუმცა ფაქტია, მსჯელობის ძირითადი მიზანი არა მხოლოდ აია სოფიას გადარჩენა იყო უსჯულოთაგან, არამედ ბიზანტიური იმპერიის შენარჩუნება, რაც უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთის ეკლესიის სიწმინდის - კონსტანტინეპოლის გადა-

---

<sup>1</sup> ფერარა-ფლორენციის კრებას მსოფლიო საეკლესიო კრების სახელი ვერ დაუმკვიდრდა, რადგან მასზე მიღებული დადგენილებები მკვდრადშობილი აღმოჩნდა, ისინი ვერ განხორციელდა.



რჩენის საფუძველი მომავალშიც ოსმალური აგრესიისგან. შესაბამისად, ძნელი დასაჯერებელია კრების, თუნდაც ოფიციალურ ნაწილში პოლიტიკური კრიზისი უგულვებელყოფილიყო.

ეპოქალური მნიშვნელობის კრებას ესწრებოდნენ სრულიად ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლები, მათ შორის იყო ქართული დელეგაცია. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, ქართული წერილობითი წყაროები, ფაქტობრივად, დუმს ფერარა-ფლორენციის კრების შესახებ. ქართულ ხელნაწერთა ფონდში დაცულია რამდენიმე თხზულება, რომლებშიც აღწერილია ფლორენცია-ფერარას კრება. ძირითადად, ეს ხელნაწერები ანტიკათოლიკური პოლემიკური შინაარსისაა, ასევე დაცულია ნათარგმნი თხზულება, რომელიც წარმოადგენს კრების დეტალურ აღწერას. შემორჩენილია ხელნაწერის ორი ნუსხა: 1. A-1443 და 2.Q-1391. თხზულების მიხედვით, ავტორი უნდა იყოს ვინმე ევგენიოსი: „სახელითა წმიდისა, დაუსრულებელისა სამებისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა და ორსავე კერძოსა ფრანგთა და ბერძენთა დღეს ერთ იქმნენ და წმინდა ყოვლისა სოფლისა კრება აღიარონ. ევგენიოს, მონა ღვთისა, ამის საქმისათვის ვწერ, რათა მტკიცედ იყოს, დიდსა ღმერთსა ჭეშმარიტად ვმადლობდეთ“, რომელიც არ ერიდება თხრობისას თავისი პოზიციის გამოხატვას. ის უნიის მომხრეთა რიგში უნდა ყოფილიყო, შესაძლოა, ეს მხოლოდ მისი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი მიდგომა გახლდათ, რომელიც მეორე რომის ხსნას სწორედ მხოლოდ ვატიკანის კართან დაახლოებასა და დასავლეთის ქვეყნებთან ერთობაში ხედავდა და ეს სულაც არ იყო აღმოსავლური ეკლესიის ფუნდამენტური საფუძვლების უგულვებელყოფა. მისი პიროვნული ემოცია ადვილად იკითხება თხზულებაში: „გამოჩინებულისა მეფისა ბერძენთასა და პოტირიტთა ღირსთა ძმათა ჩვენთა პატრიარქთა და სხვათა აღმოსავლეთისა ეკლესიათა მუნით **იხარებენ ცანი და განსცხრების ქვეყანა და იკნა შუა კედელი მტერობისა დასავლეთისა და აღმოსავლეთისა გაერთებისა. მოიწია მშვიდობა და ერთობა ძვირსა ფასისა ივლისა. ქრისტესი შეიქმნა კეთილი სიყვარული და ერთობა საშინელისა, ღვთისაგან შეერთდება ორი კედელი.** ერთად შეასწორა მტკიცედ შეკრული, რომე გვაქვნდეს ერთობა უცვალებელი და გრძელსა მას სიბრძნესა და წელსა რომელ ადვასრულეთ

მჭმუნვარენი. აწ სიხარულსა მოვიწინით ყოველსა ქვეყანასა შარავანდნი ერთობისა ამის ბრწყინვალითა და იხარეს დედა ეკლესიათა და ძენი მისნი აწ და ვიდრე უკუნისამდე ურთიერთას ერთობისა სიყვარული არა განეშორება ამა პირობისა და მშვიდობა აღდგა ზეგარდამო და პირველ ჩვენსა გაყრილნი უწყალოდ ტიროდენ წინანდელთა სასწაულთა. იქმნა ერთობისა სიხარული ზეგარდამო. მადლობა ღვთისა, ყოველნი იხარებდით ბრძანებასა ყოვლისა სოფლისა სარწმუნოებასა და ქრისტეს აქეთ გამორჩეული დედა კათოლიკე ეკლესიისა განიხარებს. მრავალი სხვა დაეწერა იმა წიგნსა და დასასრულსა იტყოდა: „მოეცა ფლორენცას უეჭველი ერთობა და სარწმუნოება სრული წელსა ექუსსა განკორციელებიდამ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, *ათას ოთხას ოცდაცხრამეტსა, ივლისსა ექვსა, დღესა ორშაბათსა*. აღწერილი მეფისა და აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა და სხვათა სამღვდლოთა დასამტკიცებლად სიწმიდისა ამის ერთობა ეკლესიისა... *გალობდენ მგალობელნი ბერძენნი და იხარებდეთ ცანი და შემდგომი დიდებისა და აწ და მარადის დიდება მალალო შინასა...*“

მისი განწყობა იკითხება მარკოზ ეფესელის პოზიციის აღწერისას. როგორც ცნობილია, მარკოზ ეფესელი, შემდგომში წმინდანად შერაცხული, ურყევად იცავდა შვიდი საეკლესიო კრებების განჩინებებსა და აღმოსავლური ეკლესიის დოგმატურ საფუძვლებს. ის თითქმის უმცირესობაში იყო და, ფაქტობრივად, ვერც შეძლო დასავლეთის დარწმუნება, თუ გადარწმუნება, რამაც ტრიუმფით მიღებული უნია დაარღვია და კოსტანტინეპოლი მართო დატოვა ოსმალური იმპერიის წინააღმდეგ: „და *ეფესელმან უფალმან მარკოზ არა სწადადა ერთობა ფრანგთა თანა და შეშინდა*, ოდეს პაპა სწირვიდა, შეერთების წიგნი წარიკითხოდა, პირველადვე განვიდა იდუმალ ფლორენციით და მიიწია კოსტანტინეპოლის, ხოლო მეფე, ვიდრე ორნი ჟამნი დაყო მიწვევანდმდე კოსტანტინეპოლისა და მიიწია თვინიერ პატრიარქისა, ვითა აღსრულებულ იყო და დედოფალი მარიაცა აღსრულებულ იყო, ფრიად მწუხარე იქმნა და სხვაგა დიდებულისა ცოლი აღსრულებულ იყო, რომელი იყო ასული ყანდალუგუისი და მთავარნი დიდისა ეკლესიისა კოსტანტინეპოლის წინამძღვარნი და მღვდელნი არ ინებებდენ ამათ თანა წირვად და მოხსენებად და *ვითა მწვალებელი ეგრეთ შეერაცხათ და მავალთა განუტევენს წირვანი, რათა მათ თანა ჟამისწირვად არ*

*დადგნენ და არა შეერთდენ-ეკლესიანი ამათ თანა, არამედ არა ენებათ ერთობა მათ თანა და შეიქნა განყოფილება ურთიერთას და როოდენცა ერთობა ქნეს მეფემან, პატრიარქმან და კრებამან დიდმან ეკლესიისამან“.*

თხზულება იწყება თესალონიკის დაცემით: „წარვიდა სულთან მურად თესალონიკესა და დაიპყრა ქრისტეს განჯორციელებითგან ათას ოთხას ორმოცსა“; დრამატულადაა ასახული ოსმალთა დაპყრობითი ბრძოლები და დემორალიზებულ თუ მოქრთამულ ბიზანტიელთ ღალატი, რაც დღის წესრიგს უცვლის სრულიად საქრისტიანოს. ფლორენციის კრება რჩება გადარჩენის ერთადერთ იმედად. კრების დასაწყის თარიღად სახელდება „იქმნას მიზეზი ყოვლისა სოფლისა ამის კრებისა“ და განვიდა ჯმა აპრილისა ცხრასა, ოთხშაბათსა პირველსა მარხვისასა...“; უნიის მიღების თარიღად - „მოეცა ფლორენცას უეჭველი ერთობა და სარწმუნოება სრული წელსა ექუსსა განჯორციელებიდან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, ათას ოთხას ოცდაცხრამეტსა, ივლისსა ექვსა, დღესა ორშაბათსა. აღწერილი მეფისა და აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა და სხვათა სამღდელოთა დასამტკიცებლად სიწმიდისა ამის ერთობა ეკლესიისა“. თხზულება მთავრდება ბიზანტიის მეფის გარდაცვალებით: „...მაშინ მეფე სნეულებდა, რამეთუ ასნი ძვალნი სტკიოდეს ჯელთა და ფერათა. ამა სნეულებისაგან მოკუდა და დაიქსნა ყოველნი ასონი მისნი მის სნეულებითა“.

თხზულებაში დასახელებულია კრებებზე დამსწრე და უნიაზე ხელისმომწერი საერო და სასულიერო პირები, მათი ადგილი კრებებზე, მაგრამ არსად ნახსენებია კი არაა ქართველი წარმომადგენლები. მართალია, თხზულებაში არ არის აღწერილი კრების თეოლოგიური დისკუსიის დეტალები, მაგრამ დასახელებულია რამდენიმე განსხვავება, რომელზეც მიმდინარებდა მწვავე კამათი და რომელმაც საფუძველი გამოაცალა უნიას: სულიწმინდის გამომავლობა, ხმიადის მიღება და განსაწმედელის არსებობა.

ხელნაწერის, A-1443, 1r-ზე ნუსხური შრიფტით, განსხვავებით ტექსტისა, რომელიც მხედრულადაა ნაწერი, ჩაწერილია შვიდი საეკლესიო კრების ცხრილი, თუ სად, როდის ჩატარდა კრება, ვინ იყო ხელმწიფე, პაპი, პატრიარქები, რომელი მწვალელობის წინა-

აღმდეგ იყო კრება მოწვეული, რამდენი მამა ესწრებოდა და რამდენი კანონი იქნა მიღებული<sup>2</sup>. სქოლიოში დამოწმებულ ცხრილში არის გარკვეული უზუსტობა მსოფლიო კრებების თარიღებთან დაკავშირებით. აქვე ხელრთვით დაწერილია თხზულების სათაური - კრება ფლორენცისა.

თხზულებაზე მუშაობა დავიწყეთ ბატონ მიხეილ ქავთარიასთან ერთად. სამწუხაროდ, მისი გამოცემა ბატონი მიხეილის სიცოცხლეში ვერ მოესწრო. ეს სტატია ეძღვნება მის ნათელ ხსოვნას მისდამი დიდი მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად.

ხელნაწერები წარმოადგენს ერთი რედაქციის ორ A და B ნუსხას, რომელიც უცვლელად, ფონემური მსგავსებითაც კი მეორდება.

1. A - A-1443

2. B - Q-1391

---

<sup>2</sup> ხელნაწერის მიხედვით (A-1443, 1r): **I კრება - ნიკიას I კრება** - ჩატარებულია 318 წ-ს, ჯელმწიფე იყო „დიდი კოსტანტინე“, პაპები - სილიბისტროს ვიხონვიკენტოს, პატრიარქები - მიტროფანე კოსტანტინეპოლელი, მწვალელობა - არიოსი, მამები - 318, კანონი - 20; **II კრება - კოსტანტინეპოლის I - 362 წ-ს**, ჯელმწიფე იყო „დიდი თეოდოსი“, პაპები - დამასოს პარონა, პატრიარქები - გრიგოლ ღვთიმეტყუფლი, მწვალელობა - მაკედონიოსი, მამები - 150, კანონი - 7; **III კრება - ეფესოს - 422 წ-ს**, ჯელმწიფე იყო „მცირე თეოდოსი“, პაპები - კელესტინოს ეპიტროპე პაპა, პატრიარქები - კირილე ალექსანდრიელი, მწვალელობა - ნისტორიოს, მამები - 230, კანონი - 8; **IV კრება - ხალკიდონისა - 425 წ-ს**, ჯელმწიფე იყო „მარკიანოს“, პაპები - „ლეონ პასხაშინოს ლუკიანოს“, პატრიარქები - ანატოლიოს კოსტანტინეპოლელი, მწვალელობა - დიოსკურე, მამები - 630, კანონი - 30; **V კრება - კოსტანტინოპოლისა II - 527 წ-ს**, ჯელმწიფე იყო „დიდი იუსტინიანოს“, პაპები - ვირგილიოს პარონა, პატრიარქები - ევტიქი კოსტანტინეპოლელი, მწვალელობა - ორიგენი, მამები - 165, კანონი - არ აქვს მითითებული; **VI კრება - კოსტანტი-ნოპოლისა III - 646 წ-ს**, ჯელმწიფე იყო „კოსტანტინე პოდანატოს“, პაპები - ალათონ, თეოდოროს, გიორგიოს, პატრიარქები - გიორგი კოსტანტინეპოლელი, მწვალელობა - ონორი, მამები - 170, კანონი - არ აქვს მითითებული; **VII კრება - ნიკიასი II - 771 წ-ს**, ჯელმწიფე იყო „კოსტანტინე და ირინე“, პაპები - „ანდრიანოს პეტროს-პეტროს“, პატრიარქები - ტარასი კოსტანტინეპოლელი, მწვალელობა - ხატმებრ-ძოლნი, მამები - 367, კანონი - 22.

## კრება ფლორენცისა

დაჯდა იოანე პალეოლოლო მეფე კოსტანტინეპოლისა.

(A-2r) იოანე პალეოლოლო დაჯდა ტახტსა თვისსა კოსტანტინეპოლისა, ხოლო მეფობდა ესე რჯულითა ბერძენთათა და იყვნენ ესე და სულთან მურად მშვიდობით ურთიერთარს, რომელიცა იჯდა სულთანი ანდრიანეპოლისა და იოანე პალეოლოლო კოსტანტინეპოლისა. ამისა შემდგომად ინება სულთანმურად გალაშქრება თესალონიკესა ზედან და მიუმცნო მეფემან, ვითარმედ: „უკეთუ ერთობა გვაქუს და ურთიერთარს მშვიდობით ვართ, რასათვის გინებს დალაშქერა თესალონიკისა?“ ისმინა რა ესე სულთანმან მიუწერა, ვითარმედ: „უკუეთუ შენი არს თესალონიკი, არა წახვიდე, არამედ არა არს შენი, ვენედიკისა არს, რამეთუ მანველ კეისარს ესვენეს ძენი და უმრწემესსა ძესა მისსა ანდრონიკეს უბოძა საზღო მისთვის და დაყოფასა შინა მისსა თესალონიკეს შეემთხვია სნეულება ფრიად და უძლურება ინება, რათა მიჰვდოს თესალონიკე ვენედიკს და თვთ წარვიდეს მთაწმიდას და ყო ეგრეცა, რამეთუ მოჰვდა თესალონიკე ვენედიკს, ვიდრე ორმოცდაათიათას დრაჰუნად. ამისა შემდგომად საფასისა მისგან ზოგი რომელიმე განაზნინა მეგობართა თვისთა თანა და ზოგი წარიღო მთაწმიდას. მიიწია მონასტერსა ვათოპეტს და იქმნა მონაზონ და სახელ იდვა ანტონი მონაზონი და იყიდა მეტოქი ერთი მითა და იგიცა მასვე მონასტერსა შესწირა, რომელიცა დღესეცა არს და სხვასაცა მრავალსა შესწირვიდა, ბარძიმი ერთი შესწირა იასპისა ძვირფასისა, რომელი წამალი არს ეშმაკეულებისა და სხვა ბარძიმი ძვირფასისა შესწირა ბროლისა ოქროქანდაკებული და კრეტსაბმელი ძვირფასისა და არწივი ოქრონამკობი და სხვა მრავალი დაფარდა ყოვლად წმიდისა აკათისტო მოწერილი და სხვანი ეკლესიისა საკმარნი მრავალნი.

წარვიდა სულთან მურად თესალონიკესა და დაიპყრა ქრისტეს განჯორციელებითგან ათას ოთხას ორმოცსა, ამოსწყვიტა მრავალნი ქრისტეანენი, ვინათგან არა ენებათ თაყვანისცემა მისი, ხოლო მცველთა ფრანგთა, ვითარ ცნეს მისვლა სულთანისა, მალვით წარვიდენ, ხოლო თესალონიკელნი მრავალსა რასჯელოვნებდეს, არამედ უქმ იქმნა და ამას ჟამსა ვერ აიღეს, არამედ სხვანი ქალაქნი აიღო და მიიქცა ანდრიანეპოლის. იყვნეს წელი ადამს აქეთ ექვსი

ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი. არა იყო შემძლებელ სულთანს აღებად თესალონიკისა, არამედ ისმინეთ, თუ ვითარ აიღო, რამეთუ მდინარესა, რომელსა სმიდენ, იგი გამოუღო სულთანმან, რომელიცა კულად შემოადგა და მრავალსა საფასესა უქადებდა და მონასტერსა ვალანდელისასაგან მიეწერა წიგნი, ვითარმედ: „უფალმან ღირს გუყოს თაყვანისცემად შენად, რათა კოსტანტინეპოლიცა დაგეპყრას და მემცნეს ესე მონასტრისა ბერთა, უკეთუ გნებავს აღება თესალონიკისა, წყალი მომდინარე სასმელი ჩვენი მიგვიღე და აღიღებ ქალაქსა“.

ესმა რა ესე სულთანსა, განიხარა ფრიად და მოსწყვიდა წყალი. ესე არა უწყოდენ თესალონიკელთა, თუცა მონაზონნი ამას იქმენ, არამედ მოუთმენელისა მისგან წყურვილისა მისცეს ქალაქი და აღაოკრა მრავალი, რამეთუ არა ნებითა მომეცით, არამედ ძალითა აღვიღე, რამეთუ მონასტერსა არა რა ავნეს, არამედ მცველნი დაუდგინეს და დარჩა სახელი მონასტრისა, ვიდრე დღეინდელად დღედმდე მონასტერი ჩაუმირა და კვალად პატივსცა მონასტრისაგანთა და არა რა საჯელამწიფო დასდვა მათ ვიდრე დღეინდელად დღედმდე და დაიპყრა მრავალი დასავლეთისაკენ: სერბია, ბელლარი ცოდვათა ჩვენთგან და აღიღო ვრიაცა ქრისტეს აქეთ ათას ოთხას ოცდაათურამეტსა და ბერძენთ მეფე იქმნა შეუძლებელ და სულთან მურად აჩვენებდა, ვითარმედ არა ნებითა ჩვენითა არს ესე და განიზრახა მეფემან ერთობა იტალიელთა თანა და იქმნა კრებისა ერთობა პაპისა, რათა შემწე ეყონ და განათავისუფლნენ ქრისტიანნი და მისწერა პაპსა ერთობა, ხოლო პაპამან ინება და მოსცა ხარჯი საზდო და ხომალდი და სუროდა დიდად პაპსა გაერთება ეკლესიისა, მრავალგზის ეწადა, არამედ ვერა ყვეს. მაშინ ყვეს პაპა ევგენიოზ, რა იხილა ბერძენთა ეკლესიათა სიკნინე, მაშინ ერთობა მოახსენა და ინება გაერთება ეკლესიათა, რამეთუ რაოდენსაცა ვიტყვით, ისმენენ ბერძენნი ჩვენსა“, ხოლო მეფემან უბრძანა ყოველსა აღმოსავლეთისა ეკლესიასა მიტროპოლიტთა და მოვიდნენ კოსტანტინეპოლისა, ტრაპეზუნტისა ეპისკოპოზნი, რომელი იყო ფილასოფოსი და ამიურჯისა და ნიკიისა ბესარიონ, რუსეთისა ფილასოფოსი გიორგი სხილარიოსი და სხვანი მრავალნი მიტრაპოლიტნი და პატრიარქნი. ცხოვრებდა უფალი იოსებ და შეკრიბნა პატრიარქმან სიმრავლესა თანა მღდელთმთავართა და მღდელთასა საშინელსა საყდარსა ღმრთისა სიტყვისასა სოფიას (A-2v) იყვნენ

არქიერნი და მთავარნი ამისი და აკურთხეს მას დღესა მარკოზ ეფესოსა ეპისკოპოზი თავად კრებისა და ინებეს კრება და განემზადნენ და შევიდნენ ლიმონას ნავსა შინა და წარვიდნენ ხომალდებითა. იყო ზამთარი და მრავალიცა ნეფხვისაგან ჭირი და იწროება გამოსცადეს, არამედ ძალითა ღვთისა და მიიწივნეს ფარენძას, რომელი მორავს ვენედიკისა მილითა ასითა და თებერვალსა შვიდსა აღდგენ ფარენძიდამე ყოველნი ნავნი, რამეთუ სამეფო ხომალდი წინა იძღვანებოდა და მიიწია ვენედიკს წმიდისა ნიკოლაოზისა ლიონისასა რვასა თებერვალსა. პატრიაქისა და ყოველთა მიტროპოლიტთა და მთავართა ხომალდნიცა მიიწივნენ დღესა ოთხშაბათსა, ხოლო ესმათ რა, ესე ვენედიკტს მოეგებოდნენ მთავარნი და დიდებულნი ნავებითა ნიკოლაოზს. ესეოდენი იყო სიმრავლე, ვიდრე ზღვა არღარა გამოჩნდებოდა. ევედრნენ მეფესა, რათა მოენითგან ვიდრე ხვალემდე არა აღდგეს. მეფე რათა მოეგებოს პრინციპა წინაშე შესაკადრად ჰელმწიფობისა მათისა და მჯდომარესა მეფესა თავსა ზედან ტახტსა თაყვანისცეს მეფესა. თავშიშველი მდგომარე იყვნეს და მც(B-1r)ირედ განშორებით იჯდა უფალი დიმიტრი, ძმა, მეფისა და პრინციპა, მარცხნივ მეფისა და მოწლედ მოიკითხეს და ზრახვიდნენ ამისა და სხვასა საიდუმლოსა და მოახსენა პრინციპამ, ვითარმედ ხვალისა გვინებს თაყვანისცემად და ჯეროვანი სამსახური თქვენი და წინა მოგებებით, რათა ვენედიკს მოზრმანდეთ და ხვალისა შეკრბენ ყოვლითა საბრძანებელითა მისითა და განწყობილებითა მრავლითა, პრინციპა თომა, გვარად მოძაგენი. კვირიაკესა დღესა, ჟამსა მეხუთესა მოვიდა პრინციპა დიდისა დიდებითა და (B-1v) განწყობილებითა და იდგნენ ბუჩინტორს ყოველნი ერნი და სამყოფესა წითელ ოქროცურვებულსა, რომელსა ლომნი ოქროსანი უდგნენ წინაშე მისა და ნავნი მრავალნი იყვნეს შემკობილნი ბრწყინვალედ და უკრვიდნენ ამითა საკრავთა ორღანოთა და წინწილთა და აღკაზმეს საკელმწიფოდ ნავნი ქვეშე მენიჩბენი ოქროქსოვილითა მოსილნი და ანდრიანტნი ოქროცურვებუილნი კაცთა სახენი იდგნენ წინაშე მეფისა და სხვანი (B-2r) უცხონი ერნი, უცხოთა მოსილნი, წარმოვიდოდეს და კაცნი მაღალნი და თავსა ტრაპეზი ორნი იმიერ და ამიერი საჭურველითა მოსილნი, ვითა მზე, ეგრეთ მოზრწყინვალე და ორნი შვენიერნი ყმანი მსგავსად ანგელოზისა და ფრთენი ესხნეს: ერთი იქით და ერთი აქეთ მეფისა, არა იყვნენ

ესენი ჯელოვნებით, არამედ კაცნი მრთელნი ლომნი ორნი და ორთავნი არწივნი შორის მათსა და სხვაცა მრავალი, რომელი შეუძლებელ არს აღწერად და სხვანი ფერად-ფერადნი საკრავნი და ნავნი მდგომარე იყვნეს და მოიწია, თაყვანისცა პრინციპა დავიდ მეფესა და (B-2v) ძმასა მისსა და შეუძღვნენ მეფესა ვენედიკს უცხოთა მას ქალაქსა ოქროთა და საჯმართა მიერ უცხოთა სავსესა ბრძენსა მას და პირად-პირადად შემკობილსა, ვით ახალსა სძალსა, ჭეშმარიტად ქვეყანა არს აღქმისა, რომელსა გამოსდის სძე და თაფლი, რომელსა ზედან იტყვის დავით: „ზღვასა ზედან დააფუძნა იგი“, ვინამცა უძლო შვენიერისა მის ქალაქისა და უცხოდ მორთულლობისა აღწერად, ხოლო აცმადმდე მეხუთედ ძლივ მიიწივნენ ვენედიკს და მრავლისა მის საკვირველისა მორთულობისა პატივისცემით იქმნა შეყვანა მეფისა, ვიდრე დასლვადმდე მზისა და (B-3r) შევიდნენ წმიდასა ტაძარსა მოციქულისა მარკოზისასა და თაყვანისცეს პალატსა პრინციპასასა, შევიდეს და თაყვანისცემდენ რა, განკვირდენ განწესებასა მას. იგონებდენ, ვითარმედ ცაჲ, ქვეყანა და ზღვა შეერთებული იძვრის და ვინცა იხილვიდენ, განკვირდებოდენ მოგებებასა მეფისასა და მიიწინენ და შევიდენ მარკოზისა პალატსა თვესა ფებერვალსა, დღესა კვრიაკესა. წარვიდა პრინციპა მეფესთანა და თაყვანისცა მეფესა და იუბნეს მრავალი კრებისთვის და იტყოდა მეფე, რათა ერთ ვიყოთ ეკლესია, ხოლო ისმინა რა ესე პრინციპამ, განიხარა ფრიად მანცა და ერმან მისმან (B-3v) და ევედრებოდა მეფესა, რათა ვენედიკს იქმნას კრება და საჯმარსა და საფასესა ჩემსა მოგიძღვანთ. ხოლო მეფე უარობდა, ამისთვის, რამეთუ რაოდენსა შინაგან წარვლით საფრანგეთისა ეგოდენსა შეწვენასა მომცემს პაპა, ვინათგან არა-ყო მეფემან ესე, ფრიად დაუძმობდათ და აწვიეს პატრიარქნი არქიერნი და მღვდელნი და დიაკონნი და სწირავს ჟამი ეკლესიასა წმიდისა მარკოზისასა ფებერვალსა ათექვსმეტსა დღესა კვირიაკესა და ვინმცა უძლო მას ჟამისა წირვისა განწყობილებისა წარმოთქმა, რამეთუ პატრიარქი დაჯდა რა (B-4r) საშუალ ეკლესიისა და მსგავსი კოსტანტინეპოლისა ხატი წინა ედვა და დიაკონნი ლამპრებითა იყვნენ განწყობილ და მღვდელთმთავარნი, მსგავსი ქრისტესი და მოციქულთა, რამეთუ არქიერი არს მსგავსი ქრისტესი და ნათელი, ამისთვის აღანთებენ ლამპარსა წინაშე (A-3r) მისსა. მღვდელნი დგენ წინაშე მისა და დიაკონნი განწყობილ იყვნენ და მგალობელნი



გალობდენ „შენ გამოგირჩიოსა“ სიტყვასა წინასწარმეტყველისასა და აღასრულეს ჯერისებრ წირვისა საიდუმლო და შეიყვანა შინაგან პრინციპამ ტრაპეზსა და იყო გასული ჟამი ათი და იყო დღე სიხარ(B-4v)ულისა და აღდგენ მეფე და პატრიარქი ფებერვალსათსა მუნ.

წარვიდენ ოცდარვასა ვენედიკიდამ გზასა ფერარისასა და დაშთა პატრიარქი მუნ, ხოლო მეფე მიიწია ჭალაკსა ფრანგულისასა და მოიწია მოციქული პაპისა და ასწრაფებდა წარსვლად მეფესა და შემდგომად ითხოვა მეფემან ჴმელეთით წარსულა და მისულა ყოვლად სანატრელსა პაპასთანა და განემზადა პაპა კარდინალებითურთ, რათა მიეგებნენ მეფესა და მიიწია მეფე ფერარას თვისთა დიდებულებითა და იყვნენ მეფესა თანა პაპისა (B-5r) ეპისკოპოსნი და მარკოზ პატრონი ფერარისა და მოძღვარი მეფისა გრიგოლი და თაყვანისცეს მეფესა ერთა ფერარისათა. მეფე ჯდა შავსა ცხენსა ოქროთა შეკაზმულთა თავდაბურვილი გვირგვინითა და მოაგებეს მეფესა ცხენნი თეთრნი შუბლი ოქრო არწიოსანნი და წმიდა პაპა პალატსა ჯდა თვისთა კრებითა და მეფისა ძმა წინა მიეგება პაპასა და მეფე მჯდომი ცხენსა შეიყვანეს კარსა და პაპამ რაცნა მოსვლა მეფისა, აღდგა და გამოეგება და შთამოხდა რა, მეფე ფეხზედ მდგომსა იახლა პაპი, ხოლო მეფემ ინება თაყვანისცემა, არამედ არა-ყო (B-5v) ესე პაპამან და მოეხვია მეფესა და მეფემ უამბორა ჴელსა და დაჯდა პაპა და მეფე მარცხნივ დაისვეს და კარდინალნი ფერჴთა ქვეშე მათსა მჯდომარე იყვნეს და იყო ამბორი ურთიერთას და მეფე და პაპი მდუმარედ უბნობდენ მშვიდობისათს და ერთობისა ამისა. შემდგომად წარმოვიდა მეფე და წინა უძლოდენ ორღანნი და საკრავნი და მოვიდა პალატსა თვისა, ხოლო წარმოვიდა ვენედიკით პატრიარქი და წარუგზავნა ნავი ოქროთა ცურვებული და შთაჯდა პატრიარქი, ხოლო ნავი პატრიარქისა მსგავს იყო კიდობანსა ნოესსა, ზეითგან ოქროქსოილითა გარ(B-6r)დაფენილ და შინაგან პალატნი სკამნი და კიბენი და მუნით მიიწია პატრიარქი ფერარას, ხოლო ვენედიკითგან პაპასა მომკითხავად წარმოუგზავნა პატრიარქმან ორი არქიერი, ირაკლისა და მონევემასისა და შესთვალეს, თუ ვითარ შემოვიდეს ქალაქსა, ხოლო პაპამან განიზრახა თვისთა კარდინალებთა თანა, თუ ვითარ შემოიყვანნა და დაშთა ღამესა მას მასვე თავსა შინა და დილასა ადრე წარმოგზავნა პაპამან ოთხი კარდინალი და ოცდახუთი

ეპისკოპოზი და მარკოზ ფერალელი და სხვანი მთავარნი ცხენსა მჯდომი და წარუგზავნეს პატრიარქსა ცხენნი და (B-6v) ჯორები და შეჯდენ ცხენსა და მივიდენ ხილვად პაპისა. ორთ კარდინელთა ეტვირთა მკლავნი პატრიარქისანი და მიეახლნენ პალატსა. შთამოვდა პატრიარქი და შევიდა და იხილა ზემდგომი პაპი და უამბორეს ურთიერთას და ყოველთა უამბორეს პაპასა და იუბნეს და გამოვიდნენ პალატსა განმზადებულსა თვისა. ესე პატივი მოიპყრო მეფესა და პატრიარქსა პაპამან და ხვალისა იყო კვირიაკე და წირეს ეკლესიისა პალატსა და მარკოზ ფერარელი განკრძალვით ისმენდა. წარვიდეს დღენი რაოდენნიმე. პატრიარქმან შესთვალა, (B-7r) ვითარმედ იქმნა კრება ყოვლისა სოფლისა არათუ მარტო ეპისკოპოზთაგან, არამედ მთავართა ათასისთავთა და სპასალართაგანცა. და უკეთუ ვერვინ შეუძლოს აქა მოსვლად, პოტორიტინი წარმოგზავნეს, რომელი არს მაგიერი თვისი, ხოლო ესმა რა ესე პაპასა, შესთვალა მეფესა, ვითარმედ დრო მიეცა, ვიდრე ოთხისა თვისა, რათ შედმოვკრიბნე სამწყსონი ჩემნი და წარმოგზავნეს წიგნები ყოველსა ადგილსა, არამედ წარვლო ჟამმან და არავინ იქმნა მომსვლელი და მეფეც იტყოდა: „იქმნას მიზეზი ყოვლისა სოფლისა ამის კრებისა“ და განვიდა ჳმა აპრილისა ცხრასა, ოთხშაბათსა პირველსა მარხვისასა და შეითქუნენ სიტყვად და დიდებად ღვთისა (B-7v) და სადა შეკრება იქნებოდა, მისთვის ცილობა, თუ სადა და ვითარ დასხდენ კრებასა აღმოსავლეთისა და დასავლეთისანი, ხოლო ეწადა პაპასა, რათა ეკლესიასა შინა ერთსა მწარესა დაჯდეს პაპა და მისი კარდინალი და კრებანი, სხვასა მწარესა მეფე და პატრიარქი და კრებანი მათნი და იტყოდენ: „დაჯდეს პაპა შუაში“, ხოლო მეფე იტყოდა: „ესე მეფეთა არს საქმე და არათუ პაპისა და პატრიარქისა“. ამისთვის მრავალი სიტყვა შემოვდა და მოიღეს მატთანე ეტრატიკონისა, თუ ვითარ ჯერ არს მეფეთ ჯდომა და პატრიარქთა და განაჩინეს, ვითა ზემო (B-8r) ერთსა მწარესა პაპა მისის კრებითა და მეორესა - მეფეს და პატრიარქი მისის კრებითა და დგეს პაპისათვის ოთხს მწარსა ტრაპეზს დაცილებით და პაპის ტახტსა ერთს მწარს ქვეით დადგეს ალამანის მეფის ტახტი სახელისათვის მისისა და შემდგომად დასხდენ კარდინალები და ამას ქვეშ არქიეპისკოპოზნი, მღდელნი და დიაკონნი უთვალავნი და ამათ ქვემოთ თავადნი, ეგრეთვე მარჯვნივ განმზადეს მეფისათვის ტახტი წითლითა ოქროქსოვილითა და

ამისა შემდგომად პატრიარქისა ტახტი(A-3v) და ამისა შემდგომად სხვათა პატრიარქთა პოტირიტებისა და შემდგომად მიტრაპოლიტთა და ეპისკოპოზთა და მღვდელთა და კრებათა ამისა (B-8v) შემდგომად თავადნი და სპასალარნი ესრეთ არჩიეს და განაჩინეს და პირველსა ოთხშაბათსა, ვითარცა ვთქუთ, შეკრბენ ეკლესიასა დიდსა მოწამისა გიორგისასა. მოვიდა პაპა დაჯდა მარცხნივ თვისსა ტახტსა, ეგრეთვე მეფე და პატრიარქი დასხდენ და მარჯვნივ მეფისა ოთხმტკაველს ქვემოთ, ძმა მეფისა, დიმიტრი, ეგრეთვე პატრიარქი დაჯდა ტახტსა მაღალსა, ხოლო პოტირიტნი იყო ირაკლიელი ანტონიოს და იყო ანტიოქისა უფალი მოძღვარი გრიგოლის და ეფესელი უფალი მარკოზ და რუსი, კიევისა უფალი ისიდორე და ონომვასისა უფალი (B-9r) დოსითეოს, სარდისა უფალი დიონოსიოსი. დაჯდა ხორო, ვითა იყო წესი, რომელი იყუნენ ესენი ტრაპეზუნტისა დორეთეოს კეისარის კვიზირელი და ანეკირიისა და ბესარიონ და ნიკომდისა მაკარიოს, ლაკიდემონისა - მეთოდოს, თარნენელი ეგნატი და დოროთეოს ამასიისა, იოასაფ ორდოვლახელი, დამიანე სტავროპოლელი და მიტროპოლიტნი და სხვანი მრავალნი ეპისკოპოზნი და წინამძღვარნი მთაწმიდისანი და სხვანი ჯვარშემოსილნი კრებანი და ამისა შემდგომად მთავარნი თვისად განწესებულსა ადგილსა ისხდეს და (B-9v) სანატრელისა პაპას ქვეით ალამანის მეფის ტახტი და შემდგომად ისხდენ კარდინალნი და პაპის ძმისწული, უფალი კლიმენტოს და შემდგომად მარკოზელი იორდანე, სვენჩის ეპისკოპოზი კარდინელი ურშინისა და ანგელოზელი ივლიანე და ჯვარწმინდელი პლაკედია, ფორმანოს პოლიმონიელი, პონიოსელი ეპისკოპოზი და ეფესკოპოზნი ორასანი, ილუმენნი და არქიმანდრიტნი და მრავალნი მწყემსი ეკლესიისა და მონასტრისა იჯდა ამათ მხარს, ხოლო პატრიარქი უძღურებდა და არა ეწადა ჯდომა კრებასა (B-10r) და სარდიელიცა იყო სნეული და მოიღეს შუა ამათსა ტახტი უფლისათვის ჩვენისა იესო ქრისტესა, მართლმსაჯულისა დიდისა მღვდელთმთავარისა, წმიდა სახარება დადვეს მას ზედან და სახარებისა იმიერ და ამიერ პეტრესი და პავლესი თავნი და ლამპარნი მრავალნი მდგომარე იყუნეს და ვინცა იხილვიდა საკვირველსა ამას კრებასა, ემსგავსებოდა ზეცისა განწყობილთა, ცანი ბრწყინვიდეს და ეკლესია განათლდა და ღაღადებდნენ ერთობით: „დაამტკიცე უფალო სარწმუნოება ესე“ და იყუნენ ყოველნივე შემოსილი, ვითა მეშვიდეს

კრებას და იქმნა დიდი მდუმარეობა. (B-10v) მაშინ აღდგა პაპა და დადგა ფეხზედან ყოველნი მისნი კრებულნი და ჴმა-ყო პაპამან: „კურთხეულ არს ღმერთი“. მაშინ მღვდელმთავარნი და დიაკონნი სამღვდელონი და ერისაგანნი ევედრებოდეს ღმერთსა, რათა გაერთედეს ეკლესია და აღვოცონ განხეთქილება ეკლესიათ, ხოლო რა დასრულდა ესე ვედრება, დასხდენ ყოველნივე. მაშინ ბრძანეს აღვდენა ანბონსა, რათა წარიკითხონ საქმე ამა კრებისა და პატრიარქისა დიაკონმა თქუა აღმოკითხვა სახელისა წმიდისა დაუსრულებელისა (B-11r) სამებისა - მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა და ორსავე კერძოსა ფრანგთა და ბერძენთა დღეს ერთ იქმნენ და წმიდა ყოვლისა სოფლისა კრება აღიარონ. ევეგნიოს, მონა ღვთისა, ამის საქმისათვის ვწერ, რათა მტკიცედ იყოს დიდსა ღმერთსა ჴემმარიტად ვმადლობდეთ, რამეთუ არა დაივიწყა ღმერთმან თვისითა მოწყალებითა, რათა განამრავლოს დიდება, ერთობა მართლმადიდებლობისა, რამეთუ ირყეოდა ეკლესია და მრავალი შფოთი, ხოლო ღმერთმან ერთობით შეგვაერთა. ნება არს ღმრთისა, რომელიცა არს გულმოდგინედ სულიერი (B-11v) შვილი ჩვენი.

იოანე პალეოლოგს, მეფე ბერძენთა და ღვთისმოყუარემან ძმამან ჩვენმან, კოსტანტინეპოლისა პატრიარქმან და სხვათა პატრიარქთა, პოტირიტები კუალად სხვანი არქიერნი, მთავარნი და დიდებულნი ყოველნივე მოიწივნენ ვენედიკს ფებერვალსა, რათა ჩვენთანა ერთობით იყუნენ და ინებეს აქა, ფერარას, კრება და ამოვწერეთ ყოველთა მთავართა და დუკთა, რათა შეიკრიბნენ და ერთ იყუნენ ჩვენთანა და ეგრეთვე იქმნა და ყოველთა სიმშვიდითა კრება ვქნათ და ერთ (B-12r) ეკლესიანი ნებითა ღმრთისათა და გვასწაოს სიყუარული, რათა იდიდებოდეს პირველად ღმერთი და აპრილსა ცხრას, განჯორციელებიდან ათას ოთხას ოცდათურამეტსა ზეით წერილნი წიგნნი წარიკითხეს. აღდგა ერთი კაცი ფრანგთაგან და თქუა: „იტყვიან ფრანგთა შორის სარწმუნო ხართ ძმანო, ამას დღეს აღმოკითხულსა წინაშე თქუენსა“. მაშინ ყოველთა სიტყუა უგეს ერთვობით: „ვითარმედ სარწმუნო ვართ და აღვიარებთ“ და დაწერეს ყოველთა აღვიარება ესე და შეიქმნა კრება და თქუეს დიდება (B-12v) მაღალთა შინა ღმერთსა, ვინცა შეუძლო თვითეულად მაშინდელი წესი და განგება და დაიხსნა მას დღესა კრება და წარვიდენ თვისსა ადგილსა. და ეკლესია ფრა(A-4r)ნგთა ევედრებოდა მეფესა, რათა არა წარვალსო დღე ცუდათ, რათა გარიგდეს და

გამოიკითხოთ საიდუმლო, რომელიც არს მათ შუა და ბრძანეს განსაწმედელისათვის და უცომოსათვის და სხვათა საქმესათვის. ამათ საძიებლად კაცნი ბრძენნი სარწმუნონი და გამოარჩიეს ფრანგთა კარდინალი ორნი, ეპისკოპოზნი ორნი და მწერალნი (B-13r) ორნი და ეგრეთვე ბერძენთა ორ-ორი, ვითა მათ ესენი გამოარჩიეს და თვისითა სიტყვის მგებლობენ და ეგრეთვე მოვიდნენ ეკლესიასა ფრანჩისკოსა და იქმნებოდა სიტყუა მათ შორის და ოთხსსა ივნისსა დასხდენ კრებასა, იწყეს ფრანგთა მრავალთა მიზეზთა თხრობად და მიუგო მარკოზ ეფესელმან: „ვითარმედ აღსწერეთ წადილი და უმჯობესი თქუენი თვითეულად და მოგიგებთ სიტყუასა.“ ეგრეთვე ესე რა მოისმინეს ფრანგთა, განიხარეს და მაღლობა შესწირეს ღმერთსა და აღდგენ კრებითგან და დასწერეს თავად თავედინება ფრანგთა (B-13v) და თოთხმეტსა ივნისსა კუალად შეკრიბენ კრებანი და დაკრძალეს კარი ეკლესიისა, რათა არა შეწუხდენ ერისაგან და მიუგო ბესარიონ, ნიკიისა მიტროპოლიტმან, თავად სიტყვისაგან თითოეული. პირველად იტყოდნენ ფრანგნი განსაწმედელისათვის, რამეთუ არს ცეცხლი განსაწმედელი, რომელ ცოდვილნი განვლიან ცეცხლსა და განიწმინდებიან და მიუგო ბესარიონ: „სული ცოდვილისა წარვალს ადგილსა ბნელსა და მწუხარებისასა და სწადისთ ნათელი ღმრთისა, არამედ სოფელსა ამას ოდეს შესწირვენ მღდელნი (B-14r) მსხვერპლსა და იქმნენ მოწყალეებასა, მით განმწმდებიან მუნ სულნი განთავისუფლდებიან ბნელისაგან და მწუხარებისაგან, გამოვლენ და წარვლენ სასუფეველსა ცათასა არა თუ ცეცხლისაგან იქმნება განწმედა და არცა აღვიარებთ, ვითარცა ვიტყვით ჩვენ ამას, რამეთუ ლოცვა და მოწყალეობა და ვედრება განათავისუფლებს სულსა ბნელისა მისგან გარესკნელისა. და კუალად მიუგო სულისა წმიდისა გამოსვლისათვის და უცომოსა და სხვათათვის. ისმინეს ფრანგთა სიტყუა ბესარიონისა და მიუგეს (B-14v) მსწრაფლ სიტყუა და მრავალი იზრახეს ურთიერთას და დაიხსნა კრება და ივლისსა ათექუსმეტსა, დღესა ოთხშაბათსა ბრძანა მეფემან, რათა მიიწივნენ ყოველნი და შეკრბენ პალატსა პატრიარქისასა და მეფეცა მიიწია და დასხდენ ტახტსა თვისსა და მუნ იზრახეს მრავალი დილითგან, ვიდრე ექუს ჟამამდე და მეფემან ყოველივე განზრახულობა მათი შეისმინა და თქუა ბერძენთა წერილთა და ბრძანა შეყრა ყოველთა ხვალისა, ათჩვიდმეტთა. ამის თვისისა ორსავე ხოროსი და შეკრბენ ორნივე და

იტყოდენ ფრანგნი და ბერძენნი მრავალსა. უფალი არა რას იტყვის სარწმუნოებისა(B-15r)თვის მთავართა მოლოდებისათვის, ვინათგან ოთხთა თვეთა მოსვლისა პაემანი მიეცა ბერძენთათვის. ელოდენ მეფეთა, დუკთა და მთავართა კრებასა. ენებათ მისვლა, ვინათგან არა მოვიდნენ და იყუნენ ბერძენნი მოწყენილ არა მოსვლისათვის ამათისა და რა დასრულდა და იყუნენ მწუხარე, რომელი გამოჩნდა ჟამსა და სხვანიცა სასიკუდინენი სნეულებანი და შეშინდეს დიდათ და შეიქმნა სარდისა დიდებითა, მოვიდნენ მომავალნი მეფენი და დიდებულნი ფრანგნი. ხოლო დაიყუნენ მჭიმუნვარედ და ეტყოდა: „ძმანო, რასა იურვით? მე მეფესა და პატრიარქთა ნავრსა (B-15v) და ცარს ყოვლისა სოფლისა მართლმადიდებელთა კრება და სხვათა პატრიარქთა, პოტირიტები და ჩვენნი არქიერნი და კარდინალები არს კრება მზათ, ჯერ არს, რათა ვიწყოთ ხვალისა სიტყუად“. და მოიღეს სიტყუა მოწმობით. იყო მას ჟამსა ოკდომბერი რვა, ინდიკტიონი ორი, დღე ოთხშაბათი და დაიწყეს სიტყუა და კრებამან, რამეთუ პაპა სნეულებდა მიკრისითა სნეულებითა, ვერ მიიწია კრებასა, სადაცა იყო ტახტი პაპისა და მეფისა და სხვათა, რამეთუ კრება ევინეს იყო პალატსა და მუნცა პალატსა პაპისასა თანა წარჰყუნეს ტახტნი, ვითა ზემო ვთქუთ, განწყებით ეგრეთ და შორით მოსულნი (B-16r) არ მოსულიყვნენ პალატსა მას და დასხდენ წესისაებრ, ხოლო ვინათგან პაპასა და მეფეს სწორე სიმაღლე აქუნდა წითლითა შემოსილი, აგრეთვე პატრიარქსა ოთხმტკაველოდენ, ვინათგან უმცროსი იყო პატრიარქი პაპისა და პალატსა შინა ტრაპეზს წინ დადგნენ ექუსნი ბერძენნი და ექუსნი ფრანგნი სასაუბროთ სჯულისა და თავნი მოციქულთანი პეტრესი და პავლესი იყო მუნ. ხოლო ექუსნი ესენი არიან: ეფესელი მარკოზ, რუსიელა ისიდორე, ნიკისა ბესარიონ, სკეოფილასის ქათუპოლოს, ხარტოფილაქ სოვალსამონ და უფალი გიორგი. გამორჩეულნი ფრანგთაგან (B-16v) ესენი არიან: კარდინალნი ორნი ანგელოზელნი ივლიანე, ფარნაოზ, მთავარეფისკოპოზი როდეელი ანდრია ფოროლი, ვენესელნი ეპისკოპოსი ორი ღვთისმეტყუელი, მღვდელმონაზონნი კაცნი.

ბერძენნი იწყეს სიტყუად და აღდგა ნიკიელი ბესარიონ და იწყეს ჴელმოჭიდობით ქება პაპისა, მეფისა და პატრიარქისა და იწყო მამისა და ძისა და წმიდისათვის და კუალად ერთაესებისა და განკვირდენ და ცრემლითა აფრქვევდნენ იატაკსა (A-4v) ვიდრე

შთასვლადმდე მზისა და დაიქსნა კრება და აღუთქვეს შაბათისათვის კვალად კრება და მოიწია რა (B-17r) შაბათი და შეკრებენ კრებანი პალატსა პაპისასა და როდელმან ანდრიამ იწყო შემკობად ყოვლად სანატრელისა პაპისა და მეფისა და ყოველთა კრებათა ვიდრე მწუხრადმდე და დაიქსნა კრება და გაისმა სამშაბათისათვის, რათა იწყონ კრებად. კულად შეკრებენ სამშაბათსა ოკდონბერსა ათოთხმეტსა ტამარსა და პალატსა პაპისასა კრებანი და თქვა ეფესელმან, ვინათგან მოვედით და შეკერბით ძალით ღმრთისათა, ვინა გვაქვს ერთობისა სიყვარული, შევერთდეთ ორნივე ეკლესია ერთად და რა არს საწადელი თქვენი, ურთიერთას (B-17v) სიყვარულით ვისმინოთ და ნუ ვინმე გულმწყრალად იტყვის სიტყვასა, არამედ სიმშვიდით ისმენდეთ და ეგრეთ ჩვენცა თქვენ მიერსა და ეფესელსა სიტყვა უგო ფრანგმან როდელმან ეფისკოპოზმან, ვითარმედ გევედრებით ჩვენცა ურთიერთას სიყვარულსა, რამეთუ თვთ ქრისტეს სიყვარული არს, რამეთუ სიყვარული და მშვიდობა და ჭეშმარიტება თქვა ქრისტემან: „მე ვარო“, ხოლო გულმწყრალსა შევრისხავთ და გევედრებით, რაცა გითხრათ, სიტყვა მოგვიგოთ წმიდათაგან გამორჩევით და ნუ იტყვიოთ სხვისა ლექსისაგან სიტყვასა უსიბრძნისა და ნუცა ცუდსა იკადრებთ თქმად. და სიტყვა უგო ეფესელმან (B-18r) ფრანგსა ანდრიას, ვითარმედ: „ჩვენ აღმოსავლეთისა ძმათა სიტყვა გვაქვს და მოგიგებთ თავად-თავედად“ და დაიქსნა კრება. და კრება იქნა ოკდონბერსა ათოთხმეტსა და იტყოდენ, რათა „პირველთა კრებათა წერილნი მოვილოთ და გამოსვლისათვის სულისა წმიდისა“ და დაიქსნა კრება მრავლისა სიტყვისაგან და კვალად ოკდომბერს ათექვსმეტსა შეიქმნა კრება, მაშინ ეფესელმან იწყო და მოახსენა პაპასა, რათა „წარიკითხონ ყოვლისა სოფლისა კრებანი წესისაებრ, ეგრეთვე პირველისა კრებისა და მეორისა, რომელიცა არს საფუძველი ეკლესიისა და სარწმუნოებისა, რათა გამოჩნდენ საქმენი ჩვენნი (B-18v) მუნით და სახოება, რომელიცა გვაქვს ერთობისა და მათი მადლი მოვილოთ, რათა აქა შეკრებულნი დავმტკიცდეთ. ვინა არა გვაქვს წიგნები პირველისა და მეორისა კრებისა, უკეთუ ბრძანეთ, წარიკითხონ“. მაშინ მიუგო კარდინალმა იოანემ: „მამანო სარწმუნონო, ბრძანება არის ყოვლად სანატრელისა პაპისა, რათა სწორედ დავიცვათ მამათ ერთობა“ და უფალი მარკოზ ეფესელი იტყოდა რა ამას, მოემზადა როდელი მაშინ, სიტყვა უგო კრებასა, ვითარმედ: „ვითა პირობა

არის მამათა მიერ ვიპყრათ და უკეთუ გნებავსთ აღმოიკითხომათ თქვენად გასამართლებლად, (B-19r) არათუ ჩვენისა ნებისაებრ, არამედ ორთავეთათჳს“, ხოლო ეფესელმან მარკოზ მიუგო და ჰრქვა: „წარიკითხონ კრებისა რომელიცა საჭმარ არს“. და აღმოიკითხეს ნიკიის კრებისა განწესება სამას ათვრამეტსა მამათა, მეორისა და მესამისა. აწ ყავით ნიკიისა კრებისა განწესება, ამათ წინააღმდეგომნი ეპისკოპოზონი განიკვეთებიან და ერისგანი შეიჩვენებიან. მაშინ იწყეს სულისა წმიდისა გამოსვლისათვის, რამეთუ ფრანგნი იტყოდეს: „გამოვალს სული წმიდა მამისა და ძისაგან“ და ბერძენნი იტყოდეს: (B-19v) „მამისაგან გამოვალს და არათუ ძისაგან“. და იტყოდეს მრავალსა ამისთჳს ფრანგთა და ბერძენთა ფილასოფოსნი და მოწამედ მოიყვანეს კირილე ალექსანდრიელი, რომელმანცა მისწერა პატრიარქსა ანტიოქისასა, რომელიცა მაშინ იტყოდენ სარწმუნოებისა ჩვენისათვის, რომელიცა ამა ლექსსა არცა მოაკლდეს და არცა მოემატოს. არა იტყოდენ ისინი, არამედ სული წმიდა იტყოდა მათ შორის. ამისთვის გამოვალს მამისაგან, რამეთუ მხოლოდ შობილი სიტყვა არა არს განშორებული მამისაგან, ხოლო მარკოზ ეფესელი იტყოდა: „ისმინეთ სამღთოსა კირილესთვის, თუ რასა იტყვის, (B-20r) ვითარმედ „არცა შემატოს მას სარწმუნოებასა და არც დააკლდეს და გვედრებით, რათა წარიკითხოთ მეოთხისა კრებისა პირველი და დასასრული სარწმუნოებისა“, ეგრეთვე წარიკითხეს და იტყოდა: „პირველი წმიდა და ყოვლისა სოფლისა მეოთხე კრება ხალკიდონისა მაღლითა ღვთისათა და ნებითა მეფისა ჩვენისა მარკიანესით იქმნა კრება სამწყსოსა ბირთვინიისასა მოწმობით წმიდისა მოწმისა ევფემიასითა“ და ბრძანეს მდაბლად და დაამტკიცეს, ვითა რაოდენი იქმნა პირველსა კრებასა და მეორესა და მესამესა ბრძანებით ღვთისათა და პირველსავე და შემდგომად აღმოიკითხეს და დასასრულსა პირველისაებრი სარწმუნოება, რომელ არს (B-20v) „მრწამს ერთი ღმერთი“ და შემდგომნი ამისნი, რათა ეგოს შეუძრველად და არა რა შემატება ექმნას და აღმოიკითხეს კვალად სიტყვანი წმიდისა ყოვლისა სოფლისა კრებისა მეხუთისა იოანეს პატრიარქისა კოსტანტინეპოლელისა, ვითა მოგვეცა წმიდათა მამათაგან, რათა არა შეირყოს და იდგეს მტკიცედ და იქადაგოს იესო ქრისტეს მიერთთა ბრძანებითა, უნაკლულოდ დაიცვებოდენ მრწამსი და ჳმა-ყო წმიდამან ამან და



ყოვლისა სოფლისა კრებამან ნიკიას ჟამსა ღვთისმოყვარისა კოსტანტინეს ზე, რომელიცა ამანვე დაამტკიცა და მეორე და მესამე და მეოთხე კრებამ, ვერავინ შემძლებელ (B-21r) არს ამათსა შერყევასა, რომელი დაამტკიცეს. ესე რჯული შეურყეველად დავიცვათ უეჭველად და ყოველი ბოროტი და ამპარტავნება განვიშოროთ ერთითა პირითა, წ(A-5r)მიდასა სამებასა თაყვანისვცემდეთ, არს კულად სარწმუნოება, რომელი შეკრბა კოსტანტინეპოლის ასმორმოცდაათთა წმიდათა მამათაგან, რომელიცა კულად ემსგავსნეს ნიკიას შეკრებულთა წმიდათა მამათა და გვასწავეს ჩვენ სარწმუნოება წმიდა და შეაჩვენეს არიოზ უღვთო და მეორესა კრებასა რომელი შეკრბენ კოსტანტინეპოლის ასორმოცდაათნი წმიდანი მამანი გამომთქმელნი სარწმუნოებისანი (B-21v) და მრწამსისა და განაჩინეს სულისა წმიდისა ღვთაება და წვალება მაკედონისა სულისა წმიდისა მტრისა და აპოლინარისა უღვთოსი შეაჩვენეს და შევიწყნარებთ მესამესა კრებასა ორასთა მამათა შეკრებულთა ეფესოსა, ეგრეთვე მათცა დაამტკიცეს ესე სარწმუნოება და შეაჩვენეს ბილწინისტორ, უსჯულო და სამაგელი მისი და მათ თანა ერთ ჳმა ვართ ჩვენ და კვალად ხალკიდონს ექვსასოცდაათთა წმიდათა მამათ და სამთა მათ კრებათა თანა ესცა ერთჳმა იყო, მათი, რომელთა აწინდელი ესე მრწამსი თქვეს და შეაჩვენეს ერთისა ბუნებისა მეტყველნი, ხოლო ამისა შემდგომად (B-22r) იწყეს ბერძენთა მრწამსი თარგმანებითურთ მისით და იყო დიდი სიტყვის გება ურთიერთას შორის და მოიღებდნენ მოწმად მრავალთა სამღთოთა წერილთა ორნივე და მოიღეს მეშვიდის კრების განწყესება.

შეკრებულთა წმიდათა და ყოვლისა სოფლისა მეშვიდისა კრებისა, რომელიცა შეკრბენ მეორედ ნიკიას წმიდა და ყოვლისა სოფლისა დიდი კრება მადლითა ღვთისათა ქებული მართლმადიდებელთაგან და მართლმადიდებლისა და მოყვარისა ჩვენისა მეფისა კოსტანტინეს და ირინე, დედისა მისისა, რომელიცა შეკრბინეს მეორედ ნიკიას ბრწყინვალესა პოტოთრონსა სამწყსოსა (B-22v) ბითვინისასა ამა წმიდასა ღვთისა ეკლესიასა, რომელსა ეწოდება სოფია. იწყეს მოცემულისა სამძღვრისა განახლება. კათოლიკე ეკლესიისა ბრძანება პირველისაებრ განწყესებისა, რამეთუ ნათლითა მისითა განვნათლდით და მეცნიერება მისი ჩვენ მოგვენიჭა და ბნელისა მისგან ეშმაკთასა სალტოლოვილისა განგვაშორვა ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან, ვიდრე აღსასრულადმდე და აღასრულეს

ბრძანება ესე საღვთო მამათა მეშვიდისა კრებისა. თქვეს არცა რათურთით მოკლება, გინა შემატება, რომელიცა აღწერილ არიან და დაბეჭდილ წმიდათა და ყოვლისა სოფლისა მეექვსისა კრებისათა და დავიცვათ მართლ აღსარებითა, ვითა (B-23r) ზღუდესა მტკიცესა უკუნისამდე.

ამან წმიდამან კრებამან ისმინეს რა ყოველთა ერთობით აღიარეს, ესრეთ გვრწამს და ყოველნი ამას ვეძიებთ და ყოველნი ერთითა პირითა და ერთითა სიტყვითა დავწერეთ: „ესე არს სჯული მოციქულისა, ესე არს სჯული მამათა, ესე არს მართლმადიდებელთა, ესე არს სჯული ყოვლისა სოფლისა და ქადაგთა: „მრწამს ერთი ღმერთი“, ვაქებთ სამებასა და წმიდათა ხატთა უამბორებთ და მისი აღმსარებელნი არა მრწმუნებელთა შორის განვაგდებთ ეკლესიისაგან, ხოლო ჩვენ პირველსავე კათოლიკე ეკლესიისა აღსარებასა ზედან ვდგათ და მათსა შეკრებულსა ვიმარხავთ და ვინცა მოაკლებს (B-23v) და ანუ შემატებს ეკლესიისაგან, რომელიცა აღიარეს შვიდმან კრებამან ღვთისაგან. ამათ წინააღდგომთა შევაჩვენებთ. და ესენი რა აღმოიკითხეს ბრძანებანი მეშვიდისა კრებისანი, მოიტანეს ერთი წიგნი ძველი და ეწერა ამა შვიდისა კრებისა ბრძანებანი და იპოვეს ღვთისმეტყველებით წმიდისა სულისა მამისაგან გამომავლობით და ძისაგან, ვითარცა ფრანგნი აღიარებენ, მრავალი სიტყვა შემოჰდა და გრძელი. აჩვენებდნენ, ვითარმედ ძველი წიგნი ფრანგნი ამა წიგნითა ფრიად იქადოდნენ და მრავალსა იტყოდნენ და ბერძენთა არცა ერთი სიტყვა მისცეს მისთვის, (B-24r) ამისთვის რამეთუ ჟამი აღარა იყო საუბრისა და მას დღესა დაიქსნა კრება და წარვიდნენ.

და კულად ოკდომბრისა ოცსა, დღესა ოთხშაბათსა შეკრბნენ კულად კრება წმიდასა ტაძარსა ფრანჩისკოსასა და თქვეს აღმოსავლელთა: „ისმინეთ მამათა ღირსთა ეპისკოპოზთა და ბრძანეს სათნოთა ღვთისათა მამათ ყოვლისა სოფლისა ამის სარწმუნოებისათვის, დაბეჭდეს და დაიმტკიცეს და ჩვენ სასოებითა მამათა ჩვენთათა მათ მიერი ბრძანება დავიმარხეთ და მათ მიერისა შეჩვენებისაგან ჩვენ ვიშიშვით. ვერ შემძლებელ ვართ რწმუნებად თქვენ მიერსა თქმულსა, რომელიცა იტყვით წმიდისა მოწამისა შორის“. მაშინ თქვეს დასავლეთისათა ამაღლებულთა: „მეფეო, ესე (B-24v) წიგნი, ჩვენ მიერ მოტანილი წმიდისა მეშვიდისა კრებისა, არს წიგნი ფრიად ძველი და არს შეუძლებელ თარგმნად, რომ

შეიტყოს კაცმან, რამეთუ არა რა წინა აღმდგომნი არს წიგნსა ამას შინა და არს ჩვენდა მეცნიერი კაცი ძველი და ბრძენი და მრავალთათვისა დასწერს და ამა მრწამსისა თავს დაუწერა, რომე მეშვიდეს კრებას ესრეთ დაუწერია, ვითა ამა ძველსა შინა წიგნსა ძეს, რომელიცა საჯაროდ აღმოიკითხეს“, ამისთვის იწყეს ზრახვა აღმოსავლეთისათა და დასავლეთისათა და ეპიებდნენ გამოსვლისათვის სულისა წმიდისა და აღიხსენეს ღვთისმეტყველისათვის გრიგოლისა კლიდონისა ებისტოლესა (B-25r) შინა აღმოიკითხული და იოანეს სახარებისაგან და კირილეს მიერ აღმოიკითხული, ვითარმედ ვკითხო მამასა ჩემსა და სხვა ნუგეშინისმცემელი მოგივლინო თქვენ და დაესრულა და წარმოიღეს დიდისა ბასილისა და გრიგოლი ღვთისმეტყველისა და სხვათა ეპისკოპოზთა და მრავლად იუბნეს და გაიყარა კრება.

და კუალად ოცდახუთსა ამასვე თვესა, დღესა შაბათსა, შეკრბა კრება (A-5v) შეიყარნენ და თქვეს კუალად გამოსვლისათვის სულისა წმიდისა, მოიღეს ნეტარისა აგვისტინეს წიგნი და საღმთო აბროსისი მღვდელთმთავრისა მედიოლანელისა და ილარიონისი და მოიღეს ბერძენთა (B-25v) დიდისა ათანასესი და დიდისა ბასილისი და საღმთოსა ოქროპირისა და სამღთოსა ანასტასიოსი, ღმთისა ქალაქისა დიდისა ანტიოქისა, მთით სინით აღმოსრულისა და ეპიფანე ეპისკოპოზისა კვიპრიელისა და სხვათა მრავალთა თქვეს და განარჩევდეს ურთიერთას სმენითა და სიტყვითა მიგებითა.

კუალად შეკრბენ ნოემბერსა პირველსა, დღესა შაბათსა და კუალად მეოთხესა ნოემბერსა სამშაბათსა, კუალად ნოემ-ბერსა რვასა და კუალად ნოემბერსა იწ (18), რაოდენიცა ითქ-მოდა, შეკრბებოდნენ, იტყოდენ მხოლოდ სულისა წმიდისა-თვის, მოვიდნენ პოტირიტები მთვარისა (B-26r) ვორონდისანი ფრანგნი კრებაში წარვიდნენ და თაყვანისცეს მხოლოდ პაპასა და უამბორეს მარჯვენასა მჯდომარესა ინაჯთ მეფისა და თანა წარჯდენ პატივსა ჯელმწიფისასა და არა რა ჯეროვანნი პატივი მისცეს კრებასა და აღმოიკითხეს ენისაებრ მათისა, ხოლო მეფეც და მისნი კრებულნი ვერ ისმენდეს მათსა, რამეთუ არა იყო ელენებრ, არამედ ფრანგულებრ და აღდგა მეფე და დაიჯსნა კრება და მწუხარე იყო მეფე და თვისად შეურაცხებად შერაცხა (B-26v) პოტირიტებისაგან მეფობისა მისისა თაყვანისუცემელობა წესისაებრ დაკლება და იტყოდა:

„არღარა წარვიდე კრებისა და არცაღა ვყო კრება ამისთვის, რომელ შეურაცხ ვიქმენ და სირცხვილეულ არა თაყვანისცემისთვის“, ხოლო ისმინა რა ესე პაპამან, წარუგზავნა ვედრებად კაცი მაგიერათ მისად, რათა ქმნას კულად კრება, ვითარმედ დუკსა მოუწერა: „არა რწმუნება ბერძენთა კრებისა, არამედ ჩვენ შორისი ქმნას კრება და ამათცა ამა ერთობითსა სარწმუნოებაზედ მოვიყვან, რათა ერთ იყვენენ ყოვლისა სოფლისა ეკლესიანი“ და მეფემან ისმინა პაპისა და ოთხსა დეკენბერსა, დღესა (B-27r) ხუთშაბათსა შეიყარნენ კულად კრებანი და იქმნა ჯდომა მეფისა და სხვათა კრებულთა და მოვიდნენ პოტირიტები დუკასანი და თაყვანისცეს მეფესა და არავითარ ჯერ არს მეფეთა ეგრეთ და ძალითა ითმენდა ამას მეფე და ბრძანა მეფემან, ვითარმედ გამომავლობისათვის სულისა წმიდისა, ვიდრე მწუხრადმდე და შემდგომად გაიყარა კრება.

და კულად რვასა დეკენბერსა და შექმნეს პირველად სიტყვანი მრავალნი და დაშვრენ საუბრითა და შეწრფენ, ხოლო ეპისკოპოსნი და კლირიკოსნი და ყოველნივე მყოფნი კრებისანი იტყოდენ თვისთა თავთა შორის: „რა არს ესე ლიტონი (B-27v) სიტყვა, რომელ გვესმის, არცა მათ ძალუც ძლევა ჩვენი და ვერცა ჩვენ შემძლებელ ვართ ძლევად მათდა, ამისთვის ჯერ არს, რათა წარვიდეთ ქალაქსა ჩვენსა, ხოლო მეფე იყო კაცი სულგრძელი დიდად და ყოველსავე მოითმენდა და წინასწარსა საქმესა გამოარჩევდა ორთავე შინა კრებათა. შთავარდა მეფე ზრუნვასა შინა მსგავსად მძინარისა და პატრიარქიცა იყო სნეულებასა შინა სრულიად შეუძლებელ სიტყვისა და სმენისა.

გამოჯდა დღე ათექვსმეტი და პატრიარქი მცირედრე უკეთ იყოფებოდა და მივიდნენ კრებანი, კერძო ბერძენთა პატრიარქსა თანა და ევედრნენ პატრიარქსა და დასვეს ტახტსა ზედან და მიიყვანეს წინაშე (B-28r) და იყოფებოდა მის თანა ვიდრე ორდღე და განიზრახვიდენ მეფეც და პატრიარქი. მსწრაფლ მიიწინენ ეპისკოპოსნი და ყოველნი კრებანი. იტყოდენ ბერძენნი და კრებანი რაოდენიცა ქმნილ იყო პალატსა მეფისასა და მოწყინე იქმნა მეფე და თქვა: „ჩვენ ეკლესიისა გამოჩენა გვინებს, ამისთვის დაუტევეთ სამყოფნი, ჩვენნი მამულნი და მოვედით ფრიადითა შეჭირვებითა და დავმაშურალდით. ვითხოვ ეკლესიისა წარმოჩენასა, დასცხრეს ეკლესიისა განხეთქილება ორთავე შუა და თქვენ ყოველნი

მოხვიდეთ ამა საქმისათვის და მოიწიენით შერყეულისა ეკლესი-  
ისათვის და მთავარნი მარ(B-28v)თლმადიდებელთა სჯულისანი.  
დაიმედებულ ვიყავ კლირიკოსთა. მე ერთისა სახეობისათვის  
ვიჭირავთ, რათა ცოდვილმან რამე მოვილო ღვთისაგან შენდობა,  
ამისთვის არცა ვისმენდით, არცა ვეძიებთ სხვასა დიდებასა,  
არამედ ამისთვის წესი არს თქვენ მიერ გამოჩინებად ერთობისა  
წმიდისა ეკლესიისა და უმეტესად რომე მოვიქცეთ მამულსა ჩვენსა  
დიდებითა და ქებითა, არამედ მივიდეთ სირცხვილეულად“. ესე  
სიტყვანი ითქვენეს მეფისა მიერ წინაშე სინოდისა. თქვა: „რამეთუ  
პაპამან, მომითხრა ჩვენ, ვითარმედ ჯერ არს აღდგომად აქა (B-29r)  
ფერარათგან და წარვიდეთ ფლორენციასა და მუნ აღვასრულოთ  
კრება, ვითარ უკლებ კეთილ არს სიტყვა ესე ჩვენდა ანუ არა“ და  
სიტყვა უგეს ეპისკოპოსთა მეფესა: „ჩვენ, ჯელმწიფეო, გვენბავს  
არაოდეს არ წარვიდეთ აქა ფერარათგან. ამის მიერ შეიქმნა გამო-  
ჩინება, რამეთუ აღსრულდეს აქა კრებანი, არათუ სხვასა ადგილსა  
ჯერ არს ჯელმწიფობისა შენისათა, რათა გამოჩნდეს, თუ რასათვის  
წარვიდეთ ფლორენციასა? არა ჯერ არს აქათგან წარსვლა ჩვენი,  
რამეთუ არა ჯერ არს სხვასა ქვეყანასა სხვი(A-6r)თა მივიდეთ“. და  
თქვა მეფემან: „ვითარ ვსთხოვოთ ნავნი და ხარჯნი, უკეთუ უკანვე  
ვიწყოთ სლვად და იყვენენ საფა(B-29v)სესა ზედან ხარჯსა იწროდ“. და  
იტყოდა ყოვლად სანატრელი პაპა კრებისა მიმართ ბერძენთსა:  
„უწყოდეთ მართლიად, რამეთუ არა რა მაქვს ფორერას, რათამცა  
ნუგეშინისგეც ხარჯისაგან და მოგეც. არს ესე ადგილი ვონონიასი  
არს, არს ჩემი რაოდენიცა გინებს და მოგეც ფორორეთგან ორმოც-  
დაათს დრაჰკანს, რომე გამოვიდეთ ფორარაი კრებანი ფორარითგან  
და წარვიდეთ ფლორენციას. ისმინეთ და მომდევიდით მე, ვიდრე  
ფლორენცადმდე და აღვითქუამ, რათა მოგცემ კოსტანტინეპოლისა  
შეწევნისათვის თორმეტი ათასი დრაჰკანი და ხომალდნი ანუ  
თქვენი რა მაცს ვალი გარდასაჯდელი, არამედ (B-30r) ხარჯი რაო-  
დენიცა აღვითქვი, აღილებდეთ თვეთა თვემდის, ვითა ჯერ არს,  
ეგრეთ დადებული, მოვედით და წარვიდეთ ფლორენციას. იყოს  
ვადა სამისათვის ანუ ოთხისა გქონდეს დიდება, რომელიცა მიგცეთ  
ქვეყანასა თქვენსა, უკეთუ გინებსთ, ერთად აღვიარნეთ და ვიყოთ  
სწორათ.

ეპისკოპოსთა, ვითარცა ისმინეს ესე, ფრიად შეწუხდენ, ამის-  
თვის, რამეთუ საზრდო არა რა ჰქონდათ, რათა ქმნან კრებანი,

ბრძანა, ანუ მიყვნიენ სიტყვასა პაპისასა, მივიდნენ ფლორენციას, უკეთუ არა შეკრეს პირობა, რათა მიყუნენ, რომე იყუნენ შეჭირ-ვებულნი და ესრეთ მიუმცნო მეფემან პატრიარქსა, სადაცა იყოფე-ბოდა უძღურებით და რჩევა ეპისკოპ(B-30v)ოსთა დაამტკიცეს, რათა წარვიდენ ფლორენციას. დღე იყო პარასკევი. ფრიად ურვიდენ მეფე და პაპა გზასა ფლორენციასა. ოდეს მოიწია დღესასწაული ნათლისღებისა, კუალად შეკრბენ კრებანი და თქვა პაპამან: „უკეთუ ნებსით აღვილო სახარჯო, რათა წარვიდენ ფლორენციას“. მაშინ ბრძანა მეფემან: „სჯული არს ფრანგისა, არა თუ შეცთუნებით, არამედ გამოირჩიოს ყოვლისა სოფლისა კრებითა განუშორებელად სრულითა საქმითა და პირობითა და კრებითა ამა საქმისაგან ერთი, უკეთუ შევიდე პირველი, თუმცა არს სიკუდილი; მეორე - თუმცა არს შიმშილი; მესამე - აღდგომისა (B-31r)მტერი თუ არს, მას თუმცა ებრძოლონ, არამედ ჩვენცა გვენებას გამოსვლა აქეთგან, წარვიდეთ ფერართგან და ვქნათ კრება სხვასა ადგილსა და შეიქმნა მიზეზი, რამეთუ საღმობაა ჟამისა“ დაამტკიცეს მეფემან და პაპამან, რომე განცხადდეს საერთოდ მიზეზი ამა კრებისა, რომე გამოვა ფერ-ართგან და წავა ფლორენციას და შეკრბენ ყოველნი კრებანი ეპის-კოპოსთანი და დაჯდა მეფე და პაპა და ყოველნივე კრებულნი ბერძნისა და ფრანგისა და პატრიარქი არა იყო მუნ, რამეთუ უძღურებდა და შთაიცვეს შესამოსელი ნეოპოლისა ეპისკოპოსმან და სწირა ჟამი და შემდგომად წირვი(B-31v)სა დაიწყო ლიტანია და ვედრებად ეპისკოპოსმან, ვითარცა ჰქონდათ ჩვეულება. მოვიდა სანატრელი პაპა, ჩაცმული და შემოსილი და მათ თანა კარდინალნი და არქიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი შემოსილნი ყოველნი და დასხდენ. მაშინ უბრძანა პაპამ არქიეპისკოპოსსა, რომელსა ერქვა ღრადენსინ და მეფემან მთავარეპისკოპოსსა მიდილინისასა, რომელთაცა აღიარეს მსოფლიო ყოვლისა სოფლისა კრება და აღვიდენ მაღლად ანბიონსა ზედან და წარიკითხეს ღარდენიოს ფრანგულად და მიდილინისამან ელინურად, ვითარ დაამტკიცდეს კრება ფლორენციასა. (B-32r)წმითა დიდითა იტყოდენ: „ევგენიოს, მონა მონისა ღვთისა მარადის მოხსენებული და შეიქმნა ყოვლისა სოფ-ლისა კრება ფერერას და წეს იყო, რათა ფერერასვე აღგვესრუ-ლებინა და ვინათგან ჟამისა საღმობა შეიქმნა და ზამთარიცა არს ფრიად ნუუკუჭ და გზა არღარა მოგვეცეს ნეფხვისაგან ზამთრისა და ვიდრე ზაფხულადმდე დავშთეთ აქა. რჯულისაებრ კანონისა

დავსხენით აწ კრება ფერარისა და წარვემართენით ფლორენცას“. ესე სიტყვანი აღმოიკითხეს მთავარ-ეპისკოპოსთა და აღწერეს მწიგნობართა დაჯსნა და გაიყარა კრება.

თვესა იანვარსა თერთმეტსა მიეცა (B-32v) ბერძენთა სახარჯო სანატრელისა პაპისაგან, არა თუ მხოლოდ ამათ ოდენ მიეცა ხარჯი, არამედ კოსტანტინეპოლისაგა შესაწევნელად ცხრამეტი ათასი დრაკკანი და იწყეს კეთება გზისა, რათამცა წარვიდენ ფლორენცას, ხოლო იანვარსა ათექვსმეტსა გამოვიდა პაპა თვისით პალატით დიდითა დიდებითა, ცხენი უძლოდენ თეთრნი თორმეტნი ბრწყინვალედ შემოსილნი, ხოლო ცხენსა ერთსა დაადგერს ზურგსა მცირე კიდობანი, რომელსა შინა იღვა ჯორცი ქრისტესი, ხოლო გარემომისა შემოსილნი კაცნი ორმოცდაათი (B-33r) ლამპრებით და მეორესა ცხენსა ამკედრდა პაპა და ეხურა მიტრა თავსა ზედან და პატრონი ფერარისა მარკოზ ქვეითად სადავე ჯელთდებით წინა უძლოდა პაპას ვიდრე ქალაქით გარემდის, ეგრეთვე ძეცა ამისი და სხვანი ცხენნიცა რიელნი წინამძღვანილ იყუნენ და უკანა შეუდგენ კარდინალები და ეპისკოპოსნი ყოველნი ცხენითა უკანა შეუდგენ და სხვანი მრავალნი ერნი ესეთითა წესითა გამოვიდა. და გამოვიდა პაპა ზღუდეთა ფერარისათა და მიიწია მონასტერსა მამისა ანტონისასა მწუხრად, რამეთუ დღესა მას იანვარსა ათექვსმეტსა (B-33v) იმა მონასტრ(A-6v)ისადღესასწაული იყო. ესე მონასტერი განშორებულთა დედათა იყო, ფრიად კეთილი და განუშორებელად აქვს პალატები და მრავალი განსვენება. ოდესცა მოიწივნენ მთავარნი ანუ სხვანი ვინმე, მუნ განისვენონ და ვითარცა პაპა მიიწია მუნ, ამისთვის რამეთუ წყალი დიდი ახლდა მონასტერსა და მუნით განვიდოდა, რაჟამს გამოვიდეს საყდრით, განვიდეს წყალსა და მივიდეს სოფელსა მოდენას. არს ციხე მოდენასა და ფლორენცას შუა, რა მიახლოვდა მოდენას მწუხრად, დარჩა მონასტრის პალატებში და მუნით შთასხდენ ნავსა (B-34r) იანვარსა ათჩვიდმეტსა და წარვიდენ პაპა და მიიწივნენ სხვად მდინარედ. და მისდევდა მათ ფერარისა პატრონი მარკოზ. მივიდენ როდენსა ჟამსა დღისასა და შემდგომად შთავიდნენ ფლორენცასა და შემოეყარნენ კრებულნი თვისნი და უმრავლესნი მიტრაპოლიტნი წინათ წარვიდნენ და ზოგნი პატრიარქისა თანა მიჰყვებოდეს და ათცამეტსა ფებერვალსა ინება პატრიარქმან შესვლად ფლორენცასა და მოეგებნენ ორნი კარდინალნი, ათი მთავარეპისკოპოსი და ოცდაათი ეპისკოპოსი და

მრავალნი ერნი მიეგებნენ და შეიყვანეს ფლორენცას და შემდგომად სამისა დღისა (B-34v) მოვიდა მეფეცა, ვინმცა შემძლებელ არს აღწერად მის დიდებისა, რომელიცა მიგებებასა მეფისასა იქმნა და მთავარნი მიუძღვნენ ვიდრე ზღუდედმდე ქალაქისა და მოვიდნენ ყოველნი კარდინალები და ყოველნი განწყობილნი ხორონი ბრწყინვალეობითა შემოსილ იყვნეს და მრავალნი მდგომარენი იკითხვიდენ, ვითარმედ: „ვინ არს მომავალი ესე“ ციხენი და ქალაქნი შეძრწუნდნენ, ხედვიდენ რა მეფესა დედანი და მამანი „ესე არს რიგი ფლორენცისა“, ვითა შევიდა მეფე ფლორენცას, დღე იყო კვირიაკე და ორშაბათსა ევედრნენ მისლვად პალატად ბრწყინვალედ, რათა იხილოს (B-35r) მრავალფერი შესაქცევი და საკვირველება, სეირი ბრწყინვალე და რბევა ცხენთა ურაკპარაკთა შორის, ესევეთარსა პალატსა დღესასწაულსა ისერებდენ და მივიდა მეფე და იხილა ესეოდენი განცხრომა და ოდეს განვიდა აღება კრება ყოვლისა და პირველსა მარხვისა ოთხშაბათსა ბრძანა მეფემან, შეკრბენ პალატსა პაპისასა და საჯდომელი წესისაებრ და განვლო წმიდამან კვირამან მარხვისამან, ხოლო პატრიარქი ფრიად უძლურებდა სიმსივნითა ფეკთათა და ესე იტყოდენ, ვითარმედ პირველსა კრებასა არა მოვიდეს პატრიარქი, არა ჯერ არს, ხოლო იგი (B-35v) მიზეზობდა შეუძლებლობასა და ფეხებრვალსა კვ (26), დღესა ხუთშაბათსა მეორისა შვიდეულისა მარხვისასა შეკრბა პირველი კრება ფლორენცისა და შეკრბენ მიტრაპოლიტნი მეფითურთ პალატსა პაპისასა, რომელი იყო მზა და დასხდენ წესისაებრ. მაშინ იწყეს სიტყვანი დიდ-დიდნი და საშინელი და იტყოდენ სიტყვასა კუალად გამოსლვისათვის სულისა წმიდისა. იტყოდენ ლათინნი: „რამეთუ მამისაგან გამოვალს და ძისაგან ორისაგანვე სული წმიდა“ და ბერძენნი იტყოდეს: „მამისაგან გამოვა მარტო“, ვითარცა (B-36r) მოიტანეს ძველსა მოწამესა წიგნთა დიდრუანთა და წმიდათა მოძღვართა, არამედ მრავლისა საუბრისაგან დაიქსნა კრება.

ხოლო შემდგომად მარტსა ხუთსა კუალად შეიქმნა კრება და შეკრბნენ პალატსა პაპისასა და დასხდენ ამისთვის და ამგუარი იუბნეს მრავალი ორსავე კერძოსა ფრანგთა და ბერძენთა და სძლევდენ ძლიერად სიტყვასა ფრანგთა დიდთა მოწმობათა მიერ დაიქსნა კრება და კვალად მარტსა ათორმეტსა და ჩვიდმეტსა, ოცსა და კვალად დღესა შაბათსა შეკრბენ კუალად ყოველნი და კზ (27) ამთვისასა კუალად იყო სიტყვის გება და კრებასა რა ისხდეს არა



სრულობით სიტყვა მგებლობდენ (B-36v) სხვისათვის, არამედ სულისა წმიდისათვის.

კუალად მარტა კთ (29) და ღია შეკრბენ და რაოდენსაცა იტყოდენ მოწმობითა მრავალთა სამღთოთა მამათა და მოძღვართა აღმოსავლეთისა და დასავლეთისათა მამანი იტყოდენ: დიდი ბასილი, დიდი გრიგოლი, სამღვთო ოქროპირი, დიდი ათანასი, დიდი კირილე, დიდი მაქსიმოს, დასავლეთისა - დიდმან აღვისტინემ, იერენიმოს, სამღდელომ ილარიონ, დამასოს ლეონ მრავალრიგად იტყოდენ სულისა წმიდისათვის. გიორგიოს ბერძენმან იგავად იწყო, სამისა სიტყვისა მაშვალობისათვის ეტყოდა ბერძენთა, რათა ერთ იყვნეთ ფრანგთა თანა და (B-37r) წარვიდოდეს დღენი და ჟამნი არა მცირენი. იტყოდა მეფე დაფარვითა კრებულთა თანა ამისთვის და პაპა თვისთა კრებულთა თანა და კუალად დაიხსნა კრება და კუალად დასხდენ ორნივე კერძონი და სიტყვას მგებლობდენ და არა რა ერთობა იქმნებოდა.

მოიწია სულისა წმიდისა კვირიაკე და მოუთხრა პაპამან მეფესა და ევედრებოდა, ვითარმედ ვიუბნათ ამა კრებისა ერთობისათვის და მივიდა ეკლესიად მწუხრად მუკლმოდრეკით და შემდგომნი მიტრაპოლიტნი და უბრძანა მრავალი მეფემან ამა საქმისათვის, რათა ირწმუნონ, ვითა (A-7r) იტყვიან ფრანგნი და გაერთდენ. რა მეფემან ისმინა თვისთა კრებულთგან, (B-37v) მივიდა დღესა ხუთშაბათსა სულისა წმიდის მოსვლისასა მიტრაპოლიტებით. იწყო და ეტყოდა მათ მდუმრად: „ჩვენ, მეუფენო და მიტრაპოლიტმთავარეპისკოპოზნო, ჩვენ ამა საქმისათვის სხვასა ქვეყანასა ამისთვის მოვედით. ვიქადოდით მიებასა ეკლესიისასა და დაგვეყოვნა თვესა ათხუთმეტსა და არა რა პატივი გვაქვს და სახლი ჩვენი იტყვივის. ყოველთა მაუწყეთ, თუ რასა იტყვით“, ესრეთ იტყოდა მეფე და სხვასა მრავალსა სიტყვა უგეს მიტრაპოლიტთა და თქვეს: „ესე რომელსა არა სურის შვილობა ეკლესიისა, იგი არს შეჩვენებულ, არამედ სარწმუნოებითა ყოველთა ეპისკოპოსთა“ და რუსთა მარტო თქვა: (B-38r) „მძანო, წარვიკითხოთ წიგნები დასავლეთისა და აღმოსავლეთისა წმიდათა მამათა, რომელიცა გვემოწმოს მათი ბრძანება ჩვენდა, ამა თქმულსა, ვინათგან არს მშვიდობა, ვისმინოთ სიტყვა ესე“. და მიუგეს სიტყვა ეპისკოპოსთა. თქვა ნიკიისა მიტრაპოლიტმან: „უკეთუ ჩვენის სიტყვის მოწამენი არიან წმიდანი იგი, რასათვის არა გრწამსთ გამოსვლა ძისაგან. ისმინეთ სიტყვა

ესე“. იტყოდა ნიკიისა არქიერი, ვითა ბრძენი ფილასოფოსი იტყო-  
და: „არა ირწმუნეს მისი“ და დადუმდენ. არა იტყოდენ მისი გუ-  
ლისთქმა, თავი მოუდრიკეს და იქმენ ნაქმარსა მათსა. (B-38v)  
მსწრაფლ იქმნა წმიდის კირილესგან თქმულისა, თავისაგან იოანე-  
სი და წიგნისაგან წმიდისა ეპიფანეს, რომელსა ეწოდება ანგი-  
როტოს საუნჯისა მის ძვირფასისა და აღმოიკითხეს მრავალთა.  
მიდილელმა თქვა და მოილო ყოველივე დასავლეთისა წმიდათა  
წერილი და აღმოიკითხეს და ყოველივე დადუმდენ და თქვეს  
ყოველთა: „არა უწყით დასავლეთისა წმიდანნი, არცა მაშინ აღმო-  
კითხულა“. და მიუგო ნიკიისა ეფისკოპოსმან ბესარიონ, რომელიცა  
მიმდგომ იქმნა მათი და თქვა აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა წინა,  
ვითარმედ: „აწ რასა (B-39r) იტყვიტ და რას მომიგებთ“ და მსწრაფლ  
მიუგეს სიტყვა: „აწ ვიხილით და განვიცადეთ და აღვიარებთ,  
ვითარმედ სარწმუნო არს“, მაშინ ბრძანა მეფემან: „უკეთუ აღი-  
არებთ, მომეციტ მე გულისწორე და მართლიად სიტყვა“. და ირწმუ-  
ნეს ყოველთა, ვინათგან ერთი აღმოითქვა, აღსრულდა ნება მათი  
და დაიკსნა კრება და წარვიდენ თვისა სახლსა, ხოლო ნიკიელი  
აჩვენებდა ერთობასა ბერძენთასა და ვითა ფქვილი დაუდგრომელი  
ცხრილსა გარეთ იქცეოდა და ბერძენთ აღიარებდენ დიდად  
მესაიდუმლედ და ვერა ცნეს გულისა მისისა ნება და არა (B-39v)  
უწყოდენ, ვითარმედ თავყანისმცემელი არს მათი და იტყვის ამას  
და შემდგომად განთიად შაბათსა შეკრბენ ყოველნივე მიტრაპო-  
ლიტნი და კრებანი კოსტანტინეპოლისა ეკლესიისანი მეფესა  
სახლსა თანა პატრიარქისა, რამეთუ იყოფებოდა სნეულებით, ვითა  
ზემორე ვთქუთ. და მოვიდა უფალი გიორგიოს სხოლარი და  
მოახსენა მეფესა და მისცა ნება გულისა და კვალად წარვიდა.  
აღმოიკითხეს მიტრაპოლიტელთა, თუ რა არის წადილი გულისა  
მათისა, ხოლო მათ წარმოაჩინეს ერთობა მათი. ვინათგან პატ-  
რიარქიცა ნებასა ლათინთასა იყო და სარწმუნონოებასა მათსა.  
მაშინ თქვა პოტირიტმან ანტიოქიისამან ისიდოროს: „მეცა ეგეტვე  
აღვიარებ (B-40r) და ვქადაგებ წინაშე ღმრთისა და წინაშე ჩვენსა“  
და სიტყვა უგო ბესარიონ ნიკიელმან პოტირიტსა: „აღიარე, ვითა  
პირველსა სიტყვასა და აღიარე, ვითარმედ ასეულად და ორა-  
სეულად“, რამეთუ დიდად აღიარებდენ ფრანგნი მას და ყოველთა  
თითოეულად განიკითხევდენ ამა სარწმუნოებისათვის და სიტყ-  
ვად წარმოათქმევიტებდენ, ხოლო ირაკლისამან ანტონიოს და

ეფესელმან მარკოზ და მონომვასელმან დორითეოს და ახსელო-სამან სოფრონიოს. ესენი იყვნეს მომშლელ გაერთიანებისა და წინაღუდგენ მათსა გულისა განზრახვასა, ხოლო მიდილინისამან დორითეოს ინება და აღიარა (B-40v) სიტყვანი ფრანგთან.

ჰკითხევდენ სხვანი მიტრაპოლიტნი განზრახვასა მათსა და მრავალნი იტყოდენ გულისა განზრახვასა გამოჩენით, რომელიცა მათ ენება და ზოგნი სიცბილითა მიუგებდენ მათ და შეკრეს ათთა მიტრაპოლიტთა პირი და სიმტკიცე ერთად შემწეთა ფრანგთაგან, რომელ არს ესენი: რუსმან, ნიკიელმან, ლაკედემონისა, მიდილი-ნისა, როდუსი, ნიკომიდისა, დრისტის, ლანუდრამას, მელინიკუ და დიდმან პროტოსინგელოს და მოძღვარმა, უფალმან გიორგიოს და პოტირიტმან ალექსანდრისამან და წინამძღვრებმან (B-41r) და მღდელმონოზნებმან და უფალმან პახუმოს. ამის შემდგომად მოვიდა კვიზიკელი, ტრაპეზუნტელი, მონოვრელი და პოტირიტი იერუსალაიმის პატრიარქისა. მაშინ მეფემან, ვითა იყო მეცნიერ, რა იყო, იხილა რამე, თუ იქნება შერთება კოსტანტინეპოლისა და ფრანგთა და იპყრო საქმე, ვითა სიბრძნევა ჰქონდა სხვარიგათ. პირველ შექმნეს და აღვიდეთ. ჰელით წერილი მიტრაპოლიტთა იხილა ორღან მეფემან, ფრიად კეთილი და რიტორი ეპისკოპოსმან რუსისა წარგზავნა პაპსათან და ეგრეთვე წარავლინა, ვითა თვისი პირი და მოახსენა სანატრელსა პაპს: „თუმცა (B-41v) ბრძანებთ, ყავით შეწევნა ჩვენი და ქრისტიანთა, ვითარცა დამპირდი საიდუმ-ლოდ და გაცხადებულ და კრებისა (A-7v) წინაშე მოკმარებისა, ხოლო პაპმან მოციქული კუალად უკანვე წარგზავნა დიდებითა და გულის მოწყალებითა და ორშაბათსა ყოველთა წმიდათასა წარუ-გზავნა სამნი კარდინალნი მეფესა, ვითარცა პირი თვისი. რომელ-საცა ესენი პირობითა შეიჯერონ. მეფეჴ, მართლიად უწყოდეს მეფემა ვითარმედ აღსრულდება, ხოლო ჰკითხა მეფემან კარდი-ნალეხსა: „სარწმუნო ვართ თქვენ მიერ პირობასა, ვითა პაპსასა, ვითა შეწევნასა ილუწის და სახელსა ქრისტიანობისასა“. და მიუგეს მათ (B-42r) მეფესა და ჰრქვეს: „ამხელად ამა ბრძანებისამან მოგცეს სახარჯო ზოგი ერთი და ხომალდი, რომე წარვიდენ ერნი შენნი ეკლესიასა აღმოსავლეთისასა“, მისცეს სამასსა მკვდარსა, რომე იქ იმყოფებოდნენ თვისითა ხარჯითა მცველად კოსტანტინეპოლისა, რამეთუ სახარჯო მათი იქ მნებავს ორნი ხომალდნი მცველად, რათა

უფიქროთ დაიცვან კოსტანტინეპოლი, რათა შეიქმნას თაყვანის-საცემელი იერუსალემი კოსტანტინეპოლისა და დიდ-დიდნი ხო-მალდნი, რომელიცა მივიდოდნენ თაყვანისსაცემელად ცხოველ-სმყოფელსა საფლავსა ერთითურთ (B-42v), მიიწოდენ კოსტანტი-ნეპოლის, ოდეს კელმწიფჴ ხომალდებს აღაშენებს შესაწევნელად თქვენდა, ოცსა ხომალდსა მოგანიჭებს თვისისა განწყობილებითა, რომე იმყოფებოდეს თქვენ თანა ექვს თვეს, უკეთუ გნებავსთ თავი თვისისა ხარჯით იმყოფებოდეს თქვენ თანა წელიწადსა ერთსა, უკეთუ საჭმარ არს თქვენდა და ინებებთ ჴმელით ხარსა წარ-მოგზავნის ნათესავსა ქრისტიანეთსა შესაწევნელად ქრისტესა“, ესენი მოახსენეს კარდინალთა მეფესა. ოდეს ისმინა მეფემან სიტყვანი ესე განიხარა და უბრძანა (B-43r) კარდინალეზსა: „რაოდენი ვთქვით, მოგვეცეს მაგიერად მისად და თქვენგან სამი ხაზინა ვენედიკითგან იენუადამ და ფლორენციდამ, რომე აღვილოთ ამა ქალაქებითგან, რაც, რომე შემოვალს“, ესე თქვეს და იუბნეს და წარვიდენ სამშაბათს, ივნისის ორს. ამასვე თვესა სამსა, დღესა ოთხშაბათსა შეკრბნენ არქიერნი და მეფე სახლსა პატრიარქისასა, რამეთუ უძღურებდა. ყოველნივე იყვნეს შემოსილ. იუბნენ ფილა-სოფოსნი ერთად, კრებულნი შეთქმულნი ერთპირად. აღმოსავლე-თისა (B-43v – 44v) მიტრაპოლიტთ უბრძანა რამეთუ: „მე ამა წარსუ-ლისა კრებებისა წადილი ყოველთავე ვისმინე და ყოველთავე თქვენი საწადი აღიარეთ. რასა იტყვით?“ და მიუგეს ყოველთა ერთისა განზრახვითა და გონებითა გვინებს, რათა პატრიარქმანცა მოგვეცეს, თუ რა მნებავს ამათთვის, ხოლო იხილა რა პატრიარქმან ნება მათი და მისცა მანცა ნებისაებრ მათისა, რამეთუ „შევერთდები თქვენ თანა, ვიქნები მეცა ერთი ამა ლათინთაგანი“ და რაოდენი იხილეს ეპისკოპოსთა პატრიარქისა გულისა სიტყვანი, ყოველნივე ერთად შეითქვენ და (B-45r) მისცეს გონებანი მათნი განზრახვასა პატრიარქისასა, ხოლო ირაკლიას და ეფესოს და სტავროპოლის და აქილევისა არა ეწადათ მიდევნება მათი, არცა ერთი რა ნება ქმნეს მათი, რომე ერთ იქმნენ ლათინთა თანა, არამედ მეფემან და პატ-რიარქმან, რომე მათი საწადელი ნება მისცეს და დაამტკიცებდენ, რაოდენცა იტყოდენ ფრანგნი და დაიკსნა კრება.

ხუთშაბათსა კულად შეკრბენ მეფე და არქიერნი და ყოველ-ნივე მიიწევდენ პალატსა პატრიარქისასა და მისცეს ნებისაებრ

მათისა სიტყვა ნებითა, თუ ძალითა, თუ განგებუ-ლებითა, სრუ-ლისა გონებითა და დაამტკიცეს უცვალებლობა (B-45v) ამა კრებისა, ხოლო პატრიარქი და მეფე და ყოველნი არქიერნი და სრულად კრებანი, თვინიერ ეფესელისა მარკოზისა, არა ინებებდეს სათნო ყოფად განზრახვისა ამათისა, არცა ნება ურთო თქმულთა ფრანგათსა. ამისთვის მრავალჯერ საფრჯე უყვეს კნინდა, ვიდრე სიკუდიდმდე. რაჟამს მისცეს მიტრაპოლიტთა გულისაებრ მათი სიტყვა არქიერთა და მეფემან პატრიარქსა და შეიქნა პირობა ერთნი და დასწერეს ესე დავთარსა ეკლესიისა ჰრომისასა და იქითგან აღმოიწერა სამი წიგნი პირობისა. (B-46r) ერთი წარილო პაპამა, ერთი - მეფემან და ერთი - პატრიარქმან და დაიკსნა კრება.

პარასკევი რა მოიწია, მოილო პაპამან ესე ერთობისა წიგნი და სთნდა ფრიად და შეკრბენ კარდინალნი და იხილეს რა, მათცა სთნდა და დადვეს პირობა, ვითარმედ ხვალისა დილას ადრე შაბათად გამოირჩიონ ათი ერთ კერძო და ათი მეორე კერძო, რომე აღასრულონ ამა წიგნისა საქმე, რომელ აღწერონ, რაოდენიცა სათნო არს ფრანგთა განსაწმედელი, რომელ არს ცეცხლი, პორლოტორიონ და უცომოებისა და პაპისა მთავრობისა და კვალად (B-46v) სხვა მრავალი.

გამოვიდა კვრიაკე და ორშაბათს განთიად, ივნისსა რვასა მოვიდნენ ესე ათნი ბერძენნი სიტყვისა საგებელად წინაშე პაპისა (A-8r) და აღმოიკითხეს ჯელითწერილი კრებისა და სარწმუნო იქმნენ და აღდგენ მუნით მსხდომნი და ამბორს უყვეს ურთიერთას და მრავალი სიხარული იქმნა და ვითარ მოიწია ჟამი სამჯრობისა, აღდგენ ათნი ბერძენნი და წარვიდენ სახლსა თვისსა და დავედრა პაპამან ამათ, ვითა უკმო, იქცენ ჟამსა ოცსა. ნუუკულწ აღვწეროთ წიგნი ესე ენისაებრ ჩვენისა, რათა აღმოიკითხონ წინაშე ერისა (B-47r) ამის ჩვენისა. ესრეთ შეიქმნეს. ესე ვით იქმნა, განვიდა რა ჟამი ოცი, შევიდნენ და აღმოიკითხეს ერთობა ელენურად და ფრანგულად და იქმნენ სარწმუნო და კვალად იამბორეს ურთიერთას მთელითა ამბორითა და წარუგზავნა პაპამან მეფეს ვალესან კრონელი, ხორიტოურე და თომა დიდასკანელი და თქვეს ამათ აღმოკითხვა მათი და შეიქმნა დიდი სიხარული და სამშაბათს დილას შესთვალა პაპამან მეფესა და თქვეს რომელიმე ეპისკოპოსთა იუბნონ პაპასთანა და ინება რუსმან, ნიკიელმან, ტრაპეზუნტელმან, მიდიელმან და მივიდნენ (B-47v) და თაყვანისცეს მათ და

თქვეს მათ წინაშე: „ჩვენ მადლით ღმრთისათა ერთ ვიქმნენით და ერთ განზრახვა, რომელიცა გვაქვს სულისა წმიდისა გამოსვლა და აწ ვიტყვი, რომე ერთი ნება ვიქმნეთ ამას ტახტსა ზედან სამოციქულოსა ძველისა და უცომოებისა და განსაწმედელი ცეცხლისა და წარვიდეთ მეფესა თანა და კრებასა და თქვენისაებრ სამართლისა აღიარეთ და ჩვენცა გვაუწყეთ ეგრეთ“, გამოვიდნენ რა პაპისაგან და მოახსენეს მეფე-პატრიარქსა და კრებასა და მწუხრად ოთხშაბათად მოვიდა მსწრაფლ სიტყვა, ვითარმედ მიიცვალა პატრიარქი და შეიქმნა გლოვა და მიიწივნენ (B-48r) ხილვად და მიზეზი მიცვალეებისა მისისა გამოიკითხეს. მოახსენეს, ვითარმედ ისერებდა რა და შევიდა სენაკად, ვითა ჰქონდა ჩვეულება, აღილო ქალადი და კალამი და დაწერა და წერაში ათრთოლდა ჰელი მისი სნეულებისაგან და წერასა შინა განუტევა სული, ხოლო იპონეს წერილი, რომელი დაწერა ესრეთ: „იოსებ, წყალობითა ღმრთისათა, მთავარეპისკოპოსი კოსტანტინეპოლისა, ახლისა რომისა და ყოვლისა სოფლისა პატრიარქი, ვინათგან მოიწია აღსასრული ცხოვრებისა ჩემისა და მიცვე ვალი სიკუდილისა, დამიწერია და აღვწერ და გამოვაჩინებ გონებასა ჩემსა, რაოდენიცა მქონდა განზრახვასა ჩემსა.

ირყეოდა კათოლიკე და სამოციქულო (B-48v) ეკლესია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ძველისა რომისაგან და შევისმინეთ და დავრწმუნდით სანატრელისა პირველისა მამისა და ბრწყინვალისა არქიერისა მაგიერი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, პაპა ძველისა რომისა აპა, აღვიარებ და პირველად აღვიარებ, ვითარმედ არს ადგილის მაგიერ სამღთოსა პეტრესა, ამისთვის აღვწერე ესე აღვიარება, ივნისის ცხრასა, წელსა ქრისტეს აქეთ ათას ოთხას ოცდაცხრამეტსა წელსა, რაოდენიცა ითხოვეს ფრნაგთა ბერძენთა ეკლესიისაგან. ნება ვქენით და შევერთდით“ და ხუთშაბათსა დილას შეკრბენ მეფე და (B-49r) არქიეპისკოპოზები ყოველნი და ყოველნი კრებანი მისნიკელისა პატრიარქისასა, რათა მოიღონ და მიუთხრან პაპასა, რათა მისცეს საფლავი ტამარში უდიდებულად და მსწრაფლ მიიღონ მიწა მიწასა და გამოჰდა ცხრა ჟამი დღისა. მაშინ მივიდნენ და მოიღეს პატრიარქი და ყოველნი არქიერნი იყუნენ შემოსილ და მიიწივნენ ტამარსა წმიდისა მარიას ნოველისასა ეკლესიასა შიგნით აღიგეს წესი და უამბორეს. მაშინ დამარხეს მუნ კერძოსა სალაროსასა სამხრეთისაკენ. მრავალი დიდება მიუ-

მღვანეს კარდინალთა პატრიარქსა, მთავარეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა და ყოველთა (B-49v) სამღვდელთა ყოველთა ფლორენციის თავადთა სიკუდილისათვის მუნ მისისა.

თვესა ივნისსა ათსა, ინდიქტიონსა მეორესა დაიმარხა ტამარსა მას შინა და ვითარცა მიიღეს პატრიარქი, უბრძანა მეფემან და კრებამან პაპასა, რათა აღსრულდეს კრება, ვინათგან აქ დგომა აწ შეუძლებელ არს აწ ჩვენგან უფროს, ამისთვის რომე არღარაა პატრიარქი. ისმინა პაპამან სიტყვა ესე, მიუმცნო რუსსა და ნიკიასა და მიდილინელსა და წარვიდნენ დღესა მეორესა პატრიარქისა სამძიმარსა. ეტყოდა მათ პაპა ამისთვის უფრო, რამეთუ განუშორებელ იყო (B-50r) საქმე მათი და საცილებელი არღარა დაშთეს, ამისთვის მომჭირნედ ყოფასა აზრახებდა დაწერილისათვის თუ უწერელისა და მოახსენეს ამა მიტრაპოლიტთა პაპასა, ვითარმედ: „ჩვენ ჩვენის თავი არ ძალგვიც თვინიერ კრებისა ჩვენისა სიტყვისა მოხსენება“ და წარმოვიდნენ თვისად კრებად და მოახსენეს ესე მეფესა და კრებასა და არა ქმნეს ესე სრულიად და შეკრბნენ კრებანი ორგზის და სამგზის, რომე ამისთვის პირობა შეკრიბონ და არა ყვეს შემდგომად კუალად შეკრბნენ და პირველისა საქმისათვის შეკრბნენ და მრავალი იუბნეს და პაპის უფროსობისათვის უფრორე ვერა სწორედ (B-50v) განარჩიეს და მაშინვე მეფემ მიუგო პაპასა: „ჩვენ არცა ერთსა სიტყვასა ვიტყვით, არამედ მოიწია დრო წარსლვად და წეს არს, რათა მომზადება ვყოთ და წარგუგზავნოთ“ და მიუგო პაპამან სიტყვა მეფესა, ვითარმედ: „ამისთვის ვილუწიდი და აწცა ვილუწი. წარგზავნეთ კაცი ვენედიკს, რათა კატარლანი (A-8v) მოამზადონ. წარგზავნეთ აწ თქვენცა თავადნი თქვენნი და ჩვენცა მიუწერთ წიგნსა კაპუტანთა, რათა მზა ყონ კატარლა, არამედ ვევედრებით მეუფებასა თქვენსა, რათა დრო გვცეთ აქა, ვიდრემდის ღმერთი ამა საქმესა აღასრულებდეს და ხარჯს მოგიძღვნით ვიდრე ვენედიკამდის და შეწევნასაც, (B-51r) ვიდრემდის სტამბოლსა მიბრძანდეთ. ამისთვის ნუ იურვის მეფობა თქვენი“. და შემდგომად სიტყვისა ამის დაიკსნა კრება და წარვიდნენ თვისად ადგილად.

ხვალისათვის შეკრბნენ ბერძენთა კრებულნი პალატსა მეფისასა და შუა შემოვიდა სიტყვა, თუ რასა ითხოვენ ლათინნი ჩვენგან და რა სწადსთ და მრავალი საუბარი განაგრძვეს, არამედ ამა სარწმუნო იქმნენ თქმულსა ლათინთასა და თქვეს: „კეთილ არს ფრიად ნება მათი“ და გამოვიდნენ მეფისაგან და წარვიდნენ ივნისსა იუ

(17), ოთხშაბათსა საფლავსა პატრიარქისასა და გარდაიჭადეს კუალად წესი სამკუდრო. შემდგომად აღდგომისა აწვია მეფემან (B-51v) ირაკლისასა თავისა თანა და ეფესოს და რუსსა და ნიკიისასა და მიიწივნენ პალატსა მეფისასა და ენება მეფესა, რათა ესე ოთხნი არქიერნი სხვასა აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა თანა ერთ იყოს, რათა საწადი ფრანგთ ამათ თანა სარწმუნო იქმნენ და ირაკლისა ირწმუნებდა, ხოლო ეფესელი არა სადა ინებებდა მათსა განზრახვასა, ამისთვის არა ენება სმენა მათ თანა და გამოვიდნენ მეფისაგან და მოიწია დღესასწაული ნათლისმცემლის შობისა. ვინა ფრიადცა დღესასწაულობდენ ბრწყინვალედ და დიდებულად და შემდგომად ამასა თვესა ივნისა ოცდახუთსა მიიწია მსწრაფლ რუსიელი, ნიკიელი და (B-52r) მიდილინელი და სხვაცა მრავალი და ეზრახნენ პაპასა, შეკრბნენ და ერთობდენ ორნივე მარტოდ დაამტკიცებდენ. ბრძანა პარასკევსა კვ (26) ივნისისასა შეკრბნენ ორნი კერძონი კრებანი პალატსა პაპისასა და დაიწყეს მას წინ ვინა განვლო მრავალმა ჟამმა და პაპას ჰქონდა პური შაქრისა და ტკბილნი სანოაგენი და ღვინო და ისერეს ყოველთა, ხოლო დაიხსნა კრება და მივიდნენ პალატსა მეფისასა ყოველნივე კრებანი ესე და ყოველთა ერთად დაამტკიცეს პირი თვინიერი ეფესელისა და სარწმუნო ქმნეს ყოველთა სათხოველი მათი. პირველად აღიარეს (B-52v) პაპა თავად პატრიარქად და მაგიერად დამცველად ქრისტეს მიერ და მწყემს და მასწავლებელ ყოველთა ქრისტიანეთა და მოურნე ეკლესიისა ღმრთისა, სიმტკიცე რჯულისა და მართლმადიდებელი, აღმოსავლეთისა პატრიარქი აქათ ეკლესიისა და პატრიარქი კოსტანტინეპოლისა, შემდგომად ამისა მეორე იქმნას, მესამედ აღესანდრიისა, მეოთხედ - ანტიოქიისა და მეხუთედ - იერუსალიმისა (53რ) და აღიარეს ესეცა კუალად სული წმინდა მამისაგან და ძისაგან გამოსვლით და უცომოსათვის და განსაწმედელისათვის ცეცხლისა. ესენი ყოველნივე დაწერეს და აღიარეს, ხოლო მეფემან და პოტირიტთა პატრიაქებისათა და სხვათა მიტრაპოლიტთა და მღვდელთა და ყოველთა კრებათა თვინიერ ეფესელისა. მან არა აღიარა.

ამისა შემდგომად შაბათსა დილასა წარვიდნენ ყოველნივე კოსტანტინეპოლისა მიტრაპოლიტნი ეკლესია ნოველსა, რომელიცა იყო საფლავი პატრიარქისა და კუალად წესი მოხსენებისა აღასრულეს და გამოვიდნენ რა რუსი და მიდილიელნი, მივიდნენ



პაპასა თანა და მოახსენეს ესე: „აჰა, მშვიდმან მეფემან და ყოველნი მისთა კრებანი და დაშვნა ამის საწადელისა, რაოდენიცა ნება თქვენნი იქმნა, (B-53v) ყოვლად სანატრელო და ნება ბრძანებისა თქვენისა ვყავით და უკეთუ გუქონდეს ჩვენცა სათხოველი რამე, ვითხოვით თქვენისა ყოვლად სანატრელისაგან. ამას დაუტეობთ და წავალთ. კატარღანი მდგომნი ვენედიკს ისწრაფიან წარსვლად, არამედ მრავალ რიგი საუბარი გაგრძელდა და რა შეიქმნა ერთობა და მოიწია პირველ მოციქულისა პეტრესი და პავლეს დღესასწაული და თქვენ, ვითა ხართ ადგილსა მათსა, რომელიცა მათ მიიღეს დაუქნობელი გვირგვინი, თქვენ, ყოვლად სანატრელმან, დღესა ამას დღესასწაულსა სწირეთ გვირგვინი და ჩვენცა თქვენ თანა ერთობით შევსწიროთ მსხუერპლი საიდუმლოსა და აღმო(B-54r)ვიკითხოთ წიგნი, დავთარი ერთობისა“, ხოლო ესმა რა ესე პაპასა, ფრიად სთნდა და აღივსო სიხარულითა და მრავალს მადლს მოახსენებდა მეფესა და კრებასა და მიტრაპოლიტთ. რა აღასრულეს სიტყვანი ესე, მოიწივნენ და აუწყეს მეფესა და კრებასა რაოდენიცა ბრძანა პაპამან და მწუხრად პაპიდამ მოვიდნენ მეფეს თანა კრიტელი, როდონელი და უთხრეს მეფესა. აღსარება, ერთობისა დაამტკიცეს და ხვალისა იყოს ერთობისა წიგნი ფრანგულად და ელენურად, რომე ყოველთავე კელი ჩავრთოთ და უკეთუ მიიწივნენ დღესასწაულსა მოციქულთასა, წირვა და ერთობა განცხადდეს. (A-9r) მას დღესა (B-54v) კუალად შეკრბენ მეფე და პაპი კრებასა შორის ორთავეთასა და შუა შემოიღეს კუალად სხვა სიტყვა პაპისათვის და მეფისა, თუ ვითარ სიმაღლით დასწერონ. ამას ზედან ირყეოდენ დღითიდღე, თუ რომელი უფროსად დაწერონ და ბოლოს ერთობა ქმნეს და ივლისსა ოცდაოთხსა, დღესა შაბათსა, ბრძანა მეფემან, გამოარჩიონ ფრანგთა ექვსი ფილასოფოსი და ექვსი ბერძენთა, რომე დასწერონ რიგი და ერთობა. მარჯვენით დასხდენ ფრანგნი და დაწერონ ფრანგულად. პაპამან ჩართოს კელი და ყოველთა მისთა კრებათა, ხოლო მარცხენით კერძო დასხდენ ბერძენნი და დაწერონ ელენურად და ყოველთავე შთაიწერდენ, (B-55r) რაოდენიცა აღმოსავლეთისა ეკლესიათა კრება ქნეს და ოდესცა აღწეროთ, ოქრო ბეჭდითა დავბეჭდოთ და დავიკიდოთ ოქროთა ჯაჭვისა და დასხდენ ამა შაბათსა დღესა, ოთხსა ივლისსა ეკლესიისა წმიდისა ფრანჩისკოსასა. ამა ეკლესიისა იყვნენ ფილასოფოსნი იგი და დაწერეს ერთობისა წიგნი ელენურად

და ფრანგულად ბრძანებითა მეფისათა და კვირასა დღესა ჯელჩართულ ყვეს და დაბეჭდეს. ორშაბათსა, ივლისს ექუსსა დიდად აღსრულდა და დაიბეჭდა და დამტკიცდა ერთობა ეკლესიათა და მიიწია პაპა მეფესა თანა (B-55v) და ყოველნი სამღვდელთნი ჯვარშემოსილნი მთავარნი მღვდელნი და მღვდელ-მონაზონნი, დიაკონნი და მაგალობელნი და სხვანი მრავალნი დიდებულნი და ყოველნი ერნი ეკლესიისა წმიდისა მარიასა და იყოს წირვა და შეიმოსნენ ყოველნივე ბერძენნი კრებანი დიდისა დიდებითა და ბრწყინვალეებითა. ზ, ღვთისა განგებულება, ვინმცა იყო შემძლებელ აღმოწერად ერისა მისისა, რომელიცა შეკრბენ საიდუმლოსა მას წირვასა, რათა ისმინონ ერთობა ორთავე ეკლესიათა და რა აღსრულდა წირვა, ბრძანა პაპამან, რათა აღმოიკითხონ (B-56r) ერთობისა წიგნი ფრანგულად და ელენურად. ფრანგულად აღმოიკითხა კარდინალმან წმიდის სვინის იულიანოსმან და ელენურად არქიეპისკოპოსმან ნიკიელმან ბესარიონ, რაოდენიცა დაწერეს ყოვლისა სოფლისა კრებასა ფლორენცისასა. ეგეციოს, ეპისკოპოსი, მონა მონისა ღვთისა მსგავსად საქმისა მხედველი, ერთად მქნელი წერილისა ამის საყვარელისა, შვილისა ჩვენისა იოანე პალეოლოლოსა, გამოჩინებულისა მეფისა ბერძენთასა და პოტირიტთა ღირსთა ძმათა ჩვენთა პატრიარქთა და სხვათა აღმოსავლეთისა ეკლესიათა. მუნით იხარებენ ცანი და (B-56v) განსცხრების ქვეყანა და იქსნა შუა კედელი მტერობისა დასავლეთისა და აღმოსავლეთისა გაერთებისა. მოიწია მშვიდობა და ერთობა ძვირსა ფასისა ივლისა. ქრისტესი შეიქმნა კეთილი სიყვარული და ერთობა საშინელისა, ღვთისაგან შეერთდება ორი კედელი. ერთად შეასწორა მტკიცედ შეკრული, რომე გვაქვდეს ერთობა უცვალებელი და გრძელსა მას სიბრძნესა და წელსა რომელ აღვასრულეთ მჭიმუნვარენი. აწ სიხარულსა მოვიწიეთ ყოველსა ქვეყანასა შარავანდნი ერთობისა ამის ბრწყინვალითა და იხარეს დედა ეკლესიათა და ძენი მისნი აწ და ვიდრე უკუნისამდე (B-57r). ურთიერთას ერთობისა სიყვარული არა განემორება ამა პირობისა და მშვიდობა აღდგა ზეგარდამო და პირველ ჩვენსა გაყრილნი უწყალოდ ტიროდენ წინანდელთა სასწაულთა. იქმნა ერთობისა სიხარული ზეგარდამო. მადლობა ღვთისა, ყოველნი იხარებდით ბრძანებასა ყოვლისა სოფლისა სარწმუნოებასა და ქრისტეს აქეთ გამორჩეული დედა კათოლიკე ეკლესიისა განიხარებს. მრავალი

სხვა დაეწერა იმა წიგნსა და დასასრულსა იტყოდა: „მოეცა ფლორენცას უეჭველი ერთობა და სარწმუნოება სრული წელსა ექუსსა განჯორციელებიდან უფლისა ჩვენისა იესო (B-57v) ქრისტესა, ათას ოთხას ოცდაცხრამეტსა, ივლისსა ექვსა, დღესა ორშაბათსა. აღწერილი მეფისა და აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა და სხვათა სამღდელოთა დასამტკიცებლად სიწმიდისა ამის ერთობა ეკლესიისა.

იოანე, ქრისტეს მიერ ღმრთის მორწმუნე მეფე და თვითმპყრობელი ბერძენთა პალეოლოღოს, მდაბალი მიტრაპოლიტი ირაკლისა, რიტორი დიდი არქიერი ყოვლისა საფრანგეთისა და მაკედონისა და პოტირიტი სამოციქულოსა ზედან მჯდომარისა ყოვლად წმიდისა პატრიარქისა (B-58r) ალექსანდრისა უილოთეოსისა პარათსიგელოს, მოძღვარი გრიგოლიოს და მღდელომონაზონი ყველას ვარ თავი, ისიდორე მიტრაპოლიტი კიავისა და ყოვლისა რუსეთისა და პოტირიტი სამოციქულოსა ზედა მჯდომარე უფლისა დოროთეოსი უცილებლად ყოვლისა ერთა მდაბალი მიტრაპოლიტი მონემავარისა და პოტირიტი სამოციქულოსა იერუსალიმის ზედან მჯდომარისა იოვაკიმისა დავეწერ. დოსითეოს, მეცა უცილობლად ვწერ, მდაბალი მიტრაპოლიტი კვიზიკოსი მიტროვანე ჭეშმარიტითა გონებითა აღვეწერ, მდაბალი მიტრაპოლიტი (A-9v) ტრაპეზონტისა დამპყრობელი კესარიისა დოროთეოს, მართლიად აღვეწერ, ბესარიონ წაყლობითა ღვთისათა არქიეპისკოპოსი ნიკიისა და მპყრობელი სარდეოს მარღლიად აღვეწერ, მდაბალი მიტრაპოლიტი მაკარიოს მართლიად აღვეწერ, მდაბალი მიტრაპოლიტი მდურ-ნოვისა და ადგილთ მპყრობელი ნიკოდიმოსი ეგნატი აღვეწერ, მდაბალი მიტრაპოლიტი (B-58v) მიდილინისა დამპყრობელი ადგილისა სიდისო დოროთეოს სრულიად აღვეწერ, მდაბალი მოღოვლახველისა და მპყრობელი სევასტისა დამიანოს სრულიად აღვეწერ და ყოველნივე აღმოსავლეთისა ეპისკოპოსნი, კარდინალნი, მღდელნი და დიაკონნი და ყოველნივე სამღ-დელოთა კრებანი წარვსწერთ. ესენი და ამას ზედან წერილნი წარიკითხეს ფრანგულად წმიდისა საბინისი იულიანემა და ელენურად არქიეპისკოპოსმან ნიკიისამან ბესარიონ აღმოიკითხა და ჩვენ უამბორეთ ურთიერთას. მოიღეს სამღდელოთმთავრო შესამოსელი და სამღდელო და სადიაკონო და გალობდენ მგალობელნი ბერძენნი და იხარებდეთ ცანი და შემდგომი (B-59r) დიდებისა და აწ და მარადის დიდება მალალთა შინასა.

დღეს მდაბალმან უფლისა წმიდისამან შეგუკრიბნა. აღასრულეს წირვისა საიდუმლო, წარვიდენ თვისა სამეფოსა, ვინათგან ესენი იქმნა და აღსრულდა, მშვიდობა იქმნა ორკერძოვე. გამოვიდეს დღენი თვესა ივლისსა იდ (14), დღესა სამშაბათსა პაპამ მოიწმო პალატსა თვისსა აღმოსავლეთისა არქიერნი და მივიდნენ უმრავლესნი და დარჩნენ ზოგნი, ვინცა მიიწვივნენ ერთსა ადგილსა და დაადგინნა და საიდუმლოდ მიუთხრა: „ჩვენ, ძმანო, სჯული გავაერთეთ მაღლითა ღვთისათა, ხოლო უყწის ღმერთმან ყოველი (B-59v) გონება კაცთა, მე მხოლოდ დავდეგ თავად გონებასა თქვენსა და ვიღწვი, რათა წარგიძღვე და გასწავებდე, რომელიცა არს საწმუნოებისა და ეკლესიისა, ვითა ძმათ ძველიცა და აწცა ჩვენ გვემცნობა ეკლესიისა ყოვლად წმიდა ძმა ჩვენი კოსტანტინეპოლისა პატრიარქი მიიცვალა კეთილსა შინა და ეკლესია პატრიარქსა ევედრა, ამისთვის განიგულა საქმე ესე, რათა აქათგან კურთხეული წარვიდეს პატრიარქი, რადგან მეცა აქ ვიმყოფები არათუ ჯორციელსა რასამე სანუკვარსა ველი, გინა ოქროსა და ვერცხლსა, ამისთვის არარას დაუურვებ, არამედ წყალობითა ღმრთისათა (B-60r) სავსე ვარ, არამედ მოვცე და განჯდეს ჯმა ერთობისა და სიმტკიცისა ჩვენისა, რათა კურთხეულ არს პატივი მივინიჭო და ეკლესიასა საწმარ-ყყო. ვიტყვი, ვითარმედ პატრიარქი აქ განვაწესოთ, რომელი არა რას დააბრკოლებს და არცა რას უწესურს შემოიღებს. აქ არის მეფე და ყოვლისა სოფლისა კრებანი და მეცა პაპა აქ ვიმყოფები და ყოველნი რჩეულნი არქიერნი აქ იმყოფებით. რა დააბრკოლებს აქა ამა საქმესა. არის წესი და ღირსი, რათა აქ ეკურთხოს პატრიარქი, რომე აქათგან უკურთხავი (B-60v) არ წახვიდეთ, ნუთუ“. და მიუგეს სიტყვა მიტრაოპოლიტთა: „რომელიცა სიბრძნემან თქვენმა ბრძანა კეთილი, არამედ ამაღ ვერ შემძლებელ ვართ. ამისთვის იტყოდა, არამედ სხვანიცა არიან კრებანი და მღდელთ-მთავარნი ჩვენნი და გვივის მეფე და მათ ვეტყვით ამა ბრძანებასა თქვენსა და რაოდენსაცა იტყვიან, მომქსენე ვიქმნებით წინაშე თქვენსა“. და გამოვიდნენ პაპითგან და წარვიდენ წინაშე მეფისა და მოახსენეს სიტყვა პაპისა, ვითარმედ პატრიარქსა დასმას იღწვის პაპა და მიუგო მეფემ სიტყვა და წარვიდენ წინაშე პაპისა, ვითარმედ არს ჩვეულება ჩვენი, რათა შევრკბეთ ქალაქსა (B-61r) ჩვენსა კოს-ტანტინეპოლსა და მუნით განვარჩიოთ კაცი საპატრიარქო. ჯერ არს კურთხევა მისი, ვინა ამას შემძლებელ ვართ

ჩვენ, რომელიც იცოდა წესი ეკლესიისა კოსტანტინეპოლისა და ოცსა ივლისსა, დღესა სამშაბათსა ირაკლიას კვიზიკოსი ტრაპეზონტისა მონევმასიასა, ნიკომიდიასი და დრამასა და სხვანიცა კლირიკოსნი და ერისკაცნიცა მივიდნენ ორმოცდაათნი, რათა ჯელწერილნი წიგნი წარმოიღონ სამი და წარგზავნონ ერთი ალექსანდრიას, ერთი - ანტიოქს და ერთი - იერუსალიმს, ხოლო წიგნი ელენური (B-61v) მოიღო მეფემან და ფრანგული პაპამან და წიგნი სხვათა პატრიარქთა წარველინოს, ეგრეთვე სრულიად აღსრულდა მათი ერთობა, ხოლო მეფემან და ყოველთა კრებათა იწყეს წარსვლად ფლორენციით და მიიწივნენ ვეცად და მოეგებნენ პრინციპა თვისითა საბატონოთი და ამბორის ყოფით შეიყარნენ და პატივსცეს ფრიად და მიუძღვანეს ძღვენი და საკმარ(A-10r)ნი ფრიად და ვენედიკითგან მიიწივნეს კოსტანტინეპოლეს, ტახტსა ზედან იყვის და ნიკიელი ბესარიონ, რომელი საიდუმლოდ კრებაში იქცეოდა, ცხადად არ აღიარებდა, რამეთუ იყო ფრიად ფრანგთა შემწე, (B-62r) საჯაროდ აღიარებდა, ვითარმედ ვიდრე ბერძენთა ეკლესიისა არს და ოდესცა ინება, მაშინ გამოაჩინა გონებისა თვისისა წადილი, რამეთუ იმტკიცებდა, როდესცა იტყოდენ ფრანგი ამისთვის გაიძება გარნა მიტრაპოლიტნი და არ იცოდენ განზრახვა მისი და ოდეს წაბრძანდა მეფე თავისისა კრებითა, პაპისა თანა მდგომ იქმნა და უბრძანა კარდინალობა და კვალად საფასეცა დიდძალი და შემდგომად აკურთხა პატრიარქად კოსტანტინეპოლისა, არათუ წარვიდეს კოსტანტინეპოლის და მუნ დაჯდეს, არამედ იმყოფებოდეს ძველსა ჰრომს, რათა (B-62v) ჰქონდეს სახელოთ ადგილი კოსტანტინეპოლისა, ოდესცა იქმნებოდეს კრება და საქმე ეკლესიისა, დაჯდებოდეს ადგილსა მისსა, უკეთუმცა კოსტანტინეპოლის წასულიყო, ქვით დაიქოლებოდა მღდელთა და ერთაგან. შეიყვარა დიდება კაცთა და განემოსა დიდებასა საუკუნოსა და ეფესელმან უფალმან მარკოზ არა სწადდა ერთობა ფრანგთა თანა და შეშინდა, ოდეს პაპა სწირვიდა, შეერთების წიგნი წარიკითხოდა, პირველადვე განვიდა იდულამ ფლორენციით და მიიწია კოსტანტინეპოლის, ხოლო მეფე, ვიდრე ორნი ჟამნი დაყო მიწევნადმდე (B-63r) კოსტანტინეპოლისა და მიიწია თვინიერ პატრიარქისა, ვითა აღსრულებულ იყო და დედოფალი მარიაცა აღსრულებულ იყო, ფრიად მწუხარე იქმნა და სხვაცა დიდებულისა ცოლი აღსრულებულ იყო, რომელი იყო ასული ყანდალუგუისი და მთავარნი დიდისა ეკლესიისა

კოსტანტინეპოლის წინამძღვარნი და მღვდელნი არ ინებებდენ ამათ თანა წირვად და მოხსენებად და ვითა მწვალებელი ეგრეთ შეერაცხათ და მავალთა განუტევნეს წირვანი, რათა მათ თანა ჟამისწირვად არ დადგნენ და არა შეერთდენ (B-63v) ეკლესიანი ამათ თანა, არამედ არა ენებათ ერთობა მათ თანა და შეიქნა განყოფილება ურთიერთას და რაოდენცა ერთობა ქნეს მეფემან, პატრიარქმან და კრებამან დიდმან ეკლესიისამან არსთა თანა იყო, რამეთუ პაპამან ეგგენიოს, რომელმან ქმნა კრება იგი, აღსრულებულ იყო და დამჯდარ იყო პაპად ნიკოლაოზ და ვითარცა ცნეს ესე, ვითარმედ კოსტანტინეპოლის ეკლესია არა სარწმუნო არიან კრებისა ფლორენცისასა, შთაჯდა ხომალდთა და მიიქცია კოსტანტინეპოლის, პირსა უკადრისსა და წარუგზავნა მეფეთა და მთავართა, რათა ნება სცეს შესვლად კოსტანტინეპოლედ, დიდსა ეკლესიისა, ამისთვის, რათა აწ იწყონ კრებად, თუცა ფლორენცას კრებასა აკლდა, ამათ არა ინებეს ესე და არცა ხილვა იწადეს, ვინათგან პაპმან ესე შეურაცხებით გაყრა იხილა, შეაჩვენა და აღდგა კატარლითა და წარვიდა და ცნეს ესე კოსტანტინეპოლისა მთავართა და მიტრაპოლიტთა, ვითარმედ პაპამან შეაჩვენა, ამათაც შეაჩვენეს პაპა და მიიწია პაპა მთაწმიდას მონასტერსა ვათოპეტსა და წინამძღვრი არა ინებებდა ხილვასა და პატივსა მისსა და დაიპყრნეს წიმანძღვარნი და მონაზონნი და სატანჯველნი მიუპყრო და ზოგნიცა აღსრულდენ და მონასტერსა შინა იავარყო ცხოვრება მათი და მუნით მიიწია წმიდად ლავრად და წირა, სადაცა არა პატივსცეს, მრავალი ბოროტი მოაწია, აღდგა მთაწმიდით და მიიწია რომს, რაოდენიცა აღუთქვეს შეწევნა ჰრომისა ეკლესიამან მეფესა, არღარა ინებეს მოცემა, ამისთვის რომე პაპას ერთობა და შეწყნარება არა აჩვენეს თვინიერ პატრიარქისა. იყო მოძღვარი ერთი, სახელით გრიგოლი, წმიდა და ღირსი იყო სვინადუკისა და აღიყვანეს უნებლიეთ და აკურთხეს პატრიარქად. ამამი გამრავლდა შგოთი დიდ-დიდნი. ამისთვის დადვა პატრიარქმან, უთხრა დიდს ღუკას ამბავი მრუდად. ამათ ჟამთა თათარნი აღილებდენ კოსტანტინეპოლის და ძეთა თქვენთა წინაშე თქვენსა ამოსწყვეტდენ და მერმე შენცა, მაშინ მეფე სნეულებდა, რამეთუ ასნი ძვალნი სტკიოდეს კელთა და ფერკთა. ამა სნეულები-საგან მოკუდა და დაივსნა ყოველნი ასონი მისნი მის სნეულებითა.

(A-10ვ) ქ. ესენი ესრეთ ეწერა დიდის კოსტანტინეს საფლავზე, რომელიცა თარგმნა ამა სასოებისა პატრიარქის კოსტანტინეპოლისა მასწავლელმან. პირველსა ინდიკტიონსა მეფობა ისმაელისი, რომელ არს მოჰმედ, უნდა რომე დათრგუნოს ნათესავი პალეოლოლოსი და დაიპყრას შვიდნი სამთავრონი და იმეფოს იმან გარეთ ნათესავნი დიდ ფრიად, დათრგუნოს და ჭალაკნი აღაოჯროს, ვიდრე ექსინო პონტომდე და რვას ინდიკტიონსა მრავალი საზღვარი იპყრას, პელოპონისი დაიპყრას და ცხრას ინდიკტიონსა სამხრეთის კერძო აღილაშქროს და ათას ინდიკტიონს დაიპყრას დაღმეტელნი და ებრძოლნენ დიდად და რომელთამე ავნებს და მსგავსნი სიმრავლითა, ვითა ფურცელნი გამრავლდეს ზღვასა ზედან და წმელითაც იბრძოლონ და ისმაილნი დათრგუნოს და ამათგანმა იმეფოს მცირედ ჟამ და ეგრეთვე წითელმან ნათესავმან ყოვლითა ძალითა მისითა ისმაილი დათრგუნოს და ისი შვიდნი სამთავრონი ამათ დაიპყრან მისის შემკობილებითა, მაშინ შეიქმნას ბრძოლა ფრიად დიდ-დიდი, ვიდრე მეხუთედ ჟამადმდე და წმა ისმეს სამგზის: „დეგით, დეგით შიშით“ და მსწრაფლ მოხედეთ მარჯვნივ კერძო და პოოთ კაცი შვენიერი, საკვირველი, რომელი ესე მიიღეთ, ჩვენთაგანი არს, ეს იჩინეთ მეუფედ და ამას რა მიიღებთ, ნებასა ჩემსა იქმთ.

ქ. ჟამსა კოსტანტინეს მეფობისასა, რომელიცა ესე ზემორები აღიწერა საფლავსა მისსა მეფობადმდე იოანე პალეოლოლოსა, რომელნი თარგმნა ბერძენმა გენადიოს, არს წელნი ქრისტეს აქეთ ათას ას ერთი. და ქრისტეს აქეთ მიცვალებადმე კოსტანტინესა წელნი სამას ოცდაცხრა.

ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებელი  
ჟურნალი „ზვეზდა“, №11, 2013 წ.

ედვინება ალბერ კამიუს დაბადებიდან მე-100 წლისთავს

ტექსტი დაიწერა „Radio Europe“-სთვის და შესულიყო იყო პროგრამაში, რომელიც ეძღვნებოდა დოსტოევსკის ცხოვრებასა და შემოქმედებას (1955); გამოქვეყნებულია ჟურნალ „ტემუანში“ („Témoins“), 1957 წლის დეკემბერი - 1958 წლის იანვარი, №18-19.

ალბერ კამიუ  
დოსტოევსკისთვის

რამდენიმე თვის წინ ახალგაზრდა სიმპათიური მამაკაცი მესტუმრა საბჭოთა კავშირიდან. მან ძალიან გამაოცა, როდესაც გამოთქვა შემფოთება იმის გამო, რომ გამოჩენილი რუსი მწერლები არასაკმარისად არიან ნათარგმნი ფრანგულ ენაზე. მე ვუპასუხე, რომ ყველა ლიტერატურიდან სწორედ XIX საუკუნის დიდი რუსული ლიტერატურაა ყველაზე მეტად და საუკეთესოდ ნათარგმნი ფრანგულ ენაზე. ჩემი მხრივ, მისი გაოცება გამოვიწვიე, როდესაც აღვნიშნე, რომ დოსტოევსკის გარეშე XX საუკუნის ფრანგული ლიტერატურა არ იქნებოდა ისეთი, როგორც ამჟამად არის. საბოლოოდ რომ დამერწმუნებინა იგი, მე ვუთხარი მას: „თქვენ იმყოფებით ფრანგი მწერლის სამუშაო კაბინეტში, რომელიც აქტიურად არის ჩართული მისი დროის იდეოლოგიურ ბრძოლაში. რომელ ორ პორტრეტს ხედავთ თქვენ მის კაბინეტში?“

ის შემობრუნდა და სახე გაუბრწყინდა ტოლსტოისა და დოსტოევსკის პორტრეტების დანახვაზე.

ჩემი ახალგაზრდა მეგობრის გაბრწყინებული სახე, რომელიც თავისთავად გაიძულეებს დღევანდელ დღეს დაგროვილი სისულელის და სისასტიკის დავიწყებას, რომელიც ერთმანეთისგან აშორებს ადამიანებს, მე მივაწერე არა რუსეთს ან საფრანგეთს, არამედ



შემოქმედებითი გენიის ბრწყინვალეობას, რომელსაც საზღვრები არ აქვს - ამას გრძნობ დოსტოევსკის თითქმის ყველა ნაწარმოებში.

მე შევხვდი მათ, როდესაც ოცი წლის ვიყავი და მღელვარება, რომელიც განვიცადე ამ შეხვედრისას, დღესაც ცოცხალია, ოცი წლის შემდეგ. მე „ეშმაკნს“ იმ სამ-ოთხ ნაწარმოებთან ერთ რიგში ვაყენებ, რომლებიც აგვირგვინებენ ადამიანის სულის შრომას, როგორცაა „ოდისეა“, „ომი და მშვიდობა“, „დონ კიხოტი“ და შექსპირის თეატრი. თავიდან აღფრთოვანებას იწვევდა ის, რასაც დოსტოევსკი მიმხელდა ადამიანის ხასიათში. სწორედ მიმხელდა, რადგან ის გვეუბნება მხოლოდ იმას, რაც ვიცით, მაგრამ უარს ვამბობთ მის აღიარებაზე. გარდა ამისა, მან დააკმაყოფილა ჩემი ერთი სუსტი მხარე - გარკვეულობისადმი ინტერესი. მაგრამ ძალიან მალე, იმისდა მიხედვით, რაც უფრო მწვავედ განვიცდიდი ჩვენი ეპოქის დრამას, მე შემეძვარდა ის დოსტოევსკი, რომელმაც ძალიან ღრმად გაიაზრა და ასახა ჩვენი ისტორიული ბედი. ჩემთვის დოსტოევსკი უპირველეს ყოვლისა არის მწერალი, რომელმაც ნიციშემდე დიდი ხნით ადრე აღიარა თანამედროვე ნიჰილიზმი, განსაზღვრა იგი, იწინასწარმეტყველა მისი საშინელი შედეგები და შეეცადა ეჩვენებინა გადარჩენის გზები. მისი მთავარი თემა მის მიერვე განმარტებულია, როგორც „ღრმა სული, უარყოფისა და სიკვდილის სული“; ეს ის სულია, რომელიც შეუზღუდავი თავისუფლების საფარქვეშ მოითხოვს „ყველაფრის ნებადართულობას“, იწვევს ყველაფრის განადგურებას ან ყველას მონობას. დოსტოევსკის პირადი ტანჯვა იმაშია, რომ ის ერთ და იმავე დროს განიცდის და უარყოფს ამ ყველაფერს. მისი ტრაგედია განუყოფელია იმედისაგან - უმკურნალო დამცირებას თავმდაბლობით, ხოლო ნიჰილიზმს საკუთარი თავის უარყოფით.

ადამიანმა, რომელმაც დაწერა: „ღმერთის და უკვდავების საკითხები იგივეა, რაც სოციალიზმის საკითხები, მაგრამ სხვა კუთხით“, იცოდა, რომ ამიერიდან ჩვენს ცივილიზაციას პრეტენზია ექნება ყველას ან არავის გადარჩენაზე. მაგრამ მან ასევე იცოდა, რომ თუ დაივიწყებ ერთი ადამიანის ტანჯვასაც კი, ხსნა არ შეიძლება გავრცელდეს ყველაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას არ სურდა რელიგია, რომელიც არ იყო სოციალისტური ამ სიტყვის ფართო გაგებით, მაგრამ მისთვის ასევე მიუღებელი იყო სოციალიზმი, რომელიც არ იყო რელიგიური ფართო გაგებით. ამ გზით

მან გადაარჩინა ჭეშმარიტი რელიგიისა და ჭეშმარიტი სოციალიზმის მომავალი, თუმცა, როგორც ჩანს, დღევანდელი სამყარო მას ორივე საკითხში არასწორად მიიჩნევს. მაგრამ დოსტოევსკის სიდიადე (ისევე როგორც ტოლსტოის სიდიადე, რომელიც იმავეს ამბობდა, თუმცა სხვა მანერით) არ შეწყვეტს აღმავლობას, რადგან ჩვენი სამყარო ან დაიღუპება, ან აღიარებს მის სიმართლეს. ჩვენი სამყარო დაიღუპება თუ აღორძინდება, დოსტოევსკი გამართლებული იქნება ორივე შემთხვევაში. ამიტომაც, მიუხედავად მისი ყველა წინააღმდეგობისა, ან შესაძლოა მათ გამო, ის მაღლდება ჩვენს ლიტერატურასა და ჩვენს ისტორიაზე. დღეს კი ის გვეხმარება, რომ ვიცხოვროთ და იმედი არ დაკარგოთ.

### „ემშაკნის“ დადგმის შესახებ

ინტერვიუ თეატრალურ ჟურნალ „სპექტაკლს“ („Spectacles“), 1958, № 1.

— როგორ ახსნით დოსტოევსკის დაბრუნებას, რომელიც ახლა შეინიშნება საფრანგეთის თეატრალურ ცხოვრებაში? სცენაზე დგამენ „ცუდ ანეკდოტს“, „დანაშაულს და სასჯელს“, „იდიოტს“ და სხვ. ხომ არ არის ეს გატაცება რაღაც შემთხვევითი?

— დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ მარქსი XX საუკუნის წინასწარმეტყველია. დღეს ჩვენ ვიცით, რომ მისი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. ჩვენ აღმოვაჩინეთ ჩვენთვის, რომ ნამდვილი წინასწარმეტყველი დოსტოევსკი იყო. მან იწინასწარმეტყველა დიდი ინკვიზიტორების სამეფო და სამართლიანობაზე ძალაუფლების ტრიუმფი.

— რაც შეეხება ესეს „მეამბოხე ადამიანი“, თქვენი შემოქმედების ვექტორში რომელ ადგილს იკავებს სპექტაკლი, რომელიც დოსტოევსკის რომანიდან ამოიღეთ?

— „მეამბოხე ადამიანის“ ერთ-ერთ თავს ჰქვია „ემშაკნი“. ამ დადგმის წყალობით, მან სცენური გამოხატულება ჰპოვა.

— თქვენ იცით, რომ სტანისლავსკი ამართლებდა მცდელობას პირველს გადაეტანა დოსტოევსკი სცენაზე და აცხადებდა, რომ ამას „ხელოვნებისთვის“ აკეთებდა. მეორეს მხრივ, თქვენ იცით, რომ 1913 წელს გორკი ამ დადგმის წინააღმდეგ წერილებით გამოვიდა.

„ემშაკნი“ განიხილებოდა როგორც პამფლეტი რევოლუციონერებზე, და დღეს, იმავე მიზეზების გამო, რომანი ჯერ კიდევ არ არის ხელახლა გამოცემული სსრკ-ში.

— სტანისლავსკი მართალი იყო. გორკი კი მხოლოდ ნახევრად მართალი. „ემშაკნი“ პირველ რიგში ხელოვნების ნიმუშია და მხოლოდ შემდეგ პამფლეტი ნიჰილისტური რევოლუციის წინააღმდეგ და მხოლოდ მის წინააღმდეგ.

— იცავთ თუ არა რომანის ტექსტს თუ პირიქით, უფლება მიეცით საკუთარ თავს თავისუფლად მოქცეოდით იმ ნაწარმოებს, რომელიც სცენაზე გადაიტანეთ?

— შენარჩუნებულია მთელი რომანი, გარდა იმ ეპიზოდებისა, სადაც გუბერნატორი და მისი მეუღლე გამოჩნდებიან. მაგრამ ის გადაკეთებულია დრამის არქიტექტურული კანონების შესაბამისად.

— მაგალითად, რა ბედი ეწია სტავროგინის აღსარებას?

— დავუბრუნე იქ, სადაც რომანში იყო მანამ, სანამ ცენზურის გამო არ ამოიღეს, ანუ მეორე ნაწილში. ამრიგად, ეს აღსარება მოქმედების ფსიქოლოგიურ კვანძს წარმოადგენს. გარდა ამისა, მე გამოვიყენე „ემშაკნის“ შავად ნაწერი რვეულები (ხუთას გვერდზე მეტი).

— როგორ ჩამოაყალიბეთ პიესა?

— ის სამი ნაწილისგან შედგება. ორმოცდაათი სურათია დაახლოებით თორმეტი დეკორაციით. ოცდაათამდე მსახიობი მონაწილეობს.

— როგორ მოაგვარეთ დროის პრობლემა?

— დოსტოევსკის არ აქვს დროის სივრცე, როგორც ეს „ომსა და მშვიდობაშია“, მის ნაწარმოებებში ძლიერი დამაბულობა გროვდება, რაც პაროქსიზმს იწვევს. ჩემი აზრით, ეს მართლაც დრამატული ტემპია. მხოლოდ მიზამძვალა დამრჩენოდა.

### მაყურებელთან საუბრის ფრაგმენტები

საუბარი გაიმართა მაყურებელთან, ძირითადად სტუდენტებთან, თეატრ „ანტუანში“ „ემშაკნის“ წარმოდგენის შემდეგ (1959 წლის მარტი). მაგნიტოფონის ჩანაწერი მწერლის ქალიშვილმა კატრინ კამიუმ გაშიფრა. ტექსტი მოამზადა და გამოაქვეყნა ე. კუშკინმა კამიუს თხზულებათა სრულ კრებულში: Albert Camus. Œuvres complètes. T. IV. Paris, 2008. P. 540—552.

*«კითხვა ეხება კამიუს თეატრალურ დებიუტებს 1935-1936 წლებში ალჟირის „თეატრე დუ ტრავაიში“ („Theater du Travail“).»*

— ყველაფერს თვითონ ვაკეთებდით ძალიან მარტივი მიზეზის გამო - ფული არ გვქონდა, ამიტომ იძულებული ვიყავით მოგვეფიქრა და დაგვეხატა დეკორაციები, აგვეგო და დაგვემონტაჟებინა ისინი, შეგვეკერა კოსტიუმები; მოკლედ, კონცეფციიდან დაწყებული ხელით შრომამდე დამთავრებული, ყველაფერი თავად უნდა გაგვეკეთებინა.

— <...> *თქვენ თქვით, რომ თეატრი ერთგვარი ერთობაა, „ბერების“ გაერთიანება. რა ურთიერთობა გაქვთ ამ საზოგადოებასთან, როგორ აღმოჩნდით იქ და როგორ არსებობთ მსახიობების გვერდით?*

— ეს ხომ ჯგუფზეა დამოკიდებული? ანუ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ პიესა როგორია. ზოგადად, მე ვთქვი, რომ თეატრი „ბერების“ კავშირია, მაგრამ ამაზე ყურადღებას არ გავამახვილებ, უსიამოვნება რომ არ გამოვიწვიო. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თეატრი მართლაც მეჩვენება რაღაც იძულებითი სოლიდარობის მსგავსად, ანუ ეს არის სცენის მუშაკების, მსახიობების, დრამატურგების და რეჟისორების ერთობა, რომლებიც იძულებულნი არიან იყვნენ სოლიდარულნი; ეს, ალბათ, ამ სოლიდარობის რეალიზაციის ერთადერთი გზაა. მე ვფიქრობ, რომ ადამიანების ერთობლივი საქმიანობისას უმჯობესია ვალდებულებების, აუცილებლობის და დაინტერესების იმედი გვქონდეს, ვიდრე უბრალოდ კეთილი ნების, რადგან, პირველ რიგში, ეს არ არის ყველა ჩვენგანისთვის დამახასიათებელი და, მეორეც, დამოკიდებულია ზოგადად შემთხვევაზე, ამინდზე ან განწყობის ცვალებადობაზე. თეატრში ჩვენ იძულებულნი ვართ ვიყოთ თანამოაზრეები, რადგან სპექტაკლი არის სცენაზე მუშაობის ორთვიანი ნაყოფი, შრომის შედეგი, რომელსაც ჩვენ ერთად ვიმკით ან არ ვიმკით (მოგვიანებით ვიტყვი, რომ არსებობს ასევე გრძნობების ერთიანობა). რადგან პიესის წარუმატებლობა ყველაზე აისახება, ვინც მასში მონაწილეობს, ისევე როგორც წარმატებას ყველა იზიარებს. ამიტომ, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი - და მე ვფიქრობ, რომ არცერთი არ მყოფი ჩემი ამხანაგი არ იქნება წინააღმდეგი - პიესისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, ჩვენი აზრით, არის სპექტაკლის შექმნის დრო, რომელიც დაგვირგვინებულია იმით,

რასაც ჰქვია გენერალური რეპეტიცია. მინდა დავამატო: ასევე არსებობს გრძნობების ერთიანობა - იმ გაგებით, რომ გარკვეულ თეატრს ყოველთვის ერთი და იგივე ადამიანები ქმნიან. პარიზში, ვფიქრობ, ექვსი ათასი მსახიობია, არ ვიტყვი, რომ ყველა თამაშობს, მაგრამ პარიზში ექვსი ათასი პროფესიონალი მსახიობია. მათგან დაახლოებით ხუთასი დაკავებულია სპექტაკლებში. ამ ხუთასიდან შეგიძლიათ დაითვალოთ ასი, ვინც ყოველთვის მონაწილეობს ერთი და იგივე მიმართულების პიესებში, თქვენ მათ შეხვდებით ყველა ამ დადგმაში, რაც არ უნდა უცნაური მოგეჩვენოთ ისინი, რომლებსაც, სხვათა შორის, ჩვენი დადგმაც ეკუთვნის. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მათ აქვთ მსგავსი გემოვნება, რომ უყვართ ერთი და იგივე და, რა თქმა უნდა, არ არსებობს უფრო ძლიერი სოლიდარობა, ვიდრე ის, რაც იწყება სიყვარულით და გაძლიერებულია აუცილებლობით. <...>

*<კითხვა „ემმაკნის“ ინსცენირებასთან დაკავშირებით.>*

— მე უკვე დამისვეს ეს კითხვა. მე გადავწყვიტე „ემმაკნის“ დადგმა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ის ოთხი თუ ხუთი წიგნიდან ერთ-ერთია, რომელსაც ყველაზე მეტად ვაფასებ იმ როლთან დაკავშირებით, რომელიც მან შეასრულა ჩემს ფორმირებაში. და მეორეც, მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დოსტოევსკი განსაკუთრებით შეეფერებოდა თეატრს. კიდევ ერთი სხვა ოთხი წიგნიდან, რომელმაც ხელი შეუწყო ჩემს განვითარებას, ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, მაგრამ არასდროს აზრადაც არ მომსვლია „ომის და მშვიდობის“ დადგმა თეატრში. მე დავესწარი ერთ-ერთ მის თეატრალურ ინსცენირებას, და უნდა ითქვას, რომ მხოლოდ დავრწმუნდი ჩემს აზრში. ტოლსტოის რომანების სამყაროს (აქ მე არ ვეხები მის პიესებს) სცენაზე გადატანა შეუძლებელია, რადგან ამისთვის არ ყოფილა ჩაფიქრებული. ისინი აგებულია იმაზე, რასაც მე ვუწოდებ რომანის დროის სივრცეს, დროის ისეთ მიმდინარეობაზე, რომელიც ძალიან მოგვაგონებს მდინარეს, ტოლსტოისთან ძალიან ფართო მდინარეს, რომელსაც მიაქვს იგივე წყლები, თითქმის თანაბარი ნაკადით, ზოგჯერ ფართოვდება, ზოგჯერ ვიწროვდება, მაგრამ განუწყვეტლივ მოძრაობს. სცენის დრო სხვა რამეა. იგი აღინიშნება აფეთქებებით, გაჩერებებით, ჩამოქცევით, რღვევით. ჩემი აზრით, ზუსტად ასეა წარმოდგენილი დრო

დოსტოევსკისთან. ამიტომ, და სხვათა შორის, მხოლოდ მე არ ვფიქრობ ასე, არსებობს დოსტოევსკის მრავალი თეატრალური გადამშავება და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ტოლსტოის იშვიათი ადაპტაცია, თუ დავრჩებით მხოლოდ ამ მაგალითის საზღვრებში. სწორედ ამან მიბიძგა დოსტოევსკის სცენაზე დადგმისკენ.

*<კითხვა სტავროგინთან დაკავშირებით.><sup>2</sup>*

—ეს მნიშვნელოვანი ფრაზაა პერსონაჟის ფსიქოლოგიური დახასიათებისთვის. ის ასევე ორაზროვანია, როგორც ბევრი რამ, რაც სტავროგინს ახასიათებს. დარწმუნებული არ ვარ - და ეს არის ქება დოსტოევსკის მისამართით - რომ პერსონაჟი სრულად გასაგები იყო ავტორისთვის. ყოველ შემთხვევაში, ამ ფრაზას, ვინაიდან მე ის რომანიდან ამოვიღე და სასცენო ტექსტში შევიტანე, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტავროგინის დახასიათებისთვის. სტავროგინს სურს ამით თქვას, რომ აქამდე ის ცხოვრობდა სიყვარულის გარეშე. მას არ შეეძლო რამეს მიმხრობოდა, ერწმუნა რამე. მისთვის ნებისმიერი ქმედება თანაბარმნიშვნელოვანი იყო. მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, აცდუნებდა ის ლიზას, თუ ნახევრად შეშლილ კოჭლ ქალს შეირთავდა ცოლად. მისთვის სულ ერთი იყო, - ნამუსს ახდიდა პატარა გოგოს, თუ თავგანწირვის აქტს ჩაიდენდა. ამ ყველაფერს რომანში ვხედავთ. სტავროგინის გაგებით - და მისი ლოგიკა მე მიმაჩნია უზადოდ და პატივისცემის ღირსად - საკუთარი თავის მოკვლა ნიშნავს არჩევანის გაკეთებას. ადამიანი, რომელმაც არ იცის, რა არის სიყვარული, და ცხოვრობს ქმედებების თანაბარმნიშვნელობის პრინციპით ზუსტად იმიტომ, რომ არ აკეთებს არჩევანს, მოქმედებს თითქოსდა თავისი ინსტინქტების მართვით. დოსტოევსკის რომანში სტავროგინი ძალიან მაღალი გაქანების ინტელექტუალია იმისათვის, რომ თუნდაც ერთი წამით დაივიწყოს, რომ სიცოცხლის დასრულება თვითგანადგურების აქტით ცხოვრებას გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს. საკუთარი თავის მოკვლა ნიშნავს გქონდეს რაღაცის რწმენა. ასევე არსებობს მეორე მხარე, უფრო დამახასიათებელი დოსტოევსკისთვის, ასე ვთქვათ, ქრისტიანული, უფრო ზუსტად ქრისტიანულ-ერეტიკული. რომის პაპი რომ ვიყო ან მართლმადიდებელი პატრიარქი, მე მას ამას არ შევარჩენდი, რადგან ის ერეტიკოსია. მაგრამ სტავროგინის სიტყვებს ქრისტიანული მნიშვნელობაც აქვს. სტავ-

როგინს მიაჩნია, რომ ქრისტიანული თვალსაზრისით ის ცხოვრობდა ისეთ ცოდვაში, ყველა მორალური ღირებულების ისეთ უარყოფაში, რომ თავად უნდა დაესაჯა საკუთარი თავი. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მოსაზრება მეორეხარისხოვანია, ხოლო პირველადი არის ის, რაც მე ახლახანს წარმოგიდგინეთ.

— *თქვენ თქვით, რომ ხელოვნების ნაწარმოები არსებითად აბსურდის ქმნილებაა. რა როლს ანიჭებთ თეატრს?*

— ორი კითხვა ერთში ... პირველ კითხვასთან დაკავშირებით მე დავწერე მთელი წიგნი და მიჭირს მასზე პასუხის გაცემა სამ წუთში. გამონათქვამს, რომელსაც თქვენ ციტირებთ, მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში აქვს აზრი, და ის უკვე ოც წელს ითვლის. მე ვითხოვ მწერლისათვის ევოლუციის უფლებას. დამიჯერეთ, მას ხშირად არ ეძლევა ამის შესაძლებლობა. შესაბამისად, ჩემს განმარტებებს ამ საკითხზე რეტროსპექციული ხასიათი აქვს. მაშინ კი შემდეგის თქმა მინდოდა: არსებობის აბსურდულ პირობებში - თუ ამ სიტყვის გამოყენებას გავაგრძელებთ, რომლის წარმოთქმაც არ მინდა და არასდროს მინდოდა მისი თქმა - ცხადია, რომ თავად ადამიანის ბედის აბსურდის პირობებში ხელოვნების ნაწარმოებს არ აქვს დიდი მნიშვნელობა. როგორც იტყვიან, უსაქმოდ ყოფნა სჯობს, ასე არ არის? „ეშმაკის“ შექმნა ან სადმე ავღანეთში დაქორწინება - სულ ერთი არ არის? მაგრამ თუ ვივარაუდებთ, რომ ცხოვრების აბსურდულობა არის მიზეზი, რომლის თანახმადაც სიცოცხლე იმად ღირს, რომ იცხოვრო და, რაც შეიძლება, სრულად, მაშინ ხელოვნების ნაწარმოები სხვა მნიშვნელობას იძენს, კერძოდ: თუ სიცოცხლეს აზრი არ აქვს, მაშინ მხატვარი, ადამიანის ბედის აბსურდის მიუხედავად, უნდა შეეცადოს თავისი ნაწარმოებებით შეიტანოს აზრი ამ ცხოვრებაში. ეს არის პასუხი პირველ კითხვაზე. მეორე კითხვასთან დაკავშირებით - თეატრის როლის შესახებ - ძნელი სათქმელია ... ცოტა ხნის წინ მსგავსი შეკითხვა დამისვეს: ლიტერატურის რომელ სფეროს ვანიჭებ უპირატესობას - რომანს, ესეს თუ თეატრს? კითხვა აერთიანებს, როგორც ამბობენ, მკითხველთა სამ კატეგორიას. ზოგი ამბობს: თქვენ წერთ შესანიშნავ რომანებს, რად გინდათ თეატრი! სხვები ამბობენ: თქვენ თეატრალური მოღვაწე ხართ, რატომ წერთ რომანებს, თან ასეთ ცუდს? და ბოლოს, ასევე ამბობენ: შესანიშნავი ესეისტია! მაგრამ სხვა დანარჩენი ... მე ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არასდროს შემეძლო.

მკითხველთა სამივე კატეგორია აბსოლუტურად მართალია. რადგან მე ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ მხატვარი ცდილობდა თანდათანობით, უხერხულად და, თითქოსდა, ბრმად მიახლოებოდა მის თავში ვიბრირებულ გარკვეულ ცენტრს. და თუ ასეთი ცენტრი, როგორც მას ეჩვენება, არის მასში, თუ ის გულწრფელად უძღვნის სიცოცხლეს ამ ცენტრისკენ წინსვლას, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ გზას აირჩევს. რაც შემეხება მე, მკაცრად რომ ვთქვათ, მე თანაბრად დიდი მონდომებით ვწერ, როგორც რომანებს, ასევე პიესებს ან ესეს. უბრალოდ, მე მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა ორ-სამ რამეზე, ხშირად ერთსა და იმავეზე, რომელიც ვითარდება უფრო ფართო კონტექსტში, ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილების კონტექსტში. ხდება ისე, რომ ეს რაღაცეები მე წარმომიდგება რომანის თვალსაზრისით. ამიტომაც ძალიან არ მჯერა რომანის თვით ავტორის მიერ სცენაზე გადატანის შესაძლებლობის: თუ მან დაწერა იგი რომანის სახით, ე.ი. მას ჰქონდა რომანის ფორმის აუცილებლობა. ანალოგიურად ხდება, რომ ეს ორი-სამი რამ წარმომიდგება ყველაზე ნათლად განათებული გასაოცარი სახეების სახით, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს თეატრია. სხვა დროს სახეები არ ჩნდება, მაშინ მე ვიწყებ მსჯელობას. ალბათ, სხვა ავტორებისთვის ყველაფერი სხვაგვარად ხდება, მაგრამ ჩემთვის ეს სამი მომენტი მთავარია ... ასე რომ, მე შემიძლია ძალიან წინააღმდეგობრივი პასუხი გავცე თქვენს შეკითხვას. ერთის მხრივ, თეატრი არ თამაშობს როლს ჩემს ცხოვრებაში, როგორც მხატვრისა, ანუ ეს არ არის რაიმე სახის განსაკუთრებული გამოხატვის საშუალება; მაგრამ, მეორეს მხრივ, მე ვფიქრობ, რომ გამოხატვის ეს ფორმა განსაკუთრებით აუცილებელია და უცვლელია ჩემთვის (*აპლოდისმენტები*).

... ..

— მიგიზიდათ თუ არა განსაკუთრებით რომელიმე თქვენმა პერსონაჟმა... სტავროგინმა? (*სიცილი დარბაზში*)

— რა თქმა უნდა, მე უდიდეს პატივს ვცემ ბავშვებს... (*სიცილი დარბაზში, აპლოდისმენტები*.) ამავე დროს, თქვენი შეკითხვა აზრს მოკლებული არ არის, მაგრამ შესაძლოა არც ისეთი მკაცრი ფორმით. რა თქმა უნდა, ჩემს ცხოვრებაში მე წავაწყდი ისეთი პერსონაჟის მიერ, როგორიც სტავროგინია, წამოჭრილ პრობლემებს,



რომლის აღიარება არ მრცხვენია, მაგრამ გთხოვთ გამომრიცხოთ იმ ადამიანთა სიიდან, ვინც... (სიცილი დარბაზში.)

— თვლით თუ არა დოსტოევსკის თანამედროვე ლიტერატურის მამად??

— თქვენ ფრანგული ლიტერატურა გაქვთ მხედველობაში?

— დიახ.

— პირველ რიგში, მე მიმაჩნია, რომ ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ დოსტოევსკის გაცნობას. მე მინდა ვთქვა, რომ ოდესღაც (წარსულ დროში ვსაუბრობ ქრონოლოგიური მოსაზრებების გამო, მაგრამ ეს ასევე ეხება დღევანდელობას), სწორედ იმ წლებში, როდესაც უსასრულოდ აღფრთოვანებული ვიყავი დოსტოევსკით, მე შევაგროვე ცნობები მისი წიგნების ტირაჟის შესახებ საფრანგეთში, და შედეგი დამთრგუნველი იყო - ვთქვათ, რამდენიმე ათასი. მაგრამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, არა მხოლოდ შეფასების, ლიტერატურული კრიტიკის, არამედ მკითხველის ინტერესების გათვალისწინებით. ალბათ თქვენ გინახავთ გაზეთებში გამოკითხვის შედეგები, რაც, თუმცა, ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ, თუ მათ მუდმივად მოჰყავთ ერთი და იმავე მონაცემები, მაშინ საბოლოოდ შეგიძლიათ მიიღოთ მათგან გარკვეული წარმოდგენა. ასეთი გამოკითხვებიდან, რომელიც ეხება მსოფლიოს ყველაზე ფართოდ წაკითხვად ავტორებს, ირკვევა, რომ დოსტოევსკი ძალიან ხშირად იკავებს პირველ ადგილს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ამრიგად, თქვენს კითხვაზე პასუხად შემიძლია ვთქვა, რომ დოსტოევსკის გავლენა ჯერჯერობით საკმარისად არ გამოვლენილა. მაგრამ გამოვლინდება და ძალიან ძლიერად. ყოველ შემთხვევაში, იქ, რასაც თანამედროვე ფრანგული ლიტერატურა ჰქვია, არ მოიძებნება მწერალი (და მე ვფიქრობ, რომ მე ვიცნობ ჩემს თანამოკალმეებს), რომელსაც არ წაუკითხავს მთელი დოსტოევსკი და არ ყოფილა აღფრთოვანებული მისით, თუნდაც არ ეთანხმებოდეს მას .... კერძოდ, მიმაჩნია, რომ დოსტოევსკის მიერ წამოჭრილი პრობლემები ჭეშმარიტ გამომახილს პოულობენ ზუსტად ჩვენს დღევანდელ საზოგადოებაში, და მინდა ვთქვა, - ისინი მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ფრანგებისთვის, ზოგადად დასავლეთისთვის (რა თქმა უნდა, მე არ ვსაუბრობ რუსების შესახებ). შემიძლია ვთქვა, რომ გავლენის პრობლემა ყოველთვის ფრთხილ მიდგომას ითხოვს,

რადგან უცნობია, სად იწყება და სად მთავრდება ეს გავლენა. ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, განაგრძობს თუ არა ავტორი სიცოცხლეს მკითხველთა კოლექტიურ ცნობიერებაში, მათ მენტალიტეტში. მე ვადასტურებ, რომ თუ რომელიმე მწერლის შემოქმედება დღეს ცოცხალია ჩვენთვის, ეს დოსტოევსკის შემოქმედებაა.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ დოსტოევსკიმ უფრო მეტად საკუთარი თავი წარმოაჩინა სტავროგინში, ვიდრე სხვა პერსონაჟებში? ოდესმე გქონიათ მისი ზოგიერთი თანდაყოლილი თვისების უარყოფის აუცილებლობა?

— თანმიმდევრობით გიპასუხებთ. კითხვის პირველ ნაწილზე: მხოლოდ თავად დოსტოევსკის შეუძლია გიპასუხოთ, რადგან მსგავსი ფენომენი შეიძლება „მეზ კარამაზოვებსაც“ დავუკავშიროთ. იქ, როგორც იცით, ორი პერსონაჟია, ვთქვათ ღვთის მგმობელი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი - ივან კარამაზოვი, და მეორეს მხრივ, არის რამდენიმე „დადებითი“ პერსონაჟი (ამ უკანასკნელ განმარტებას არ მივცემთ დამამცირებელ მნიშვნელობას). თავად დოსტოევსკიმ თქვა, რომ „ღვთის გმობა“ მან რამდენიმე დღეში დაწერა, ხოლო რამდენიმე თვე დასჭირდა, რათა საბოლოოდ დაეწერა რომანის „დადებითი“ ნაწილი. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ეს სრულიად ნორმალურია. ლიტერატურაში ბოროტება უფრო მომგებიანია, ვიდრე სიკეთე, უფრო ადვილია მისი ავანსცენაზე გაყვანა. რა თქმა უნდა, დოსტოევსკი - და ამაშია მისი აქტუალობა - რომელიც ასე ღრმად გრძნობდა ადამიანური ბუნების გაორებას, მის ორაზროვნებას, რომელიც თვითონ იყო მოხიბლული პერსონაჟით, უფრო მეტად მიდრეკილი იყო სტავროგინის ჩვენებისკენ. აქ ემატება გარკვეული ბიოგრაფიული ელემენტიც. როდესაც დოსტოევსკი მონაწილეობდა პეტრაშევსკის შეთქმულებაში, რისთვისაც, სხვათა შორის, მას სიკვდილი მიუსაჯეს, მან გაიცნო ადამიანი, რომელშიც იმ წლების ყველა მოწმე სტავროგინის პროტოტიპს ხედავს. ეს იყო სპეშნევი, როგორც ამბობდნენ, ის ბაირონივით ლამაზი, ძალიან მაცდური იყო, ჰქონდა რომანტიული თავგადასავლები პოლონელ ქალებთან. მეორეს მხრივ, მას ჰქონდა შესანიშნავი გონება, მისი თეორიები, უფრო ზედაპირული, ნიჰილისტური ხასიათისა იყო. მასში დოსტოევსკის იზიდავდა არა

მხოლოდ შინაგანი სახე, რომელიც მან შექმნა თავისი რომანტიკული გმირის შესახებ, არამედ იმ ადამიანისადმი ხსოვნა, რომელმაც მასზე ასეთი ძლიერი გავლენა მოახდინა. მე ვფიქრობ, ამ ორი გარემოებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დოსტოევსკი, როგორც პიროვნება, მისი ნების საწინააღმდეგოდ და ამავე დროს განცდილი ტანჯვის მიუხედავად, უფრო ახლოს გრძნობს თავს სტავროგინთან, ვიდრე, ვთქვათ, ტიხონთან. მაგრამ მისი მორალური არჩევანი, ანუ არჩევანი, რომელსაც ჩვეულებრივ აკეთებს ადამიანი თავისი მიდრეკილებების საწინააღმდეგოდ - მიდრეკილებებს ხომ არ ირჩევენ, - მისი მორალური არჩევანი, რა თქმა უნდა, ტიხონია და არა სტავროგინი. და მე ვფიქრობ, რომ უბრალოდ თავის რომანში, მან, როგორც ყველა მწერალმა და საერთოდ ხელოვანმა, ასახა ბრძოლა გულის და გონების ცდუნებას შორის.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს - სტავროგინის სახის გარკვეულ გამარტივებას, რა თქმა უნდა, სცენაზე ასეთი რთული პერსონაჟი რომ გამოიყვანო, სინათლის ძალიან ძლიერი სხივია საჭირო, ხოლო ფსიქოლოგიური სირთულის გადმოცემას განსაკუთრებით ჩრდილ-ნათელის თამაში ესჭიროება. როგორც შედეგი, რომანის სცენაზე გადატანისას გარდაუვალია გარკვეული დანაკარგი, სასიცოცხლო ენერჯის დაკარგვა და, ზოგადად, პერსონაჟის საიდუმლოებები. ეს გარდაუვალია. მე ვაცნობიერებ ამას და, რა თქმა უნდა, შევეცადე მინიმუმამდე შემემცირებინა დანაკარგი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ვერ მოვახერხე და ვერც შევძლებდი ამას. ამასთან ერთად, ინსცენირებას შეუძლია შემოიტანოს პერსონაჟის განათებაში უფრო მეტი, ვიდრე ის შეიცავს. მე მინდა ვთქვა, რომ მოვლენები, რომლებიც ვითარდება რომანში - ზოგჯერ ძალიან ნელა, რადგან რომანი უზარმაზარია - სცენაზე მკვეთრად კონდენსირდება, მკვირვდება სამ ან ორ საათნახევრის დროის სივრცეში. მაყურებელი ტოვებს თეატრს, და თან მიაქვს პერსონაჟის სახე, ისეთი, როგორც ის გამოჩნდა სცენაზე. ვერ ვიტყვი, რომ ეს წარმოდგენა სტავროგინის ადეკვატურია რომანიდან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, სამნახევარი საათის განმავლობაში პერსონაჟი უფრო ღრმად აღწევს მაყურებელში, ვიდრე რომანის კითხვისას. თუმცა, არსებობს პერსონაჟის სხვადასხვა თვისებების არაადეკვატური აღქმის საწინააღმდეგო შესანიშნავი საშუალება,

რომელსაც თავს უფლებას მივცემ და გირჩევთ: წაიკითხეთ დოსტოევსკის რომანი.

— რა განსხვავებს ივან კარამაზოვს სტავროგინისგან იმ საკითხში, რომელიც ეხება ბავშვების ტანჯვასა და დაღუპვას?

უპირველეს ყოვლისა, ჩემს თავს მივცემ მცირე დაზუსტების უფლებას. თუ მართალია, რომ პირადად ჩემთვის ბავშვების ტანჯვის პრობლემა არსებობდა და რომ მე ნამდვილად შეეხებოდა მას, მაინც მინდა ვთქვა, რომ ამაში მე არ ვიყავი ორიგინალური და რომ ის მთლიანად მემკვიდრეობით მივიღე დოსტოევსკისგან. მე არ ვიტყვი, რომ ეს პრობლემა ჩემში არ წარმოიშვა ახალგაზრდობაში, მანამდეც კი, სანამ საკუთარი თავისთვის დოსტოევსკის აღმოვაჩენდი. იგი წარმოიშვა, როგორც ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, რომელიც არ მოითმენს, როდესაც ბავშვს სცემენ მის თვალწინ. მაგრამ ამავე დროს, არ დავფიქრებულვარ ამაზე ღრმად, როგორც ეს ხელოვანმა უნდა გააკეთოს. დოსტოევსკის წაკითხვის შედეგად დავინტერესდი ამ თემით, რომელიც აღბეჭდილი იყო ცეცხლოვანი ასოებით, თემით, რომელიც სხვა შემთხვევაში დარჩებოდა უბრალოდ, თუ გნებავთ, კუპრით დაწერილად ნაცრისფერ კედელზე. ივანის პრობლემა შემდეგშია: ის ბუნტობს, რადგან მას არ შეუძლია იმის ატანა, რომ ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში ბავშვები უბედურები არიან. ანუ, თუ მისთვის მისაღები იქნება შექმნილი სამყარო, მან უნდა მიიღოს ბავშვების როგორც მწუხარება, ასევე წამება. ამიტომ, ის უარს ამბობს ასეთ „საჩუქარზე“. ასეთია, დაახლოებით, ივანის პოზიცია. სტავროგინის პოზიცია იგივეა, ერთი დეტალის გარდა. მე ვთქვი „ერთი დეტალის“! ერთი საშინელი ფაქტის გარდა: მან შეურაცხყო ბავშვი. ასე რომ, ჩემი აზრით, ივან კარამაზოვი, თუ გნებავთ, აყენებს პრობლემას, როგორც ფრანგი ინტელექტუალი, ჰუმანისტი დააყენებდა მას დღეს, რა თქმა უნდა, მკაცრი ფორმით, მაგრამ საბოლოო ჯამში, პრობლემის დასმის მისი ხერხი არც ისე განსხვავდება ჩვენისგან, ანუ, ფაქტობრივად, განსხვავებას ნამდვილად არ აქვს დიდი მნიშვნელობა. სტავროგინი კი ისე აყენებს საკითხს, რომ მასზე პასუხი აუცილებლად თავად მის დისკრედიტაციას მოახდენს, მისი ქმედებების. ამ პრობლემის გადაჭრის სირთულე სტავროგინისთვის ათჯერ იზრდება გაკოტრების განცდით - მან ვერ გაუძლო იმას, რაც მას მიაჩნდა, ალბათ, მთავარ რამედ საკუთარ თავში, და

ესეც ღრმა, რეალური მიდგომაა. ასეთი მტკივნეულად განცდილი გამოცდილება უსასრულოდ უფრო ყურადსაღები და შთამბეჭდავია, ვიდრე პრობლემა, რომელსაც ივანი აყენებს. მე არ ვიტყვოდი, რომ ჩემი სიმპათია სტავროგინს ეკუთვნის იმ მიზეზების გამო, რომელიც ახლახანს ვახსენე, მაგრამ მე ვიტყვოდი, რომ ლიტერატურული თვალსაზრისით, სტავროგინი მეჩვენება უფრო გამოკვეთილ პერსონაჟად, ვიდრე ივან კარამაზოვი.

*<შეკითხვა ეხება დოსტოევსკისა და ტოლსტოის დაპირისპირებას.>*

— თქვენი შეკითხვა - არ ვიტყვი რომ ბანალური, მაგრამ ძალიან ფართოდ გავრცელებულია, ანუ მინდა ვთქვა, რომ ყოველთვის არსებობს ორი ტიპის მწერალი - როგორც რუსულ ლიტერატურაში, ასევე ჩვენთან: რასინი და კორნელი. იგივე ეხება პარალელებს დოსტოევსკის და ტოლსტოის შორის. ხშირად ხდება, რომ დოსტოევსკის მგზნებარე თაყვანისმცემლები, *aficionados*, როგორც ამბობენ ესპანეთში, ვერ იტანენ ტოლსტოის, და პირიქით. მე ვიცი „ომისა და მშვიდობის“ დიდ მცოდნეებს, რომლებსაც არ შეუძლიათ წაიკითხონ, ზოგადად, კითხულობენ, მაგრამ არ უყვართ დოსტოევსკის რომანები. უნდა ითქვას, რომ მე პირადად არ მიჭირს ორივეს შეყვარება და, ვფიქრობ, რომ ეს მზის დამსახურებაა. რასაკვირველია, მე ცოტათი ვამარტივებ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ მე გავიზარდე ისეთ ქვეყანაში და გარემოში, სადაც კლიმატური, თუ გნებავთ, უკიდურესობის გამო (მცხუნვარე მზე სიცივით მწველი თოვლის მსგავსია) ბუნებრივი პირობები განსაზღვრავს ამა თუ იმ მოვლენის ზემოქმედებას და აღქმის ხარისხს. ამ ფაქტმა საშუალება მომცა საკმაოდ ადვილად შემეღწია დოსტოევსკის სამყაროში. ამავე დროს, როგორც ფრანგი, მე ვეკუთვნი ფრანგულ კულტურას, და მეც, როგორც ჟურნალისტები გვარწმუნებენ, კარტეზიელი ვარ, ანუ ჩემთვის არ არის რთული ხელოვნების ნაწარმოების შეყვარება, რომელიც გაცილებით უკეთ არის შექმნილი, ვთქვათ, გაცილებით უკეთესი „კომპოზიციით“, ვიდრე ეს ტოლსტოის აქვს. ვინაიდან „ომი და მშვიდობა“, უნდა ვაღიაროთ, ღმერთმა იცის როგორ არის აგებული, და ამავე დროს ჩემთვის ის არის ყველა ხელოვნების მწვერვალი ცოცხალი პერსონაჟების შექმნის მისი შესაძლებლობით. თუ თქვენ ხელოვანი ხართ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში უფრო ადვილია ისეთი მწერლის აღქმა,

როგორცაა ტოლსტოი, რომელიც გვაძლევს მესამე განზომილებას, კერძოდ სიღრმეს. დოსტოევსკი კი წარმოგვიდგენს პერსონაჟებს თითქოს ორ განზომილებაში, სიღრმეს ცვლის ფაბულის სწრაფი განვითარებით.

*(დარბაზიდან ისმის წამომახილი: „დოსტოევსკის ოთხი განზომილება აქვს“)*

— ხომ ხედავთ, დოსტოევსკის თურმე ოთხი განზომილება ჰქონია ... *(სიცილი დარბაზში)*

— *თქვენი აზრით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი დოსტოევსკის ... <შემდეგ სიტყვები გაურკვეველია>?*

— ეს არ შეიძლება იყოს სტილი, რადგან ის რუსულად წერდა, მე კი რუსული არ ვიცი, მაგრამ ვინც რუსულად კითხულობს, მეუბნება, რომ ის ოდნავ ბალზაკს გვაგონებს. არც ის წერდა დახვეწილ სუფთა ენაზე, რაც ხელს არ უშლის მას იყოს დიდი რომანისტი. ჩემი აზრით, ეს არ შეიძლება იყოს იდეები - თვითონ სიტყვა არ შეესაბამება დოსტოევსკის - მაგრამ დოსტოევსკის თემები, მის პერსონაჟთა ორაზროვნება, ბოროტებასთან შერეული სიკეთე, ნიჰილიზმის პრობლემა ცივილიზაციაში და სხვა მსგავსი პრობლემები - ეს აქტუალური პრობლემებია. ეს არის დოსტოევსკის გავლენის საიდუმლოება. პლუს ის პატარა დეტალი, რომელსაც ვერაფრით ვერ ახსნი და ვერ შეცვლი და რომელიც ყველაზე მეტად არწმუნებს და იპყრობს ადამიანების გულებს ... მე მხედველობაში მაქვს შემოქმედის გენიალურობა.

— *აბსურდი, რომელზეც ახლახან ისაუბრეთ <შემდეგ სიტყვები გაუგებარია>.*

— თქვენ იცით, ევოლუცია, რომელიც განვიცადად მწერლის ანგაჟირების თვალსაზრისით, იმდენი იყო ამაზე ლაპარაკი, რომ საბოლოოდ შემზიზღდა. მე იმდენი ეგრეთ წოდებული ანგაჟირებული მწერალი მაქვს წაკითხული, რომლებიც, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, სახლში იყვნენ, და იმდენი არაანგაჟირებული, რომლებიც საფრთხის დროს წინა ხაზზე აღმოჩნდებოდნენ ... ჩემი აზრით, საჭიროა ზოგიერთი ნიუანსის შეტანა მწერლის ანგაჟირების ცნებაში. *(აპლოდისმენტები.)*

— *დაასახელეთ ოთხი თუ ხუთი ნაწარმოები, „ემშაკების“ და „ომი და მშვიდობის“ გარდა, რომლებმაც თქვენზე გავლენა მოახდინეს?*

— ვფიქრობ, უნდა „დონ კიხოტი“ დავასახელო. ხედავთ, როგორი ეკლექტიკური ვარ; საჭირო იქნება სიაში პასკალის „ფიქრების“ შეტანა და მათი დამატება, რომლებიც ჩვეულებრივი გაგებით არ ახდენენ ზემოქმედებას, ანუ ისინი, რომლითაც უბრალოდ აღფრთოვანებული ხართ, რადგან ისინი შედეგერებია. ვგულისხმობ, კერძოდ, მოლიერის „მიზანტროპს“ და დავამატებ, რა თქმა უნდა. (სიცილი დარბაზში.)

— თანამედროვე მწერლებს შორის ვის <ანიჭებთ უპირატესობას>?

— ქალბატონო, მე ვიზიარებ პოლ ვალერის აზრს, რომელმაც, ხანდაზმულ ასაკს როცა მიაღწია, თქვა: „ჩემს ასაკში უკვე ეგუები სხვების შედეგერებს“. (სიცილი, აპლოდისმენტები.)

— რომელი პერსონაჟი „ემმაკებიდან“ შეიძლება იყოს მაგალითი ახალგაზრდებისთვის?

— კითხვა, როგორც ამბობენ, ჩაჭრაზეა. კარგი, დავფიქრდები ... არა, ვილაც მკარნახობს: ტიხონ! არ ვიცი, მაგრამ მართლა გგონიათ, რომ ახალგაზრდებს აბსოლუტურად სჭირდებათ მაგალითები? საერთოდ, მათ თავად უნდა აირჩიონ თავიანთი საყვარელი გმირები. თუმცა, „ემმაკებშიც“ უნდა იყოს რაღაც. ცხადია ... რაღაც ვერ მოვისაზრე ... ვინ არის ეს კარგი და კეთილი? მარი, შატოვი? რა თქმა უნდა, შატოვი! როგორ არ ვიფიქრე მასზე! რა თქმა უნდა, ის ხომ მსხვერპლია. ხედავთ, რა რჩევებს ვაძლევ ახალგაზრდებს!

< კითხვა შატოვის შესახებ.>

— შატოვი, ალბათ, დიდწილად თავად დოსტოევსკის წარმოადგენს. მინდა ვთქვა, რომ დოსტოევსკი თავდაპირველად ნიჰილისტი იყო, როგორც პეტრე ვერხოვენსკი და ის ადამიანები, რომლებიც მის შეთქმულებაში მონაწილეობდნენ (გაიხსენეთ შეთქმულების სცენა); და ნელ-ნელა მოხდა ისე, რომ შატოვი ყველაზე მეტად დაზარალდა ამის გამო, როგორც მგონია. რადგან ის, რაც მან უნდა თქვას, ფაქტობრივად, დაკავშირებულია რომანის ბუნებასთან და არა დრამატურგიასთან, და ძნელი იყო მისთვის იმ ენის შენარჩუნება, რომლითაც დოსტოევსკიმ მიანიჭა მას თავისი თეორიის გადმოსაცემად. მაგრამ თუ რომანს წაიკითხავთ და თუ გადაიკითხავთ მას - ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ ამას გააკეთებთ თეატრიდან გამოსვლისთანავე - დაინახავთ, რომ დოსტოევსკი

გარკვეულ ჭეშმარიტება-აღიარებას იძლევა მისი სახით. შატოვისთვის ცხადია გარკვეული რამ, და მას სცენაზეც კი წარმოთქვამს. პარადოქსი და ირონია იმაშია, რომ მათ გაგებაში სტავროგინი დაეხმარა, რომელმაც ერთხელ გადაწყვიტა თავი გაერთო პოზიტიური თეორიებით. მაგრამ შატოვმა ბევრი რამ გაიგო და, კერძოდ, რომ შეუძლებელია ადამიანმა იპოვოს გზა სხვებისკენ, ერთიანობის, მორალისა და სიყვარულის გზა, თუ, პირველ რიგში, ღმერთის არ სწამს (ეს თავად დოსტოევსკის თვალსაზრისია) და, მეორეც, არ სჯერა საკუთარი ხალხის. და ამ თვალსაზრისით, შატოვი სხვა არაფერია, თუ არა დოსტოევსკის რუპორი. ამ მიზეზით, ის შეიძლება გამხდარიყო ძალიან მოსაწყენი პერსონაჟი. ის კი სულაც არ აღმოჩნდა მოსაწყენი, რადგან დოსტოევსკიმ გენიალურად აქცია იგი მსხვერპლად, ხოლო მსხვერპლი, როგორც მოგეხსენებათ, ყოველთვის იწვევს თანაგრძნობას. ამასთან ერთად, შატოვის იდეები ზოგიერთ დებულებას უდევს საფუძვლად, რომელიც მთლიანობაში დოსტოევსკის შემოქმედებაზე ერთი შეხედვით, არ იწვევს განსაკუთრებულ ენთუზიაზმს. მისი შოვინიზმი გამოიხატება შემდეგში: მას არ უყვარდა არაფერი, რაც არ იყო რუსეთი; ჩემი აზრით, ეს არასწორი პოზიციაა: არ შეიძლება ყველაფერი არ გიყვარდეს, რაც შენი ქვეყნის საზღვრებს მიღმაა, რადგან დაგრჩება კმაყოფილების ძებნა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში, და როცა ამას აქ ვერ პოულობ, სხვა არაფერი გრჩება. აი, რისი თქმა შემიძლია შატოვზე.

— „ღმერთის რწმენასთან“ დაკავშირებით რატომ აზუსტებთ, რომ ეს დოსტოევსკის სიტყვებია?

— სიმართლის გამო. მე ხომ ვერ მივიწერ იმას, რაც დოსტოევსკის აქვს ნათქვამი. ის ამბობს ამას, და მე გულწრფელად ვუტოვებ მას ამის თქმის შესაძლებლობას, მაგრამ განვმარტავ, რომ ეს სიტყვები მას ეკუთვნის. ამ თვალსაზრისით, მე აქ ვარ - მისი დროებითი რუპორი. და ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, საქმე იმაშია, რომ მე არ მოვაგვარე ეს პრობლემა ჩემთვის, რის ხსენებაც დამავიწყდა. (აპლოდისმენტები.)

<შეკითხვა სტეპან ტროფიმოვიჩის შესახებ.>

— მე ზუსტად ვადევნებდი თვალს ამ პერსონაჟის ევოლუციას რომანში. <...> თავიდან დოსტოევსკი ვერ იტანდა სტეპან ტროფიმოვიჩს, ეს ცხადია. ყველაზე მეტად რა იწვევს მის ზიზღს? არა იმდენად ნიჰილიზმი, რამდენადაც ერთგვარი ბუნდოვანი



ლიბერალიზმი, რომელიც ქმნის ისეთ პირობებს, რომლებშიც ამ არენაზე წარმოჩენილი ნიჰილიზმი შეიძლება განვითარდეს. შესაბამისად, მას არ უყვარდა სტეპან ტროფიმოვიჩი, არ უყვარდა იმდენად, რამდენადაც შეიძლება არ გიყვარდეს საკუთარი პერსონაჟი. სტეპან ტროფიმოვიჩი დაახლოებით ისევე არ უყვარდა, როგორც ტურგენევი, რაც არც ისე ცოტაა. და მაინც, ამაშია რომანის განვითარების შემოქმედებითი ძალა, რომელიც მოქმედებს ავტორზე - მას რომ ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანა თავდაპირველი ჩანაფიქრი, მაშინ სტეპან ტროფიმოვიჩი დარჩებოდა უცნაური და სულაც არ იქნებოდა გულის ამაჩუყებელი პერსონაჟი. საბოლოო ჯამში, ის ნამდვილად გულის ამაჩუყებელი პერსონაჟია. ის კვდება, როგორც ტოლსტოი. ტოლსტოი 1910 წელს გარდაიცვალა, დოსტოვესკი ამას ვერ იწინასწარმეტყველებდა, მაგრამ, ზოგადად, სტეპან ტროფიმოვიჩის მიმართ შეიძლება მსგავსი გრძნობების განცდა, თუმცა მათი სცენაზე გადმოცემა შეუძლებელია, რადგან ეს პერსონაჟი გზაში კვდება, რომელიც შორეულ სოფლის ტრაქტირში. ქალის მიერ გაძევებული, რომელიც უყვარდა, ის განიცდის ტკივილს, მან დაკარგა ყველა საყრდენი წერტილი, დარჩა მარტოობასთან პირისპირ და იმ ადამიანებთან, რომლებსაც გზებზე და სოფლებში შეხვდა. და ამ ძალიან უბრალო, უშუალო გამოცდილებით, მას უცებ გონება გაუნათდა: ის ხედავს, რომ აქამდე ცდებოდა, რომ „ცრუობდა მაშინაც კი, როცა სიმართლეს ამბობდა“. მე შევნიშნე, რომ დარბაზში, ამ სიტყვებზე, თქვენ იცინოდით, მაყურებელიც ასე იცინის ყოველ საღამოს. ყველაფერი სწორია, რადგან დოსტოვესკის შემოქმედებით ჩანაფიქრში არის სატირაც და იუმორიც. ყოველ შემთხვევაში, პირადად ჩემთვის, ეს არის ფრაზა და რაც მას მოყვება: „ყველაზე ძნელია ცხოვრობდე და არ გჯეროდეს საკუთარი სიცრუის“ და ა.შ. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე საოცარი აღმოჩენაა, რომლის უნარიც შესწევს ადამიანს სიცოცხლის ბოლოს. შედეგად, ჩემი პასუხი შეიძლება იყოს შემდეგი: თავდაპირველად, როდესაც დოსტოვესკის სცენაზე გამოჰყავს თავისი პერსონაჟი, ის მის წინააღმდეგ არის განწყობილი, სურს მისგან კარიკატურა შექმნას, მაგრამ შემდეგ ის იყენებს თავის, როგორც მწერლის, უფლებას, როგორც შემოქმედი იყენებს უფლებას

საკუთარ ქმნილებებზე. ის უბრალოდ პატიობს და გარკვეულ-წილად სიცოცხლეს ჩაჰბერავს სტეპან ტროფიმოვიჩს მის საკუთარ სამყაროში ... (აპლოდისმენტები.)

*< შევითხვა პიესაში შესაძლო ცვლილებების შესახებ. >*

— რომც ყოფილიყო დრო, სურვილი, ბევრი ფული და საჭირო შეღავათები, მე არ ვიფიქრებდი მასში რაიმეს შეცვლას, მე შეექმნიდი პიესას პირვანდელი სახით. მაგრამ პირველ ვერსიაში ის გაგრძელდა, როგორც მახსოვს, ოთხი საათი და ოცდახუთი წუთი. არ შეიძლება მაყურებლის ასეთი მძიმე განსაცდელის წინაშე დაყენება ... სიმართლე გითხრათ, საყვედური, რომელსაც გამოვთქვამდი პიესის მიმართ, რომელიც ახლახანს ნახეთ, შემდეგია: ბევრი რამ, რაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პერსონაჟებისთვის და ფაბულისთვის, ჩრდილში რჩება. როგორც ბევრი სხვა რამ, რაც შეიძლება არც ისე მნიშვნელოვანი იყოს პერსონაჟებისთვის და ფაბულისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია იმისთვის, რაც შეიძლება გიყვარდეს როგორც ცხოვრებაში, ასევე მის ინტელექტუალურ სფეროში.

*— თქვენთვის თანაბრად მნიშვნელოვანია თეატრალური ადაპტაცია და თქვენ მიერ დაწერილი პიესა?*

— მგონი, უკვე ვუპასუხე ამ კითხვას. ნება მომეცით მარტივად განვმარტო: ჯერ ერთი, რაც არ უნდა იფიქრონ, მე, როგორც მწერალს, არ მაქვს ისეთი დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე, რომ თეატრალური ადაპტაცია მივიჩნიო რაღაც ნაკლებად მნიშვნელოვნად, მეორეხარისხოვნად, რაც იწვევს სინანულს ჩემს მიერ დაწერილ სპექტაკლთან შედარებით. და მეორეც, მე, ჩვეულებრივ, სუფთა სინდისით ვიწყებ ადაპტაციას, რადგან მახსოვს (ჩემს თავს არ ვადარებ ამ ნიმუშებს), რომ „სიდი“ მშვენიერი ადაპტაციაა; მოლიერის „ძუნწი“ არის XVI საუკუნის დრამატურგის პიერ ლარივას პიესის გადამუშავება, რომელმაც თავად შეასრულა XVI საუკუნის ფლორენციელი ავტორის პიესის ადაპტაცია, რომელმაც, თავის მხრივ, ის პლავტუსისგან ისესხა. ასე მივიღეთ „ძუნწი“ ჩვენს თეატრალურ რეპერტუარში. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი „ემმაკნი“ დაიკავებენ, მაგალითად, ლარივას ადგილს და შემდეგ მოლიერიც გამოჩნდება. (აპლოდისმენტები.)

*— თქვენთვის დოსტოევსკის ნაწარმოების სცენაზე გადატანა - ეს თქვენდი პირადი ინტერესია თუ რაიმე პროგრამული, გარკვეული message?*

— რა თქმა უნდა, ეს საერთოდ არ არის message, მე არ მიფიქრია ამაზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ადგილი აქვს პირად სიამოვნებას. იმას, რასაც ხშირად არ ითვალისწინებენ მწერლის ცხოვრებაში - შექმნით გამოწვეული სიხარული, სიამოვნება, რომელსაც იღებს წერისგან, სხვა ავტორების ნაწარმოებების ადაპტირებისგან. ამავე დროს, როგორც არ უნდა გამოიყურებოდეს ეს გარედან და რაც არ უნდა ითქვას ამის შესახებ, როგორც ხელოვანი, მე ყოველთვის ვაკეთებდი მხოლოდ იმას, რაც მომწონდა. მე ძალიან მინდოდა სცენისთვის ზუსტად „ემშაკნი“ გადამემუშავებინა, მე მინდოდა მათი ნახვა, ასე რომ, რა თქმა უნდა, ჩემმა სურვილმა დიდი როლი ითამაშა თქვენს მიერ ნაწახი სპექტაკლის შექმნაში. ამავე დროს, მე მეჩვენება მნიშვნელოვნად, რომ აღარაფერი ვთქვათ რაიმე message-ზე, რომ 1959 წელს ფრანგულ სცენაზე გარკვეული რამ მაინც ითქვას ორი მოსაზრების საფუძველზე. ჯერ ერთი, როდესაც ერთ რამეზე ლაპარაკობენ, არ ლაპარაკობენ მეორეზე. მეორეც, ის, რაც ითქმევა, მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც ახლა ჩვენი, ჩვენი საზოგადოების წინაშეა და რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდება ჩვენი მომავლისთვის.

### **„ემშაკნი“ სცენაზე**

ტექსტი დაბეჭდილია თეატრალურ პროგრამაში. 1959 წლის აპრილი.

„ემშაკნი“ ერთ-ერთია ოთხი თუ ხუთი ნაწარმოებიდან, რომელსაც ვაფასებ ყველაზე მეტად. შემიძლია ვთქვა, რომ ბევრ რამეში მან მასაზრდოვა და ჩამომაყალიბა. ყოველ შემთხვევაში, უკვე თითქმის ოცი წელია მე ვხედავ მის გმირებს სცენაზე. ისინი არა მხოლოდ დრამატურგიული გაქანებით არის დაწერილი, სცენურ ხასიათს ატარებს მათი ქცევა, მათი აფეთქებები, მათი ქმედებები - სწრაფი და დაბნეულობის გამომწვევი. დოსტოევსკის რომანებში სახეზეა თეატრალური ტექნიკა: ის ხელს უწყობს მოქმედების განვითარებას დიალოგებით, პერსონაჟების ადგილისა და გადაადგილების მითითებით. თეატრალური მოღვაწე, იქნება ის მსახიობი, რეჟისორი თუ ავტორი, ყოველთვის იპოვის მასთან ყველა საჭირო ცნობებს.

დღეს კი სცენაზე „ემშაკნია“. მათ დასადგმელად მრავალწლიანი შეუპოვარი შრომა გახდა საჭირო. და მაინც მე ვიცი და ვაცნობიერებ, თუ რა განასხვავებს პიესას ამ საოცარი რომანისგან. მე უბრალოდ შევეცადე გავყოლოდი ნაწარმოების ღრმა ნაკადს სატირული კომედიიდან დრამამდე, შემდეგ კი ტრაგედიამდე. ეს ეხება როგორც პიესის ტექსტს, ისე თავად სპექტაკლს, რომელიც იწყება რეალისტურად და მთავრდება ტრაგიკული სტილიზაციით. ამ უზარმაზარ სამყაროში, სწრაფსა და უცნაურში, რომელიც სავსეა მრისხანებითა და უკიდურესობებით, ჩვენ შევეცადეთ არ დაგვეკარგა ის გზის მაჩვენებელი ძაფი, რომელიც ნაქსოვია ტანჯვისა და სინაზისგან, ყველაფრისგან, რაც დოსტოევსკის სამყაროსთან ასე აახლოებს თითოეულ ჩვენგანს. ჩვენ ვიცით ახლა, რომ დოსტოევსკის პერსონაჟები არ არიან უცნაური და აბსურდული არსებები. ისინი ჩვენნაირები არიან, ჩვენ ერთნაირი გულები გვაქვს. და თუ „ემშაკნი“ წინასწარმეტყველური წიგნია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის წინასწარმეტყველებს ჩვენს ნიჰილიზმს, არამედ იმიტომ, რომ ის ხაზს უსვამს ჩვენს სულებს სცენაზე, მკვდარსა თუ მოუსვენარს, რომელთაც არ შეუძლიათ სიყვარული და იტანჯებიან ამის გამო, იმ სულებს, რომელთაც სურთ ირწმუნონ და არ შეუძლიათ ამის გაკეთება, სწორედ ისინი, ვინც ავსებენ ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს სულიერ სამყაროს დღეს. ამ ნაწარმოების სიუჟეტია როგორც შატოვის მკვლელობა (რომელიც ნაკარნახევია ნამდვილი ამბით - სტუდენტ ივანოვის მკვლელობით ნიჰილისტი ნეჩაევის მიერ), ასევე სტავროგინის, სრულიად თანამედროვე გმირის სულიერი ისტორია და სიკვდილი. ამრიგად, ეს არ არის მხოლოდ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედეგრი, რომელიც დღეს სცენაზე გადატანილია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სრულიად აქტუალური ნაწარმოები.

*რუსულიდან თარგმნა ირინა ჯიშკარიანმა*

*როინ ყავრელიშვილი*  
ისტორიის დოქტორი, პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე,  
roinkav@gmail.com, +995 599 58 84 61

**რეცენზია მონოგრაფიაზე: ახალციხის მხარის თურქულ-  
მუსლიმური არქიტექტურული ძეგლები<sup>3</sup>**

*მოკლე შინაარსი*

წინამდებარე სტატია წარმოადგენს რეცენზიას თურქეთის რესპუბლიკაში გამოქვეყნებული მონოგრაფიის შესახებ: „ახალციხის მხარის თურქულ-მუსლიმური არქიტექტურული ძეგლები“. მონოგრაფიის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასებულია სხვადასხვა ავტორების მიერ წარმოდგენილი ცალკე ქვეთავებში დაცული რამდენიმე დეტალი, ზოგიერთი ქართული წყაროსა და ისტორიული ლიტერატურის დამოწმებით.

---

<sup>3</sup> Ahıska Bölgesindeki Türk İslâm Mimari Yadıgârları, თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში ტერმინში ახალციხის მხარე მოიაზრება სამცხე-ჯავახეთის რეგიონი. რაც შეეხება, წიგნის სათაურს, მართალია, ის თურქულენოვანი მკითხველისთვის არის გათვალისწინებული, მაგრამ უფრო მეტი სიცხადისთვის მცირედი შენიშვნა გვექნება ავტორებთან; მსგავსი კვლევები თურქეთის რესპუბლიკაში, თურქეთს გარეთაც (მაგ., უკრაინაში-ყირიმში) ტარდება ან დასრულდა და შედეგები გამოიცა სხვადასხვა სათაურებით, მაგ: „ყირიმის თურქულ-ისლამური მემკვიდრეობა“, მაგრამ საქართველოში და კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. რადგან, მუსლიმი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ეთნიკური ქართველებისგან შედგებოდა. ამიტომ, ჩვენეული მიდგომით, უკეთესი იქნებოდა, თუ ამ მეტად საინტერესო და, ჩვენი აზრით, საჭირო ნაშრომს“ Ahıska (Samtskhe-Cavakheti) Bölgesindeki İslâm Mimari Yadıgârları” „ახალციხის (სამცხე-ჯავახეთის) მხარის მუსლიმური არქიტექტურული ძეგლები“, დაერქმეოდა. რაც შეეხება ყირიმის სახანოს, მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქული მოდემის ხალხებისგან შედგებოდა და მსგავსი მიდგომაც, ბუნებრივია, გამართლებულია.

რეცენზიაში აღნიშნულია მიღებული შედეგების მნიშვნელობა ქართული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით. გამოთქმულია რეკომენდაცია, არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, წიგნში დაცული ზოგიერთი საკამათო საკითხის ერთობლივ კვლევასთან დაკავშირებით.

**საკვანძო სიტყვები:** ახალციხე, ისლამი, არქიტექტურა, ძეგლი, ვაყუფი.

***Roin Kavrelshvili***

*Doctor of History, Professor, Samtskhe-Javakheti State University,  
Akhaltzikhe, Georgia,*

roinkav@gmail.com, +995 599 58 84 61

## **REVIEW ON THE MONOGRAPH: TURKISH-MOSLEM ARCHITECTURAL MONUMENTS IN AKHALTSIKHE<sup>4</sup>**

### ***Abstract***

Our article is review of published monography “Turkish-Moslem Architectural Monuments in Akhaltsikhe”. From the specific of monograph, it was reviewed and valued under resources from historical materials and references. In the review we are talking about the meaning of the result for Georgian historiography. There is given some recommendations according the existing experience and on the base of common research work.

**Key Words:** Akhaltsikhe, Islam, Architecture, Monument, gift.

---

<sup>4</sup> Ahıska Bölgesindeki Türk İslâm Mimari Yadigârları, modern turkish historiography, under term Akaltsikhe considered Samtskhe-Javakheti region. The title of the book: it is only for turkish readers, but we will have some comments to the authors that research works like this was made in Turkey, outside the Turkey (Ukraine, Kirim) having different titles. But is Georgia we have another case especially in Samtskhe -Javakheti, the most oart of moslem population Georgian ethnic groups and we think the title Ahıska (Samtskhe-Cavakheti) Bölgesindeki İslâm Mimari Yedigârları” “Moslem Architectural Monuments of Akhaltsikhe (Samtskhe - Javakheti)” will suit be more. What about Kirim the most part of their population consist Turkish people and this attitude is right souletion.

წინამდებარე წიგნი არის 608 გვერდიანი. პირველი 60 გვერდი წარმოადგენს წინასიტყვაობას, შესავალ ნაწილს და ავტორთა მოკლე მიმოხილვას. დანარჩენ გვერდებზე მოთავსებულია არქიტექტურული ძეგლების ჩამონათვალი, ფოტოები, აღწერილობა, მათზე არსებული ეპიგრაფიკა და ადგილ-მდებარეობის შესახებ ინფორმაცია.

იგი გამოქვეყნებულია თურქეთის რესპუბლიკის „საზღვარგარეთელი თურქების და მონათესავე ხალხების დეპარტამენტის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. პროექტის ხელმძღვანელები არიან: თურქეთის რესპუბლიკის რიზეს რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის<sup>5</sup> პროფესორი, ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტის<sup>6</sup> თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და საქართველოში თურქეთის საელჩოს რელიგიის საქმეთა ყოფილი მრჩეველი პროფესორი **ნები გუმუში** და შვეიცარიული წარმოშობის ქალბატონი, დოქტორი **ნიკოლე კანჩალ-ფერარი**, პროფესიით ხელოვნებათმცოდნე, მუშაობს შუა საუკუნეების ისლამური არქიტექტურის მიმართულებით, „სტამბოლის შეჰირ უნივერსიტეტის“<sup>7</sup> დოცენტი. ავტორთა ჯგუფში, გარდა ზემოთდასახელებული ორი პიროვნებისა, შედიან ასევე, **სედათსირაჯოღლუ** და **ბაჰათინ თურქუთი**. მონოგრაფიაზე, საარქივო საქმის მიმართულებით, ნამუშევარი აქვთ **მურათ ყასაბს** და **აჰმეთ ნიაზოვს**, ხოლო, არაბული გრაფიკით შესრულებულ ეპიგრაფიკაზე - **აჰმეთ ნიაზოვს**. წიგნი გამოცემულია სტამბოლში 2019 წელს, საზღვარგარეთელი თურქების და მონათესავე ხალხების სამმართველოს ფინანსური მხარდაჭერით, 1000 ეგზემპლარის ოდენობით<sup>8</sup>.

წიგნის შესავალი ნაწილი ეკუთვნის თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრს **ნური ერსოის**. პროექტის შესახებ კომენტარი ეკუთვნის საზღვარგარეთელი თურქების და მონათესავე ხალხების სამმართველოს თავმჯდომარეს **აბდულაჰ ერენს**. მხარის

---

<sup>5</sup> Recep Tayyip ERDOĞAN Üniversitesi, Zihni Derin Yerleşkesi \* Fener Mahallesi 83100, Merkez/Rize

<sup>6</sup> Artvin Çoruh Üniversitesi, 08100 Seyitler, Merkez/Artvin

<sup>7</sup> Orhantepi Mahallesi, Turgut Özal Bulvarı, No: 21, Dragos, 34865 Kartal/İstanbul

<sup>8</sup> T.C. Kültür ve Turizm Bakanlığı, Yurtdışı Türkler ve Akraba Toplulukları Başkanlığı Yayınları, İstanbul, 2019, ISBN 978-975-17-4362-6

მოკლე ისტორიული მიმოხილვა ეკუთვნის პროფესორ **ნები გუმუშა**. ახალციხის ვაკუუმების (ფონდები) შესახებ მიმოხილვა ეკუთვნის დოქტორ **ბაჰათინ თურგუთს**, კოჯაელის უნივერსიტეტის<sup>9</sup> თანამშრომელს. ხოლო, ისლამური არქიტექტურის შესახებ მიმოხილვა - დოცენტ **ნიკოლე კანჩალ ფერარის**.

მონოგრაფიაში აღწერილია ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის რაიონებში არსებული მუსლიმური არქიტექტურული ძეგლები.

**ადიგენის რაიონში:**

სოფელ აბასთუმნის მეჩეთი, აბანოები, სასაფლაო;

სოფელ ადიგენში: მეჩეთი;

სოფელ აფიეთში: ენვერ ბეგის საცხოვრებელი, წყარო, სასაფლაო;

სოფელ არძნეში: სასაფლაო;

სოფელ ბენარაში: სერვერ ათაბაგის საცხოვრებელი;

სოფელ ბოლაჯურში: მეჩეთი, წყარო;

სოფელ ჭეჭლაში: მეჩეთი, მოლის საცხოვრებელი-მედრესე, წყარო, სასაფლაო;

სოფელ დერცელში: სასაფლაო;

სოფელ დიდი სმადაში: მეჩეთი, წყარო;

სოფელ ქვემო ენთელში: მეჩეთი, სოფლის სასაფლაო;

სოფელ ღაღვში (უწერიათ ღავი) სასაფლაო;

სოფელ გომაროში: მეჩეთი, სასაფლაო;

სოფელ ღორთუბანში: წყარო, სასაფლაო;

სოფელ ღორძეში: მეჩეთი;

სოფელ ხარეთში: მეჩეთი;

სოფელ ხარჯამში: მეჩეთი, სასაფლაო;

სოფელ ხევაშენში: მეჩეთი, მედრესე და მოლის საცხოვრებელი;

სოფელ კეხოვანში: სასაფლაო;

სოფელ ქიქინეთში: მეჩეთი;

სოფელ ლელოვანში: მეჩეთი;

სოფელ მოხეში: მეჩეთი;

სოფელ ნაქურდევში: მედრესე, სასაფლაო;

სოფელ ფხეროში: მეჩეთი, მედრესე-მოლის საცხოვრებელი;

---

<sup>9</sup> Kabaoğlu, BakiKomsuoğlubulvarı No:515, Umuttepe, 41001 İzmit/Kocaeli



სოფელ ფლატეში: მეჩეთი, სასაფლაო;  
სოფელ შოლავერში: სასაფლაო;  
სოფელ შოყაში: მეჩეთი;  
სოფელ წახანში: მეჩეთი, მედრესე, მოლის საცხოვრებელი, სასაფლაო, წახანთანვე ნასოფლარ სოღრას სასაფლაო;  
სოფელ წინუბანში: სასაფლაო;  
სოფელ ვარხანში: მეჩეთი, მედრესე-მოლის საცხოვრებელი, წყარო;  
სოფელ ზანავში: მეჩეთი, მედრესე;  
სოფელ ზაზალოში: მეჩეთი, სასაფლაო;  
სოფელ ზედუბანში: მეჩეთი.

### **ახალციხის რაიონში**

ახალციხის ციხის ჩრდილოეთით მდებარე შენობა (არასტახანი), რაბათში: იუსუფ ფაშას წყვილი აბანო, იუსუფ ფაშას წყარო.

ქალაქ ახალციხეში: სომხურ კათოლიკურ ეკლესიად გადაკეთებული მეჩეთი, ახალციხის ციხე, აჰმედიეს მედრესე, აჰმედიეს მეჩეთი, ციხის ტერიტორია, ციხის ტერიტორიაზე გამოფენილი საფლავის ქვები და მათი ეპიგრაფიკა, ციხის მინარეთი, ახალციხის ციხის მიჰრაბი (ლოცვისას მოლისთვის კედელში გამოკვეთილი ადგილი), ახალციხის სასაფლაო.

აწყურის მეჩეთი და აბანოები;  
სოფელ ბოგაში: წყარო, სასაფლაო;  
სოფელ კლდეში: მეჩეთი, სასაფლაო;  
სოფელ მუგარეთში: მეჩეთი, წყარო, სასაფლაო;  
სოფელ ფერსაში: მეჩეთი;  
სოფელ საყუნეთში: მეჩეთი, სასაფლაო;  
სოფელ ტატანისში: სასაფლაო;  
სოფელ ურაველში: მეჩეთი, წყარო;  
სოფელ ვალეში: მეჩეთი;  
სოფელ ზიკილიაში: მეჩეთი;

### **ახალქალაქის რაიონში**

ახალქალაქის მეჩეთი და მედრესე;  
სოფელ ხოსპიოს მეჩეთი;  
სოფელ ოკამში: მეჩეთი, წყარო, სასაფლაო;

### **ასპინძის რაიონში**

ასპინძის მეჩეთი;

სოფელ ჩორჩნის წყარო და სასაფლაო;  
ნასოფლარ ლობიეთის მეჩეთი, აბანოები, მიწისქვეშა  
წყალსაცავი, მედრესე;  
სოფელ იდუმალას მეჩეთი;  
სოფელ ნიალას მეჩეთი;  
სოფელ ორგორას მეჩეთი, წყარო, სასაფლაო;  
სოფელ ოშორას მეჩეთი;  
სოფელ ორთა ქოის მეჩეთი;

**მეჰმედ ნური ერსოი** წარდგენის ნაწილში საუბრობს 75 წლის წინ სამცხე-ჯავახეთიდან განხორციელებულ მოსახლეობის დეპორტაციაზე. აღნიშნავს, რომ სამშობლოდან გადასახლებულ იქნენ „ახალციხელი თურქები“<sup>10</sup>, რომელიც დღესაც მძიმე ტკივილად აწევს თურქ ხალხს. იგი ამბობს, რომ გადასახლებისთვის საბაზად იქნა გამოყენებული ე.წ. „საზღვრის უსაფრთხოების“ თეორია. მიუთითებს, რომ „ახალციხელი თურქების“ ისტორიის არდავიწყებისთვის აუცილებელია მათი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. „ამგვარად, ჩვენი ქვეყნის საზღვართან ახლო რეგიონში შევინარჩუნებთ „ახალციხელი თურქების“ მიერ შექმნილ და წარმოდგენილი თურქულ-ისლამურ კულტურას“, - აცხადებს იგი. მინისტრი აღნიშნავს, რომ ასევე მიმდინარეობს სხვა სახის სამუშაოები და კვლევები საქართველოში თურქულ-ისლამური კულტურის საკითხების მიმართულებით. მიუთითებს, რომ ამ ეტაპზე უფრო პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული წინამდებარე ნაშრომის გამოცემა და კულტურული მემკვიდრეობის დაფიქსირება, რადგან იგი თანდათან უფრო ზიანდება. ასევე, სამეცნიერო სამყაროსათვის შეთავაზებულ იქნა ახალი ნაშრომი.

**აბდულაჰ ერენი** თავის სიტყვებში ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული დეპარტამენტის ხელშეწყობით ხდება საზღვარგარეთელი თურქების ან თურქულენოვანი დიასპორის კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია და პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა „ახალციხელი თურქების“ კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია და მისი დაცვა. იგი მიიჩნევს,

---

<sup>10</sup> 1944 წლის 14 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობა თურქულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში მოიხსენება როგორც Ahıska Türkleri (ახალციხელი თურქები).

რომ ამგვარი საქმიანობა ხელს შეუწყობს მსოფლიოს ხალხების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. იმედოვნებს, რომ ქართულ-თურქული კეთილმეზობლური ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება.

**ცალკე გამოყოფილ წინასიტყვაობაში** წერია, რომ ნაშრომის მთავარი მიზანია ახალციხის (იგულისხმება სამცხე-ჯავახეთი) მხარეში არსებული იმ მუსლიმური არქიტექტურული ძეგლების ინვენტარიზაცია, რომლებმაც დღემდე მოაღწია. ყურადღებას იქცევს წინასიტყვაობაში გამოყენებული შემდეგი ფრაზა: „თურქულ საზოგადოებრივ აზრში დამკვიდრებული ტერმინით „ახალციხელი თურქები“ მოხსენიებული მუსლიმი მოსახლეობის 1944 წელს ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში გადასახლების შემდეგ“. სავარაუდოა, რომ წიგნის შემდგენელნი სახელმწიფო მოხელეებისგან განსხვავებით, ფრთხილობენ ტერმინთან „ახალციხელი თურქები“ – მიმართებაში. აქვე არის მითითებული, რომ რეგიონში დეპორტაციის შემდეგ წლებში ჩამოსახლებულმა ქართველმა მუსლიმებმა ააგეს ახალი საკულტო ნაგებობები, მაგრამ ისინი უფუნქციოდ დარჩა. გამოყენებულ იქნა ძველი ნაგებობების საძირკველზე აგებული შენობები ან განახლებულ იქნა ძველი საკულტო ნაგებობები. წინასიტყვაობაში კმაყოფილება არის გამოთქმული საქართველოს მთავრობის მისამართით ზოგიერთი მუსლიმური საკულტო ნაგებობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებასთან დაკავშირებით. გამოქვეყნებული ყველა ძეგლი არის ადგილზე დაფიქსირებული და ფოტოგადაღებები და აზომვებიც ადგილზე არის შესრულებული. ავტორები, მასალის მოძიების საქმესა და სავსელ სამუშაოების შესრულებისას ხელშეწყობისთვის მადლობას უხდიან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, თურქეთის ელჩს საქართველოში ფატმა ჯერენ იაზგანს და ადგილობრივ მოსახლეობას.

**პროფესორი ნები გიუმუში ეხება რა ახალციხის მხარის ისტორიას (საუბარია სამცხე-საათაბაგოზე),** მიმოიხილავს კავკასიის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, მის ურთიერთობას ანატოლიის და ირანის ცივილიზაციასთან. აღნიშნავს, რომ კავკასიის მხარეებიდან ანატოლიის ცივილიზაციასთან შეხების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი არის ახალციხის მხარე. ნები გიუმუში იყენებს სიტყვას „ახისხა“, მაგრამ ფრჩხილებში მითითებული აქვს

(ახალციხეც). იგი ეხება მხარის ოსმალეზამდე ისტორიას. პირველ აზნაცში, ძირითადად, ამ მხარეში ისლამის გავრცელების ისტორიაზე საუბრობს და უკავშირებს ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელს“. იგი სწორად მიუთითებს ტოპონიმებს: კლარჯეთ (ი), არდაჰან (ი), სამცხე. შემდეგ, ასევე მოკლედ, ეხება ქართველთა და სელჩუკთა ურთიერთობას და ამ კონტექსტში რეგიონში ისლამის გავრცელებაზე საუბრობს. არ ივიწყებს საქართველოს ოქროს ხანის პერიოდს და ყივჩაყთა ჩამოსახლებას. იგი, იმოწმებს ყივჩაღთა ჩამოსახლება-განსახლების შესახებ თურქულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ თეორიას და პროფესორ ფაჰრეთინ კირზიოღლუს ნაშრომებს, სამცხე-საათაბაგოში ყივჩაყთა როლზე საუბრობს. ცნობილია, რომ თურქ ისტორიკოსთა ერთი ფრთა ჯაყელებს და სამხრეთ საქართველოს ადგილობრივ მოსახლეობის დიდ ნაწილს ყივჩაღებად მიიჩნევენ. თუმცა, ნები გუმუში მართებულად მიუთითებს, რომ რადგან ათაბაგების, ანუ ჯაყელების, წარმოშობაზე კამათი კვლავ გრძელდება, ამიტომ აუცილებელია კარგად იქნას შესწავლილი ყივჩაღთა კვალი კავკასიაში<sup>11</sup>. შემდეგ იგი საუბრობს ოსმალთა პერიოდში სამცხე-საათაბაგოს ოსმალეთის შემადგენლობაში შესვლის ისტორიაზე, რეგიონში ოსმალთა და ირანელთა დაპირისპირებაზე. ათაბაგების დასახელებისას ფრჩხილებში სწორად მიუთითებს ქაიხოსრო ათაბაგის სახელის ქართულ ფორმას. სინამდვილეში ეს სახელი არ არის ქართული წარმოშობის და თურქულად იკითხება როგორც Keyhüsrev. რაც შეეხება მზეჭაბუკს, მირზა ჩაბუქად უწერია, ისევე, როგორც კირზიოღლუს. არაბული გრაფიკით ვერანაირად ვერ დაიწერება მზეჭაბუკი. ქართულის არმცოდნე ამ სახელს ვერ აღიქვამს. თუმცა, ბატონ ნების, როგორც

---

<sup>11</sup> ქართველ მკვლევართა მიერ საკმარისად კარგად არის შესწავლილი საქართველოში ყივჩაღთა ჩამოსახლების და განსახლების საკითხები. დღეს, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული კეთილმეზობლური და სტრატეგიული ურთიერთობები გვადლევს იმის საშუალებას, რომ ქართველი და თურქი მეცნიერების მიერ ერთობლივად იქნას აღნიშნული პრობლემა კიდევ ერთხელ შესწავლილი და განხილული ქართულ, თურქულ და სხვა ენებზე გამოქვეყნებულ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს უკვე ოთხჯერ ჩატარებული ერთობლივი სიმპოზიუმები და გამოქვეყნებული კრებულები ქართულ-თურქული ისტორიული ურთიერთობების შესახებ.

ქართულის მცოდნეს, თურქულენოვანი მკითხველისთვის ქართული ვერსიაც რომ მიეთითებინა, საკითხში უფრო მეტი სიცხადე იქნებოდა შეტანილი. პროფესორ ნები გუმუშს სწორად აქვს მითითებული ყვარყვარე, სხვა თურქ ავტორებს უწერიათ გორგორა (ამ სახელის ასეთი ფორმაც არაბული გრაფიკიდან გამომდინარეობს). ნები გუმუშს საინტერესო სიახლე შემოაქვს ათაბაგ ყვარყვარე მეოთხესთან დაკავშირებით. იგი მიუთითებს ათაბაგ ყვარყვარე მეოთხის გამუსლიმებასა და სახელად იუსუფ ფაშას დარქმევაზე. გამოქვეყნებული აქვს ყვარყვარე მეოთხის ცნობილი ფოტო და ქვეშ აქვს მიწერილი ზემოაღნიშნული განმარტება, ასევე, გამუსლიმების თარიღი - 1579 წელი. ქართული<sup>12</sup> და ევროპული წყაროებით<sup>13</sup> ცნობილია, რომ ყვარყვარე მეოთხეს ისლამი არ მიუღია, გამუსლიმდა მისი ძმა მანუჩარი. ნები გუმუშს მოკლედ აქვს მითითებული ოსმალეთის სახელმწიფოსთვის ახალციხის საფაშოს მნიშვნელობის, სოლომონ მეორის ახალციხის ფაშასა და ოსმალეთთან ურთიერთობების შესახებ. საუბრობს აგრეთვე, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომზე, საფაშოს გაუქმების საკითხებსა და საფაშოში იურთლუქ-ოჯაქლიქის ოსმალურ სისტემაზე. ეხება რა სამცხე-ჯავახეთის მხარეში ისლამურ არქიტექტურას, აღნიშნავს, რომ ათაბაგების გამუსლიმების შემდეგ ძალიან სწრაფად მოხდა მხარის ისლამიზაცია და ოსმალური მმართველობის წესების შემოღების შემდეგ დაიწყო მუსლიმური არქიტექტურული ძეგლების მშენებლობა. მიუთითებს, რომ ისლამიზაციამდეც, ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში, ამ მხარეში არსებულა მეჩეთი (მცირე სამლოცველო). წყაროდ გამოყენებული აქვს რუსი ავტორის ენისიმოვის<sup>14</sup> წიგნი. თუმცა, გუმუშში აღნიშნავს, რომ ამ სამლოცველოს კვალი ახლა არსად ჩანს. აღნიშნულია, რომ მეჩეთების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა მეთვრამეტე საუკუნეში. აქ, ჯერ კიდევ 1595 წელს დაარსებულა ქალაქ ახალციხის მეჩეთის

---

<sup>12</sup> ქრ. შარაშიძე, სამხრეთ-საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVII სს), თბ., 1961; ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973; ც. აბულაძე, თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თბ., 1983 და სხვ.

<sup>13</sup> ნუგზარ პაპუაშვილი, ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიიდან საქართველოში: წინასტორია და ისტორია, თბილისი, 2018 და სხვ.

<sup>14</sup> სავარუდოდ ანისიმოვი უნდა იყოს.

ფონდი, სადაც შემოწირულობა შეუტანიათ მანუჩარს და მის დედას დედისიმედს. ნები გუმუში მოკლედ, მაგრამ საკმარისად ბევრ ინფორმაციას გვაძლევს იმ წყაროების შესახებ, სადაც მითითებულია მეჩეთების მშენებლობის თარიღის, დამკვეთის და ვაყუფების (ანუ ფონდების) შესახებ ინფორმაცია. შემდეგ, იგი ეხება მხარეში რუსულ მმართველობას, დეისლამიზაციის და დეეთნიზაციის პროცესს. იგი იყენებს ტერმინებს „თურქი მუსლიმი“ და „მუსლიმი“. დეპორტაციის პროცესთან დაკავშირებით განმარტებაში ადარებს აჭარის და სამცხე-ჯავახეთის მდგომარეობას. აღნიშნავს, რომ თუკი სსრკ მიიჩნევდა საზღვრისპირა მუსლიმებს ქვეყნისთვის საშიშ ძალად, მაშინ აჭარლებიც უნდა გაესახლებინა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. გასახლებულ იქნენ თურქები, ქურთები, ჰემშინები. სხვა განმარტებას ამ საკითხთან დაკავშირებით არ იძლევა.

ბაჰათინ თურგუთი საუბრობს სამცხე-ჯავახეთის მხარეში ვაკუუმების (ფონდების) დაარსების შესახებ, რომლის ისტორიაც იწყება ათაბაგთა გამუსლიმების შემდეგ. ვაკუფთა შესახებ დოკუმენტები დაცულია ოსმალურ არქივებში, სადაც მითითებულია ვაკუფთა რაოდენობა და შემოსავალი. მნიშვნელოვანია შემომწირველთა შესახებ დოკუმენტაცია, რომელიც ინახება ანკარის ვაკუფების მთავარი სამმართველოს არქივში. ვაკუფებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ანკარის მიწის რეესტრისა და კადასტრის ცენტრალური არქივი, სადაც მრავალი დოკუმენტია დაცული ახალციხის საფაშოში მიწისმფლობელობის ისტორიასთან დაკავშირებით. ამავე არქივში №130 ერთეულით დაცულია 1595 წლის „ახალციხის ვილაეთის დიდი დავთარი“<sup>15</sup>. ეს ის დავთარია, რომლის დასახელებიდანაც გამომდინარე პროფესორი ფაჰრეთთინ კირზიოღლუ ეკამათება აკადემიკოს სერგი ჯიქიას „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარის“<sup>16</sup> სახელწოდების გამო. სერგი ჯიქიამ აღნიშნული დავთარი გამოსცა თბილისში დაცული ნუსხის მიხედვით (L-1 – ხელნაწერთა ინსტიტუტი).<sup>17</sup> ბაჰათინ

---

<sup>15</sup> ბაჰათინ თურგუთის მიერ მიერ ტრანსლიტირებული ფორმა: Ahıska ivasi Mufassal Tahrir Defteri

<sup>16</sup> აკად. სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, წიგნი 1-3, თბ., 1941-1958.

<sup>17</sup> დაწვრილებით. იხ. ც. აბულაძე, თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისთვის, თბ., 1983, გვ. 69.

თურგუთი აქვე უთითებს, რომ ახალციხის ფაშას ხიზირს მრავალი უძრავი ქონება და მიწის ნაკვეთები გადაუცია ახალციხის მეჩეთის ვაყუფისთვის, რომელიც მასვე დაუარსებია. ეს ინფორმაცია ადგილობრივი აქვს მის მიერვე მითითებული ზემოხსენებული დავთრიდან. ამავე ავტორის აზრით, მეჩეთი უფრო ადრე უნდა ყოფილიყო ნაშენები, მანამდე, სანამ ზემოაღნიშნული დავთარი შედგებოდა. შევნიშნავთ, რომ ბაჰათინ თურგუთი ხიზირ ფაშად, ხოლო ბატონი სერგი ჯიქია ხიდირ ფაშად კითხულობს<sup>18</sup>. არაბულ გრაფიკით შესრულებულ ხელნაწერში „დ“ და „ზ“ ერთმანეთს ძალიან წააგავს, ამდენად, ორივენიარად შეიძლება ამოკითხვა. ეს ორივე სახელი დღემდე გამოიყენება თურქულ სახელდებაში. ბაჰათინ თურგუთს ჩამოთვლილი აქვს საფაშოში არსებული ვაყუფები:

1. ახალციხის მეჩეთის ვაკუფი;
  2. ჩრდილო ნაჰიეს სოფელ პატარა მერეს (უწერია მერეჟ) ხიდის მოვლა-მშენებლობის ვაკუფი;
  3. სოფელ უდეს ნაჰიეს რაბათის ციხის მეჩეთის და ყურანის სწავლების ვაკუფი;
  4. შერეფ ფაშას ვაკუფი და მეჩეთი;
  5. იუსუფ ფაშას ვაკუფი და სკოლა;
  6. აჰმედ ფაშას (აჰმედიეს) ვაკუფი. მასში შედის:
    - ა) აჰმედიეს მეჩეთის ვაკუფი;
    - ბ) აჰმედიეს მედრესე;
    - გ) აჰმედიეს ბიბლიოთეკა;
    - დ) არტანის სანჯაყის სოფელ შადრევანის მეჩეთი;
    - ე) ახალციხის სანჯაყის სოფელ ვალეს მეჩეთი.
- დასკვნის სახით ბაჰათინ თურგუთი ამბობს, რომ ოსმალეთის მმართველობის პერიოდში სამცხე-ჯავახეთის მხარე იყო მუსლიმური რეგიონი, რასაც ადასტურებენ ვაყუფები და შემომწირველთა სიები.

**ნიკოლა კანჩალ ფერარის** ეკუთვნის მონოგრაფიის შემდეგი თავი: „ახალციხის (სამცხე-ჯავახეთის) მხარეში მეჩეთები და სხვა არქიტექტურული ნაგებობანი“, მოკლე მიმოხილვა.

---

<sup>18</sup> იხ. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1971, გვ. 195: „დავთარი“, წ, II, გვ. 24.

ავტორის განცხადებით, ნაშრომში განხილულია 50-ზე მეტი არქიტექტურული ძეგლი. მათგან 44 არის მეჩეთი, დანარჩენები მედრესეები, აბანოები და საცხოვრებელი სახლები. ამას გარდა, 14 სასმელი წყლის წყარო (ფოტოების მიხედვით, ყველა არის კოდისწყარო) და 22 სასაფლაო. აღნიშნული ძეგლებიდან უმეტესობა პირველად არის აღწერილი და შესწავლილი. ავტორი, წინა ავტორების მსგავსად ძალიან მოკლედ მიმოიხილავს სამცხე-ჯავახეთის და, ზოგადად, „ჩილდირის ვილაეთის“ ისტორიას. აღნიშნავს, რომ მხარეში დღევანდლამდე შემორჩენილი მუსლიმური არქიტექტურული ძეგლების უმეტესობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედშია აგებული. მე-14 - მე-18 საუკუნეებში აგებული შენობების ერთი ნაწილი განადგურებულია. უნდა ითქვას, რომ ადრეულ პერიოდში აგებული საკულტო შენობები მხოლოდ გარკვეულ ცენტრებში შენდებოდაო, ამბობს ავტორი და იმოწმებს ევლია ჩელების „მოგზაურობათა წიგნს“. იგი აცხადებს, რომ ადრეული ძეგლები, რომლებიც ნაშრომშია წარმოდგენილი ახალციხის, ახალქალაქისა და აწყურის ციხეების ტერიტორიაზე მდებარეობს. ძველ საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებით, ასევე, იმოწმებს ევლია ჩელების. ნიკოლა კანჩალ ფერარი ასახელებს ზოგიერთი მეჩეთის მშენებლობის თარიღებს. მაგ, სოფელ ადიგენის 1885/1886, სოფელ ლელოვნის 1886/1887. ფერარი იყენებს ტერმინს „მუსლიმი მოსახლეობა“, მაგრამ ფრჩხილებში უთითებს „ახალციხელი თურქები“. აღნიშნავს, რომ დეპორტაციის შემდგომ საკულტო ნაგებობების ერთი ნაწილი საყოფაცხოვრებო დანიშნულებით იქნა გამოყენებული. მიუთითებს, რომ ამგვარმა დამოკიდებულებამ ზიანი მიაყენა აღნიშნულ ნაგებობებს.

საინტერესოა მისი დასკვნა, რომ მეჩეთების ერთი ნაწილი განსხვავებულ სტილში არის მოხატული და დღემდე არის შემორჩენილი მისი კვალი. იგი ეხება პალეოგრაფიასაც და მიუთითებს, რომ ხელოსანთა მიერ დატოვებული ეპიგრაფიკული ნაშთები მნიშვნელოვანია ინფორმაციის თვალსაზრისით. ამბობს, რომ მეჩეთების არქიტექტურა არის კლასიკურ ოსმალურ სტილში შესრულებული. გარდა ყურანიდან აღებული ფრაგმენტებისა, ამოკვეთილია ხელოსანთა სახელებიც. თითქმის ნახევარ ნაგებობებზე არის მშენებლობის ან რესტავრაციის თარიღი მითითებული. ფერარის



თქმით, მე-19 და მე-20 საუკუნეებში ნაგებობების არქიტექტურული სტილი უფრო დახვეწილია. იგი მიუთითებს ძველი და ახალი არქიტექტურის განსხვავებებზე. იძლევა საკულტო ნაგებობების ერთი ნაწილის დახასიათებას, ასახელებს სავარაუდო ქტიტორებს. ავტორი ფოცხოვში აგებულ საკულტო ნაგებობებს ადარებს ახალციხისას. აღსანიშნავია, რომ ფოცხოვის სოფლების დასახელებისას იქვე უთითებს ძველ სახელებსაც. მაგ, გონულაჩან (შუაწყალი), თურქგოზუ (ზადელა). აღნიშნავს, რომ მეჩეთების მოხატულობა რეგიონში ანუ ჩილდირის ვილაეთში, ძირითადად ერთნაირი და ორიგინალური ორნამენტებით არის შემკული. საინტერესოა ასევე, ავტორის შენიშვნა, რომ მეჩეთების მოხატულობის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს, თუ რომელ მეჩეთში ან რაიონში რა სახის ყურანი იკითხებოდა და ისლამის რა სახის მიმდინარეობა იყო გავრცელებული.

**დასკვნის სახით** შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად, მხარის ისტორიის თურქული ისტორიოგრაფიის პოზიციიდან შეფასებისა, მონოგრაფია ღირებულ შენაძენს წარმოადგენს რეგიონის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის. სამცხე-ჯავახეთის მხარეში არსებული ისლამური საკულტო ნაგებობების საფუძვლიანი ინვენტარიზაცია აქამდე არ ჩატარებულა და ეს პირველი მცდელობაა. წინამდებარე მონოგრაფია შეიძლება გახდეს გზამკვლევი მხარის ისლამური ეპიგრაფიკით დაინტერესებულ მეცნიერთათვის. საკულტო ნაგებობებზე ამოკვეთილმა ეპიგრაფიკულმა მასალამ და თარიღებმა, ქართულ წყაროებთან შედარების შემთხვევაში, შესაძლოა მხარის ისტორიის ახალ ფაქტებამდე მიგვიყვანოს. ნაშრომში მითითებული ტოპონიმებით კიდევ ერთხელ დასტურდება ოტოქტონი მოსახლეობის ვინაობა, ენობრივი კუთვნილება. ეს ტოპონიმები ქართველების შექმნილია. ვაყუფების რაოდენობა მიგვანიშნებს, თუ როგორი ინტენსივობით მიმდინარეობდა მხარის გამუსლიმების პროცესი.

## შინაარსი

### ენათმეცნიერება

#### *კობაიძე ლაშვირა*

მეტსახელთა სტრუქტურული ანალიზი სოფელ იდუმლის  
მაგალითზე ..... 5

#### *ჟანა ხაჩატურიანი*

სომხური ენის დიალექტების სიმრავლე და  
თავისებურებები ..... 21

### ლიტერატურთმცოდნეობა

#### *დალი ბეთხოშვილი*

„გამოსაღმება“ ალექსანდრე ყაზბეგის პოეზიაში ..... 29

#### *ქეთინო გრძელიშვილი*

ლიტერატურული მითოლოგიზმი - საბჭოთა  
სინამდვილესთან მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების  
მხატვრული ხერხი (კონსტანტინე გამსახურდიას  
„დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით) ..... 43

#### *ნესტან სულავა*

X-XIX საუკუნეების წყაროები ათონის ქართველთა  
მონასტრის შესახებ ..... 61

### პედაგოგიკა-განათლება

#### *ნათელა მელიქიძე*

ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის  
სახელმძღვანელოები ..... 81

### თარგმანმცოდნეობა

#### *ირინა კვიციანი, მარიანა ბალასანიანი*

სამეცნიერო ტექსტების თარგმნის თავისებურებები ..... 94

#### *იზა ჩანტლაძე*

მარჯორი უორდროპი და სოფელ უმგულში ჩაწერილი  
სვანური ზღაპრის („ამირანი“) ქართული ვარიანტი ..... 107

**პუბლიკაცია**

***ნინო მეგენიშვილი***

„კრება ფლორენციისა“ - ტექსტის პუბლიკაციისთვის ..... 118

**თარგმანი**

***მთარგმნელი ირინა ჯიშკარიანი***

ლიტერატურულ-მხატვრული და

საზოგადოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებელი

ჟურნალი „ზეზედა“, №11, 2013 წ. .... 160

**რეცენზია**

***როინ ყავრელიშვილი***

რეცენზია მონოგრაფიაზე: ახალციხის მხარის თურქულ-

მუსლიმური არქიტექტურული ძეგლები ..... 181

**Content**

***Linguistics***

***Kobaidze Lamzira***

STRUCTURAL ANALYSIS OF THE NICKNAMES ON THE EXAMPLE  
OF THE VILLAGE IDUMALA ..... 6

***Zhana Khachaturyan***

SPECIFICS AND VARIETY OF ARMENIAN LANGUAGE  
DIALECTS ..... 22

**Literature Studies**

***Dali Betkhoshvili***

“FAREWELL” IN ALEKSANDREKAZBEGI’S POETRY ..... 30

***Ketino Grdzelishvili***

LITERARY MYTHOLOGY - AN ARTISTIC TOOL OF CONFRONTING  
THE WORLDVIEW WITH SOVIET REALITY - ACCORDING TO  
“THE HAND OF THE GREAT MASTER“ BY KONSTANTINE  
GAMSAKHURDIA " ..... 45

### ***Nestan Sulava***

X-XIX CENTURIES SOURCES ABOUT ATTHONITE'S GEORGIAN MONASTERY .....	64
--	----

### **Pedagogy-Education**

#### ***Natela Melikidze***

TEXTBOOKS FOR THE BASIC LEVEL OF GEORGIAN AS A SECOND LANGUAGE .....	82
--	----

### **Translation Studies**

#### ***Irina Jishkariani, Mariana Balasanyan***

PECULIARITIES OF TRANSLATING SCIENTIFIC TEXTS .....	95
---	----

#### ***Iza Chantladze***

MARJORIE WARDROP AND THE GEORGIAN VERSION OF THE SVAN FAIRY TALE ("AMIRAN") RECORDED IN THE VILLAGE OF USHGUL .....	108
---	-----

### **Publication**

#### ***Nino Megeneishvili***

„COUNCIL OF FLORENCE“ – FOR TEXT PUBLICATION .....	119
--	-----

### **Translation**

#### ***Translated by Irina Jishkariani***

LITERARY AND ARTISTIC SOCIO-POLITICAL INDEPENDENT "ZVEZDA" MAGAZINE, NO. 11, 2013 (DEDICATED TO THE 100TH ANNIVERSARY OF THE BIRTH OF ALBERT CAMUS) .....	160
---	-----

### **Review**

#### ***Roin Kavrelishvili***

REVIEW ON THE MONOGRAPH: TURKISH-MOSLEM ARCHITECTURAL MONUMENTS IN AKHALTSIKHE .....	182
--	-----

q. axalcixe, rusTavelis q. #113,  
tel.: 0(365)22-19-90, 591-41-12-78  
el. fosta: [contact@sjuni.edu.ge](mailto:contact@sjuni.edu.ge)